გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურა

ხელნაწერის უფლებით

დავით ლობჟანიძე

საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაცია

სპეციალობა – 12.00.01 – სახელმწიფოსა და სამართლის თეორია და ისტორია;
– პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია.
– საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული და საბაჟო სამართალი, საერთაშორისო სამართალი

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი

სამართლის დოქტორი, პროფესორი

მ. მოსულიშვილი

თბილისი

2008

შინაარსი

შესავალი;

თავი I. თანამედროვე პირობებში ეროვნული თვითმყოფადობისა და სახელმწიფო მოწყობის ფორმათა პრობლემები;

§1. საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაციის ასპექტები;

§2. საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმათა თავისებურებანი;

§3. უნიტარიზმი თუ ფედერალიზმი... ქართული სახელმწიფოს სამომავლო გზა;

თავი II. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის პოლიტიკურ-სამართლებრივი ევოლუცია საქართველოში;

§1. ადგილობრივი მმართველობის ისტორიული ფესვები საქართველოში;

§2. ადგილობრივი თვითმმართველობა და მმართველობა თანამედროვე საქართველოში;

2.1. ადგილობრივი თვითმმართველობის არსებული სისტემის პრობლემები და მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის რეფორმის ძირითადი ამოცანები;

2.2. მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის რეფორმის უმთავრესი მიმართულებანი;

2.3. მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის რეფორმის საკანონმდებლო უზრუნველყოფა;

§3. ევროპული ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ექსტრაპოლაციის შესაძლებლობის პრობლემა საქართველოში;

თავი III. საქართველოს ხვალინდელი დღის პოლიტიკურ-სამართლებრივი ხედვა;

§1. საკონსტიტუციო ცვლილებები, მმართველობის ფორმისა და პოლიტიკური რეჟიმის სამართლებრივი გადაწყვეტის გზები საქართველოში;

§2. საქართველო და კავკასია ევრაზიულ პოლიტიკურ და სამართლებრივ სივრცეში;

დასკვნები;

გამოყენებული ლიტერატურა.

შესავალი

სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციათა ცვლა ახალი პრობლემების წინაშე აყენებს კაცობრიობას. ასე მოხდა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. ასეა დღესაც, XXI საუკუნის დასაწყისში. უახლესმა მეცნიერულმა მიღწევებმა პოლიტიკის, სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში, ამასთანავე სხვა სფეროებში მიმდინარე პროცესებმა, მსოფლიო თითქოს მასშტაბებში შეამცირა და შეამჭიდროვა და ბევრი პრობლემაც მოხსნა. ამიტომ არის, რომ ის, რაც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, საბჭოური კონტროლის შედეგად, შეუძლებლად გვეჩვენებოდა, დღეს რეალობად იქცა და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა. ასე გაიხსნა ჩვენი მოქალაქეებისათვის ევროპისა და აზიის ქვეყნების, ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრები, შესაძლებელი გახდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან დაახლოება, საქმიანი ურთიერთობები, პოლიტიკური, სამართლებრივი და კულტურული კავშირები. ამ პროცესებმა ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ თანამედროვე ეპოქას საყოველთაოდ მიიჩნევენ გლობალიზაციის ხანად.

«უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე საერთაშორისო პოლიტიკურმა სისტემამ არსებითი ტრანსფორმაცია განიცადა და დღევანდელი მისი სახე სრულიად განსხვავებულია იმისაგან, რაც XX საუკუნის 80-იან წლებამდე იყო. ამ პროცესების განვითარებას ხელი შეუწყო სსრ კავშირის დაშლამ. ბიპოლარული, იდეოლოგიურად დაპირისპირებული მსოფლიოს ნაცვლად თანდათან მკვიდრდება სრულიად სხვა სახის და შინაარსის საერთაშორისო სისტემა, რომელსაც ახალი, არანაკლებ ძნელადგადასაჭრელი პრობლემები მოაქვს კაცობრიობისათვის, განსაკუთრებით ჩამორჩენილი და განვითარებადი ქვეყნებისათვის».[1]

ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო წრეებში გახშირდა მსჯელობა, კონფერენციები და დიალოგები თანამედროვეობის ისეთ აქტუალურ პრობლემაზე, როგორიც არის

---

[1] იხ. Гжегож В. Колодко, Глобализация и перспективы развития постсоциалистических стран. Варшава, 2002, стр. 9.

პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაცია, როგორც სოციალური სფეროს სახესხვაობა.

აღნიშნულ საკითხებზე თავიანთ პუბლიკაციებსა და ნაშრომებში მოსაზრებები გამოთქვეს მ. მაცაბერიძემ, გ. ნადარეიშვილმა, ლ. გუმაშვილმა, ო. მელქაძემ, ლ. ალექსიძემ, ლ. მაცაბერიძემ, ბ. ნაკაშიძემ, ო. გოგიაშვილმა, ჰ. კუპრაშვილმა, თ. კიკნაძემ, ა. ტუკვაძემ, ვ. ქარუმიძემ, კ. შარიამ, გ. აბესაძემ, ა. კუხიანიძემ, ვ. ჭანიამ, კ. ჭანუყვაძემ, რ. რეხვიაშვილმა, ჯ. ჯალიაშვილმა, რ. ხოჭოლავამ, შ. ჯაფარიძემ, დ. გეგეშიძემ, ს. ყურაშვილმა, ე. ბატიაშვილმა, ვ. გურგენიძემ და სხვებმა. ნაშრომებში ბევრ კითხვაზეა პასუხი გაცემული. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნდა გჟეგოუს, ვ. კოლოდკოს, კ. კინგფიშერის, დ. ჰელდის, შ.დ. კროჩერის, უ.ნ. პიტერსის, ხ.პ. საინსის, ი. ტეიჩმანის, ე. რეიგერის ულრიხ ბეკის, უილრიჰ შპრინგორუმის, რ. დავიდის, პ. მალანჩუკის, ჟ. პრადელის და სხვათა საინტერესო ნაშრომები, რომლებიც ეხებიან პოლიტიკურ და სამართლებრივ სფეროში მოდერნიზაციის პრობლემას გლობალიზაციის ფონზე სხვადასხვა მიმართულებით.

როდესაც ამ თემაზე ვიწყებთ მსჯელობას, უპირველეს ყოვლისა, ამოცანად რჩება თვით პრობლემის ღრმა მეცნიერული გააზრება. ეს ეხება სამართალს, პოლიტიკას, ეკონომიკას, კულტურას, ეკოლოგიას, რელიგიას, იდეოლოგიას, სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობებს სხვადასხვა სფეროში. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების შესწავლა და მისი სწორად ფორმირების გზების მოძიება რომელიმე ცალკე აღებული სამეცნიერო დარგის პრეროგატივა კი არ არის, არამედ კომპლექსურად შესასწავლი და დასამუშავებელი პრობლემაა, რომლის გადაწყვეტაში თავისი სიტყვა უნდა თქვან იურისტებმა, პოლიტოლოგებმა, ეკონომისტებმა და სოციოლოგებმა, რადგანაც საუბარია არა მარტო პოლიტიკური სისტემის სამართლებრივ დარეგულირებაზე, არამედ მთელ პროცესზე, რადგანაც პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაციის პრობლემა ისე არ აწუხებს განვითარებულ სახელმწიფოებს, როგორც გარდამავალ, ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს. ქართველთათვის კი მისი მნიშვნელობის სწორად დანახვასა და შეფასებას განსაკუთრებით ამ ეტაპზე აქვს დიდი მნიშვნელობა.

დღემდე ქართველი მეცნიერების დიდ ყურადღებას პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემის ფორმირების პროცესი არ იქცევდა, ამიტომაც მეტ-ნაკლებად სჩანდა მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური, და მასთან დაკავშირებული სხვა მოსალოდნელი შედეგები. არაჯეროვნად იყო გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის პრობლემები, როგორც პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული სფერო, რომელიც ხშირი ცვლილებებისა და სრულყოფის პროცესშია. აქედან გამომდინარე, სიღრმისეულად შესწავლილი არ არის ყველა მისი თანმხვედრი მოვლენა. ნაკლებადაა შესწავლილი პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაციის ფონზე საქართველოს ადგილი კავკასიის ევრაზიულ ინტეგრაციულ პროცესებში. დღემდე გამოქვეყნებულ მონოგრაფიებში და გამოკვლევებში ნათლად არ არის ჩამოყალიბებული პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაციის შუქ-ჩრდილოვანი მხარეები. ამიტომ ჩვენი **კვლევის ობიექტად,** სხვა საკითხებთან ერთად, სწორედ ამ მოვლენების შესწავლა გავიხადეთ. მათ გადაწყვეტაზე დიდადაა დამოკიდებული გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარების საკითხი, რეალური დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების გზებისა და გარანტიების მიკვლევა, ქვეყნის მმართველობის ფორმის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა, შესაბამისი დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის დამკვიდრება და საბოლოო ჯამში ეროვნული ღირებულებების შენახვა-შენარჩუნება პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაციის ფონზე.

ჩვენი აზრით საქართველო არა თუ მზად არ არის გლობალიზაციის პლანეტარულ პროცესში ამა თუ იმ ფორმით ჩართვა-მონაწილეობისათვის, არამედ საზოგადოებას წარმოდგენაც არა აქვს ქვეყნის ხელმძღვანელობის კურსზე ამ პროცესთან მიმართებაში, თვით პროფესიონალ-მეცნიერთა ვიწრო წრეც კი არ არის ჩართული კონცეპტუალურ ნორმათა და პრინციპთა განსაზღვრაში. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე სისტემის სრულყოფას ევროპულ და მსოფლიო სტანდარტებთან შესაბამისობაში.

პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის ფორმირების პრობლემა უახლესი საუკუნის მოვლენა არ გახლავთ, ვერ ნახავთ კაცობრიობის ისტორიაში ცივილიზაციის განვითარების ვერც ერთ პერიოდს, რომ გარკვეული დონით ეს პრობლემა არ მდგარიყოს. მისი ფესვები ანტიკური ეპოქიდან იწყება. ყველა ქვეყნის გამოჩენილი მხედართმთავრები «სამყაროს» ხედავდნენ პოლიტიკურ და სამართლებრივ ჭრილში. ყოველ შემთხვევაში, თითოეულ მათგანს «მსოფლიოს» საჭეთმპყრობელის პრობლემა არ ასვენებდა. ისინი მაქსიმალურად იყენებდნენ იმდროინდელ საკომუნიკაციო საშუალებებს, რათა სცოდნოდათ, რა ხდებოდა მათ საზღვრებს მიღმა და ცდილობდნენ, დაეხვეწათ საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემა პირადი, თუ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, გაეზარდათ პოლიტიკური გავლენის სფეროები და მისთვის სამართლებრივი ფორმა მიეცათ.

უკანასკნელ პერიოდამდე ნაშრომში წარმოდგენილი პრობლემები კომპლექსურად შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი. ქართულ და რუსულ სამეცნიერო ლიტერატურასთან შედარებით, გაცილებით მრავლად არის ნაშრომები დასავლურ მეცნიერებაში. ეს გასაკვირიც არ არის, რადგანაც პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების ფორმირება და სრულყოფა სწორედ ევროპიდან და აშშ-დან დაიწყო.

ჩვენი ნაშრომის **თეორიულ, მეთოდოლოგიურ და წყაროთმცოდნეობის მთავარ ბაზას** პოლიტიკურ და სამართლებრივ სფეროში, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის კლასიკური შრომები, **სამეცნიერო მონოგრაფიები და სტატიები წარმოადგენს,** მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სხვადასხვა ოფიციალურ დოკუმენტებს (გაეროს რეზოლუციები, კონვენციები), საცნობარო მასალებს, პერიოდულ პრესას, ტელევიზიასა და ინტერნეტს, რომელთა აბსოლიტური უმრავლესობა XX საუკუნის ბოლო ათწლეულში და XXI საუკუნის დასაწყისში შეიქმნა ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო ცენტრებში. ნაშრომში შევეცადეთ, კრიტიკულად გაგვეხილა საქართველოსთან მიმართებაში პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები, ქვეყნის როლი და დანიშნულება მსოფლიო პოლიტიკაში. რაც შეეხება **კვლევის კონკრეტულ მეთოდებს**, შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად

გამოყენებულია, ისტორიული, სტატისტიკური, სისტემური, შედარებითი ანალიზის და პროგნოზირების მეთოდები.

გარდა თეორიული მნიშვნელობისა, ჩვენი აზრით, ნაშრომს **პრაქტიკული ღირებულებაც გააჩნია.** შესაძლებელია ის ჩართული იქნას სალექციო კურსში როგორც იურიდიული, ისე პოლიტოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. ვთვლით, რომ ისინი ღრმად და საფუძვლიანად უნდა გაეცნონ აღნიშნულ პრობლემას, რათა სწორედ მათ მოუწევთ მომავალში აქტიურად ჩაებან ქვეყნის პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის სრულყოფის პროცესში ეროვნულ ღირებულებათა გადასარჩენად. ამდენად, მიგვაჩნია, რომ აქტუალურია ჩვენს მიერ შერჩეული **თემა.** რადგან დღევანდელ საქართველოში, გარდამავალი პოლიტიკური პროცესის რეალური გააზრება და მისი მორგება გლობალიზაციით გამოწვეულ ცვლილებებთან, სასიცოცხლო არტერიაა პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის თანამედროვე მოდელის ჩამოსაყალიბებლად, რაც მომავალში ეროვნული ცნობიერებისა და ღირებულებების გადარჩენის გარანტი იქნება.

ნაშრომი არ აცხადებს ყოვლადმოცულობის პრეტენზიას, ამ შემთხვევაში **მიზნად დავისახეთ** 1) პოლიტიკური და სამართლებრივი სფეროს ანალიზი და შესაბამისი პრინციპების ჩამოყალიბება; 2) პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების გამიჯვნა და მათი საერთო ნიშნების წარმოჩენა; 3) ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაციის ძირითადი ასპექტების დახასიათება. 4) გლობალიზაციის პროცესში ეროვნული სახელმწიფოების ადგილის განსაზღვრა. 5) ქვეყნის ტერიტორიული მოწყობისა და მართვა-გამგეობის ფორმის ჩამოყალიბების ტენდენციები. 6) საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ისტორიული გამოცდილების განხილვა და თანამედროვე პერიოდში მათი გზებისა და მეთოდების სრულყოფა; 7) საქართველოს და კავკასიის როლისა და დანიშნულების განსაზღვრა ევრაზიულ პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეში; 8) აღნიშნულის საფუძველზე კი შესაბამისი მეცნიერული დასკვნების გაკეთება. ვფიქრობთ, ნაშრომი ამ სახით გარკვეულ სამსახურს გაუწევს იურისტებს, პოლიტოლოგებს და ამ პრობლემით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

გლობალიზაცია და ინტეგრაცია უკვე ფართოდ შეეხო მეცნიერების ცალკეულ დარგებს, მოხდა მათი დაახლოება, პრობლემათა გაცვლა. ჩვენი აზრით, მართალია, ნაშრომი მიეკუთვნება პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრების სფეროს, მაგრამ ამასთან ერთად განხილულია რიგი საკითხებისა, რომლებიც ასევე პოლიტიკურ თეორიასთანაა დაკავშირებული.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავისა და 8 პარაგრაფისაგან, რომელსაც ახლავს დასკვნა და ბიბლიოგრაფია. პირველი თავი ეძღვნება თანამედროვე პირობებში ეროვნული თვითმყოფადობისა და სახელმწიფო მოწყობის ფორმათა პრობლემებს. მეორე თავში განხილულია ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის, როგორც პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი სფეროს სამართლებრივი ევოლუცია საქართველოში. მესამე თავში მოცემულია საქართველოს ხვალინდელი დღის პოლიტიკურ-სამართლებრივი ხედვა. დასკვნაში მოცემულია კვლევის შედეგები, რაც შეეხება პარაგრაფებს, ისინი შემდეგნაირადაა დასათაურებული: 1. საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაციის ასპექტები. 2. საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმათა თავისებურებანი. 3. უნიტარიზმი თუ ფედერალიზმი... ქართული სახელმწიფოს სამომავლო გზა. 4. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ისტორიული ფესვები. 5. ადგილობრივი თვითმმართველობა და მმართველობა თანამედროვე საქართველოში. 6. ევროპული ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ექსტრაპოლაციის შესაძლებლობის პრობლემა საქართველოში. 7. საკონსტიტუციო ცვლილებები, მმართველობის ფორმისა და პოლიტიკური რეჟიმის გადაწყვეტის გზები საქართველოში. 8. საქართველო და კავკასია ევრაზიულ პოლიტიკურ და სამართლებრივ სივრცეში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ასეთი დასკვნის გაკეთება. საზოგადოებრივი განვითარების ისტორიული პროცესებიდან გამომდინარე, ნებისმიერ ქვეყანასა და ნებისმიერ ეპოქაში, როდესაც იწყებოდა პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაცია, პროცესი ეხებოდა ცხოვრების ყველა მხარეს და, განსაკუთრებით, სამართლის სფეროს, რადგანაც პოლიტიკა და სამართალი, მართალია, დამოუკიდებელი პოლიტიკური ინსტიტუტებია, მაგრამ მათი ცალ-

ცალკე არსებობა წარმოუდგენელია. ამდენად, პრობლემის ამ ჭრილში განხილვა კანონზომიერია.

თავი I

თანამედროვე პირობებში ეროვნული თვითმყოფადობისა და სახელმწიფო მოწყობის ფორმათა პრობლემები

§1. საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების მოდერნიზაციის ასპექტები

სანამ საკვლევ პრობლემებზე მსჯელობას შევუდგებოდეთ, გვინდა ერთ სავარაუდო კითხვას გავცეთ პასუხი. თუ რა კავშირშია კვლევის საგანი გლობალიზაციასთან, რაზედაც ამ თავში გვაქვს საუბარი. ეპოქალურ პრობლემებში გარკვეული ნებისმიერი პიროვნება დაგვეთანხმება, რომ საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის სუვერენობა მეტ-ნაკლებად დამოკიდებული იყო მსოფლიოში და, განსაკუთრებით, მის უახლოეს ტერიტორიულ სივრცეში მიმდინარე მოვლენებზე. დღეს, როდესაც მსოფლიოში გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი არნახულადაა დაჩქარებული, თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაცია მიბმულია მის ხილულ თუ უხილავ პროცესებზე. ამ ფონზე საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ და სამართლებრივ სფეროში მიმდინარე პროცესების შეფასებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ვერ ვიტყვით, რომ მსგავს საკითხებზე მსჯელობა არ დაწყებულა, მაგრამ პრობლემის ღრმა მეცნიერული კვლევა ჯერაც არ მომხდარა. მისი სრულფასოვანი და ყოველმხრივი გაშუქების პრეტენზიის გარეშე, წინამდებარე თავში შევეცდებით გამოვყოთ სისტემის ის ძირითადი ტენდენციები და მიმართულებები, როგორ და რა ადგილს დაიკავებს მომავალში ქართული სახელმწიფოებრიობა მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე.

ერთი რამ თვალნათლივ შეიმჩნევა, საჭიროა გლობალიზაციის პროცესების ღრმა ანალიზი და პროგნოზული შეფასებები, აქტიური თანამშრომლობა ამ სფეროში მომუშავე სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტებთან, მსოფლიოს იმ სამეცნიერო დაწესებულებებთან, რომლებიც გლობალიზაციის კვლევის სათა-ვეებთან დგანან. ამის რეალურ საშუალებას იძლევა თვით პროცესის ძირითადი მიმართულებანი, როგორიცაა ტექნიკურ საშუალებათა სფეროში უახლესი მიღწევები, კომპიუტერული ქსელი, ინტერნეტის გამოყენების ხელმისაწვდომობა,

მობილური სატელეფონო ქსელის არსებობა, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციათა სიხშირე და ა.შ.

ვიდრე უშუალოდ განვიხილავდეთ გლობალიზაციის პირობებში საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივ სისტემის ქმედუნარიანობას, მანამდე შევეცდებით ვუპასუხოთ კიდევ ერთ კითხვას, შეუძლია თუ არა განვითარებად მცირე ქვეყნებს, რომლებიც დემოკრატიული ღირებულებების ერთგული არიან, დაიცვან თავისი სუვერენიტეტი პოლიტიკურ და სამართლებრივ სფეროს მოდერნიზაციით ისე, რომ გარანტირებული იყოს უსაფრთხოება და ღირსეული მომავალი.

ჩვენი აზრით, საკითხების განხილვა, უნდა დავიწყოთ იქიდან, რომ გარდა ეკონომიკის სფეროში წარმოშობილი პრობლემებისა, მცირე ქვეყნებს უფრო მეტად საფრთხე ექმნება ეროვნული იდენტურობის კრეოლიზაციის (სხვა ხალხებთან ევოლუციის), ენისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების თვალსაზრისით. საკითხით დაინტერესებულ მეცნიერთა დასკვნით, რასაც ჩვენც ვეთანხმებით, გლობალიზაციას ალტერნატივა არ გააჩნია, ამიტომ ერთ რომელიმე ქვეყანას, როგორი განვითარებისაც არ უნდა იყოს იგი, მით უმეტეს მცირე ერებს, არ ძალუძთ წინ აღუდგნენ თანამედროვეობის ბევრ საშიშ გლობალურ მოვლენას. ამიტომ, პრობლემათა დაძლევისათვის მომზადებაა საჭირო, რათა პარტნიორობა გაეწიოს სხვა ქვეყნებს. ამ საერთაშორისო ურთიერთობებში ჩვენმა შესაძლებლობამ უნდა განაპირობოს ღირსეული და ანგარიშგასაწევი სახელი და ადგილი. ერს, რომელიც ამ მდგომარეობას არ გაითვალისწინებს, მომავალი არ აქვს.

თეორიულად ცნობილია, რომ ეროვნული (ნაციონალური) და გლობალური ცხოვრების წესი ურთერთსაპირისპირო მოვლენებია, მაგრამ ეს ორი განმსაზღვრელი მიმართულება წარმოადგენს მსოფლიო სტრუქტურების ევოლუციის შემადგენელ ნაწილს.

რას გულისხმობს ეროვნულობა, იგი ნიშნავს, ეროვნული სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცებისათვის დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ეროვნულ ვალუტას, კულტურას, იდეოლოგიას და ცნობიერებას,

რომლებსაც დაცვისა და განვითარების შესაბამისი სტრუქტურები და მექანიზმები გააჩნია.

საბჭოური კონცეფციით, ნაციონალიზმი განიხილებოდა როგორც ბურჟუ-აზიული და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია, ფსიქოლოგია და პოლიტიკა, რომელიც უპირისპირდებოდა პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს. ერს მიიჩნევდა სოციალური ერთობის ზეკლასობრივ და ზეისტორიულ ფორმად. ეწეოდა მასში შემავალი ჯგუფების (კლასები, ფენები) ძირითად ინტერესთა სრული იგივეობის პროპაგანდას»[1]

ამიტომ იყო ამოვარდნილი ლექსიკიდან სიტყვა «ნაციონალიზმი».

გლობალიზაცია გულისხმობს სახელმწიფო საზღვრების ჯერ ლიბერა-ლიზაციას, შემდეგ კი საერთოდ მოშლას, ეროვნული სახელმწიფოების ძალა-უფლების შესუსტებას როგორც საშინაო, ისე საგარეო ურთიერთობებში, საერთო მოქალაქეობას, ერთიანი ზენაციონალური ეკონომიკის, საერთო ვალუტის, ტრანსნაციონალური კორპორაციების ბატონობის და საერთო სუპერნაციონალური, კოსმოპოლიტიკური კულტურის გავრცელების გამოხატულებას, რაც თეორიულ აპოლოგიას უტოლდება.

ეროვნული და გლობალური, როგორც მოვლენათა დაპირისპირება, შეეხო მსოფლიოს ბევრ ქვეყანას, ამიტომაც ჩამოყალიბდა ანტიგლობალისტთა საკმაოდ ძლიერი მოძრაობა. ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა აზრი, ხომ არ გამოიწვია გლობალიზაციამ ნაციონალიზმის გამოცოცხლება და ხომ არ წარმოადგენს იგი რეაქციას ეროვნული სახელმწიფოსა და კულტურის სასარგებლოდ. ნაწილი მეცნიერებისა თვლის, რომ გლობალიზაციამ, პირიქით, შეასუსტა ეროვნულობის პოზიციები და რაც უფრო ფართომასშტაბიანი გახდება მისი კონტურები, უფრო გაფერმკრთალდება ეროვნული ღირებულებები. ამ მსჯელობათა ორივე მიმართულებას აქვს რეალური არსებობის საფუძველი, მაგრამ მარტო ერთი ან მეორის უკრიტიკოდ აღიარება არ იქნება მართებული, ამიტომ სჭირდება ორივე მოვლენას ღრმა შესწავლა რეალობასთან მიმართებაში და უარყოფითი შედეგების

[1] იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ. 1994 წ. გვ. 940.

თავიდან აცილების გარანტიათა კონცეფციის ჩამოყალიბება, რადგანაც გაჩნდა გლობალიზაციის ახალი საპირისპირო მიმდინარეობა, «ბალკანიზაცია». იგი ახალ ათასწლეულს დამატებით საფრთხეს უქმნის, რომელიც გულისხმობს ეროვნულ სახელმწიფოთა დაქუცმაცებას ეთნიკურ ერთეულებად, ბრძოლას ტერიტორიების ხელახლა გადანაწილებისათვის, მართლმსაჯულების საკუთარი სისტემის შექმნა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მოპოვებისათვის. სამწუხაროდ ასეთ მოძრაობას თან სდევს ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევა, სამხედრო დანაშაული, გენოციდი და ა.შ.

ანტიგლობალისტები სახელმწიფოთა შიგნით წარმოშობილ კონფლიქტებს ახალ ნაციონალიზმს უწოდებენ, რომელიც ეთნოსებს შორის წინააღმდეგობათა შედეგად ჩნდება. მიაჩნიათ, რომ მათი გამომწვევი მიზეზები გლობალიზაციამ წარმოაჩინა და დააჩქარა. ქართველ მეცნიერთა მიერ ჩატარებულმა კვლევებმა (ზ. დავითაშვილი, ნ. საბაძე, ნ. დურმიშიძე და სხვები) არ დაადასტურა ეს კონცეფცია, რადგანაც გლობალიზაციის ეპოქაში ეთნოკონფლიქტებიც და ე.წ. ახალი ნაციონალიზმიც განსაკუთრებით იმ ქვეყნებშია გავრცელებული, რომლებსაც გლობალიზაციის პროცესი შედარებით ნაკლებად შეეხოთ. ამ სახელმწიფოთა რიგს მიეკუთვნება საქართველოც.

როგორც ვხედავთ, ანტიგლობალისტ მეცნიერთა აზრით, როგორც მსოფლიო ისტორიულ – კანონზომიერ მოვლენას, საზოგადოების ერთი ნაწილისათვის მოაქვს უდიდესი სიმდიდრე და წარმატება, მეორე ნაწილისათვის – სიღარიბე და გაღატაკება. აქედან გამომდინარე, საზოგადოებაში იგი იწვევს ადეკვატურ რეაქციებს, ერთის მხრივ – პროტესტს, მეორეს მხრივ – მფარველობას. საკითხი დგება შემდეგნაირად, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი არ არის მოგვწონს თუ არ მოგვწონს გლობალიზაციის პროცესი. ისტორიის კანონზომიერი განვითარების ლოგიკიდან გამომდინარე, მეცნიერული კვლევის შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი შეუქცევადია. «იგი გამოხატავს იმ პროცესებს, რომელთა შედეგადაც საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროში თანდათანობით მცირდება მანძილისა და საზღვრების

არსებობის მნიშვნელობა».[1] ამის ნათელი მაგალითია ევროპულ სახელმწიფოთა შორის საზღვრების კონტროლის ლიბერალიზაცია, საერთო ფულადი ერთეულის ევროს შემოღება, ერთიანი სამშვიდობო შეიარაღებული ძალების შექმნა, სამხედრო ბლოკების ინტეგრაცია, აღარ ვსაუბრობთ ეკონომიკის სფეროში სახელმწიფოთა დაახლოებასა და ა.შ.

გლობალიზაციას ისეთი მოვლენებიც ახლავს, რომელთა გადაჭრა ერთ რომელიმე ქვეყანას, როგორი განვითარებისაც არ უნდა იყოს იგი, არ ძალუძს (საერთაშორისო ტერორიზმი, ნარკომანია, ადამიანებით ვაჭრობა, კორუფცია, ბირთვული საშიშროება, ბუნებრივი მოვლენები, გლობალური დათბობა, შიდსი, კოსმიური მოვლენები და ა.შ.). ამიტომ კაცობრიობის წინაშე მდგარ პრობლემათა გადაჭრა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მთელი მსოფლიოს, ქვეყნის ერთიანი ძალისხმევით.

თავისი მასშტაბების მიხედვით გლობალიზაცია უნდა განვიხილოთ ოთხი განზომილებით:

– მსოფლიო გლობალიზაცია

– რეგიონული გლობალიზაცია

– ლოკალური გლობალიზაცია

– საქალაქო გლობალიზაცია.

მსოფლიო გლობალიზაციაში იგულისხმება მთელი დედამიწა, ყველა ქვეყანა, ყველა ერი და ეროვნება. რეგიონალურ გლობალიზაციაში მოიაზრება დაახლოებულ სახელმწიფოთა ჯგუფები, მაგალითად ევროპული, აზიური, ამერიკული, აფრიკული და აშ. ლოკალურში იგულისხმება სამი ან რამდენიმე საერთო საზღვრის მქონე ქვეყნების ინტეგრირება (მაგალითად კავკასია) რაც შეეხება საქალაქო გლობალიზაციას, არის უდიდესი ქალაქები, «მსოფლიო ქალაქები» (ნიუ-იორკი, ლონდონი, ტოკიო, ჰონგკონგი, სინგაპური, სტამბოლი, მოსკოვი), რომლებიც ამინდს ქმნიან სხვადასხვა სფეროებში. მათ

[1] იხ. გ. სანიკიძე, ნ. კიღურაძე. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 2001, გვ. 39.

ინტერპოლისებად მოიხსენიებენ, რომლებიც ფინანსური, სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალბრუნვის ცენტრებად იქცნენ, ინფორმაციის და კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენებით შეძლეს უზარმაზარი კაპიტალის კონცენტრაცია მოეხდინათ.

მიმართულებებისა და პრინციპების მიხედვით ვსაუბრობთ

– გლობალიზაცია პოლიტიკაში

– გლობალიზაცია ეკონომიკაში

– გლობალიზაცია კულტურაში

– გლობალიზაცია სამართალში

– გლობალიზაცია ეკოლოგიის სფეროში

– გლობალიზაცია რელიგიაში

– გლობალიზაცია საკომუნიკაციო სისტემებში.

გლობალურობის ცნებისაგან განსხვავებით გლობალიზაცია წარმოადგენს დიალექტიკურ პროცესს, რომელიც ქმნის ტრანსნაციონალურ სოციალურ კავშირებს და სივრცეებს, აუფასურებს ლოკალურ კულტურებს და ხელს უწყობს მესამე კულტურის წარმოქმნას.» ცოტა ის, ცოტაც ეს – აი, გზა, საიდანაც მოდის მსოფლიოში სიახლე» (სალმან რუშდი). ურთიერთობათა ამ რთულ სისტემაში, სამი პარამეტრის გათვალისწინებით, შესაძლებელია ახლებურად დავსვათ საკითხები გლობალიზაციის მასშტაბებისა და საზღვრების შესახებ:

(1) სივრცეში გაფართოება;

(2) დროში სტაბილურობა;

(3) ტრანსნაციონალური ქსელების სიმჭიდროვე, ურთიერთობები და სატელევიზიო ნაკადები.

ამ კონტექსტში შესაძლებელია შემდეგი კითხვის დასმა: რაში მდგომარეობს დღევანდელი გლობალიზაციის პარადოქსულობის ისტორიული თავისებურებები

გარკვეულ ადგილებში (მაგალითად, ჯერ კიდევ კოლონიალიზმის დროის განვითარებად «მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემასთან» შედარებით, რომელზეც იმანუელ უოლერსტაინი საუბრობს).

გლობალიზაციის პროცესის თავისებურება დღესდღეობით (და ალბათ მომავალშიც) ემპირული გზით რეგიონალურ-გლობალური ურთიერთმოქმედი ქსელების გაფართოების, სიმჭიდროვისა და სტაბილურობის, მათი მასმედიალურ თვითიდენტიფიკაციაში, ასევე სოციალური სივრცისა და მათ სატელევიზიო ნაკადებში კულტურულ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, სამხედრო და ეკონომიკურ დონეებზე ყალიბდება.[1]

ასეთ აზრს ავითარებს გერმანელი მეცნიერი ულრიხ ბეკი თავის წიგნში «რა არის გლობალიზაცია», «რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავს გლობალიზაციის, გლობალიზმისა და გლობალურობის ცნებებს».[2]

უ. ბეკის აზრით, გლობალიზაცია გულისხმობს პროცესებს, რომლებშიც ნაციონალური სახელმწიფოები და მათი სუვერენიტეტი ტრანსნაციონალური მმართველობის ქსელში იხლართება და მათ ძალაუფლებრივ შესაძლებლობებს, ორიენტაციასა და იდენტურობას ექვემდებარება.

მისი აზრით, გლობალიზმი – ესაა აზრობრივი ვირუსი, რომელიც ბოლო დროს შეეყარა ყველა პარტიას, ყველა რედაქციას, ყველა ინსტიტუტს. მის დოგმატს წარმოადგენს არა ის, რომ ადამიანებმა ეკონომიკურად უნდა იმოქმედონ, რამედ ის, რომ ყველაფერი – პოლიტიკა, მეცნიერება, კულტურა – ეკონომიკურის პრიმატს უნდა ემორჩილებოდეს. გლობალიზმში მე ვგულისხმობ, – წერს უ. ბეკი – მსოფლიო ბაზრის ბატონობისა და ნეოლიბერალიზმის იდეოლოგიის გაგებას, რომელსაც მსოფლიო ბაზარი გამოდევნის ან ცვლის პოლიტიკური მოღვაწეობის შედეგად.

გლობალურობა ნიშნავს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ მრავალგანზომილებიან, პოლიცენტრისტულ, კონტინგენტურ, პოლიტიკურ მსოფლიო საზოგადოებაში,

---

[1] დაწ. იხ. ულრიხ ბეკი, რა არის გლობალიზაცია? თბ. 2003 წ. გვ. 25.
[2] იხ. ზ. დავითაშვილი, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბ., 2003 წ. გვ. 188.

რომელშიც ტრანსნაციონალური და ეროვნული სახელმწიფოებრივი ფაქტორები ერთმანეთს კატა-თაგვობანას ეთამაშებიან.[1]

საბოლოოდ, გლობალიზაცია კაცობრიობის ისტორიის სრულიად განსხვავებული და ახალი პროცესია, რომელიც ქმნის მსოფლიო ბაზრის ახალ სუბიექტებს, სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ, სამართლებრივ, იდეოლოგიურ სფეროებში აყალიბებს ახალ ფორმებს, რომელთა ზემოქმედება მსოფლიო მასშტაბით გაცილებით ძლიერია ხალხთა ცხოვრებაზე, ვიდრე კონკრეტული სახელმწიფოს თუ მისი პოლიტიკური ხელისუფლების ზეგავლენა. იგი აიძულებს ადამიანებს, საზოგადოებას, ქვეყნებს იფიქრონ მომავალზე და იპოვონ თავიანთი ადგილი გლობალურ სამყაროში.

ასეთია მოკლედ გლობალიზაციის ცნებისა და სახეების, როგორც საერთაშორისო მოვლენის სოციალურ-პოლიტიკური და სხვა ასპექტები.

ბოლო პერიოდში მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე მომხდარმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა ჩვენს ქვეყანაშიც ჰპოვა ასახვა. სსრ კავშირის დაშლამ საფუძველი გამოაცალა რუსეთის იმპერიულ და კოლონისტურ ორიენტაციას, რასაც დღემდე ვერ ეგუება მათი პოლიტიკური ელიტა. თანამედროვე ველიკორუსულ შოვინიზმს და ახალი იმპერიის შექმნაზე ოცნებას ახმოვანებენ ჟირინოვსკი და სხვები. რუსეთი კვლავ ცდილობს საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში საკუთარი სტრატეგიული პოზიციები შეინარჩუნოს. ამ მიზნის მისაღწევად ისინი ყველა ბერკეტსა და შესაძლებლობას იყენებენ, როგორიცაა ხალხთა შორის შუღლის ჩამოგდება, ტერიტორიის წართმევა, სამხედრო ბაზების შენარჩუნების მცდელობა. ამ პროცესებმა განაპირობა კონფლიქტები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში და 2008 წლის აგვისტოს ომი რუსეთ-საქართველოს შორის. საქართველო მეტროპოლიურმა რუსეთმა დასაჯა, როგორც ყოფილი ქვეშევრდომი, პოლიტიკაში პროდასავლური კურსის არჩევისათვის თ. ნადარეიშვილის მიერ გამოქვეყნებულ მონოგრაფიებში[2], პროკურატურის მიერ

---

[1] იხ. უ. ბეკი. დას. ნაშ. გვ. 150-156.

[2] იხ. Т. Надареишвили, Геноцид в Абхазии, Тб. 1998 г. С.М. Червонная, Абхазия – 1992. Посткоммунистическая Вандея, М. 1993 г. А. Шания. Правда об Абхазии, Тб., 1998 г. საქართველოს გენ. პროკურატურა. აფხაზეთის ა/რ პროკურატურა. დასკვნა, თბილისი, 1999. აფხაზეთის სისხლიანი ქრონიკები, შემდ. ზ. კალანდია, ვ. ჩორდელი, თბ., 1993 წ.

გამოცემულ სტატისტიკურ მონაცემებსა და სხვა მასალებშია მოცემული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საომარ მოქმედებებში სეპარატისტებთან ერთად რუსეთის არმიის ნაწილების ქვედანაყოფების, სამხედრო საფრენოსნო საშუალებების, შავი ზღვის ფლოტის მონაწილეობა. თუმცა ქართულ მხარეს ოფიციალურ დოკუმენტებში არსად დაუფიქსირებია ამ ომებში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის შეიარაღებული ძალების მოქმედება. შედეგად მივიღეთ საქართველოს შიდა ტერიტორიაზე ორი უკანონო ე.წ. «სამხრეთ ოსეთისა» და «აფხაზეთის» პოლიტიკური ერთეული თავიანთი კონსტიტუციებით და სახელისუფლებო სტრუქტურებით. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რუსეთმა უკვე ოფიციალურად სცნო საქართველოს ამ ორი რეგიონის დამოუკიდებლობა.

საერთაშორისო სამართლით, გაეროს სახელმძღვანელო დოკუმენტებით ყოვლად დაუშვებელია სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე ქვეყნის ძირითადი მოსახლეობის ნება-სურვილის გარეშე მოხდეს ხალხთა თვითგამორკვევის უფლების განხორციელება. «თუ კი ყოველი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი ჯგუფი გამოავლენს მისწრაფებას სახელმწიფოებრიობისაკენ, საზღვარი არ ექნება დაშლა-დანაწილებას, ხოლო საყოველთაო მშვიდობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა კიდევ უფრო ძნელად მისაღწევ მიზნებად იქცევა»[1] თავის დროზე აღნიშნა ბუტროს ბუტროს გალიმ. საქართველოში დაახლოებით 80-მდე ერი და ეროვნება ცხოვრობს, შესაძლოა ყველას არ გაუჩნდეს «თვითგამორკვევის» სურვილი, მაგრამ მის ნახევარსაც რომ «განუვითარდეს» ეს ამბიცია, სურათი ნათელი იქნება.

საერთაშორისო სამართალი მკაცრ აკრძალვებს აწესებს ქვეყნის საზღვრების თვითნებური შეცვლის მცდელობისას, მკაფიოდ განსაზღვრავს ეროვნული უმცირესობის უფლება-მოვალეობებს, და აღიარებს, რომ ისინი თვითგამორკვევის სუბიექტებს არ წარმოადგენენ. არამედ ძირითად ერებთან ერთად უნდა ვითარდებოდნენ.[2] ჩვენს ქვეყანაში არასოდეს ჰქონია ადგილი ეროვნული

---

[1] იხ. ბ. ბ. გალი, „დღის წესრიგი მსოფლიოსათვის“, ნიუ-იორკი, 1992 წ.
[2] იხ. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი თბ. 1998 წ. გვ. 203-206.

უმცირესობის ჩაგვრას. ამის საუკეთესო მაგალითია ებრაელთა და ქართველთა თანაცხოვრების 27 საუკუნის ისტორია, ეს ეხება სხვა ეთნოსსაც.

გლობალიზაციის პრობლემასთანაა დაკავშირებული ახალი ფენომენის ჩამოყალიბება, როგორიცაა ტრანსეროვნული (ტრანსნაციონალური) თემი. ამ მოვ-ლენის გააქტიურება დაკავშირებულია სსრ კავშირის დაშლასთან, რის გამოც გაიზარდა საემიგრაციო პროცესები და ემიგრანტთა თემები. ისინი ამყარებენ მრავალმხრივ სოციალურ ურთიერთობებს, კავშირებს თავიანთი წარმოშობისა და ჩასახლების ადგილის მიხედვით. ასეთი კავშირები კვეთენ გეოგრაფიულ, პოლიტიკურ, თუ კულტურულ საზღვრებს. ამ ურთიერთობებს სახელმწიფოები არ ზღუდავენ, პირიქით ახალისებენ კიდევაც, იმისდა მიხედვით, რამდენად ემთხვევა ეს ტენდენციები კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკას. ამ თვალსაზრისით საქართველო არ ჩამორჩა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით სამშობლოდან ემიგრირებულია 1 მილიონამდე ადამიანი. ქვეყანას მათი ზუსტი აღრიცხვა და სახელმწიფოთა მიხედვით სტატისტიკა არ გააჩნია, ამდენად, კონტროლისა თუ დროულ დახმარებაზე სათანადო მექანიზმების არქონა გავლენას ახდენს ქვეყანასა და მოქალაქეებზე ურთიერთვალდებულებებისა და მოვალეობების შესრულებაზე. მათმა ძირითადმა ნაწილმა თავი მოიყარა ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ქართველებიც ქმნიან ტრანსეროვნულ თემებს, რომლებსაც კავშირები აქვს საქართველოსთან და ზედმეტ-ნაკლებად არიან ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში (არჩევნებში მონაწილეობა, სხვადასხვა სფეროების დაფინანსება, 2008 წლის აგვისტოს რუსეთის აგრესიასთან დაკავშირებული ერთდროული პროტესტი მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში და სხვ.).

როდესაც გლობალიზაციაზე ვმსჯელობთ, გვერდს ვერ ავუვლით კოსმოპოლიტიზმის თეორიას. ის დაკავშირებულია იურგენ ჰაბერმასის კონცეფ-იასთან, რომლის მიხედვით ერი-სახელმწიფო წარსულის კუთვნილებაა, რაც ნიშნავს ნაციონალიზმის ეპოქის კვდომას და კოსმოპოლიტიზმის დამკვიდრებას. ამ თეორიის მიხედვით, ეროვნული ქრება და ერთი მმართველობის ქვეშ არსებული მსოფლიო წარმოჩინდება. ამ პრობლემას უპირისპირდება და სხვა

კუთხით აშუქებს დიდი ქართველი მოაზროვნის ვაჟა-ფშაველას საინტერესო კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, «ზოგს ჰგონია პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია. ისე როგორც ყოველი კოსმოპოლიტი (და არა როგორც ჩვენებური) – პატრიოტი. ასე რომ, რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავისი სამშობლო აამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულ ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისთვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში»[1]

ბუნებრივია, რომ ვაჟა-ფშაველა ამით არ უარყოფს ნაციონალიზმს, პირიქით, ის კოსმოპოლიტიზმის გზით ეროვნულის გაძლიერებასა და დაცვის ახალი გარანტიების მოძებნას, ცივილიზებულ მსოფლიოში საქართველოს ღირსეული ადგილის დამკვიდრებას ქადაგებდა.

მეცნიერების ნებისმიერ დარგს თუ გლობალურ პრობლემას იქნება იგი საბუნებისმეტყველო თუ საზოგადოებრივი, აქვს განვითარების საკუთარი თეორიები, რომლებიც გვაძლევენ არა მარტო საკითხის ირგვლივ ღრმა მეცნიერულ განმარტებებსა და ცნებებს, არამედ იძლევიან გარკვეულ პროგნოზებს, რათა გავერკვეთ პრობლემის სერიოზულობასა და სირთულეში, შევაფასოთ მისი დადებითი შედეგები და თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი უარყოფითი მომენტები. სწორედ ამაშია თეორიების პრაქტიკული მნიშვნელობა. მათი სიმრავლე თუ შინაარსობრივი სიღრმე, ძალიან ხშირად განსაზღვრავს

[1] იხ. ვ. ფშაველა, თხზულებანი, თბ. 1965 წ. გვ. 680.

პრობლემის მასშტაბურობას, ჩვენს შემთხვევაში კი კვლევის საკითხთა გლობალურობას.

წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, რომ გლობალიზაციისათვის დამახასიათებელი ნიშნები და პრინციპები არ არის ახალი, მაგრამ მისი სერიოზული მეცნიერული კვლევა კი უახლესია. ამიტომაც, მასთან დაკავშირებული საკითხი ან ჩვენი დროის ნაკარნახევია, ან კიდევ ძველმა მიმდინარეობებმა განიცადეს გარკვეული მოდერნიზაცია.

XX საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა ***საერთაშორისო ურთიერთობათა თეორია***, რომლის ფუძემდებელია გერმანული წარმოშობის ამერიკელი მეცნიერი ჰანს მორგენთაუ, რომელმაც 1998 წელს გამოსცა წიგნი «სახელმწიფოთა პოლიტიკა». მასში ნათქვამია, რომ მშვიდობისა და ძალაუფლებისათვის ბრძოლაში სახელმწიფოთა შორის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დიპლომატიას, რომლის წინაშეც ოთხი უმთავრესი ამოცანა დგას: 1) დიპლომატიამ უნდა განსაზღვროს საკუთარი მიზნები და, ამავე დროს, გაითვალისწინოს თუ რა რეალურ და პოტენციურ ძალას ფლობს ამ მიზნის მისაღწევად. 2) დიპლომატიამ უნდა დაადგინოს სხვა ქვეყნების მიზნები და შეაფასოს ის რეალური პოტენციალური ძალა, რომელსაც ისინი ფლობენ. 3) დიპლომატმა უნდა განსაზღვროს, თუ რამდენად არის შესაძლებელი ამ განსხვავებული მიზნების ერთმანეთთან შეთავსება 4)დიპლომატიამ უნდა შეარჩიოს შესაფერისი საშუალებები საკუთარი მიზნის მისაღწევად. სხვა ქვეყნის ძალის სათანადოდ შეუფასებლობა, ან გადაჭარბებით შეფასება, შეიძლება მშვიდობისათვის საბედისწერო აღმოჩნდეს. ასე რომ გლობალიზაციის პირობებში ამ თეორიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთაშორისო დარგობრივ თეორიათა შორის.

ჰუმანური მმართველობის კონცეფცია XX საუკუნის დასასრულს ჩამოყალიბდა. ამ თეორიის თანახმად მთავარია საერთაშორისო ურთიერთობებში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება. ასეთი პრინციპების ჩამოყალიბების მაგალითია საერთაშორისო სასამართლოს დაარსება, რომელსაც ექნება კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებსა და გენოციდში ეჭვმიტანილი პირების გასამართლების უფლება. ეს კი მსოფლიო წესრიგში ერთგვარ

დემოკრატიულ განზომილებას შეიტანს. შემდგომ ნაბიჯებს ამ მიმართულებით წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, გაეროს, განსაკუთრებით კი უშიშროების საბჭოს გამჭირვალობის მოთხოვნა. ამ კონცეფციის მიხედვით იქმნება ***გლობალური სამოქალაქო საზოგადოება***, რომელიც წარმოადგენს არა მეგა-საზოგადოებას, რომელიც თავის თავში აერთიანებს და სპობს ყველა ნაციონალურ საზოგადოებას, არამედ მრავალფეროვნებით გამორჩეულ და ინტეგრაციას დაუქვემდებარებელ მსოფლიო ჰორიზონტს, რომელიც იღება მაშინვე, როცა ის იქმნება და ამასთან ინარჩუნებს კომუნიკაციისა და მოქმედების თავისუფლებას.[1] მას ახასიათებს მდგრადი განვითარება, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მექანიზმების გაფართოება, დემოკრატიზაციის ზრდა სახელმწიფოსა და საზოგადოებრიობის ურთიერთობაში, განადგურების ყველა სახის იარაღის მოსპობა, სახელმწიფოთა ურთიერთობების დემილიტარიზაცია, რეგიონალური სტრუქტურების დაახლოება, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და კულტურული კოორდინაციის მიზნით ცივილიზაციებს შორის კონტაქტისა და დიალოგის გაღრმავება.

ჰუმანური მმართველობის პირობებში იქმნება ჰუმანური გლობალიზაციის იდეა, რომელიც სხვადასხვა ცივილიზაციების ღირებულებათა ანალიზის შეჯერების, შეთანხმებისა და მათი ინტეგრირების პროცესში ყალიბდება, მაგრამ მათი დეტალური განხილვა ჩვენი ინტერესის სფეროს სცილდება.

ცივილიზაციის თეორია, რომელიც გასულ საუკუნეში ჩამოყალიბდა, კონცეფტუალურად უკავშირდება გლობალიზაციის პრობლემას, სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულ პერიოდამდე ცივილიზაცია გაიგივებული იყო კულტურასთან. მკვლევარი მეცნიერები არ ლაპარაკობდნენ ზოგადად ცივილიზაციაზე. ისინი იკვლევდნენ ცალკეულ ცივილიზაციებს, რომელთა დაჯგუფებას სხვადასხვა მოტივი ედო საფუძვლად.

ცივილიზაციის თეორია განვითარდა ორი მიმართულებით – კულტურულ-მატერიალური და კულტურულ-ისტორიული. კულტურულ-მატერიალური

---

[1] იხ. ულრიხ ბეკი, რა არის გლობალიზაცია? თბ. 2003 წ. გვ. 25.

მიმართულების ჩამოყალიბებას საფუძველი დაუდო ფრანგმა მეცნიერმა ფ.ფროდელმა, რომელსაც შემდგომში მიმდევრები გამოუჩნდნენ ბროდელი დაეყრდნო თავის დროზე კ.მარქსის, ი.ვებერის, მ.ბლოკის და სხვათა კონცეფციებს. ამ მიმდინარეობის დედა-აზრი გახლავთ მატერიალური სფერო, ეს ეხება ეკონომიკას, სოციალურ სფეროს, პოლიტიკას და ა.შ. ყველაფერს, რასაც მატერიალური ცივილიზაცია ჰქვია და ადამიანის არსებობასთანაა დაკავშირებული.

ცივილიზაციის თეორიის მეორე მიმდინარეობა კულტურულ-ისტორიული სკოლაა, რომლის ფორმირებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის რუს მოაზროვნეს, პიტირიმ სოროკინს[1] (189....-1968), რომელიც ეყრდნობოდა ა.ტოინბის, ო.შპენგლერის და სხვათა კონცეფციებს. ამ მიმდინარეობის ძირითადი ხაზი გახლდათ სულიერების წინა პლანზე წამოწევა, განსხვავებით მატერიალურისაგან. სულიერ სფეროში კი მოიაზრებდნენ ზოგადად კულტურას: არქეოლოგიას, რელიგიას, მხატვრობას, ქანდაკებას, მუსიკას და ა.შ., რაც საფუძვლად ედება ცივილიზაციების ჩამოყალიბებას. ისევე, როგორც ნებისმიერ თეორიას, ცივილიზაციის თეორიასაც ჰყავს მხარდამჭერები და მოწინააღმდეგენი. დასკვნა ერთია, ნებისმიერ თეორიას აქვს არსებობის საფუძველი და გარკვეულწილად გააჩნია დადებითი და მისაღები მხარეები. ორივე მიმდინარეობის როგორც მატერიალურის ასევე სულიერის ერთიანობას, რა თქმა უნდა, ცივილიზაცია წარმოადგენს.

ამერიკელი მეცნიერის ს. ჰანტინგტონის «ცივილიზაციათა შეჯახების» თეორია[2] XX საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა. მეცნიერთა ნაწილი მას მოიხსენიებს, «პესიმისტური კონცეფციის» სახელით. «ცივილიზაციური მიდგომა ისტორიული პროცესის მთავარ სუბიექტად არა სახელმწიფოებსა და ერებს, არამედ დიდ კულტურულ-რელიგიურ ერთობებს მიიჩნევს».[3] ჩვენთვის აღნიშნული თეორიის სწორად გააზრება ორმაგად საინტერესოა, რადგანაც იგი ეხება კავკასიის და კერძოდ საქართველოს პრობლემას. ს.ჰანტინგტონის

---

[1] იხ. Сорокин П. Социологические Теории современности М. 1992г. Сорокин П. Социальная и культурная динамика Т.Г гл.15

[2] იხ. С.Хантингтон, Сталкновение цивилизации. 1994.

[3] იხ. მ. მაცაბერიძე, გეოპოლიტიკა: საგანი, მეთოდები, ამოცანები. თბ. 2001. გვ. 10.

მოსაზრებანი კრიტიკულად და სამართლიანად განიხილა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა ნილ მაკფარლენმა.

ს. ჰანტინგტონის თეორიის ძირითადი დედააზრია იმის მტკიცება, რომ ყველაზე მზარდი იდენტურობა ჩვენს პერიოდში ცივილიზაციურია. მსოფლიო პოლიტიკაში მოსალოდნელ საშიშროებას კი სწორედ ცივილიზაციათა დაპირისპირება ქმნის: «ყალიბდება ცივილიზაციაზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგი: საზოგადოებები, რომელთაც საერთო კულტურული ღირებულებები გააჩნიათ, ერთმანეთთან თანამშრომლობენ: მათი ცივილიზაციური ბლოკის ძირითადი სახელმწიფოს გარშემო ერთიანდებიან». ავტორი საუბრობს შემდეგ ცივილიზაციურ ბლოკებზე: დასავლური, ისლამური, ჩინური, ინდური, მართლმადიდებლური, ბუდისტური, იაპონური, აფრიკული და ლათინოამერიკული.

ს. ჰანტინგტონის თეორიის თანახმად, წერს ნილ მაკფარლენი, არსებობს რამდენიმე სავარაუდო პარადიგმა, რომელიც კავკასიის საერთაშორისო ურთიერთობების ინტერპრეტაციისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული. ერთ-ერთი მათგანია ***გლობალიზაცია***, მეორე ***ძალათა წონასწორობა***, მესამე კი ***«ცივილიზაციათა შეჯახების» კონცეფცია.*** მეოთხედ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ე.წ. ***«მშვიდობიანი კავკასიის»*** კონცეფცია. თუ კი კრიტიკულად შევხედავთ მისი თეორიის ძირითად მიმართულებებს ისინი ერთმანეთისაგან აბსოლიტურად განსხვავებული თვალსაზრისებია.

«ცივილიზაციათა შესახებ» თეორია გარკვეულად გავლენას ახდენს კავკასიის საერთაშორისო ურთიერთობის სამეცნიერო ანალიზზე. მას მნიშვნელოვანი წონა გააჩნია პოლიტიკოსთა შორისაც. არ არის გასაკვირი, რომ ეს კონცეფცია თავად კავკასიაშიც მიმზიდველად ეჩვენებათ, რადგან მისი ლოგიკით რეგიონი გლობალური პოლიტიკის ყურადღების ფოკუსს, ცივილიზაციათა «წყალგამყოფს წარმოადგენს».

ჰანტინგტონი არ გამორიცხავს გარკვეულ გამონაკლისებსაც, კერძოდ, თანამედროვე ცვალებად მსოფლიოში სხვადასხვა ცივილიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა ინტერესთა მიხედვით შესაძლებელია შეკრან დროებითი

კავშირები მესამე ცივილიზაციის წარმომადგენლების წინააღმდეგ. ასე მაგ. კავკასიურ სახელმწიფოებსა და მის მეზობლებს შორის იკვეთება ორი მიმართულება რუსეთი, ირანი და სომხეთი, მეორე მხრივ, საქართველო, აზერბაიჯანი და თურქეთი. სპეციალისტთა აზრით, «ცივილიზაციათა შეფასების» თეორია და მისივე «გამონაკლისი» ვერსიები არც მომავალი კონფლიქტების აცილებისა და არც მისი ალბათობის დადგენის შესაძლებლობას არ იძლევა. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოსალოდნელ კონფლიქტს, რომლის საფუძველსაც ქმნის სომეხი უმცირესობის ნაციონალური მისწრაფებები, რომელსაც ახალისებს ზოგიერთი სომხური პოლიტიკური პარტია თუ დაჯგუფება, ამას ემატება ახალქალაქის სამხედრო ბაზაზე რუსეთის სამხედრო ნაწილებისა და იქ დასახლებული სომეხი ეროვნების ზოგიერთი ადამიანის საქმიანობა, ჰანტინგტონის მიხედვით, მათი დაშვება გამორიცხულია. ჩვენი აზრით, დასკვნა ერთია, ჰანტინგტონის «ცივილიზაციათა შეჯახების» თეორია ეკლექტიური ხასიათისაა და მათში რაციონალური მარცვლების მოძებნაა საჭირო, რათა იგი გამოვიყენოთ ქვეყნის სასარგებლოდ.

რას ეყრდნობა ს.ჰანტინგტონი კავკასიაზე მსჯელობისას? უპირველეს ყოვლისა თავის დროზე აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის წარმოშობილ კონფლიქტს, მაგრამ ბოლო წლებში ისევე კავკასიაში და კერძოდ საქართველოში განვითარებულმა პროცესებმა არ დაადასტურა მისი თვალსაზრისი. აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ კონფლიქტი არ იყო რელიგიური მოტივებით, მასში მართალია «აფხაზების» გარდა მონაწილეობდნენ კავკასიელი მუსულმანებიც, მაგრამ დიდი როლი ითამაშეს გრიგორიანელმა სომხებმა და მართლმადიდებლურმა რუსებმა. ნ.მაკფარლენი რუსეთსა და კავკასიაში მომხდარ ყველა კონფლიქტის შესახებ სწორ და მისაღებ ანალიზს აკეთებს და ასკვნის; ჰანტინგტონის კონცეფციის თვალსაზრისით, სადაოობისა და ემპირიული შეცდომების გარდა, პოლიტიკის თვალსაზრისით, მოდელს არა მარტო არაკონსტრუქციული, არამედ საშიში განზომილებაც შეიძლება ჰქონდეს, რასაც არ შეიძლება არ დაეთანხმოთ.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელმაც განახორციელა სამხედრო ოპერაცია ერაყში მხარი დაუჭირა რამდენიმე მუსულმანურმა ქვეყანამ და

პირიქით მხარი არ დაუჭირა ასევე რამდენიმე ქრისტიანულმა სახელმწიფომ, ასე რომ ჰანტინგტონის თეორიაში ბევრი რამ ანგარიშგასაწევია, მაგრამ მისი ძირითადი პოსტულატები ჩვენთვის მიუღებელია.

რაც შეეხება ჰანტინგტონის დემოკრატიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონცეფციებს იგი აქაც ცივილიზაციათა დიფერენციაციის საფუძვლებიდან ამოდის. მისი აზრით, ეკონომიკური წინსვლისა და აზიური კულტურის შეხამებიდან წარმოიქმნება დემოკრატიის სფეციფიკური ფორმა, რადგანაც კონსესუსი და სტაბილურობა უფრო მნიშვნელოვანია კონკურენციისა და ცვლილებების ფასეულობებზე, სხვაგვარი თვალსაზრისით, ჰანტინგტონისათვის ცივილიზაცია წარმოადგენს ისტორიის მატერიალურ ბლოკს. მკვლევართა აზრით, ამგვარი დამოკიდებულება ხელს უწყობს ცალკეული ქვეყნების ისტორიის შესწავლასა და განვითარებას.

გლობალური თეორია თანამედროვეა, მისი წარმომადგენლები ა.პანარინი, ი.ტეიჩმანი და სხვები ამ თეორიის დანიშნულებად თვლიან პროგნოზირებას, ე.ი. გარკვეულ მონაცემებზე დაყრდნობით მომავალში მოვლენათა პროცესის განვითარებაში მოსალოდნელ ცვლილებათა წინასწარ განჭვრეტას ან წინასწარმეტყველებას. ამ თეორიის თანახმად დიდი მნიშვნელობა აქვს გლობალური მოვლენების მეცნიერულად დასაბუთებული კონკრეტული პერსპექტივების დადგენას. რა დროსაც გამოყენებული უნდა იქნას მოდელირების, შედარების, ექსპერტული შეფასების მეთოდები. ამ თეორიის მიმდევრები იძლევიან რეკომენდაციას, აქტიურად იქნას გამოყენებული ახლად ჩამოყალიბებული მეცნიერების დარგი პროგნოსტიკა და ამ დარგში დასაქმებული მეცნიერები, რომლებსაც პირობითად პროგნოზისტები ეწოდებათ. «თანამედროვე პროგნოსტიკური მეთოდოლოგიის საფუძველს წარმოადგენს კრედო. მატერია მისდევს სულს და ემორჩილება მას»[1] გლობალური პროგნოზირების თეორიის ერთ-ერთ მიმართულებად შეიძლება მივიჩნიოთ სახელმწიფოსა და სამართლის სფერო, რომლის ძირითადი მიმათულებები იძლევა მათი განვითარების პერსპექტივების გზებს, განვითარების

[1] იხ. ნ. ბარათაშვილი. გლობალური ხედვის ასპექტები. თბ. 2002. გვ. 107.

კანონზომიერებათა აღიარების საფუძველზე იძლევა მომავლის ჰიპოთეზას, რომელთა ჭეშმარიტება შემდგომში პრაქტიკით მოწმდება.

ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილმა ელენე ზურაბიშვილმა იგივე ელენ კამერ დანკოსმა, რომელიც საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის უცვლელი სწავლული მდივანია, 1978 წელს იწინასწარმეტყველა საბჭოთა კავშირის, როგორც იმპერიის, დაშლა. მისი წიგნის სათაურია «დამსხვრეული იმპერია», სადაც აღწერილია ამ პროცესის გარდაუვალობა და ის მოსალოდნელი მოვლენები, რომელიც მოყვებოდა სსრ კავშირის დაშლას. ასე რომ ადამიანებს (მით უმეტეს დარგის მეცნიერებს) ძალუძთ ისტორიული მოვლენების წინასწარ განჭვრეტა, მისი პროგნოზირება.

გლობალურ თეორიას უპირისპირდება **ევროპული მოდერნის კონცეფცია,** რომელსაც სამეცნიერო წრეებში ჰყავს თავისი მიმდევრები და უფრო მეტი მოწინააღმდეგენი. ევროპული მოდერნი არ ცნობს წარსულს, ასევე უარყოფს «წარსულის თანამედროვე მოდური წარმოდგენებითა და სტანდარტებით მოდერნიზებას». ამ კონცეფციის მიმდევრებმა შექმნეს დასავლური «ახალი ისტორიის სკოლა». ევროპული მოდერნის ძირითადი მიმართულებები სამართლიანადაა გაკრიტიკებული თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში, თავის დროზე ილია ჭავჭავაძე წერდა: წარსული ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, ამასთანავე გვაწვდის ჭკვას, როგორ უნდა მოვიქცეთ მომავალში.[1] იგი სხვა რაა, თუ არ გარკვევა, თუ ახსნა აწმყოსი წარსულისაგან[2]. ასე რომ, წარსულის უარყოფა ნიშნავს მომავლის არდანახვას.

პოლიტიკური მოდერნიზაციის თეორია შესაძლებელია დარგობრივად მივიჩნიოთ, მაგრამ იგი არა მარტო პოლიტიკას, არამედ გულისხმობს საერთაშორისო პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სტრუქტურების ჩამოყალიბებას, საკანონმდებლო ადმინისტრაციული და სახელისუფლებო დაწესებულებების აქტიურობის სფეროების და ფარგლების გაფართოებას, მისი ძირითადი მიმართულება ემსახურება. ტერიტორიული, ისე ფუნქციონალური მნიშვნელობით, ტრადიციულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და

[1] იხ. ი. ჭავჭავაძე თხზ. ტ. III გვ. 12.
[2] იხ. ი. ჭავჭავაძე თხზ. ტ. IV გვ. 35.

სხვა სფეროთა წინა ელიტის გავლენათა შესუსტებას, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში მათი ახალი ელიტით შეცვლას. ევროპული მოდერნის კონცეფციისაგან განსხვავებით იგი პროცესების ევოლუციური გზით განვითარების მომხრეა და უარს არ ამბობს წარსულზე.

მართალია, მოდერნიზაციის თეორია XX საუკუნის 90 წლებიდან ყალიბდება და დაკავშირებულია სსრკ კავშირის დაშლასთან, მაგრამ მისი თეორიული ფესვები ადრეულ საუკუნეებშია საძებარი. ეს თეორია გულისხმობს პოლიტიკური სისტემის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ შეცვლას და რადიკალურ გარდაქმნას. კაცობრიობამ მრავალჯერ განიცადა პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაცია. იგი ფართო გაგებით ყოველთვის უკავშირდებოდა სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციათა გლობალურ ცვალებადობას, ვიწრო გაგებით კი მოდერნიზაციის თეორია მჭიდრო კავშირში იყო პოლიტიკური რეჟიმის ცვალებადობასთან.

მოდერნიზაციის თეორიას განსაკუთრებული ადგილი უკავია გარდამავალი ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადგანაც მათი ფორმირება, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სტრუქტურების ჩამოყალიბება დემოკრატიული პრინციპების მყარი დაცვით უნდა წარიმართოს.

თანამედროვე მოდერნიზაციის თეორიული საფუძვლები ეყრდნობა დასავლეთის დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემას. მოდერნიზაციის თეორიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საქართველოსათვის, რადგანაც მისი პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბება უნდა წარიმართოს ეროვნული თვითმყოფადობის მაქსიმალური დაცვის ფონზე, რაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და თავისთავადობის გარანტი იქნება გლობალიზაციის პროცესში. პროფ. მ. მაცაბერიძე თვლის, რომ თანამედროვე პოლიტიკური მოდერნიზმის თავისებურებაა პოლიტიკური კონფლიქტების არსებობა, რაზედაც საუბარი ქვემოთ გვექნება.

მოდერნიზაციის თეორიიდან გამომდინარე გლობალური პროცესების ანალიზი ჩამოაყალიბეს თავიანთ მეცნიერულ შრომებში ი.ლინცმა, რ.ჰანცერმა,

ჰ.პოლმა, ლ.დაიმონდმა ტ.პარსონსმა, ბრასმა, ჰობსბაუმმა, და სხვა მოაზროვნეებმა.

«მოდერნიზაციის სტრუქტურულ-ფუნქციონალური კონცეფცია, რომელიც მოცემულია ტ.პარსონსის ნაშრომებში, განსაზღვრავს საზოგადოების «მოდერნიზებულობის სრულ კონკრეტულ კრიტერიუმებს. ასეთ კრიტერიუმად გამოდის «ევოლუციური უნივერსალები» საბაზრო მოწყობილობები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების გადარჩენას და სტაბილურობას მისი ევოლუციური განვითარების თეორიულ სტადიაზე. თანამედროვე საზოგადოების წარმოშობას პარსონსი აკავშირებდა შემდეგ ამოსავალ უნივერსალებთან: 1. ბიუროკრატიულ ორგანიზაციასთან, 2. ბაზართან და ფულთან, 3. უნიკალურ სამართლებრივ სისტემასთან 4. საზოგადოებრივ და კერძო სფეროში გადაწყვეტილების დემოკრატიულ მოდელთან». პარსონსის მოწაფის მ.ლევის მიხედვით საზოგადოება მით უფრო მოდერნიზებულია, რაც უფრო მოიხმარს მისი წევრები არაცოცხალი ენერგიის წყაროებს და ხელსაწყოებს, ამასთან ერთად სუფთა ტექნიკური უპირატესობები თავისი ეფექტურობით საკმარისია იმისათვის, რათა მოდერნიზებულ საზოგადოებასთან კონტაქტის შემთხვევაში საზოგადოება უფრო ტრადიციული დადგეს მიმბაძველობის გზაზე – არა იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს უმაღლეს ევოლუციურ იმპერატივს, არამედ უბრალო ადამიანური მოთხოვნილების გამო, ტრადიციული საზოგადოების ცალკეულმა წევრებმა შრომა გახადონ უფრო მწარმოებლური და გააუმჯობესონ ცხოვრების მატერიალური პირობები, ამ კონცეფციას იზიარებს პოლიტოლოგი ი.დევიატკო.

სავსებით ვეთანხმებით ქართველი პოლიტოლოგების შეფასებას[1] რომლის მიხედვით პოლიტიკური მოდერნიზაციის თეორიაში კვლევის მთავარ ორიენტად უნდა იქცეს ცივილიზაციის გლობალური პროცესის ზოგადი მოდელის ჩამოყალიბება, სადაც ასახვა უნდა ჰპოვოს როგორც პოლიტიკურმა, ასევე ეკონომიკურმა, სოციალურმა, კულტურულმა ფასეულობებმა და სამართლებრივმა მომენტებმა, ეროვნული ტრადიციული ღირებულებებიდან თანამედროვე

[1] იხ. ავტორთა კოლექტივი. პოლიტოლოგია თბ. 1993 წ.

საზოგადოებაში გადასვლის ევოლუციურობამ, რათა თავიდან ავიცილოთ ქართული სახელმწიფოებრიობისა და სამართლის სფეროში დაგროვილი სიკეთეების გაუბრალოება და ცხოვრებაში დავიწყება.

იდეალური სახელმწიფოს (ზესახელმწიფოს) კონცეფცია შედარებით ადრეული წარმოშობისაა. მის გნოსეოლოგიურ ფესვებს ანტიკურ ეპოქაშიც ვხვდებით, იდეალურ სახელმწიფოს მოძღვრება გაიგივებული იყო იდეალურ წესრიგთან, იდეალურ სამართალთან. ციცერონის მიხედვით, «განა რა არის სახელმწიფო, თუ არა საერთო მართლწესრიგი»[1]

იდეალური სახელმწიფოს თეორიულ კონტურებს ვხვდებით ჰეგელის მოძღვრებაში. ის სახელმწიფოს «ღვთიური საწყისის» გამოვლინებას სწორედ იდიალური სახელმწიფოს ნაირსახეობაში ხედავდა მისი მტკიცებით, სახელმწიფოს, როგორც «ზნეობრივი იდეის სინამდვილის» ამოცანა განისაზღვრება გონის (გეისტ) მოთხოვნილებების რეალიზაციით, რაც ადამიანთა თავისუფლების გაზრდის გარანტიაა[2].

იდეალური სახელმწიფოს კონცეფცია განავითარა ჟან-ჟაკ რუსომ, როდესაც იგი საუბრობს საზოგადოების სხვადასხვა ფენის ერთმანეთთან მორიგებაზე, ხელშეკრულებაზე, თვლის, რომ ამ შემთხვევაში პოლიტიკური წყობა სახელმწიფოსი მისაღებია ყველასათვის და იგი მეტნაკლებად იდიალურ ხასიათს ატარებს.

გლობალისტ მეცნიერთა ნაწილის აზრით, კაცობრიობა ზოგადსახელმწიფოს ანუ ტრანსნაციონალური სახელმწიფოს ფორმირებისაკენ მიისწრაფვის და თუ კი იგი წარმატებით დაგვირგვინდება, სახეზე გვექნება მსოფლიო საზოგადოება და ტრანსნაციონალური სახელმწიფო, – წერს ნ. ლუმანი.[3]

მას მიაჩნია, რომ გლობალურობის ერაში ეროვნული სახელმწიფოს, ასევე დემოკრატიის დასასრულის დასაწყისს ხედავს. ამავე აზრს ანვითარებს ჟან მარი

---

[1] იხ. Цицерон, Диалоги М.1966.
[2] Гегель, Философия права М.1990 стр. 371-373.
[3] იხ. Welisgeseilschdatf in der Sociologische Anfkdärum 2 oplaaen 1975 s. 51-71.

გუენო, რაც შეეხება ტრანსნაციონალურისა და «ზესახელმწიფოს» ცნებებს, შემდგომ პარაგრაფში განვიხილავთ.

ლიბერალიზმის პოლიტიკური თეორია შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს. ტერმინი ლიბერალიზმი ლათინური წარმოშობისაა (-Liberalis-) და თავისუფლებას ნიშნავს, პოლიტიკური ლიბერალიზმი ეფუძნება, განმანათლებლობის ეპოქის სოციალურ-პოლიტიკურ მოძღვრებებს. ლიბერალიზმმა თავის დროზე აითვისა და თავის ძირითად პოზიციად აქცია ი. კანტისეული პიროვნების ზნეობრივი თავისუფლების იდეა, რომელიც არ არის დამოკიდებული სხვა ადამიანთა ძალადობაზე და იმავდროულად ატარებს მორალური პასუხისმგებლობის ტვირთს. კანტის ძირითად მიზანს წარმოადგენს «მსოფლიო სამოქალაქო მდგომარეობის» მიღწევა[1]. ამ თეორიის ძირითადი პრინციპები გაიზიარეს ა. სმიტმა, თ. ბენთამმა, ჯ. მილისმა, პ. სპენსერმა და სხვებმა. თანამედროვეთა შორის ლიბერალიზმის ძირითადი მიმართულებანი განავითარეს კ. ჰოპერმა და ალბერტმა. თავიანთ კონცეფციებში, რამაც თეორიული თვალსაზრისით ასახვა ჰპოვა რაციონალიზმში, ინდივიდუალიზმსა და ევოლუციონიზმში, პოლიტიკური მიმართულებით იგი გამოდის ფაშისტური, კომუნისტური და ტოტალიტალური პოლიტიკური რეჟიმების წინააღმდეგ.

თუკი ამ თეორიას გლობალიზმის პოზიციიდან გადავხედავთ იგი წარმოადგენს როგორც სახელმწიფოთა თავისუფლების ეგზისტენციალური კონსტრუქციების შექმნის საფუძველს. ლიბერალური თეორია ხელს უწყობს სახელმწიფოთა ინტეგრაციის პროცესებს და ტოლერანტიზმის დამკვიდრებას პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და სამთავრობო თუ არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. ლიბერალიზმის თეორია არ დარჩენილა როგორც თეორიული პოლიტიკური მოძღვრება, მისი პრინციპები პრაქტიკულად ხორციელდება ევროპის კონტინენტზე (და არა მარტო ევროპაში).

პოლიტოლოგები და უცხოელი ექსპერტები თანამედროვე საქართველოს განიხილავენ, როგორც გარდამავალი სახელმწიფოს ტიპს, რადგანაც ქვეყანა განიცდის პოლიტიკური და სამართლებრივი (და არა მარტო) სისტემის

---

[1] იხ. Кант. соч. В-6 т. М. 1965 г. с. 233.

მოდერნიზაციას, რომელსაც უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია.

ტერმინი «პოლიტიკური სისტემა»[1] შედარებით გვიანდელი კაგეტორიაა. იგი ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში დასავლური თეორიების გავლენით, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან შემოვიდა. კონსტიტუციური სამართლის სპეციალისტები თვლიან, რომ საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციამ როგორც ცნება დაამკვიდრა «საზოგადოების პოლიტიკური სისტემა». თანამედროვე კონსტიტუციური სამართლის თეორიაში ტერმინი «პოლიტიკური სისტემა» ორი გაგებით იხმარება **ფორმალური გაგებით** (კომპლექსური კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელიც ადგენს სახელმწიფოს, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებივი ორგანიზაციების სტატუსს და აწესრიგებს ამ სუბიექტთა ურთიერთობას) და **მატერიალური გაგებით** (სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება პოლიტიკური ხელისუფლება და მყარდება პოლიტიკური რეჟიმი). ე.ი. პოლიტიკური სისტემის ქვეშ მოიაზრება სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი სოციალური ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობით სრულდება პოლიტიკური ფუნქციები. ამ ინსტიტუტების შესახებ ცოტა ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

სუფთა პოლიტოლოგიური მიდგომით «პოლიტიკური სისტემის», როგორც კატეგორიის წარმოშობა დაკავშირებულია ტ. პარსონსთან, რომელმაც ახლებური მიმართულება მისცა საზოგადოების სისტემური ანალიზის თეორიას. მისმა კონცეფციამ განვითარება ჰპოვა დ. ისტონის, შემდგომში გ. ალმონდის, ჟ. მიტ-ჩელის, კ. დოიჩის, ა. ეტციონის, დ. დივაინის და სხვათა ნაშრომებში. თანამედროვე პოლიტოლოგების აზრით, პოლიტიკური სისტემა ძირითადად მოიცავს: 1. სტრუქურულ-ინსტიტიტუციურ, სულიერ-იდეოლოგიურ ელემენტებს და კომპონენტებს; 2. სტრუქტურულ-პროცესუალურ ქვესისტემებს, პოლიტიკური პროცესების მართვის ინსტიტუციურ-ორგანიზაციულ ფორმებს, საზოგადოებისა

[1] როდესაც ვმსჯელობთ „პოლიტიკურ სისტემაზე“ ხშირ შემთხვევაში იგულისხმება სამართლებრივიც. ზოგიერთი სახელმძღვანელო პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებაში სახელდება: „პოლიტიკური მოძღვრების ისტორია“.

და სოციუმის კულტურიზაციის ძირითად მიმართულებებს, პოლიტიკური განვითარების ღირებულებით ორიენტაციებს.[1]

გლობალიზაციის პროცესები თავისი შინაგანი ბუნებითა და აგებულებით უპირატესად სოციალურ ურთიერთობებში ვლინდება, ამიტომ მისი საწყისები შორეულ წარსულში უნდა ვეძებოთ, თუმცა მისი განსაზღვრის პირდაპირი მცდელობა სამეცნიერო ლიტერატურაში გასული საუკუნის შუა წლებიდან გვხვდება.

სოციალური ურთიერთობების „სამყარო» გაცილებით დიდი და ფართოა. ამიტომაც გლობალიზაციის პროცესები სწორედ მის არეალშია გამოსაკვლევი, რადგანაც იგი აერთიანებს და თავისი გავლენის სფეროებში აქცევს ყველა მასთან დაკავშირებულ მოვლენებს.

საზოგადოებასა და ბუნებაში მოქმედებს საერთო კანონზომიერებანი, რომლებიც განსაზღვრავენ გლობალიზაციის სახეებსა და მიმართულებებს. ამ თვალსაზრისით «გლობალიზაციისათვის დამახასიათებელ ნიშნებსა და პრინციპებს აღიქვამდნენ უძველესი ეპოქიდან, როგორც სამყაროს ერთიანობის სიმბოლოს. ასე მაგალითად, ძველბერძნული სიტყვა „კოსმოსი» პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს „საერთო წესრიგს», „მსოფლიო წესრიგს», „ერთიან სისტემას» და ა.შ. თვითონ ტერმინი გლობალ(ე) ფრანგულიდან მოდის და ნიშნავს ერთიანს, მთლიანს, რაც საერთოა მთელი მსოფლიოსათვის. «გლობალიზაცია», როგორც ტერმინი ასევე უკავშირდება ლათინურ სიტყვას «გლობუსი», რომელიც ეტიმოლოგიური მნიშვნელობით დედამიწას, მის მთლიანობას აღნიშნავს. «გლობალიზმი» ლიტერატურაში 1944 წელს გაჩნდა. 1961 წელს ტერმინი «გლობალიზაცია» ვებსტერის ლექსიკონში შეიტანეს. მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში, აკადემიურ და საქმიან წრეებში მისი მასიური ხმარება XX ს. 80-იანი წლებიდან დაიწყო.

---

[1] იხ. პოლიტოლოგია, თბ., 2004, გვ. 184.

მკვლევართა აზრით, დღეს საქართველო არა თუ მზად არის გლობალიზაციის პლანეტარულ პროცესში ამა თუ იმ ფორმით ჩართვა-მონაწილეობისათვის, არამედ საზოგადოებას არანაირი წარმოდგენა არა აქვს ქვეყნის ხელმძღვანელობის კურსზე ამ პროცესთან მიმართებაში, თვით პროფესიონალ-მეცნიერთა ვიწრო წრეც კი არ არის ჩართული კონცეპტუალურ ნორმათა და პრინციპთა განსაზღვრაში.

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ საკაცობრიო ღირებულებათა ერთიანობა წარმოშობს გარკვეულ სტანდარტებს მატერიალურ და სულიერ სფეროებში, რომელთა მეშვეობითაც თავისი ისტორიული და სამართალმემკვიდრეობით ყალიბდება საერთო შეხედულებანი, იდეები, კონცეფციები და ნორმატივები, რომელთა ერთობლიობიდან იქმნება ზოგადი პრინციპები. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ***საერთო კეთილდღეობის პრინციპი,*** რომელიც სასურველი და მისაღებია ნებისმიერი ადამიანის, პიროვნების, სახელმწიფოსა და საერთოდ საზოგადოებისათვის. რაც შეეხება სამართლებრივ ურთიერთობებს, თუ საკითხს ამ თვალსაზრისით მივუდგებით, ის წარმოშობს ***სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის პრინციპს***, რომლის მოთხოვნები ითვალისწინებს ადამიანის მოქმედებაში საზოგადოებრიობის და სახელმწიფოს მიერ მიღებული ზოგადი ნორმების შესრულებას და პატივისცემას, ანდა საერთო კანონიკური სამართლის მოთხოვნების მორჩილებას.

ანალოგიური მიდგომებით შეიძლება განვიხილოთ ინტეგრაციული და გლობალური პრობლემები ხელოვნებასა და მხატვრულ ლიტერატურაში, სადაც საერთო საკაცობრიო ღირებულებად გვევლინება იდეა ***„მშვენიერების»*** შესახებ, რომლისაკენაც ილტვის მთელი კაცობრიობა. მასში გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული ტრადიციები, კულტურული მემკვიდრეობა და ა.შ.

ამის მაგალითს იძლევა ძველბერძნული და რომაული კულტურის აღმავლობა და გავრცელება დედამიწის მნიშვნელოვან ნაწილზე, რითაც მან შუამავლის როლი შეასრულა ანტიკურსა და თანამედროვე სამყაროს შორის. «რომაელებმა «ახალ ხალხებს» გადასცეს ის კულტურული ღირებულებანი და პოლიტიკურ-სამართლებრივი გამოცდილება, რაც საუკუნეების განმავლობაში

დაგროვილი იქნა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების წრეში და მის გარემომცველ მიდამოებში, მან აითვისა და წინ წასწია ძველი მსოფლიოს კულტურა. განსაკუთრებით დიდი იყო მათი დამსახურება სამოქალაქო სამართლის განვითარების საქმეში. იგივე შეიძლება ითქვას XIV-XVI საუკუნეებში ევროპული კულტურის აღორძინების შესახებაც.

გლობალიზაცია კულტურის სფეროში გულისხმობს ხალხთა დაახლოებას. ეროვნული კულტურისაგან მოუწყვეტლად სწრაფვას საერთო საკაცობრიო კულტურული ღირებულებებისაკენ. რასაც შეიძლება ვუწოდებთ „ორმაგი ცხოვრება კულტურის სფეროში». ეს კი გულისხმობს ეროვნულ და საერთო ღირებულებათა ერთიანობას. როდესაც მსჯელობას ვიწყებთ გლობალიზაციის პრინციპზე კულტურულ სფეროში, ვგულისხმობთ, თვითონ ამა თუ იმ ერის დამოკიდებულებას, თუ როგორ აცნობიერებს და უთავსებს მიმდინარე პროცესებს ეროვნული კულტურის ღირებულებებს.

თავის დროზე ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა, რაც უფრო ძლიერი და ერთიანია ერი, მით უფრო შესწევს უნარი ემსახუროს საკაცობრიო ღირებულებებს. „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი, იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში – ყველა, საცა თვითოეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითოეულისათვის, საცა „მე» ხშირია, „ჩვენ» – იშვიათი»[1]

გლობალიზაციის პირობებში თვალსაჩინოა სოციალურ სფეროში ისეთი სამართლებრივი კატეგორიები, რომლებიც გამოიკვეთა ინსტიტუციურ გამოცდილებაში. ესაა, სამართლისა და სახელმწიფოთა ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც XXI საუკუნეშიც გრძელდება. უძველეს ეპოქებში შექმნილმა ნორმატიულ-სამართლებრივმა სისტემებმა დადებითი გავლენა მოახდინა მეზობელი ქვეყნების სამართლებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში. ხალხთა განვითარების ისტორიას თუ გადავხედავთ, იშვიათად ვნახავთ ისეთ ქვეყანას, სადაც არაფრისგან ჩამოყალიბდა სახელმწიფოებრივი სისტემა და ხალხის პოლიტიკური თუ სამართლებრივი აზროვნება. ფილოსოფიური კანონების

[1] იხ. ი. ჭავჭავაძე, ტ. III, გვ. 76.

მიხედვით, ყველა მოვლენას ბუნებაში და ყველა მათ ქმედობას საზოგადოებაში, აქვს თავისი საფუძველი, გამომწვევი მიზეზი, საბაბი, მიზანი, რომელთა რეალიზაციით დგება შესაბამისი შედეგიც. ამ გზით ვღებულობთ მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივ კავშირს და მის მთლიანობაში განხილვა-ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მეტ-ნაკლებად «ჭეშმარიტი" დასკვნების გაკეთება. განვითარების პროცესში ნებისმიერი ქვეყანა ეყრდნობა ან იმავე ტერიტორიაზე უკვე არსებულ სახელმწიფოთა, ან სხვა ქვეყნების გამოცდილებას. გლობალიზაციის პრინციპებზეა შექმნილი ძალიან ბევრი მეცნიერული დარგი, მიმართულება და სასწავლო დისციპლინა. მაგალითად შეიძლება განვიხილოთ «სამართლის ფილოსოფია», «პოლიტოლოგიის თეორია», რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფოს სამართალსა და პოლიტიკაში საკაცობრიო გამოცდილების, ინტეგრაციისა და გლობალური განხილვის ზოგად პრინციპებზე დაყრდნობილ თეორიულ საფუძვლებს სამართლებრივი და პოლიტიკური მეცნიერების შესახებ. ამ პრობლემის ირგვლივ თავის დროზე მოსაზრებები ჩამოაყალიბეს რ. დავიდმა,[1] ი. ილინმა, ნ. კარეევმა, ი.გრენბერგმა[2] და სხვა მოაზროვნეებმა. აქ ძირითად პრინციპად შეიძლება მივიჩნიოთ ***სამართლებრივი სისტემების სახელმწიფოსა და «სუპერდემოკრატიული» პოლიტიკური რეჟიმის იდეა***, რომელიც აერთიანებს როგორც პოლიტიკასა და სამართალს, ისე სახელმწიფოსაც.

როგორც გლობალურ ასპექტებზე საუბრისას მივუთითებდით, თვით ტერმინია ახალი, თორემ მისი ფესვები შორეულ წარსულში უნდა ვეძებოთ. ადამიანები მაშინაც ოცნებობდნენ, ფიქრობდნენ, აზროვნებდნენ და მოქმედებდნენ კიდეც მის შესატყვისად. ამ თვალსაზრისით საუკეთესო მასალას იძლევა XII საუკუნის გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა «ვეფხისტყაოსანი». ნაწარმოების პირველივე სტროფში სამყაროს შექმნისა და ერთიანობის საკითხია დასმული:

«რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,

---

[1] იხ. რ. დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბ. 1993.

[2] Ильин И. О сущности правосознания М.1993г. с.90, Кореев Н. Общий ход всемирной истории СЛБ 1903г. с.6. Гренберг И. рассуждение об отношении, в котором находится общее право положительному праву, к философии положительного право к политике и этике, Харьков 1833г. с.35

ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,

ჩვენ კაცთა, მოგვცა, ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა,

მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა»[1]

ამ სამყაროში ქაოსი კი არაა, არამედ ყველაფერი ღვთის ნებას ემორჩილება, რადგან მისგან არს ყოველი ხელმწიფე «...» ამიტომ,

«რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და

მას უბნობდეს,

მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნებდეს...»

ეს სიტყვები ხომ არა მარტო ერთი რომელიმე ქვეყნის მცხოვრებლებს შეეხება, არამედ გლობალურად საზოგადოებაში ადამიანთა ჰარმონიულ თანაცხოვრებას ისახავს მიზნად.

მსოფლიო ქვეყნების განვითარების ზოგადი ისტორია მმართველობის მრავალ სისტემას იცნობს, მაგრამ გენიალური მოაზროვნისათვის, რუსთაველისათვის უფრო მისაღები არაბეთის სამეფო კარის მაგალითია (თინათინის გამეფება, ვეზირის ინსტიტუტი, ქვეყნის ბედზე ზრუნვა, სიუხვე და გულმოწყალება – «რასაცა გასცემ შენია, ..., ქვეშევრდომებთან დამოკიდებულება, გამზრდელისა და გაზრდილის, მამისა და შვილის ურთიერთობა, სხვა სახელმწიფოსთან დამოკიდებულება და ა.შ. უსასრულოდ...)

ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ ყოველივე კეთილის, ზნესრულისა და ამაღლებულის შემოქმედი ამ ქვეყნის მკვიდრი ავთანდილია. ის უცხო მოყმის დასახმარებლად ქვეყნიდან იმიტომ კი არ იპარება, რომ მისი ახლობელი და თვისტომია, არამედ იმიტომ, რომ პირველ რიგში ადამიანია, ზოგადად ადამიანი და გაჭირვებაში ჩავარდნილს უნდა უშველოს. აქ მოქმედებს პრინციპი, «ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია».

---

[1] იხ. შ. რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი," თბ. 1987 წ. გვ. 9

მმართველობის სხვა ფორმის მაგალითად ინდოეთის სამეფო კარის ცხოვრებაც გამოდგება. ხელმწიფის არასწორი გადაწყვეტილება (სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაკარგვის გაუთვალისწინებლობა, ქალიშვილის გრძნობების, შეხედულებებისა და ინტერესების უგულვებელყოფა, მრისხანება და სიმკაცრე – დავარის თვითმკვლელობა, ქვეყანაში მომხდარი არეულობა და ა.შ.) გახდა მიზეზი არა მარტო ცალკეული ადამიანების, არამედ ქვეყნის საერთო უბედურებისა.

რუსთაველის პოლიტიკური კრედო ითვალისწინებს, გაერთიანებული ინდოეთის, არაბეთის და ზღვათა სამეფოს ხელმწიფეთა შორის მეგობრულ კავშირს, ხოლო სახელმწიფო ხელისუფლების (ძალაუფლების) გამოყენებას ხალხისა და საზოგადოების სასარგებლოდ.

«ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვანი კაცად-კაცნი არიან, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით აგებულნი და სულდგმულნი. არც ერთი მათი მოქმედება, არც ერთი ეპიზოდი მათის ცხოვრებისა ძალად და განგებ ჩართული არ არის და ყოველივე იგი წარმომდგარია კაცობრიულ ზოგად ბუნებისაგან».[1]

რუსთაველის უკვდავი პოემის მკვლევარნი ცალსახად მიუთითებენ მის ღრმა «ინტერნაციონალიზმზე». ეს სხვა არაფერია, თუ არა გლობალიზმის ჩანასახებისა და პრინციპების იმდროინდელი ხედვა. რა თქმა უნდა, ამით იმის თქმა არ გვსურს, რომ ვუშვებთ «ინტერნაციონალიზმის» და «გლობალიზმის» გაიგივებას, ისინი ხომ თავისთავად განსხვავებული ცნებებია და განსხვავებული ბუნებაც გააჩნიათ.

რაც შეეხება ავტორის სამართლებრივ დოქტრინას, ეს ყველაზე უფრო კარგად ჩამოყალიბდა აფორიზმში – «ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნს ხმელსა ნედლად». შ. რუსთაველმა ამით მართალი სამართლის პრინციპი შემოიტანა და შესაფერი ადგილიც მიუჩინა სამართლის ფილოსოფიაში და **პოლიტიკურ აზროვნებაში.**[2]

---

[1] იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. III, გვ. 176.

[2] იხ. გ. ლობჟანიძე, ა. ტუკვაძე, გ. ჯაოშვილი. შესავალი სამართლის ფილოსოფიაში. თბ. 2006. გვ. 110-118.

პოემის ავტორის გლობალური აზროვნების საუკეთესო მაგალითია ის, რომ მთავარი მოქმედი პერსონაჟები სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები არიან. ისინი არა მარტო პირადი ბედნიერებისა და საკუთარი ქვეყნის ინტერესებისათვის იბრძვიან, არამედ ზოგადად სიკეთის, სამართლიანობის, ხალხთა კეთილდღეობის, საყოველთაო, ანუ «საღრმთო მშვიდობის» დასამყარებლად. მათ დაანგრიეს ბოროტების სიმბოლო – ქაჯეთის ციხე, ბოლო მოუღეს ძალადობას, ქვრივს, ობოლსა და გაჭირვებულს მიხედეს, ბოროტი და ავისმქმნელი დააშინეს, ყველას დამსახურებისამებრ მიუზღვეს, დაამყარეს ჰარმონიული გამგებლობა, სადაც «შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს».[1] სწორედ ეს არის «საღრმთო მშვიდობა», კეთილდღეობის ისეთი უსაფრთხო ფორმა, კაცობრიობის დასაბამიდან რომ ოცნებობდა ადამიანი.

რაკი «საღრმთო მშვიდობა» ვახსენეთ, **რელიგიურ სფეროში გლობალიზაციის** ძირითად პრინციპად შეიძლება განვიხილოთ **აღმსარებლობის თავისუფლება, *ტოლერანტობა,*** რაც ქართულ სახელმწიფოებრივ აზროვნებაში უცხო არ იყო. XI საუკუნეში გაერთიანებული საქართველოს მეფე, დავით აღმაშენებელი იცნობდა მაჰმადიანთა მხატვრულ, ფილოსოფიურ და თეოლოგიურ ლიტერატურას და თვითონ ქრისტიანი, მაინც ეწვეოდა ხოლმე მეჩეთს, რომ მოესმინა ყურანი; სასახლეში იწვევდა მაჰმადიან სწავლულებსა და თეოლოგებს, მათთან დისკუსიას მართავდა საღვთისმეტყველო თემებზე; ზრუნავდა იმაზე, რომ ხელი შეეწყო მუსლიმანური ხელოვნებისა და მეცნიერების, პოეტებისა და სუფიების გამოჩენილ წარმომადგენელთა მოღვაწეობისათვის. ამის შემდეგ გასაკვირი არაა ალ-ჯაუზის ნათქვამი, საქართველოში დავით აღმაშენებლის დროს მაჰმადიანებს ცხოვრების ბევრად უკეთესი პირობები ჰქონდათ, ვიდრე თვით მაჰმადიანურ ქვეყნებშიო.

დავით აღმაშენებლის ტოლერანტობა, ანუ რჯულთშემწყნარებლობა, აიხსნება მისი ფართო და მრავალმხრივი განათლებით და ერთგვარად ემყარება სკეფსისს, სარწმუნოებრივ საკითხებში მეფის თავისუფალ აზრებს.[2] რასაკვირველია – წერს აკად. ივ.ჯავახიშვილი, – სწორედ ამაში გამოიხატებოდა

---

[1] იხ. შ. რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ. 1987 წ. გვ. 300.
[2] იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. II, 1983 წ., გვ. 414.

დავით აღმაშენებლის ტოლერანტობა, რამაც, გავლენა მოახდინა მის როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაშიც.

ბუნებითი სამართლის პრინციპებმა ასახვა ჰპოვეს საქართველოს კონსტიტუციაში. მე-14 მუხლში ვკითხულობთ, «ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი-მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა». მე-19 მუხლის მიხედვით კი ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის და რწმენის[1] გამო. და თითქმის არ დარჩა რაიმე განმსაზღვრელი ნიშანი საზოგადოებრივ ურთიერთობებში, ამ მუხლებში რომ არ იყოს ასახული.

რელიგიის სფეროში გლობალიზაციის დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ 1948 წელს ამსტერდამში შექმნილი საერთაშორისო რელიგიური ორგანიზაცია, ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანებისათვის მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანო. ის აერთიანებს მსოფლიო პროტესტანტული და მართლმადიდებლური ეკლესიების მნიშვნელოვან ნაწილს – 90 ქვეყნის 300-ზე მეტ ეკლესიას. ეკლესიების მსოფლიო საბჭოში გაერთიანებულია მართლმადიდებლური, ლუთერიანული, რეფორმისტული. პრესვიტერიანული კონგრეგაციონალისტური, ანგლიკანური, ბაბტისტური, მეთოდისტური, ძველკათოლიკური, კვაკერები და მათი ეკლესიები და ა.შ. 1961 წლიდან საბჭოს რუსული მართლმადიდებლური ეკლესია შეუერთდა, ცოტა მოგვიანებით ქართული და სომხური ეკლესიებიც.

ეკლესიების უმაღლესი ორგანოა ანსამბლეა, რომელიც 7 წელიწადში ერთხელ იკრიბება. პირველი დამოუკიდებელი კრება გაიმართა 1948 წელს ამსტერდამში. ორგანიზაციის მთავარ მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს რწმენისა და საეკლესიო საქმიანობის საკითხებში ერთიანობის მიღწევას. დაფინანსების წყაროს დიდი ნაწილი მოდის ა.შ.შ-ს ეკლესიათა ხარჯზე საბჭოს

[1] იხ. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995 წ. გვ. 10-11.

ოფისი მდებარეობს ჟენევაში, ანსამბლეის სხდომაზე ირჩევენ პრეზიდიუმს ან პრეზიდენტს და ცენტრალურ კომიტეტს ეკლესიების 150 წარმომადგენელი წევრის შემადგენლობით.

რომის კათოლიკურ ეკლესიას ეკლესიების მსოფლიო საბჭოში ჰყავს თავისი მეთვალყურენი. ყურადსაღებია ისიც, რომ XXI საუკუნეში კათოლიკური ეკლესიის გავლენა მსოფლიო პოლიტიკურ და რელიგიურ რუკაზე დღითიდღე იზრდება. რომის პაპის მოგზაურობა მუსულმანურ ქვეყნებში, ისრაელში, იგივე მართლმადიდებლურ ქვეყნებში და, მათ შორის, საქართველოშიც მათ მიერ თავისებური დადასტურებაა.

გარდა ამისა, კათოლიკური არასამთავრობო, საქველმოქმედო ორგანიზაციები: Catholic Relief Services, Misereor დიდ დახმარებას უწევენ განვითარებად ქვეყნებს, რაც მათი ავტორიტეტის კიდევ უფრო ამაღლებას უწყობს ხელს.

ვატიკანი აქტიურად უჭერს მხარს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში საერთაშორისო ინსტიტუტების დამკვიდრებასა და განვითარებას, განსაკუთრებით აღსანიშნავია გაერო-ს საქმიანობაში მონაწილეობა დამკვირვებლის სტატუსით, რაც თავისთავად მსოფლიო წესრიგში მონაწილეობის მიღებას ნიშნავს. 2003 წლის 6 ნოემბერს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვ. პუტინი ვატიკანში შეხვდა რომის პაპს იოანე პავლე II-ს, რომელმაც მას მადლობა უთხრა იმ პოლიტიკისათვის, რომელსაც ის ატარებს კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების დაახლოებისათვის. რომის პაპი მადლობას უხდიდა იმ ქვეყანას, რომლის ხელისუფლებაც საბჭოურ პერიოდში არ მიიჩნევდა მას სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ქ. მოსკოვში შეიკრიბნენ არა მარტო ქრისტიანული, არამედ მუსულმანურ-ქრისტიანულ რელიგიათა მესვეურნი, მასში საქართველოს პატრიარქი ილია II მონაწილეობდა. ალბათ ესეც გლობალიზაციის პროცესის შემადგენელ ნაწილად უნდა მივიჩნიოთ.

გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში ეკლესიის მონაწილეობის ერთ-ერთი მიმართულებაა ადამიანის უფლებების დაცვა. საერთაშორისო

დოკუმენტებში მითითებულია, რომ პლანეტის მოსახლეობის მზარდი ნაწილი (არა მხოლოდ კათოლიკეები) ეკლესიას აღიქვამს, როგორც მისი უფლებებისა და თავისუფლებების ფუნდამენტური ზნეობრივი ღირებულებების ერთ-ერთ უპირველეს დამცველს.[1] ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის პროცესი გარკვეულ პრობლემებს თვით ეკლესიასაც უქმნის. ეს ეხება დოგმებსა და მკაცრ შეზღუდვებს თეოლოგიურ სფეროში, რაც ცალკე კვლევის საგანია.

გლობალიზაციის ერთ-ერთ მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ ტრანსპორტისა და საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება, ტელეკომუნიკაციების, ინოვაციური ტექნოლოგიების, ელექტრონული ფოსტის, ინტერნეტის, მობილური სატელეფონო ქსელის და სხვა საშუალების შექმნა, რომელმაც რევოლუციური გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოზე. ამით განხორციელდა ***ტექნოლოგიური პროგრესის პრინციპი.***

საინფორმაციო ტექნოლოგიები ადამიანთა საზოგადოებაში უძველესი დროიდან არსებობდა. საკმარისია გავიხსენოთ სასიგნალო კოცონები, მსტოვრები, მალემსბრბოლები, მტრედების გამოყენება ინფორმაციის შორ მანძილზე გადასაგზავნად, სხვადასხვა სახის ნიშნები და ა.შ. პირველნი ძველი სპარსელები იყვნენ, რომლებმაც იმპერიაში წერილობითი შეტყობინებების გადაცემისათვის სპეციალური ქსელი, ე.ი. თანამედროვე ფოსტის ანალოგი შექმნეს.

გლობალური ინფორმაციული აფეთქებით აღინიშნება XX საუკუნის მეორე ნახევარი. მსოფლიო ქვეყნების ინტერნეტიზაციის პროცესი გაუგონარ შედეგებს აღწევს. არც თუ ისე დიდი ხნის სტატისტიკით ყოველ 10000 კაცზე აშშ-ში 1339,97 მოდის, დიდ ბრიტანეთში – 321,99, იაპონიაში – 208,06, გერმანიაში – 207,62 ინტერნეტული კვანძი, რომელიც პრაქტიკულად ამოუწურავი ინფორმაციების სწრაფი და საიმედო გაცვლის საშუალებას წარმოადგენს.

მობილური სატელეფონო ქსელი მსოფლიოს აერთიანებს, ინერგება უახლესი ტექნოლოგიები, რითაც ადამიანებს საშუალება ეძლევათ უმოკლეს დროში კავშირი დაამყარონ დედამიწის ნებისმიერ კუთხესთან.

---

[1] იხ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტების კრებული, თბ., 1998 წ. გვ. 6.

უილრიხ ბეკი ხატოვნად აღწერს საინფორმაციო გლობალიზაციის არსს კონკრეტული მაგალითის დასახელებით. როცა საბჭოთა იმპერია იმსხვრეოდა, წერს იგი, – ბორის ელცინმა, ჯავშნიანი ტანკიდან მამაცური სიტყვით მიმართა მოსკოვის მოსახლეობას, რათა კომუნისტური პუტჩისტების წინააღმდეგ გამოსულიყვნენ. ეს სიტყვა გადაიცემოდა არა საბჭოთა რადიოთი, არამედ კომპანია **სტტ**-ის ხელოვნური თანამგზავრის მეშვეობით. პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების აღნიშნულ ისტორიულ მომენტში ცხადი გახდა გლობალური საინფორმაციო ქსელის უზარმაზარი მნიშვნელობა, რაც გამოიხატა მსოფლიო პროგრესული საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერაში. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საინფორმაციო დამოუკიდებლობა, როგორც პოლიტიკური სუვერენიტეტის ნაწილი ანულირებული აღმოჩნდა. ეროვნულ სახელმწიფოებს უკვე აღარ შეუძლიათ ერთმანეთისაგან გამიჯვნა. მათი შეიარაღებული ძალებით დაცულ საზღვრებში ხვრელები გაჩნდა, ყოველ შემთხვევაში, ამ საზღვრების იმ ნაწილში, რომელშიც გლობალურმა კომუნიკაციამ შეაღწია: ეს არის საინფორმაციო გლობალიზაცია.[1]

საინფორმაციო გლობალიზაციის შედეგია, რომ არც თუ ისე შორეულ წარსულში საქართველოს, როგორც ცალკე ქვეყანას, არ იცნობდნენ მსოფლიოში, მაგრამ 2003 წლის ვარდების რევოლუციის საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით გაშუქებით არა მარტო საქართველო გახდა ცნობილ სახელმწიფოდ, არამედ უდიდესი პოპულარობა მოუპოვა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. ამას ემატება რუსეთ-საქართველოს შორის გამწვავებული ურთიერთობის გაჟღერება. ესეც არის საინფორმაციო გლობალიზაციის შედეგი.

სხვადასხვა ელექტრონული და ინტელექტუალური ტექნოლოგიების განვითარებამ მილიონობით ადამიანი უზრუნველყო მთელ მსოფლიოში განაწილებული უზარმაზარი საინფორმაციო რესურსებში სწრაფი შეღწევის, რეალური დროის რეჟიმში ინფორმაციის გაცვლის, ინფორმაციის მრავალ-ფეროვანი წარდგენის (ტექსტი, გრაფიკა, გამოსახულება, ხმა და ა.შ) შესაძლებლობით. სამწუხაროდ, ეს გლობალური აფეთქება საინფორმაციო

[1] იხ. უ. ბეკი. რა არის გლობალიზაცია? თბ., 2003. გვ. 30.

ტექნოლოგიების განვითარებაში სოციალურად სუსტად მომზადებული აღმოჩნდა.[1]

მთლიანობაში თანამედროვე მსოფლიოს საწარმოო განვითარების რუკა «ტექნოლოგიური კიბის» სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ქვეყნების მდგომარეობას ასახავს. ყველაზე ზედა საფეხურს მიაღწიეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და იაპონიამ, შემდეგ საფეხურზეა დასავლეთ ევროპის ქვეყნები. რაც შეეხება მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებს, ისინი ამ კიბის ქვედა საფეხურზე არიან.

საქართველო პოლიტიკური სტაბილურობის და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირების წყალობით ქვედა საფეხურებიდან თანდათან ზევით ინაცვლებს, რაც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის სახალხო-სამეურნეო და სამრეწველო პოტენციალის ფორსირებულ განვითარებაში. ამას ადასტურებს ამ ცოტა ხნის წინათ ტელევიზიაში საქართველოს პრეზიდენტის მ. სააკაშვილის გამოსვლა, რომელმაც აღნიშნა, რომ რეფორმების განვითარების ტემპების მიხედვით ქვეყანამ მე-100 ადგილიდან გადაინაცვლა 37-ე ადგილზე, რასაც ადასტურებს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური წელიწდეული.

ეკონომიკურ სფეროში გლობალიზაციის ძირითად პრინციპად შეიძლება მივიჩნიოთ ***ლიბერალიზაცია*** ვაჭრობასა და ეკონომიკის სხვა სფეროებში.

ამერიკელი ეკონომისტის ჯორჯ სააკსის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით მსოფლიოს მრავალი ქვეყანა დაადგა რადიკალური ეკონომიკური რეფორმების გზას, სადაც გამოიკვეთა ძირითადი მიმართულებები: ა) ღია საერთაშორისო ვაჭრობა ბ) ვალუტის კონვენტირება გ) კერძო საკუთრება, როგორც ეკონომიკური ზრდის უმთავრესი მექანიზმი დ) უცხოური ინვესტიციების შემოტანა ე) თანამშრომლობა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინსტიტუტებთან, მათ შორის: საერთაშორისო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან, საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან და ა.შ. ამ კონცეფციას ავითარებს მისი

[1] დაწ. იხ. გ. ჩოგოვაძე, ინფორნაცია, თბ. 2003 წ. გვ. 65-66.

თანამემამულე ილტონ ფრიმენი, რომლის ძირითად დებულებებსაც ქართველი ეკონომისტი მეცნიერები ფართოდ განიხილავენ.

გლობალიზაციის პირობებში საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა გულისხმობს ეროვნულ რესურსებზე მკაცრ სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს, რადგანაც სამომავლოდ ქვეყნის პოტენციალმა უნდა უზრუნველყოს სამამულო პროდუქციის წარმოების მაღალი დონე, რომელიც მოთავსდება საერთაშორისო სამართლებრივ, ინფორმაციულ და ინტელექტუალურ ჩარჩოებში.

საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში სერიოზულ პრინციპად შეიძლება ჩავთვალოთ მრავალრიცხოვანი ***საერთაშორისო სახელმწიფოთშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების*** სიმრავლე, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყეს მასიური შექმნა.

საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნის იდეა XX საუკუნის პირველი ნახევრის დამსახურებაა. ისინი საეთაშორისო კონფერენციებისა და სამხედრო კავშირების ინსტიტუტების სახით ჩამოყალიბდა. მკვლევარები საერთაშორისო ორგანიზაციების ცნებაში მოიაზრებენ ეროვნული სახელმწიფოების სამთავრობათაშორისო და არასამთავრობათაშორისო საზოგადოებების, ასოციაციების გაერთიანებას, რომლის საქმიანობას საფუძვლად უდევს დამფუძნებელი აქტი, წესდება. მასში ჩამოყალიბებულია ორგანიზაციის მიზნები, კომპეტენცია, ხელმძღვანელ ორგანოთა სისტემა, საქმიანობის წესი და ა.შ.

საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის საფუძველია სამი და მეტი სახელმწიფოთა გაერთიანება საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმებით.[1] საერთაშორისო ხელშეკრულება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი წყაროა. საერთაშორისო ხელშეკრულებათა გლობალურობამ საერთაშორისო სამართლის სისტემაში შექმნა საფუძველი, ჩამოყალიბებულიყო საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, რომლის ნორმათა ერთობლიობა განსაზღვრავს საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადებისა და შეწყვეტის წესს, მათი იურიდიული ძალების ნამდვილობის პირობებს, წარმოშობილი დავების

[1] იხ. ვ. ქარუმიძე, საერთაშორისო ორგანიზაციები თბ. 1999 წ. გვ. 19-27.

მოწესრიგების მეთოდებსა და საშუალებებს.[1] ასეთია მაგალითად, გაერო, ნატო, სხვადასხვა ამერიკული და ევროგაერთიანებები, რომელთა რიცხვი და ფუნქციები დღითიდღე იზრდება და ფართოვდება.

ეკოლოგიის სფეროში პირობითად ყალიბდება ზოგადი პრინციპი – ***„ტყე შეუნახე შვილებსა»***, სადაც მოიაზრება ბუნებასთან დაკავშირებული ყველა რესურსი, რის გარეშეც წარმოუდგენელია საზოგადოებრიობის არსებობა. თუ კი მოხდა მწვანე საფარის გლობალური ჩეხვა-განადგურება, ამას მოჰყვება ეკოლოგიური სისტემის მოშლა, ჟანგბადისა და წყლის დეფიციტი, ფრინველებისა და ცხოველების განადგურება, რაც თავისთავად სხვა პროცესებთან ერთად დამღუპველად იმოქმედებს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, გენოფონდზე, სიცოცხლეზე. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დროს ბუნებრივ გარემოში ანთროპოგენული ჩარევის უარყოფითი შედეგები ატმოსფეროს, ნიადაგის, წყლის გაბინძურების სიცოცხლისათვის სხვა მავნე ფორმებით გამოვლინდა. შემაშფოთებელია თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების მიერ ბუნებაზე საწარმოო-ტექნიკური ზემოქმედების შედეგები: 145 მილიონი ტონა გოგირდის ორჟანგის გაფრქვევა, 250 მილიონი ტონა მტვერი, 70 მილიონი კუბური მეტრი მავნე აირისებური ნივთიერებანი, 1 მილიონი ტყვიის შენაერთები, 32 კუბ, კ.მ. გაუწმინდავი სამრეწველო ჩამდინარე წყლები.[2] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით ბოლო ოცი საუკუნის განმავლობაში ბუნებას სამუდამოდ გამოაკლდა ცხოველთა 105 და ფრინველთა 139 სახეობა, მოსპობის ზღვარზეა 220 სახეობის ძუძუმწოვარი, 270 სახეობის ფრინველი, 70 სახეობის თევზი[3] და ა.შ.

მ. იენიკე თვლის, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით, ბევრი რამ ახალია, ბევრიც კი მცდარი, მტკიცება, რომ ეკოლოგიური პოლიტიკა «გლობალიზაციის მუხლში» აღმოჩნდება, რომ გარემოს დაცვა გლობალური კონკურენციის უბრალოდ გაძვირებაა, შესაძლოა სიმართლე აღმოჩნდეს. გლობალურ-ეკოლოგიური პოლიტიკის სფეროში ინოვაციების დარგში წამყვან ქვეყნებს

---

[1] დაწ. იხ. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართლი თბ. 1998 წ. გვ. 73.
[2] იხ. ბ. ლუტიძე, გლობალიზაცია: არსი, პრობლემები. თბ., 2003 წ. გვ. 59.
[3] იხ. Хозин Г.С. Глобальные проблемы современности. М., 1982, стр. 17.

გასული საუკუნის 70-იან წლების დასაწყისში წარმოადგენდა აშშ და შვეცია, შემდეგ – იაპონია და, ნაწილობრივ, 1994 წლის ჩათვლით გფრ-ც. დღესდღეისობით ლიდერის როლში არიან ქვეყნები: ჰოლანდია, დანია და შვეცია, ხოლო ევროპის გარეთ – სამხრეთ კორეა. საინტერესოა, რომ დღეისათვის ეკოლოგიურ ლიდერებს ის პატარა ქვეყნებიც შეუერთდნენ, რომელებიც განსაკუთრებით დიდად არიან დამოკიდებული მსოფლიო ბაზარზე.[1]

მიუხედავად დიდი წარმატებებისა, ცხოვრების უმრავლეს სფეროებში, კაცობრიობას სერიოზულად აწუხებს შეუსაბამობა, ერთი მხრივ, კვების პროდუქტებზე მსოფლიო მოსახლეობის მოთხოვნილებებს და მეორე მხრივ, მათი დაკმაყოფილების რეალურად არსებულ შესაძლებლობებს შორის. სტატისტიკის მიხედვით წელიწადში შიმშილისაგან იღუპება მსოფლიოში 50 მილიონზე მეტი ადამიანი, გასული საუკუნის ბოლოს შიმშილობდა 500 მილიონი კაცი, ხოლო 1 მილიარდამდე ადამიანს არ ჰქონდა საკმარისი საკვები. შეჭირვებულმა ცხოვრებამ გაამრავლა გულ-სისხლძარღვთა, ფსიქიკური, სიმსივნეების და რეპროდუქციული დაავადებები. გავრცელდა წინა ეპოქებისათვის დამახასიათებელი დაავადებები, როგორიცაა ტუბერკულოზი, მალარია, შავი ჭირი, ცოფი. გაჩნდა ახალი დაავადებები «სპიდი», «ქათმის გრიპი» და სხვა. ასეთ პირობებში ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ კეთდება, თბილისსა და რეგიონებში იხსნება უფასო სასადილოები, გაიზარდა უსახსროთა დახმარებები, აშკარად იგრძნობა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, ხელისუფლება ჯანმრთელობის დაცვას, მის ხელმისაწვდომობას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს.

იმისათვის რომ სწორად შეფასდეს გლობალიზაცია მთლიანად სოციალურ სფეროში, გასათვალისწინებელია, რომ შედარებით დიდია ხალხთა ურთიერთგავლენა ამ მიმართულებით. კაცობრიობის ისტორიაში ადამიანთა შორის პირველი ურთიერთობები ხომ სწორედ სოციალურ სფეროში დაიწყო და მათ შორეულ ტრადიციებთან ერთად განვითარების თავისებური გზები გააჩნიათ.

---

[1] იხ. ულრის ბეკი, რა არის გლობალიზაცია? თბ. 2003 წ. გვ. 168.

თავის დროზე, რომის იმპერიამ ღრმა კვალი დააჩნია იმ ქვეყნებს, სადაც მისი გავლენა ვრცელდებოდა. შემდგომ ეპოქებში ყველა იმპერია თავისებურად ემსახურებოდა გლობალიზაციის პრობლემებს. ასე მოხდა სსრ კავშირის არსებობის პირობებშიც. მრავალი ერი და ეროვნება ერთმანეთს დაუკავშირდა, მათმა ეროვნულმა ცნობიერებამ თანდათანობით ძველი სახე დაკარგა. ამ პროცესებს ყოველმხრივ ახალისებდა მაშინდელი ხელისუფლება. იქმნებოდა საერთო საკავშირო ღირებულებები, რომლის სათავე რუსული აზროვნებიდან მოდიოდა, თუმცა „სუფთა რუსულზე» აქაც არ შეიძლება საუბარი, რადგანაც თვითონ რუსეთიც სხვადასხვა დროს ისტორიულად სხვათა გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. ამიტომ ეს პროცესები შეუმჩნევლად თავისი გზით მიდიოდა და თაობათა ცვლასთან ერთად შესაბამისად იცვლებოდა საზოგადოებრივი ურთიერთობანიც.

მონათმფლობელური ეპოქის დამთავრებისთანავე წარმოიშვა ახალი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებანი, რომლებმაც ინსტიტუციური ხასიათი მიიღო სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში. ამის გამო დაუფასებელია ფილოსოფიური და სამართლებრივი მოძღვრებისა და თეორიების როლი, რომელთა მეშვეობითაც ჩამოყალიბდა თავისუფალი რელიგიური დოგმებისაგან პროგრესული იდეები და მიმართულებები.

სამწუხაროდ, გლობალიზაციისათვის დამახასიათებელი ნიშნები და ელემენტები წინანდელ საზოგადოებაში ყოველთვის როდი თამაშობდა დადებით როლს. არაცივილიზებულმა იმპერიებმა წაშალა ბევრი საუკეთესო კულტურული და სულიერი ღირებულებანი და დანერგა შედარებით ჩამორჩენილ ადათ-წესებზე დამყარებული სამართალი (და არა მარტო), მათ ხელახლა შექმნას კი დიდხანს მოუნდა კაცობრიობა. XIX-XX საუკუნეებში ჩამოყალიბებულმა ტოტა-ლიტარულმა რეჟიმებმა ნეგატიური როლი ითამაშეს საზოგადოების განვითარების ისტორიაში, ილახებოდა ადამიანის ბუნებითი უფლებები და თავისუფლებები, იოლად ხელყოფდნენ პიროვნების ღირსებასა და პატივს.

ამის თაობაზე დიდი ილია წერდა, „რა არის მთელი პროგრესი კაცობრიობისა, თუ არა ის, რომ ადამიანის პიროვნება, ადამიანის სინდისი,

ყოფა-ცხოვრება, უსაბუთოდ, უსაფუძვლოდ არავისგან ხელშეუხებელ არ იყოს, არავისგან შეგინებულ-შევიწროვებული»[1]

გლობალიზაციის თანმხვედრ მოვლენად უნდა განვიხილოთ ტრანსნაციონალური (საერთაშორისო) ორგანიზებული დამნაშავეობის მკვეთრი ზრდა, თანამედროვე საზოგადოებრიობა შეაწუხა და აღაშფოთა ტერორიზმის სახეთა მასშტაბურობამ. ამის მაგალითია 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტები აშშ-ში, «რომელმაც თავისი მასშტაბით, კატასტროფული ეკონომიკური ზარალითა და მსხვერპლთა რაოდენობით მანამდე მომხდარ ყველა ერთად აღებულ ტერაქტების შედეგებს გადააჭარბა. რუსეთის ფედერაციაში მომხდარი ტერორისტული აქტები, რომელსაც მოჰყვა დიდი მატერიალური ზარალი და ადამიანთა მსხვერპლი. უკანასკნელ პერიოდში თურქეთის რესპუბლიკაში მომხდარი ტერაქტი, რომელსაც მოჰყვა 27 ადამიანის დაღუპვა და 450-ის დაშავება, ამას ემატება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა მოტივებით ჩადენილი ტერორისტული აქტები. ე.ი. საქმე გვაქს «გლობალურ ტერორიზმთან», რომელიც უკვე იქცა მსოფლიო პრობლემად. ანალოგიური მდგომარეობაა «ადამიანებით ვაჭრობის სფეროში», რომელიც «ტრეფიკინგის» სახელწოდებით ჩამოყალიბდა. ეთნიკურმა კონფლიქტებმა და სხვა საომარმა კერებმა «არალეგალურად იარაღით ვაჭრობის საერთაშორისო სინდიკატები» შექმნა. ამას ემატება კიდევ ერთი «გლობალური მსოფლიო პრობლემა», როგორიც არის «ნარ-კოინდუსტრია». აღნიშნულ თემაზე უკვე გაჩნდა სამეცნიერო შრომები და მონოგრაფიები,[2] ამიტომ აქ ამ საკითხებზე მეტს აღარ შევჩერდებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით უნდა ჩამოყალიბდეს ახალი შინაარსის მსოფლიო დემოკრატიზაციისა და ინტეგრაციის გლობალური თეორია, რომელიც შეიმუშავებს კონცეფციებს, რომლის მიხედვითაც გლობალიზაცია ერებს შორის დისბალანსს არ შექმნის და ეჭვის ქვეშ არ დადგება რიცხობრივად პატარა ქვეყნების ყოფნა-არყოფნის საკითხი.

---

[1] იხ. ი. ჭავჭავაძე, თხ. ტ. V. გვ. 253.

[2] იხ. გ. ლობჟანიძე, საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა, თბ. 2002 წ; ჯ. ჯანაშია, XXI საუკუნის გამოწვევა, თბ. 2002 წ.; გ. ღლონტი, ადამიანებით ვაჭრობა, რეალობა და პერსპექტივები, თბ. 2003 წ. (რუს. ენაზე).

და ბოლოს, თანამედროვე ეტაპზე ტექნოლოგიური და ინფორმაციული რევოლუციისა და ევოლუციის პირობებში მიმდინარეობს შეუქცევადი ისტორიული პროცესები, რამაც მსოფლიო ხალხები ერთმანეთზე დაკავშირებული და დამოკიდებული გახადა. ეს წარმოშობს იმის აუცილებლობას, რომ შემუშავებული იქნეს მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული სახელმწიფოებრივი ურთიერთობათა საერთაშორისო სისტემა, რომელიც გაითვალისწინებს ზოგადსაკაცობრიოსთან ერთად ეროვნულ ღირებულებათა დაცვას, შენარჩუნებასა და განვითარებას.

საქართველოში პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაციის პროცესი თანხვედრია ყოფილ სსრ კავშირის დემონტაჟისა და დემოკრატიზაციის პროცესებისა. პოლიტოლოგები და იურისტები თვლიან, რომ პროცესი დაიწყო სკკპ ცკ აპრილის (1985 წ.) პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან, როდესაც მ.ს გორბაჩოვმა თავის მოხსენებაში იხმარა ტერმინები «დემოკრატიზაცია», «აზრის პლურალიზმი» და ა.შ. აქედან მოკიდებული გამოცოცხლებას იწყებს ახალი პოლიტიკური აზრი, ზოგიერთ რესპუბლიკაში და მათ შორის საქართველოშიც გააქტიურდა დისიდენტური მოძრაობა, პოლიტიკური პარტიების რეამინაცია და ა.შ. დაწყებული პროცესების კულმინაციად იქცა 1988 წლის მე-19 პარტიული კონფერენცია, როდესაც დაშვებული იქნა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში რეფორმების გატარების შესაძლებლობა.

საბჭოურ სივრცეში მიმდინარე პროცესები ადეკვატურად ისახებოდა ქართულ პოლიტიკურ და სამართლებრივ აზროვნებაში, 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში წამოვიდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღა, რამაც თავისთავად გამოიწვია თანამედროვე ეპოქის ანუ სსრ კავშირის ნგრევის პირობებში განსხვავებული იდეებისა და ღირებულებების გამოყენების აუცილებელი გზების ძიება ახალი სახელმწიფოს აშენებისათვის. პირველი ნაბიჯები აქეთკენ მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებით გადაიდგა (1990 წ. 23 ოქტომბერი). ამით დამთავრდა ერთპარტიული სისტემის 70-წლიანი ისტორია. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო პარტიათა და ორგანიზაციათა 14-მა ბლოკმა. საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო

2.406.742 ამომრჩეველმა, გამარჯვება «მრგვალი მაგიდის» ბლოკს ერგო წილად. არჩევნების ორი ტურის შემდეგ უზენაესი საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა 246 დეპუტატით[1] და 1990 წლის 19 ნოემბერს გაიხსნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესია, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში შევიდა როგორც დიდმნიშვნელოვანი თარიღი. სესიამ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ზ. გამსახურდია.

ქვეყნის ისტორიაში მნიშვნელოვნად თარიღადაა მიჩნეული 1991 წლის 9 აპრილი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის მიღების დღე, აქედან ფაქტობრივად იწყება შესაბამისი ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნის მცდელობა და სახელისუფლო სტრუქტურების ჩამოყალიბება, ე.ი. პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაციის ახალი ფაზა. საქართველო იმ პერიოდში არაორდინალურ სიტუაციაში იმყოფებოდა. ერთის მხრივ, საბჭოთა კავშირი სულს ღაფავდა, პოზიციების დათმობა არ სურდა, რასაც მოჰყვა 1991 წლის აგვისტოში ცნობილი «პუტჩი», რამაც გავლენა იქონია საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზეც. 1991 წლის დეკემბერში განვითარდა არასახარბიელო მოვლენები, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა და პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმება. სამხედრო საბჭოს შექმნას (ჯ. იოსელიანი, თ. კიტოვანი, თ. სიგუა ე.წ. «ტრიუმვირატი») მოჰყვა ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის სტრუქტურების გაუქმება, რამაც ქვეყანაში პოლიტიკურ რეჟიმზე მოახდინა გავლენა.

შექმნილი საშინაო და საგარეო ვითარება დღის წესრიგში აყენებდა დემოკ-ატიულ გარდაქმნათა დაწყებას. წინააღმდეგ შემთხვევაში საერთაშორისო აზრი ქვეყნის სასარგებლოდ არ წარიმართებოდა, რისი განხორციელებაც სამეულს არ შეეძლო. 1992 წლის მარტის დასაწყისში საქართველოში ბრუნდება ედუარდ შევარდნაძე. ამან განაპირობა სამხედრო საბჭოს სახელმწიფო საბჭოდ გარდაქმნის

---

[1] „მრგვალი მაგიდა“ – 155 დეპუტატი, „თავისუფალი საქართველო“ – 64, „საქართველოს კომპარტია“ – 12, „სახალხო ფრონტი“ – 4, „დემოკრატიული ბლოკი“ – 1, „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“ – 1, „სრულიად საქართველოს საზოგადოება“ – 9.

აუცილებლობა. მართალია, იგი არ იყო არჩევითი ორგანო, მაგრამ მის შემადგენლობაში ფართოდ იყო წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები. სახელმწიფო საბჭო არა მარტო ადმი-ისტრაციულ, არამედ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციასაც ასრულებდა. სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით აღდგენილი იქნა 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია და აქედან გამომდინარე, სხვა ნორმატიული და საკანონმდებლო აქტები. ფართო საზოგადოებისათვის სახელმწიფო საბჭო არ იყო ლეგიტიმური ხელისუფლება. ამიტომ, დღის წესრიგში დადგა არჩევნების მომზადება და ჩატარება. 1992 წლის 30 აპრილს სახელმწიფო საბჭომ რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების მოწყობა 11 ოქტომბერს გამოაცხადა. გადაწყდა არჩევნები ჩატარებულიყო მრავალმანდატიანი პროპორციული სისტემით. 23 მაისს პრესაში გამოქვეყნდა სახელმწიფო საბჭოს მიერ დამტკიცებული «საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულება», რომელიც ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე. დებულება არაერთმნიშვნელოვნად მიიღო საზოგადოებრიობამ და პოლიტიკურმა ორგანი-აციებმა, ამიტომ მან მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რომლის მიხედვითაც არჩევნები ჩატარდებოდა, როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული სისტემით.

1992 წლის 29 ივლისს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე 30 პოლიტიკური პარტიის ინიციატივით წარდგენილი იქნა პარლამენტის არჩევნების დებულების ახალი პროექტი. 4 აგვისტოს გამოქვეყნდა დაზუსტებული საარჩევნო დებულება, რომლის შესაბამისად საქართველოს მომავალ პარლამენტში 234 დეპუტატი იქნებოდა არჩეული. იმ დროისათვის 84 ქალაქისა და რაიონის შესატყვისად ამას ემატებოდა პროპორციული წესით ასარჩევი 150 დეპუტატი, რომელთა კანდიდატების სიასაც პოლიტიკური პარტიები წარუდგენდნენ ამომრჩეველს და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

საარჩევნო კომისიაში რეგისტრაცია გაიარა 36 პარტიის, პოლიტიკური კავშირისა და ბლოკის წარმომადგენელმა. 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნების შედეგად მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში პროპორციული წარმომადგე-

ლობისა და საკომპენსაციო სიების საუძველზე პარლამენტში გავიდა ოცდაოთხი პარტია, რომელთა უმრავლესობა 4 ბლოკში იყო გაერთიანებული.[1] მაჟორიტ-არული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ერთმანდატიან ოლქებში პარლამენტის წევრები არჩეული იქნენ 75 ქალაქსა და რაიონში. იმ პერიოდში შექმნილი ვითარების გამო საარჩევნო ოლქები არ შექმნილა ჯავის, ცხინვალის, გუდაუთისა და ტყვარჩელის რაიონებში. არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს ზ. გამსახურდიას მომხრეებმა ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ზუგდიდის, გაგრისა და გალის რაიონებში. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია რესპუბლიკის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 9%.

ცალკე მსჯელობის საგანია პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნებთან დაკავშირებული პროცესები. 1992 წლის 31 აგვისტოს სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით ცვლილებები და დამატებები შევიდა დებულების I-ელ, მე-8, 37-ე, მე-40, 41-ე, 44-ე მუხლებში, რომლებიც პარლამენტის თავმჯდომარის არჩევასთან იყო დაკავშირებული.

ე. შევარდნაძე საარჩევნო ბლოკ «მშვიდობის» ეგიდით აპირებდა არჩევნებში მონაწილეობას, მისმა გადაწყვეტილებამ სერიოზულად დააფიქრა მოწინააღმდეგე პარტიები, რადგან ამით ბლოკი გაცილებით მეტ ხმებს მიიღებდა, ვიდრე მის გარეშე, ამასთანავე ალტერნატიული კანდიდატურა ფაქტობრივად არ იყო და მისი რეიტინგი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე შემდგომ. ამ მიზეზების გამო პარტიათა შორის შეთანხმება გაცილებით იოლად მოხდა და პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ამომრჩეველთა 95% ხმის მიცემით ე. შევარდნაძე დამტკიცდა.

უცხოელმა ექსპერტებმა, რომლებიც საქართველოში არჩევნების პერიოდში დამკვირვებლის როლში იმყოფებოდნენ, აღნიშნეს, «არჩევნები დემოკრატიულ

---

[1] ბლოკი „მშვიდობა“ - 29, ბლოკი „11 ოქტომბერი“ - 18, ბლოკი „ერთობა“ – 14, ედპ – 12, მწვანეთა პარტია – 11, დემოკრატიული პარტია – 10, „ქარტია-91“ – 9, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი – 7, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება – 7, მერაბ კოსტავას საზოგადოება – 5, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 4, ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი – 4, მშრომელთა სოციალისტური პარტია – 4, ხალხთა მეგობრობისა და სამართლიანობის პარტია – 2, ღვთისშვილთა კავშირი – 2, სოციალური სამართლიანობის კავშირი – 2, მიწათმოქმედთა კავშირი – 2, სოციალ-დემოკრატიული პარტია – 2.

კანონიერებას მიანიჭებს ახალ მთავრობას და ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის მშვიდობიან შერიგებას საქართველოში».[1]

პარლამენტის პირველი სხდომა გაიმართა 1992 წლის 4 ნოემბერს ყოფილი «იმელის» შენობის სხდომათა დარბაზში.

საქართველოს პარლამენტის შემადგენლობა რამდენიმე პარამეტრის თვალსაზრისით შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 1) ეროვნული ნიშნით: ორი აფხაზი, ორი სომეხი, ორი ებრაელი, ერთი ბერძენი, დანარჩენი – ქართველი.

2) განათლების მიხედვით: 1 საშუალო-ტექნიკური განათლებით, დანარჩენი უმაღლესი.

3) პროფესიათა მიხედვით: ინჟინერი – 64, ისტორიკოსი – 15, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი – 28, ფილოლოგი – 24, სამართლისმცოდნე – 26, ეკონომისტი – 20, ექიმი – 9, ფიზიკოსი – 9, თეატრისა და კინოს მოღვაწე – 10, მექანიკოს-მათემატიკოსი – 6, ჟურნალისტი – 8, ფილოსოფ-ფსიქოლოგი – 8, ბიოქიმიკოსი – 8, ზოოვეტერინარი – 4, მხატვარი და სხვ – 20-მდე დეპუტატი.

4) სამეცნიერო ხარისხის მიხედვით: სოფლის მეურნეობის და საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და წევრ-კორესპონდენტი – 28, მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი – 61, მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტი – 15, მწერალი – 6.

5) დეპუტატთა შორის 13 იყო ქალი.

6) ყველაზე უხნესი დეპუტატი იყო 1915 წ. დაბადებული, ყველაზე ახალგაზრდა 1968 წელს, საერთო საშუალო ასაკს შეადგენდა – 45-65 წელი.

აქ შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ეტაპის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნები, რის შედეგადაც მივიღეთ საქართველოს პარლამენტი, პარლამენტის თავმჯდომარე (სახელმწიფო

---

[1] საქართველოს რესპუბლიკა №222, 1992 წლის 28 ოქტომბერი.

მეთაური). ამ მოვლენამ დადებითი როლი ითამაშა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაშიც, საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო გაეროს წევრ-სახელმწიფოთა ნაწილმა, რამაც წერტილი დაუსვა ქვეყნის თვითიზოლაციას საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში.

პირველი პარლამენტის არჩევიდან საკმაო დრო გავიდა. სპეციალისტები თვლიან, რომ არჩევნები ჩატარდა დემოკრატიულად, ნაკლები დარღვევების და გაყალბების გარეშე, ამიტომაც პარლამენტში წარმოდგენილი იყო პოლიტიკურ პარტიათა ფართო სპექტრი. სწორედ ამ პარლამენტს ერგო წილად მიეღო 1992 წლის 6 ნოემბერს «კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ», რომელიც მოინათლა, როგორც «მცირე კონსტიტუციად» და 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს უზენაესი კანონი, კონსტიტუცია (1992-95 წლების პარლამენტმა 700-მდე კანონი მიიღო). ამავე პარლამენტის დამსახურება იყო 1995 წლის ნოემბრის ახალი პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების ჩატარება[1].

1999 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოს პარლამენტში ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: მოქალაქეთა კავშირი – 129, ბლოკი «საქართველოს აღორძინება» – 59, ბლოკი «მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს» – 14, ლეიბორისტული პარტია – 2, დამოუკიდებელი კანდიდატი 17, დეპუტაცია აფხაზეთიდან – 12.

2003 წლის გაყალბებული არჩევნების შედეგად პარლამენტი არ შედგა.

2004-2008 წლების საქართველოს პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენენ ნაციონალური მოძრაობა დემოკრატების წევრები. ბლოკების მიხედვით ბლოკი «სააკაშვილი – ნაციონალური მოძრაობა», «ბურჯანაძე-დემოკრატები», «ახალი მემარჯვენეები (ახლები), «ახალი საქართველოსათვის», «მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს». პროპორციული წესით არჩეული დეპუტატებისაგან 136 ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატებისაგანაა, მემარჯვენე ოპოზიცია – მრეწველები ახლები – 14. მაჟორიტარ დეპუტატებს შორის 20 საინიციატივო ჯგუფის მიერაა დასახელებული, 17 დეპუტატატი ბლოკ «ახალი

[1] იხ. ა. ტუკვაძე, სადოქტორო დისერტაცია თბ. 19....., გვ.

საქართველოსაგან», ბლოკი «სააკაშვილი – ნაციონალური მოძრაობა» 12, 4 დეპუტატი ახლებისაგან, 3 დეპუტატი დემოკრატიული აღორძინების კავშირისაგან. 6 დეპუტატი ბურჯანაძე-დემოკრატები, 5 დეპუტატი მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია 3.

დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობა უმაღლესი განათლებითაა, საშუალო ასაკი 35-50 წელი.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემა ახალ ფაზაშია და, მკვლევართა აზრით, იგი თავისებურ ლიბერალურ-დემოკრატიულ ტრანსფორმაციას განიცდის, რომლის ფუნქციური თვითრეალიზაცია 2003 წლის 22-23 ნოემბრის «ვარდების რევოლუციის» საფუძველზე მიმდინარეობს, რამაც განაპირობა პოლიტიკური სისტემის ფუნქციური და სტრუქტურული მოდერნიზაცია[1].

მოხდა 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის ნაწილობრივი ცვლილება, რაც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური რეფორმების დაჩქარებით იყო ნაკარნახევი. ამის გამო ცვლილებებს ქვემოთ დაწვრილებით შევეხებით. თანამედროვე საქართველოს პოსტრევოლუციურ პოლიტიკურ სისტემაში ორი ძირითადი ტენდენცია შეიძლება გამოვყოთ:

1. რაციონალური პოლიტიკური პროცესების განხორციელება და შესაბამისად, ინსტიტუციონალური ცვლილებები, რომელიც პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სტრუქტურების ფუნქციურ სრულყოფაში მდგომარეობს;

2. ნეგატიური პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების დაძლევის მიზნით პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ ავტოკრატიული პოლიტიკური მართვის სტილის გაძლიერება, რაც პოლიტიკურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ[2].

საქართველოს პოლიტიკური სისტემა სტრუქტურული თვალსაზრისით შეიძლება ასე დავალაგოთ: **სახელმწიფო, როგორც ყველაზე მაღალი რანგის პოლიტიკური ერთეული, პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის სუბიექტი.**

---

[1] იხ. პოლიტოლოგია თბ. 2004 წ. გვ. 203
[2] „პოლიტოლოგია" 2004 გვ. 204

სხვადასხვა მეცნიერი სახელმწიფოს ცნების განსხვავებულ ვარიანტს გვთავაზობს. ჩვენი აზრით, თანამედროვე კონცეფციათა შორის მისაღებია შემდეგი განსაზღვრება «სახელმწიფო არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც განსაკუთრებული აპარატისა და საჯარო ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს. სამართალს ანიჭებს საყოველთაო სავალდებულო მნიშვნელობას, რომელიც არის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის გარანტი». სამ შტოდ დაყოფილი სახელმწიფო ორგანოებით (საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლება – მთავრობა, პრეზიდენტი, სასამართლო ხელისუფლება, საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოები) მათ ფუნქციაზე აღარ შევჩერდებით, რამდენადაც იგი ქართულ პოლიტიკურ და სამართლებრივ ლიტერატურაში ყოველმხრივ შესწავლილი და დამუშავებულია.

პოლიტიკურ სისტემაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ **პოლიტიკური პარტიები,** რომლებიც წარმოადგენენ ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ ტრადიციულ სუბიექტს. პოლიტიკურ პარტიათა სპექტრი დაყოფილია:

ა) პოლიტიკურ მოძრაობად (სახალხო ფრონტი)

ბ) პოლიტიკურ კავშირებად (ტრადიციონალისტთა კავშირი)

გ) პოლიტიკურ საზოგადოებად (ილია მართლის საზოგადოება)

ჩვენს სინამდვილეში ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, რეგისტრირებულია 150-ზე მეტი პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია. მათი არსებობა და სამომავლო საქმიანობა დაკავშირებულია არჩევნების გზით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში მოსვლის პრეტენზიასთან. ალბათ მსოფლიოში არ მოიძებნება ისეთი ქვეყანა, ყოველ შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიისა და მოსახლეობის რაოდენობით, სადაც ამდენი პოლიტიკური პარტია არსებობდეს. მათი რაოდენობა მცირდება და იზრდება არჩევნების მოახლოებასთან ერთად. ამით იმის თქმა არ გვსურს, რომ მრავალპარტიულობა

მისაღები არ არის, მაგრამ აქაც საჭიროა «ოქროს საშუალოს» შენარჩუნება. თუმცა მკვლევარები ამ პროცესების განვითარებაში ორ გარემოებას ითვალისწინებენ:

1) საზოგადოებაში მრავალპარტიულობა არ შეიძლება ჩამოყალიბდეს ერთბაშად, აუცილებელია ერთპარტიულობიდან მრავალპარტიულობაზე გარდამავალი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა შეიქმნას სამართლებრივი ბაზა, შესაბამისად საზოგადოებაც უნდა მომწიფდეს ამისათვის, კონკრეტულად კი მასობრივი საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის მრავალპარტიულობის იდეა მისაწვდომი და მისაღები უნდა გახდეს;

2) მრავალპარტიული სისტემის ნორმალური ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების საბაზო ღირებულებებისადმი საზოგადოებრივი აზრის გადამწყვეტი მხარდაჭერისა და საზოგადოების ძირითადი პოლიტიკური ძალების მხრივ ამ ღირებულებათა აღიარების პირობებში.[1]

ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს **პროფესიული კავშირები** წარმოადგენენ. საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემდეგ თითქოს ახალი სახის პროფკავშირები ჩამოყალიბდა. პოლიტიკურ სისტემაში პროფკავშირები ყველაზე მასიური ორგანიზაციაა, რომელსაც საქართველოს კანონი «პროფესიული კავშირების შესახებ» ფართო უფლებებსა და მოვალეობებს ანიჭებს. კერძოდ, მას აქვს მუშაკთა შრომითი და სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა და ინტერესების დაცვისა და წარმომადგენლობის უფლება, დასაქმებისადმი ხელშეწყობის, კოლექტიური მოლაპარაკების წარმოების, კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების დადებისა და შესრულებისადმი კონტროლის, კოლექტიური შრომითი დავების გადაწყვეტაში მონაწილეობის, მუშაკთა ინტერესების დაცვისა და წარმომადგენლობის უფლება შრომითი დაცვის განმხილველ ორგანოებში და ა.შ. თუმცა მათი ფუნქციონალური საქმიანობა აქტიურობით არ ხასიათდება, იგი ფორმირების პროცესშია, მაგრამ შიგა დაპირისპირების გამო რეალურ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენენ. პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციის

---

[1] ვ. გურგენიძე, საზოგადოების პოლიტიკური სისტემა პოსტსაბჭოურ საქართველოში. თბ., 2000, გვ. 89.

პროცესში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ სახელმწიფო მოწყობის ფორმას (ტერიტორიული და მმართველობის) აირჩევს ქვეყანა, ამიტომაც ამ პრობლემის გადაწყვეტის გზებს ცალკე განვიხილავთ.

პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაციის, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და მისი კულტურის ამაღლების ქმედით საშუალებას წარმოადგენს **პრესა, ტელევიზია, რადიო (მასმედია).** იგი სახელისუფლო სტრუქტურებზე, დემოკრატიულ ინსტიტუტებზე ზემოქმედებისა და მონიტორინგის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საშუალებაა.

თანამედროვე პოლიტიკისა და სამართლის თეორია აღიარებს, რომ სახელმწიფო პოლიტიკურ სისტემაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს **საზოგადოებრივი ორგანიზაციები,** როგორიცაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, პატიმართა დაცვის, სამომხმარებლო, საბინაო-სამშენებლო, სარეწაო, სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანებები, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა, ხელოვნების მოღვაწეთა კავშირები და სხვ.[1] საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციონალური დანიშნულებაა: 1) პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების სტრუქტურებში მონაწილეობა ხელისუფლებაზე ზემოქმედების მიზნით; 2) პიროვნების ინტერესების დაკმაყოფილება და რეალიზაცია. მათი სისტემისათვის დამახასიათებელია ორი ძირითადი ნიშანი: დიფერენციაცია და ინტეგრაცია. დიფერენციაცია პიროვნების ინტერესთა მრავალფეროვნების შედეგია. ინტეგრაციის პროცესი საერთო ეროვნული ინტერესებისადმი მსახურებითაა განპირობებული.[2]

სრულყოფილი საარჩევნო კანონმდებლობა პოლიტიკური სისტემის სრულყოფისა და ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა. იგი უზრუნველყოფს და აწესრიგებს პოლიტიკური ხელისუფლების სახელმწიფო წარმომადგენლობითი ორგანოების სამართლებრივად ლეგალურ და ლეგიტიმურ ფორმირებას. ამდენად, საარჩევნო სისტემა პოლიტიკური ორგანიზმის შემადგენელი ნაწილია. სამწუხაროდ, ისე როგორც სხვა სფეროებს, საქართველოს საარჩევნო სისტემასაც

---

[1] ვ. გურგენიძე, დას. ნაშ. გვ. 108.
[2] სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება (ლექციების კურსი), თბ., 2002, გვ. 146.

ახასიათებს ნაკლოვანებანი. იგი ყოველთვის ეფექტური არ არის და არ ემსახურება ამომრჩეველთა ზნეობრივი, სამართლებრივი თუ პოლიტიკური კულტურის ამაღლებას. ხშირად არჩევნების დროს ადგილი აქვს მხარეთა შორის კომფრონტაციას, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, «არჩევნები აღრმავებენ დაპირისპირებულ მხარეთა პოლარიზებას.»[1] ეს პროცესი სამწუხაროდ დაიწყო ე.წ. «ლაგოდეხის სინდრომით», რომლის შემდეგ მსგავსი მოვლენები მრავალჯერ განმეორდა.

დღევანდელ საქართველოს პოლიტიკურ და მმართველობით სისტემას კვლავაც ესაჭიროება მოდერნიზაციის შემდგომი ეტაპის გავლა: 1. იგი უნდა გადაიქცეს ტერიტორიულ-პოლიტიკურ მყარ ერთეულად. ამის მიღწევა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც მოხდება ქვეყნის შიგნით სეპარატიზმისა და რუსული აგრესიის დაძლევა. 2. ქართველი ხალხის (ნაციონალიზმის) დაახლოება ყველა იმ ერისა და ეროვნების წარმომადგენლებთან, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობენ, მათ შორის ოსებთან და აფხაზებთან. სწორედ მათ უნდა იწამონ, რომ საქართველო, ოსეთი და აფხაზეთი სხვადასხვა ქვეყნები კი არ არის, არამედ ისტორიული საქართველოა და მისი ტერიტორიული დაქუცმაცება დაუშვებელია. 3. ქართველებმაც უნდა გააცნობიერონ, რომ საქართველო მათ გარდა იმ ხალხებსაც ეკუთვნის, რომლებიც ისტორიულად ჩვენს გვერდით ცხოვრობდნენ საუკუნეების მანძილზე.

ასეთ პოლიტიკურ სიტუაციაში სამართლებრივად რა გზა უნდა აირჩიოს ქვეყანამ სახელმწიფო წყობილების ფორმის თვალსაზრისით? მეცნიერთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ თუ ქვეყანა არ იქნება უნიტარული და მმართველობა ცენტრალიზებული, მისი განვითარება არ მოხდება. ჩვენ ამ პრობლემას ცალკე თავს მივუძღვნით.

თანამედროვე საქართველო უმნიშვნელოვანესი პრობლემების წინაშე დგას, მან თავისი ადგილი უნდა დაიმკვიდროს საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში. კითხვა, რა მიმართულებით უნდა იაროს ქვეყანამ, ვის მიემხროს და

---

[1] ვ. გურგენიძე, საქართველოს პოლიტიკური სისტემის ადაპტირება-ტრანსფორმირების კონცეფცია. თბ., 2004, გვ. 212.

როგორი კურსი აირჩიოს, შორეული წარსულიდან მოდის. საკმარისია გავიხსენოთ VI საუკუნის კოლხთა დიდი თათბირი, აიეტისა და ფართაძის გამოსვლები ხალხის წინაშე. არც მაშინ შემცდარან კოლხები, როდესაც ორიენტაცია ბიზანტიაზე აიღეს. დღევანდელი საქართველოს დასავლურ ორიენტაციას ალბათ ალტერნატივა არა აქვს. მაგრამ კონრეტული ნაბიჯების გადადგმას შესაბამისი დროის შერჩევა სჭირდება. მყარი პოზიციის არჩევა ყოველთვის მომგებიანია. მერყეობა მერყევ პოლიტიკას ქმნის, რომელსაც განხორციელება არ უწერია. მკვლევარები თვლიან, რომ დასავლეთთან ჩვენი ინტეგრაცია ერთადერთი გზაა პოლიტიკური უსაფრთხოების, ეკონომიკური აღმავლობისა და კულტურული განვითარების მისაღწევად. ამ პოზიციიდან საკითხი ითხოვს გარკვეულ განმარტებას, რადგან ზოგიერთისათვის ევროპული ინტეგრაცია მარტო ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანებას ნიშნავს.

ეს პროცესი, რა თქმა უნდა იმას არ გულისხმობს, რომ ქვეყნის უახლოეს მეზობლებთან, მათ შორის რუსეთთან, არ იყოს თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა და პარტნიორობა, როგორც ეკონომიკაში ისე პოლიტიკაში. ამისათვის საჭიროა სერიოზული რეფორმების განხორციელება როგორც პოლიტიკურ, ისე მმართველობით სფეროში, აუცილებელია დაძლეული იქნას საზოგადოებრივ ცნობიერებაში პოლიტიკური და სამართლებრივი ნიჰილიზმი.

გლობალიზმის თეორიის თანახმად, საქართველო ვერ იქნება მიმდინარე პროცესებისაგან მოწყვეტილი. რამდენადაც იგი ისტორიულ-ლოგიკური რეალობაა, მასთან დაპირისპირება უაზრობაა, პირიქით ქართული პოლიტიკის, სახელმწიფოს მოვალეობაა მოძებნოს გზები და საშუალებები, რომ რაც შეიძლება მეტი სიკეთე მიიღოს საზოგადოებრიობამ ამ პროცესებისაგან. პარალელურად ზიანი არ მიადგეს ქართულ ენას, კულტურას და ტრადიციულ ღირებულებებს. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იყო მომენტები, როდესაც ადგილი ჰქონდა იზოლაციონალიზმის პოლიტიკას, რეგიონალური და ქვეყნის მასშტაბით, რითაც სერიოზულად დაზარალდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, პოლიტიკა და მოსახლეობა.

როდესაც ვმსჯელობთ საქართველოში სახელმწიფოს ფორმირების პროცესზე, რა თქმა უნდა, საქმე ეხება პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების

ჩამოყალიბებას. ამჟამადაც ქვეყნის პოლიტიკური ინსტიტუტები რადიკალურ ცვლილებებს განიცდის. ჩვენს მიზანს წარმოადგენს წარმოვაჩინოთ ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც განსაზღვრავს პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციის პროცესს.

პირველ ძირითად ნიშნად უნდა ჩაითვალოს პოლიტიკური პროცესების ინსტიტუციონალიზმის გაღრმავება, რომელიც არის პოლიტიკური წესრიგის საფუძველი.

შემდეგ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ პოლიტიკური მართვის სუბიექტების (პოლიტიკური ინსტიტუტები და სტრუქტურები) აქტივები პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში.

თანამედროვე ცხოვრების დამახასიათებელი ნიშანია პოლიტიკური პარტიების, ინტერესთა ჯგუფების და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. თუმც აქვე უნდა დავძინოთ, რომ მათი სიმრავლე გარკვეულ პრობლემებსაც უქმნის პოლიტიკურ აზროვნებას და მიმდინარე პროცესებს.

პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში განსაკუთრებული ადგილი უკავია **პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის** არსებულ დონეს. მკვლევარები[1] სამართლიანად მიიჩნევენ კულტურას პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის აუცილებელ პროცესუალურ კომპონენტად, ინდივიდისა და სოციუმის კულტურას დიდად განსაზღვრავს არსებული პოლიტიკური რეჟიმი, თავის მხრივ კულტურის დონეც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის გარკვეული სტანდარტების ფორმირებაზე, რომლის განვითარების დონე აისახება **პოლიტიკური ელიტის** ბუნებაზე, ანუ მათზე, ვინც ფლობს ქვეყანაში პოლიტიკურ ხელისუფლებას. სპეციალისტი-მკვლევარები ერთმანეთისაგან განასხვავებენ «პოლიტიკურ ელიტასა» და «მმართველ ელიტას». მმართველი ელიტა უშუალოდ მონაწილეობს პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელებაში, პოლიტიკურ ელიტას უფრო ფართო არიალი გააჩნია და

[1] იხ. მ. მაცაბერიძე, დას. ნაშრომი. ა. ტუკვაძე, პოლიტიკური ელიტა. თბ. 1998 წ.

საკუთარ თავში შეიცავს რამდენიმე ჯგუფს, რომლებიც უშუალოდ ან ირიბად მონაწილეობენ მართვის პროცესში, სადაც შეიძლება შედიოდეს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, იდეოლოგიური, საზოგადობრივი და ელიტის სხვა სახეები, აქედან გამომდინარე, მმართველი ელიტა პოლიტიკური ელიტის ნაწილია. შეიძლება პოლიტიკური ელიტა პირობითად სამ ნაწილად დავყოთ: 1) მმართველი პოლიტიკური ელიტა, 2) საპარლამენტო ოპოზიციური პოლიტიკური ელიტა, 3) ხელისუფლების გარეთ დარჩენილი ოპოზიციური პოლიტიკური ელიტა.

თუ პოლიტიკურ ელიტას ანალიტიკური თვალსაზრისთ მივუდგებით, ჩვენს ქვეყანაში საინტერესო სურათს მივიღებთ. თავის დროზე რიგ დასავლურ ქვეყნებში (მათ შორის აშშ-ში, დი ბრიტანეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში) ჩატარდა მსგავსი ანალიზი, რომელმაც აჩვენა, რომ ყველაზე აქტიური ასაკი ამ ელიტაში შემავალი პირებისა არის 50-65 წელი; მათგან 60-დან 80%-მდე დამთავრებული აქვთ ერთი ან ორი უმაღლესი სასწავლებელი; აქედან უმრავლესობა მსხვილი მესაკუთრეა.

ჩვენი ქვეყნის დღევანდელი პოლიტიკური ელიტის საშუალო ასაკი 27-40 წელია. აბსოლუტური უმრავლესობა უმაღლესი განათლებითაა.

პოლიტიკურ ელიტას უკავშირდება **პოლიტიკური ლიდერის** პრობლემა, იგი არის პიროვნება, რომელიც მხოლოდ პოლიტიკურ პროცესებს ხელმძღვანელობს, შესწევს უნარი შეცვალოს და მოახდინოს პოლიტიკური პროცესების გააქტიურება საზოგადოებაში.

პოლიტიკის თეორიასა და პრაქტიკაში ჩამოყალიბებულია ლიდერისათვის საჭირო და აუცილებელი პროფესიული თვისებების ნუსხა. სასურველია, პოლიტიკურ ლიდერს გააჩნდეს: სამართლიანობა, ვაჟკაცობა, ზნეობრიობა, ანალიზის უნარი, ვითარებიდან გამომდინარე სწრაფი და სწორი გადაწყვეტილების მიღება, უნარი არგუმენტირებულად დაუპირისპირდეს სხვის პოზიციას, პოლიტიკური სიმწიფე, კომპეტენტურობა, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს პროფესიონალიზმი, ხალხის სიმპათიის მოპოვება, ორატორული ხელოვნება, იუმორის გრძნობა, ოპტიმიზმის დანერგვა,

სხვისი აზრის პატივისცემა, საკუთარი ხალხის ნების გამოხატვა. ამასთანავე მზადყოფნა კომპრომისებისათვის, ტაქტი, მოქნილობა და მანევრირება დიპლომატიაში. მაგრამ სასურველია იყოს «ჩუმი, მშვიდობიანი, დინჯი, არა მყვირალა და მჩხავანა... თუ იგი გულმხურვალებით არის გამთბარი, გულმოდგინეობით წარმართული, ერთგულებით ძირმაგარი და პატიოსნებით ნათელცხებული, ეს უტყუარი ნიშანია თვითონ მოღვაწის დიდბუნებოვნობისა»[1] წერდა თავის დროზე ილია ჭავჭავაძე.

ყველა ეს თვისება იდეალური ვარიანტისთვისაა დამახასიათებელი, მართლაც, «პრაქტიკულ პოლიტიკურ მოღვაწეობაში შეუძლებელია შეხვდე პოლიტიკურ ლიდერს, რომელიც ფლობს ყველა ამ თვისებას».[2]

სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ არა მხოლოდ პიროვნული თვისებები განსაზღვრავს ლიდერის მდგომარეობას, არამედ მისი მოღვაწეობის ეფექტურობას განაპირობებს დრო, თუ რა პერიოდში უხდება ლიდერს მოღვაწეობა, ინსტრუმენტები, რომელსაც ფლობს იგი (პოლიტიკური პარტია, საკანონმდებლო ორგანო, სასამართლოები დ ა.შ.) და სიტუაცია, რომელშიც აღმოჩნდა ლიდერი (მშვიდი, რთული, კრიზისული და ა.შ.). «ნურავინ ნუ იფიქრებს... ვითომც «მოღვაწე» ციდამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავისი დროისა, როგორიც სხვანი. მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულიად დამწიფებულია. ის თავისი ძლიერი მხრებით ამოიტანს, ამოიზიდავს ხოლმე მას, რაც თვით ცხოვრებაშია, ე.ი. ცხოვრების, შიგმდებარესა, მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავლისა».[3] ასეთ შეფასებას აძლევს ილია ჭავჭავაძე «პოლიტიკურ ლიდერს», ერის კაცს, მოღვაწეს და მის მიერ ჩამოყალიბებული მოთხოვნანი სავსებით თავსდება «პოლიტიკური ლიდერის» სასურველ თვისებებსა და ბუნებაში.

როდესაც პოლიტიკურ და სამართლებრივ სისტემაზე, მის მოდერნიზაციაზე ვმსჯელობთ, აუცილებელია ყურადღება **ელიტების თეორიას** მივაქციოთ, რომლის სამშობლოდ იტალია ითვლება; მათგან აღსანიშნავია ფსიქოლოგიური,

---

[1] იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. IV. გვ. 241.
[2] სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება (სალექციო კურსი), თბ., 2002, გვ. 94.
[3] იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. III. გვ. 57.

ორგანიზაციული და დემოკრატიული ელიტარიზმის თეორია, ელიტების პლურალიზმის კონცეფცია, ელიტების მემარცხენე-ლიბერალური კონცეფციები[1], რომლებიც გავლენას ახდენენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაციის პროცესზე, სამართლის თეორიასა და პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე.

გარკვეული სირთულეებით მიმდინარეობს თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების მოდერნიზაცია, გაძნელდა ეკონომიკური ბლოკის სტრუქტურული გარდაქმნა, საგადასახადო სისტემის ეფექტურობა, სამართალდამცავი სტრუქტურების ოპტიმიზაცია, საბაზრო ეკონომიკის სრულქმნა და ა.შ სამწუხაროდ, შედარებით ადვილია სტრუქტურების ცვლა, დასავლური მოდელების გადმოღება. გაცილებით ძნელია ტოტალიტარიზმის იდეოლოგიური ფსიქიკის გამოდევნა მოსახლეობის აზროვნებიდან. «სტალინისა და ბერიას» მიერ დანერგილი შიშის სინდრომი აქამდე შემორჩა მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში. «ეს პროცესები მეტ-ნაკლები წინააღმდეგობით, ინტერესთა დაპირისპირებით, სუბიექტივიზმის, არასახელმწიფოებრივი აზროვნების მომძლავრების, მატერიალური და მორალური დანაკარგების, მძლავრი კონსერვატიული აზროვნების პირობებში მიმდინარეობს»[2].

ამას დაემატა წლების მანძილზე სამართლებრივი ნიჰილიზმი და დაუსჯელობის სინდრომი, ეს ეხება განსაკუთრებით ეკონომიკურ სფეროს. ინიშნებოდნენ მინისტრები, დეპარტამენტის თავმჯდომარეები და სამსახურის უფროსები, რომლებიც ვერ ასრულებდნენ ბიუჯეტს, სისტემატიურად მიმდინარეობდა ეკონომიკის ვარდნა, რასაც მოჰყვა ხელფასების და პენსიების გაუცემლობა, საბიუჯეტო თანხების არადანიშნულებისამებრ ხარჯვა, შემოსული ინვესტიციების გაფლანგვა, მაგრამ არავის კანონის წინაშე პასუხი არ უგია.

არ შეიძლება არ დაეთანხმო პროფ. ჰ. კუპრაშვილს, რომელიც სამართლიანად წერს, «დღეისათვის საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული

---

[1] ა. ტუკვაძე, დას. ნაშრ.
[2] იხ. პოლიტოლოგია, პროფ. ო. გოგიაშვილის რედაქციით. თბ. 2003 წ. გვ. 275.

პროცესები გადმოღებული და ნაკარნახევი დასავლური იდეების, როგორც დადებით, ისე უარყოფით გავლენას განიცდის. მოდერნიზაციაგავლილი მრავალი ქვეყნის მსგავსად საქართველოც გადაიქცა ხელოვნურად «იმპლანტირებული» დემოკრატიის ქვეყნად, რაც არ გამორიცხავს შინაგან სერიოზულ რღვევას. საქართველოში მიმდინარე მოდერნიზაციის პროცესმა, ჯერჯერობით, პრაქტიკულად ვერ მოიტანა არსებული პოლიტიკური სტრუქტურების სტაბილიზაცია.» მას ბევრი შემფერხებელი მომენტი გააჩნდა, ეს იყო ქვეყანაში არასტაბილური სოციალურ-პოლიტიკური კლიმატი, ქვეყნის დარღვეული მთლიანობა, პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა სიმრავლე, სახელმწიფო კორუფციის მაღალი დონე, ეკონომიკური სფეროების კლანებს შორის განაწილება, კონტრაბანდის მაღალი დონე, «ქურდული მენტალიტეტის» დამკვიდრება, ყოფილ პოსტსაბჭოურ სივრცეში 500-მდე ე.წ კანონიერ ქურდსა და ავტორიტეტს შორის 50%-ზე მეტი ქართველი ან საქართველოს მოქალაქეა, რომელთა გავლენა საკმაოდ დიდია და ხშირად მათი ინტერესთა სფერო ეჯაჭვება პოლიტიკური ელიტის ინტერესებს[1] (ეს განსაკუთრებით იკვეთებოდა ადგილობრივი თუ საპარლამენტო არჩევნების დროს). ამას ემატება ქვეყანაში მიმდინარე რადიკალური რეფორმების არასანქცირებული ჩატარება. მას პერმანენტული და უწყებრივი ხასიათი გააჩნდა, ამასთან მათი უმრავლესობა არ იყო გარანტირებული და ეკონომიკურად უზრუნველყოფილი.

დასკვნა ასეთია, საქართველო ამჟამად იმყოფება პოლიტიკური და სამართლებრივი მოდერნიზაციის ახალ ფაზაში, რომელსაც ესაჭიროება დიდი ძალისხმევა დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით საბაზრო ეკონომიკის მექანიზმისა და რეზერვების მთელი ძალით ამოქმედება, ეროვნული პოლიტიკური იდეოლოგიის სასწრაფო შემუშავება და ცხოვრებაში განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მოსახლეობის კონსოლიდაციას.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაციის პროცესი უნდა ეყრდნობოდეს პოლიტიკურ პრაგმატიზმს, რომელიც რეალიზმის მაქსიმალური დაცვით უნდა წარიმართოს. რას

[1] იხ. გ. ლობჟანიძე, გ. ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბ., 2004 წ. გვ. 109.

გულისხმობს პოლიტიკური პრაგმატიზმი? მისი განხორციელების ძირითადი მიზანი უნდა იყოს ეროვნული ინტერესების დაცვა და რეალიზაცია, რაც იქნება გლობალიზაციის წნეხის პირობებში ეროვნული სახელმწიფოებრიობის დამკვიდრების გარანტი. სამართლის თეორია და საერთაშორისო სამართალი იცნობს სამართლის ოჯახებს (სისტემებს). ისტორიულად ცნობილია, ქართულმა სამართალმა თავის დროზე რომანულ-გერმანული სამართლის რეცეფცია განიცადა. ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს, რასაც პოლიტიკური ხედვა და მართვა სჭირდება.

დღეს, ჩვენი აზრით, უნდა შეირჩეს დასავლური დემოკრატიის ისეთი მოდელი, რომელიც რეალიებისა და ტრადიციების გათვალისწინებით ყველაზე მისაღები იქნება თანამედროვე საქართველოსათვის. ბოლო პერიოდის სამეცნიერო პოლიტიკურ და სამართლებრივ ლიტერატურაში ძირითადად განიხილება ოთხი სამართლებრივი სისტემა[1] – რომანულ-გერმანული, საერთო სამართალი, ტრადიციული და სოციალისტური. რაც შეეხება პოლიტიკურს, ესენია – დემოკრატიული, ინდუსტრიული, ავტორიტარულ-ინდუსტრიული, ავტორიტარულ-გარდამავალი და დემოკრატიული ინდუსტრიამდელი. ამ კონცეფციის ავტორი გახლავთ ამერიკელი პოლიტოლოგი გ. ალმონდი[2].

როდესაც სამართლებრივ და პოლიტიკურ სისტემებზე (ოჯახებზე) ვსაუბრობთ, ეს შემთხვევითი არაა, რადგანაც ისინი ერთმანეთზე დიდ გავლენას ახდენენ. გარდა ამისა, დასავლური პოლიტოლოგია განიხილავს საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ორ კონცეფციას – სამართლებრივსა და სოციოლოგიურს. მათი სინთეზის საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია: ა) საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების ინტერესთა გათვალისწინებით «საერთო მოქმედების ნიადაგის» ახალი კონცეფციის შემუშავება და პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაცია. ბ) საზოგადოების პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის ამაღლებაზე ზრუნვის სახელმწიფოებრივი პროგრამის ჩამოყალიბება, რაც წესრიგის განმტკიცების ერთ-ერთი გარანტი იქნება. გ) სახელმწიფოს მხრიდან

---

[1] იხ. რ. დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები. თბ., 1993 წ. გვ. 429-431.
[2] Алмонд Г., Пауэлл Дж., Стром К., Далмон Р. Сравнительная политология сегодня: Мировой обзор. «Аспект Пресс». 2002. с. 98.

ეროვნული იდეოლოგიის საჭიროების აღიარება და პროირიტეტული პროგრამის შექმნა, რაც თავისთავად მოხსნის ძალიან ბევრ გადაუჭრელ პრობლემას, მათ შორის ხელს შეუწყობს ქვეყანაში პოლიტიკური კონფლიქტების მოგვარებას. დ) სანამ არ მოხდება ორი სერიოზული პრობლების გადაწყვეტა, როგორიც არის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და გახლეჩილი საზოგადოების გაერთიანება, პოლიტიკური სტრუქტურა სრულფასოვან სახეს ვერ მიიღებს. ე.ი. სახელმწიფო სრულყოფილი სახით არ შედგება. ე) ინფორმაციული გლობალიზმის პირობებში, საჭირო იქნება სტაბილური და უწყვეტი საინფორმაციო სივრცის დადგენა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და პოლიტიკურ სტრუქტურებს შორის, რითაც კანონის შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო საიდუმლოებისა და სხვა მონაცემთა დაცვა.

ზემოთქმულის გარდა, ბევრი რამის გათვალისწინება და ცხოვრებაში განხორციელებაა საჭირო იმისათვის, რომ საქართველო იქცეს თანამედროვე მყარ ეროვნულ სახელმწიფოდ, რომელიც არა თუ გაუძლებს გლობალიზაციის პროცესებს, არამედ სათანადო ადგილს დაიჭერს კავკასიაში, ევრაზიული ინტეგრაციის პროცესში, მსოფლიო სისტემაში და მაქსიმალურად დაიცავს ეროვნულ ღირსება-ღირებულებებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. საბოლოოდ, პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაცია ორგანულადაა დაკავშირებული სახელმწიფო მოწყობისა და მართვა-გამგეობის ფორმების ჩამოყალიბებასთან, რომელთა შესწავლა, განხილვა და ანალიზი უფრო ნათელს მოფენს კვლევის საგანს.

§2. საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმათა თავისებურებანი

ნათელი ხდება, რომ მესამე ათასწლეულს კაცობრიობა ახალი მიღწევებითა და პრობლემებით შეხვდა. დაიწყო ინფორმაციული და ტექნიკური პროგრესის არნახული ეპოქა, რამაც გამოიწვია სხვადასხვა სახელმწიფოების ერთმანეთთან დაახლოება, ეს კი ხელს უწყობს მსოფლიოს პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური სისტემების ინტეგრაციას, ანუ გლობალიზაციას.

ბუნებრივია, სახელმწიფოს, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ წარმონაქმნს, ახასიათებს განვითარების ტრადიციული კანონზომიერებანი, მაგრამ წინსვლის მთავარ იმპულსებს იგი დინამიურად განვითარებად საზოგადოებასთან ურთიერთობის შედეგად ღებულობს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გლობალიზაციის ცალსახა ცნება დღემდე შემუშავებული არ არის, მაგრამ პირობითად გლობალიზაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც ისტორიულ-ობიექტური პროცესი, ანუ იგი არის პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, იდეოლოგიის, რელიგიის ინტეგრაცია, აფართოებს ხალხებს, ერებს და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების მასშტაბებს. პირდაპირი გაგებით ტერმინი «გლობალიზაცია» 1983 წელს გამოიყენა ამერიკელმა ტ. ლევიტმა.

თეორიულად ცნობილია, რომ სახელმწიფოთა ევოლუციის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ცივილიზაციის, როგორც საზოგადოების მატერიალური და სულიერი მიღწევების ერთობლიობაა, რაც მათ სრულყოფასა და დემოკრატიის განვითარებას ემსახურება, ამასთან საჭიროა გლობალიზაციის პირობებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ინტერესებს შორის ბალანსის შენარჩუნება.

როდესაც ვმსჯელობთ სახელმწიფოთა პოლიტიკური განვითარების ევოლუციაზე, მისი მიმდინარეობის პროცესი უნდა იყოს კონკრეტული და არაზოგადი, გარდა გამონაკლისებისა, რომლებსაც არ გააჩნია გარკვეული ემპირიული შინაარსი, საბოლოოდ მასში მოიაზრება «ძველის ნანგრევებზე» ახალი ისტორიული სისტემის აღმოცენება.

თანამედროვე სახელმწიფომ გლობალიზაციის პირობებში მოდერნიზებული მიდგომებით დაიწყო თავისი საქმიანობის განხორციელება საზოგადოებრივი ცხოვრების, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ-სამართლებრივ და კულტურულ სფეროებში ახლად შექმნილი დაწესებულებების, ორგანოებისა და საერთაშორისო კორპორაციების მეშვეობით, რომლებიც მოწოდებულნი არიან მსოფლიო თანამეგობრობის ფარგლებში უზრუნველყონ სახელმწიფოთა სამართლებრივი და ეთიკური ქცევის ნორმების შემუშავება და მათ განხორციელებაზე მონიტორინგის დაწესება. მათ უნდა განსაზღვრონ თანამშრომლობისა და წარმოშობილი პრობლემის გადაჭრის გზები და პრინციპები. უხეშად არ ჩაერიონ სახელმწიფოს ფუნქციებში. გაეროს მონაცემებით ამ პერიოდისათვის მსოფლიოში ფუნქციონირებს 60-ათასი ტრანსნაციონალური კორპორაცია, რომელთა გავლენის ქვეშ მოქცეულია სხვადასხვა ქვეყანაში განლაგებული 450 ათასზე მეტი კომპანია და განყოფილება. ბოლო 30 წლის განმავლობაში ამ ორგანიზაციათა აქტივები გაიზარდა 17 დან 30%-მდე. ხოლო ტრანსნაციონალურ კორპორაციათა რაოდენობა წინა საუკუნის ბოლო მეოთხედში – 5-ჯერ.

არსებობს სხვა მოსაზრებაც.

მეცნიერთა ნაწილის აზრით, მსოფლიო პოლიტიკური და სამართლებრივი წესრიგის ისტორიულ საფუძვლებს არყევენ ტრანსნაციონალური კორპორაციები და ორგანიზაციები. ამ ფონზე მცირდება სუვერენული სახელმწიფოების ეკონომიკურ-პოლიტიკური როლი და ამ სფეროებში მართვის ბერკეტები თანდათანობით გადადის ტრანსნაციონალური სტრუქტურების ხელში. გარდა ამისა, ხელსაყრელი პირობები იქმნება გლობალიზაციის სუბიექტების ცენტრისა და პერიფერიის ინტერესთა დაპირისპირებისათვის. ეს პროცესები კი ხელს შეუწყობს თვით სუვერენულ სახელმწიფოში პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და იდეოლოგიური ხასიათის შიდა და გარე ფაქტორების შეუთავსებლობას.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ პროფ. ს. ალექსეევი წერდა: «შეინიშნება სახელმწიფოს წასვლა ეკონომიკიდან, სამეურნეო ცხოვრებიდან»[1]. უკანასკნელი

[1] Алексеев С.С. Теория Государства и право, М. 1993 г.с.12-20

პერიოდის იურიდიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრებანი, გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს როლის დაქვეითების თაობაზე,[1] თუმცა სხვადასხვა სფეროს მკვლევარები ამ პრობლემას განსხვავებულ შეფასებას აძლევენ.[2] ასე რომ, ს. ალექსეევის მიერ გამოთქმული ეჭვი რეალობას არ უნდა იყოს მოკლებული.

გლობალიზაციის პირობებში მცირდება შესაძლებლობა ცალკეულმა სახელმწიფომ ოპერატიულად გადაწყვიტოს საკუთარი ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების ამოცანები, ხელისუფლებას არ ძალუძს მოსახლეობის წინაშე წამოჭრილი ზოგიერთი პრობლემის (ეს ეხება საბაჟო პოლიტიკას, ეკონომიკის სფეროს) დროულად მოგვარება. ამასთან ერთად, გვინდა არ გვინდა მაინც იზრდება რეგიონალური და საერთაშორისო არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების როლი და გავლენა. დღეს უკვე ისინი ქმნიან საერთო პოლიტიკას ამ მიმართულებით. ერთი რამ აშკარაა, მსოფლიოში მიმდინარე გლობალურმა სოციალ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ტენდენციებმა შეცვალა მსოფლიო წესრიგის სახე, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ ეჭვის ქვეშ დადგეს სახელმწიფოს უზენაესობის პრინციპი. რეგიონალურ დონეზე ფრაგმენტაციის მოვლენათა ასეთი განვითარება შეიმჩნევა ადგილობრივ დონეზეც, რაც აძლიერებს სახელმწიფოში ეთნიკური და ე.წ. «ეროვნული თვითგამორკვევის სურვილს, ასეთი ტენდენციები ძირს უთხრის ქვეყნის უნარს სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში განახორციელოს საეთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები, დაიცვას სუვერენიტეტი და ქვეყნის მთლიანობა. ამ პროცესებს ვერც საქართველო გადაურჩა. მხედველობაში გვაქვს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და სახეზე გვაქვს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული დამოუკიდებელი რესპუბლიკები. ყოველივე ეს ხელს უწყობს ქვეყანაში მიმდინარე ნეგატიურ მოვლენებს და აფერხებს თანამედროვე სუვერენული სახელმწიფოს მშენებლობას.

---

[1] იხ. Удовин С.Глобализация. Семиотические подходи. М.2002 В.Колосов, Н.Мироненко. Геополитика и политическая география. М. 2002г.

[2] იხ. Теория государства и права под. ред. В.Корельского и В.Перевалова. М.1998г. 123-125

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მზარდი ეკონომიკური ურთიერთკავშირი, ინტერნეტისა და გლობალური მედიის ზეგავლენა ცვლის მსოფლიო წესრიგის გაგების ფუნდამენტალურ საკითხებს. სახელმწიფო უკვე აღარ არის წამყვანი ძალა მსოფლიოს დონეზე, რადგან გლობალური საბაზრო ძალები, ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და ბანკების სახით, მნიშვნელოვნად მოქმედებენ მასზე.

აქედან გამომდინარე, კაცობრიობის წინაშე დგას გლობალური პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელი გახდება მხოლოდ ყველა სახელმწიფოს ერთიანი ძალისხმევით.

ამ კონცეფციას ბევრი ცნობილი მეცნიერი იზიარებს და ასაბუთებენ კიდევაც,[1] რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნების ფორმასთან კავშირს წყვეტენ, არა იმისათვის, რომ ეროვნული სახელმწიფოთა ანარქიის ადგილზე მსოფლიო ბაზრის სისტემას აყენებენ, არამედ საერთაშორისო პოლიტიკის ორი განსხვავებული ფაზის გამო – ასე მაგ. როზენაუს მიხედვით, სისტემაში გლობალიზაცია ნიშნავს, რომ კაცობრიობას უკან დარჩა საერთაშორისო პოლიტიკის ასწლეული, როცა ეროვნული სახელმწიფოები დომინირებდა და მონოპოლიზაციას უწევდნენ ერთმანეთს. დაიწყო პოსტინტეგრაციული პოლიტიკის საუკუნე, როცა ეროვნული სახელმწიფოებრივი ორგანოები იძულებული არიან გლობალურ არენაზე ხელისუფლება გაუნაწილონ ინტერნაციონალურ ორგანიზაციებს, ტრანსნაციონალურ კონცერნებს და ტრანსნაციონალურ სოციალურ და პოლიტიკურ მოძრაობებს. აღნიშნული ემპირულად ვლინდება იმაში, რომ მთელმა რიგმა ინტერნაციონალურმა ორგანიზაციებმა, მათ შორის არასამთავრობოებმა (მაგ. გრინპირი) მიაღწია არნახულ გავლენას და ეს გავლენა როგორც სჩანს კვლავ გაიზრდება.[2]

დღეს ნათლად იკვეთება ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის აქტიური ჩარევა ეროვნულ-სახელმწიფოების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. მაგ. სოროსის ფონდის აქტიურობა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც. საქართველოს ექსპრეზიდენტმა თავის დროზე არაერთგზის

---

[1] იხ. Лукашук И.И. Глобализация, государство право, XXI век. М, 2000, с.8

[2] იხ. ულრიხ ბეკი, რა არის გლობალიზაცია? თბ. 2003. გვ. 51-52.

აღნიშნა ამ ფონდის არასასურველი აქტიურობა პოლიტიკაში და იგი შეაფასა, როგორც სუვერენული ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევად. რამდენი მსგავსი საერთაშორისო ორგანიზაციის ზეწოლას განიცდის ეროვნული სახელმწიფო, მაგრამ საზოგადოებრიობისათვის ცნობილი არ არის იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ მათი საქმიანობა არ ეწინააღმდეგება მმართველი ელიტის ინტერესებს.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის და ახლადდაწყებული მსოფლიო ინტეგრაციის პროცესის, აგრეთვე მსოფლიო ბაზრის შექმნის ზემოქმედებით სახელმწიფოს ფუნქციებში გაჩნდა ახალი მიმართულება – გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით სახელმწიფოებთან დაახლოება, სხვადასხვა სფეროებში თანამშრომლობის განხორციელების მიზნით.

პროფ. ვ. ჰანკელის მტკიცებით, ამჟამად სახელმწიფო და ეკონომიკური საზღვრები არ ემთხვევა ერთმანეთს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არც ერთ სახელმწიფოს აღარ ძალუძს მართოს თავისი ეკონომიკა, თუ კი ის ამას მაინც შეეცდება, მთელი კაპიტალი, უმაღლესი მენეჯმენტი გადაადგილდება საზღვარგარეთ, იქ სადაც იურიდიული აქტები, რომლებიც წარმოების რეგულირებას ახდენენ, უფრო ლიბერალური და ხელსაყრელია განვითარებისთვის. არსებობს უფრო კატეგორიული მოსაზრებაც. პროფ. ნ. ბიმსის აზრით, ეროვნულ სახელმწიფოთა სისტემა რეაქციულ როლს ასრულებს მსოფლიო საწარმოო ძალების განვითარებაში.

გლობალისტთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ ეროვნულ სახელმწიფოში შეუძლებელი გახდება დიდი გადაწყვეტილებებიდან პატარას გამოტანა, ამგვარად ხელისუფლების დამკვიდრებული ცნების კრიზისი აისახება გადაწყვეტილების პროცესზეც. გადაწყვეტილებები მიიღება უკვე არა ხაზოვან მოდუსში, როცა ყოველ კორპორაციას მკაფიოდ განსაზღვრული კომპეტენციის სფერო გააჩნია. ჟან-მარი გუენო წერს, «ერის აღსასრული თავის თავში პოლიტიკის გარდაცვალებასაც მოიცავს». მის ამ კონცეფციას ულრიხ ბეკი ასეთ განმარტებას აძლევს: «გლობალურობის ერაში ეროვნული სახელმწიფოს, ასევე დემოკრატიის დასასრულის დასაწყისს ხედავს».[1] მისი აზრით, ამ დებულების მომხრეები

[1] იხ. ულრიხ ბეკი, რა არის გლობალიზაცია? თბ., 2003, გვ. 142.

უშვებენ გარკვეულ დრომდე ერთდროულად ეროვნული სახელმწიფოს არსებობას. ტრანსნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესში ამის შესაძლებლობას შემდეგნაირად ასაბუთებენ, – ეროვნული სახელმწიფო საბოლოოდ არ მოძველებულა, შეუძლებელია მისი გვერდის ავლა, იგი აუცილებელია არა მარტო იმისათვის, რომ უზრუნველყოთ შიდა პოლიტიკა და გეოპოლიტიკა, პოლიტიკური უფლებები და ა.შ. არამედ იმისთვისაც, რომ პოლიტიკურად გავაფორმოთ და მათი დახმარებით ტრანსნაციონალურად მოვაწესრიგოთ გლობალიზაციის პროცესი. ე.ი. ტრანსნაციონალური სახელმწიფოები წარმოადგენენ ძლიერ სახელმწიფოებს, რომელთა პოლიტიკური ფორმების შემქმნელი ძალაუფლების მნიშვნელობა იზრდება გლობალიზაციის ჩამოყალიბების პროცესში. ასეთ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების წინაპირობებით ჩნდება «მესამე გზის» ტრანსნაციონალური სახელმწიფოები, რომლებიც წარმოადგენენ შუალედურ ჰიბრიდულ მოდელს, რომლის ძირითადი ნიშანთვისებები დღითიდღე იდეალურად ერწყმის ერთმანეთს.

ტრანსნაციონალური სახელმწიფოს მოდელი ზღუდავს ეროვნულ სახელმწიფოს, მაგრამ ამკვიდრებს ახალ სახელმწიფოს (როგორც ცნებას). სახელმწიფოს გაგება თავისუფლდება ეროვნული სახელმწიფოს ტერიტორიული თეორიის მახისაგან და გზა ეხსნება სახელმწიფოს ისეთ გაგებას, რომელიც: 1. აღიარებს გლობალობასა და მის მრავალგანზომილებიანობას, როგორც შეუქცევად საბაზო მდგომარეობას; 2. ახალ პოლიტიკურ ასპექტში, განსაზღვრავს და ააღორძინებს არა მარტო სახელმწიფოს, არამედ სამოქალაქო საზოგადოებას. ხაზგასასმელია ერთი მომენტი ტრანსნაციონალური სახელმწიფოები იმავდროულად არ წარმოადგენენ ეროვნებათაშორის და ეროვნებათა ზესახელმწიფოებს.

ფრიც ვ. შარფის კონცეფციის მიხედვით მთავარი განსხვავება იმაშია, რომ ტრანსნაციონალური სახელმწიფოების თეორიის ჩარჩოებში (მრავლობითი რიცხვი აუცილებელია) კოორდინატთა პოლიტიკური სისტემა ყალიბდება უკვე არა ერთი ერის შეზღუდვისა და მათი ურთიერთდაპირისპირებისაგან, არამედ გლობალიზაციის ღერძის გასწვრივ – ლოკალიზაციით ე.ი. ტრანსნაციონალური

სახელმწიფოები წარმოადგენენ ლოკალურ სახელმწიფოებს, რომლებიც ინკლუზიური განსხვავების პრინციპის თანახმად, თავის თავს მსოფლიო საზოგადოების პროვინციად განიხილავს და ამის შესაბამისად, იკავებს თავის ადგილს – მსოფლიო ბაზარზე, მრავალპოლუსიან მსოფლიო პოლიტიკაში.[1]

დასკვნა ერთია, გლობალიზაციის, ნეოლიბერალიზმის პოლიტიკა აშკარად უქმნის საფრთხეს ეროვნულ-სახელმწიფოს, მაგრამ მსოფლიო ბაზრის პოლიტიკა ქმნის ტრანსნაციონალური საზოგადოებებისა და კავშირების შექმნის გარდაუვალობას. ეს პროცესი დამოკიდებულია იმაზე, თუ სად, როგორ და რამდენად იგებს სახელმწიფო პოლიტიკა და სწავლობს გლობალიზაციის «როგორც გაახალგაზრდავების კურსის გამოყენებას».

თანამედროვე პერიოდში ნაციონალურ სახელმწიფოთა როლსა და მნიშვნელობაზე ბევრს საუბრობს ჟოლერსტაინი თავის მონოგრაფიაში, «თანამედროვე მსოფლიო სისტემა». ავტორი განიხილავს ნაციონალური სახელმწიფოების ეკონომიკური და პოლიტიკური უთანასწორობის არსებობას ჯერ კიდევ XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისამდე ამ ადრეულ პერიოდში მსოფლიო მეურნეობა იძენს იმპერიის მასშტაბებს და ზოგიერთ თვისებებს: ეს «მსოფლიო» სისტემა ვერ უზრუნველყოფს იმას, რომ მან მოიცვას მთელი მსოფლიო, იმიტომ რომ ის მეტია, ვიდრე ნებისმიერი იურიდიულად განსაზღვრული პოლიტიკური ერთეული და ეს «მსოფლიო ეკონომიკა». მართალია მათ ნაწილებს შორის ძირითად კავშირს წარმოადგენს ეკონომიკა, გამაგრებული გარკვეულწილად კულტურული კავშირებით და პოლიტიკური დადგენილებებით ასევე კონფედერაციული სტრუქტურებით».

ნაციონალური სახელმწიფოების როლსა და მნიშვნელობას საინტერესოდ წარმოადგენს ი. დევიატკო. მისი აზრით, ნაციონალური სახელმწიფოები მსოფლიო ეკონომიკის ორგანიზაციის პოლიტიკური ერთეულებია, რომლებიც უზრუნველყოფენ კაპიტალისტური წარმოშობის მდგრადობას და თავის თავზე იღებენ საბოლოოო დანახარჯებს. ეს უკანასკნელი გარემოება საშუალებას იძლევა გავიგოთ თითოეული ნაციონალური სახელმწიფოს მიერ დიდი ეკონომიკური

[1] იხ. ულრიხ ბეკი, რა არის გლობალიზაცია? თბ. 2003 წ. გვ. 145.

აგენტის როლის შენარჩუნების მიზეზები, რომლითაც ხორციელდება ცენტრალიზებული ფისკალური პოლიტიკა და რომელიც ფლობს მონოპოლიას კაპიტალისტური ეკონომიკის ძირითად საგადასახადო საშუალებებზე – ფულზე. ისინი უზრუნველყოფენ გლობალურ მასშტაბებში კაპიტალისტური სისტემის ექსპანსიას.

ასეთი მიდგომები საერთო ტენდენციაა და ჩვენი პლანეტის სახელმწიფოების ევოლუციის მთავარი ხაზია, თუმცა თანამედროვე ეტაპზე ზოგიერთი სახელმწიფოს განვითარება ხშირად ძალზე წინააღმდეგობრივია. ზიგზაგები, უკან მობრუნება, გაუთვალისწინებელი ვარდნა ერთი უკიდურესობიდან მეორეში. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახელმწიფო ვიწროპარტიულ მიზნებს და ამოცანებს ემორჩილება, ხანდახან ამ განვითარებას ფრიად წინააღმდეგობრივს ხდის. გლობალიზაციის პროცესში ასეთი ქვეყნის სახელმწიფო სუვერენიტეტი საფრთხის წინაშე შეიძლება დადგეს. და კიდევ ერთი საკითხი – დემოგრაფიული პრობლემა. სამწუხაროდ, ეს პროცესი ყველა ქვეყნისათვის სასურველი შედეგებით როდი მთავრდება. მაგ. მკვლევართა აზრით, ჩინეთის დემოგრაფიული ზრდა საფრთხეს უქმნის რუსეთს.[1] მათ გააჩნიათ ტერიტორიული პრეტენზიები, გარდა ამისა, ჩინური წარმოების საქონელი ნელ-ნელა იპყრობს მსოფლიო ბაზარს და მათი დემოგრაფიული გამრავლება თავისთავად დიდი პრობლემაა.

სამაგიეროდ, საზღვრების ლიბერალიზაციამ სასაზღვრო და სავიზო სამსახურებში ღრმადგამჯდარმა კორუფციამ ხელი შეუწყო საქართველოს მოქალაქეთა ლეგალურ და არალეგალურ ემიგრაციას. არაოფიციალური ცნობებით ქართველ იმიგრანტთა რიცხვმა მილიონს მიაღწია, თუ ამას მივამატებთ გამრავლების კოეფიციენტის მინიმუმამდე შემცირებას, ადვილი წარმოსადგენია ყოველივე ეს რა მდგომარეობამდე მიიყვანს ქვეყანას. გარდა ამისა, მსოფლიო გლობალიზაციას არ აინტერესებს ცალკეულ ქვეყნებში მკვიდრი მოსახლეობის განვითარების პერსპექტივები და მით უმეტეს მათი ეთნოკულტურული მემკვიდრეობის პრობლემები. ასი წლის წინათ ამ

[1] იხ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიულეტენი, 2000, №2, გვ. 30.

საშიშროებაზე ილია ჭავჭავაძე წერდა: «ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა – შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ».[1] დიდი ჰუმანისტი და მოაზროვნე მომავლის პრობლემას წინასწარ ჭვრეტდა, თუმცა სიტყვა გლობალიზაციას არ ხმარობდა, მაგრამ ბრწყინვალედ ესმოდა, რომ ახალი საუკუნე მსგავს მოვლენას შობდა, და ამისათვის შემოკრა ზარი, ერის წინაშე კი დააყენა საჭირბოროტო საკითხი: «ვართ კი ყოველივე ამისათვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით?»[2]

ჩვენს საზოგადოებაში ამ კითხვაზე დღესაც კი არ არის ცალსახა პასუხი, ერთი ნაწილი თვლის, რომ მრავალეროვანი სახელმწიფოები და მათი კულტურები შთანთქავენ პატარა ერებს და მათ ცივილიზაციებს, მათ შორის ჩვენსასაც. რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. გლობალიზაცია ისტორიულ-შეუქცევადი პროცესია, რომელიც ერთნაირად ემუქრება როგორც დიდ, ასევე პატარა ერებს, რომლებიც არ გაიცნობიერებენ და არ გაითვალისწინებენ იმ მოსალოდნელ შედეგებს, რაც თან შეიძლება ახლდეს ამ პროცესს, რომელიც უნდა მივმართოთ ეროვნული კულტურის აღორძინებისა და ცივილიზაციებს შორის ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად. ეს კი შესაძლებელი იქნება ერის ინტელექტუალური და მწარმოებელი ძალების პოტენციურ შესაძლებლობათა მაქსიმალური ამოქმედებით, დასაძლევია დღემდე შემორჩენილი, ვიწროპარტიული პროვინციული მოსაზრება «ვინც ჩვენთან არაა, მტერია». წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება «დინების საწინააღმდეგო ცურვა» თავისი შედეგებით.

---

[1] იხ. ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 176.
[2] იქვე.

გლობალიზაციის პრობლემა ყველა დროის სახელმწიფოს ეხებოდა და ცნობიერად თუ არაცნობიერად გავლენას ახდენდა მისი ტერიტორიული მოწყობის თუ მმართველობის ფორმაზე.

სახელმწიფოებრიობის განვითარების ისტორია მოწმობს, რომ ყველა საუკუნეში სხვადასხვა სახელმწიფო ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა შინაგანი სტრუქტურით, ტერიტორიული დაყოფით (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, ავტონომიური, პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი წარმონაქმნებია, რომლებიც სუვერენიტეტს ფლობენ), აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის ხარისხით (ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპით წარმოქმნილი. ეს ფენომენი აღინიშნება ტერმინით «სახელმწიფო მოწყობის ფორმა), რომელიც მოიაზრება, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ტერიტორიული ორგანიზაცია, სახელმწიფოს, როგორც მთელის, შეფარდება მის შემადგენელ ნაწილებთან.

სახელმწიფო მოწყობის ფორმა სხვადასხვაგვარია, ძირითადია უნიტარული და ფედერაციული, მესამე ფორმაა კონფედერაცია, მაგრამ იგი პირველ ორთან შედარებით იშვიათად გვხვდება[1].

საქართველო დიდი ხნის განმავლობაში მოკლებული იყო შესაძლებლობას დამოუკიდებლად განესაზღვრა თავისი სახელმწიფოს ფორმის საკითხი. ქართული მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიციების და ისტორიული განვითარების გაუთვალისწინებლად თავსმოხვეულმა სახელმწიფო წყობილების სისტემამ მრავალი რთული პრობლემა წარმოშვა, რომელთა გადაწყვეტაც ვერ მოხერხდება არსებული რეალობებისა და ახალი ქართული სახელმწიფოს წინაშე მდგარი მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინების გარეშე. ქვეყანა უნდა დაუბრუნდეს თავისი განვითარების ტრადიციულ ისტორიულ კალაპოტს, დროებით მოშლილ ბუნებრივ შინაგან ევოლუციას. ამასთანავე, ახალი სახელმწიფო წყობილების მოდელმა ხელი უნდა შეუწყოს

---

[1] იხ. Теория государства и права., под. ред. В. Корельского, В. Перевалова, М., 2000 г. стр. 179-182; აგრეთვე იხ. გ. ხუბუა, ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბ. 1996 წ.; გ. გოგიაშვილი, შედარებითი ფედერალიზმი, თბ., 2000 წ.

დაკარგული ტერიტორიის დაბრუნებასა და ქვეყნის მთლიანობის აღდგენას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ აღორძინებას.

ქართულ ისტორიოგრაფიაზე ზოგადი დაკვირვებაც კი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ჩვენი სახელმწიფოსათვის არ ყოფილა ტრადიციული მართვის ცენტრალიზებული მეთოდი, რაც ორგანული იყო რუსეთის და მსოფლიოს მრავალი სხვა ქვეყნისათვის.

საქართველო ყოველთვის შედგებოდა ეთნოგრაფიული, სამეურნეო და ეკონომიკური პირობებით განსხვავებული მხარეებისაგან, რაც მოითხოვდა თითოეული რეგიონის მართვის სპეციფიურ მიდგომას. საქართველოს სახელმწიფოებრიობაში არჩევანი მართვისადმი დეცენტრალიზებული მეთოდის სასარგებლოდ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში გაკეთდა, როდესაც ქართლის პირველმა მეფემ – ფარნავაზმა ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად ქვეყანა რვა საერისთაოდ დაჰყო და მათ სათავეში ერისთავები ჩაუყენა. ფარნავაზისეულმა სამხარეო დაყოფამ საუკუნეებს გაუძლო, მაშინაც კი, როდესაც საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფა არ ემთხვეოდა ჩვენს ისტორიულ ტრადიციებს, ქართველი ხალხის ფსიქიკიდან ვერ მოხერხდა რეგიონული მიდგომების ამოშლა.

წარსულში საქართველო არ ყოფილა ერთსახოვანი მთლიანობა, მაგრამ ყოველთვის იყო ინდივიდუალობისა და მთლიანობის გამოხატულება, ქართულ კულტურასა და საერთო ეროვნულ ცნობიერებაზე დამყარებული კრებული. ამას გამოხატავს გ. მერჩულეს მიერ საქართველოს სახელმწიფოს ასეთი განმარტება: «ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი აღესრულების».[1]

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის პერიოდში, ისტორიული ჭეშმარიტებაა რომ, უპირატესობა ყოველთვის მართვის დეცენტრალიზებულ მეთოდს ენიჭებოდა, მაგრამ სახელმწიფოებრიობის დაკარგვასთან ერთად, საქართველომ დაკარგა თავისი ისტორიულ-ტრადიციული განვითარების გეზი, მოიშალა ქართული სახელმწიფოს მართვის ტრადიციული

[1] გ. მერჩულე. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", თბ. 1982 წ. გვ. 32.

მეთოდები. ოქროს ხანის შემდეგ, საქართველო მონღოლეთის, ირანისა და თურქეთის, ხოლო შემდეგ რუსეთის იმპერიაში აღმოჩნდა ინკორპორირებული. 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი არსებითად ფედერალიზმის იდეას ეფუძნებოდა. რუსეთის იმპერატორის მფარველობაში შესულ საქართველოს მეფეს ქვეყნის საშინაო მართვა-გამგებლობაში უნარჩუნდებობა სრული დამოუკიდებლობა. რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო ჩვენს საშინაო საქმეებში, მაგრამ ამ ხელშეკრულების დარღვევით გაუქმებულ იქნა ქართული სახელმწიფოებრიობა. საქართველოსათვის უცხო იყო უკიდურესი რუსული ცენტრალური ბიუროკრატია, ამიტომ იგი ვერ ეგუებოდა შექმნილ სიტუაციას და თავდაპირველად აყენებდა მოთხოვნას რუსეთის სახელმწიფოს ფედერალიზმის პრინციპით მოწყობის შესახებ. ამით ცდილობდნენ საქართველოს მიეღო ავტონომია და აღედგინა გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. ამ ეტაპზე ქართული პოლიტიკური აზრი არ აყენებდა საქართველოს ფედერალიზაციის იდეას და მას რუსეთის სახელმწიფო წყობილებას უკავშირებდა.

ასეთი იყო 1904 წელს საქართველოში შექმნილი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პოზიცია. რუსეთის ფედერალიზაციის გზით საქართველოს უნდა მიეღო ავტონომია, რის შემდეგაც ის უფლებამოსილი გახდებოდა განეხილა საკუთარი ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი. არჩილ ჯორჯაძის «საერთო ნიადაგის» თეორიის პირველი პრობლემა ფედერალიზმის პრინციპით რუსეთის სახელმწიფოს მოწყობა და საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა იყო.[1] თერგდალეულებსა და არჩილ ჯორჯაძეს სრულ დამოუკიდებლობამდე ავტონომიის საფეხურის გავლა აუცილებლად მიაჩნდათ შემდეგ გარემოებათა გამო: სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ აღარ არსებობდა ქართული სახელმწიფო სტრუქტურები, ადგილობრივ სტრუქტურებსაც რუსი ჩინოვნიკები განაგებდნენ, არ არსებობდა ჯარი, პოლიცია, მოშლილი იყო ტრადიციული მეურნეობის ფორმები.

ავტონომიის მიღების შედეგად უნდა აღდგენილიყო ქართული სახელმწიფოებრიობა, ეროვნული სახელმწიფო სტრუქტურები და მეურნეობის

[1] იხ. არჩილ ჯორჯაძე, წიგნი პირველი, 1911 წ. გვ. 236-238.

ფორმები, აღორძინებულიყო ქართული კულტურა და ეროვნული თვითშეგნება. საქართველო უნდა მომზადებულიყო სრული დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად, რის შემდეგაც მას შესაძლებლობა მიეცემოდა განეხილა საკუთარი ქვეყნის ტერიტორიული და მართვა-გამგეობის ფორმების მოწყობის საკითხი.

ამ პრობლემის მოწესრიგებას დიდი დრო დასჭირდა, ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა, მაგრამ ტერიტორიული მოწყობის საკითხი კვლავ გადაუწყვეტელია. ამის გამოა, რომ საქართველოს კონსტიტუცია ამ საკითხს არ აკონკრეტებს, მხოლოდ 108-ე მუხლით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულ აღდგენასთან დაკავშირებით მოხდება კონსტიტუციის გადასინჯვა,[1] მანამდე კი ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირებისა და შემდგომი განვითარებისათვის ეროვნულ იდეოლოგიასთან და სამართლებრივ მემკვიდრეობასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის პრობლემის სწორ დაყენებასა და გადაწყვეტას. ეს იმიტომ, რომ მხოლოდ ამ საფუძველზე შევძლებთ წარმატებით გადავჭრათ «დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის», «იაფი მართვა-გამგეობის», «მართალი სამართლის», ადგილობრივი თვითმმართველობის და ეროვნული მემკვიდრეობის სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებიც.

დღეს ჩვენთან ბევრს კამათობენ ფედერალიზმისა და უნიტარიზმის შესახებ. აქაც საზოგადოება და მასთან ერთად, პოლიტიკური პარტიებიც ორ დაპირისპირებულ ბანაკად არის გათიშული: ერთნი კატეგორიულად მოითხოვენ ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირებას ფედერალიზმის პრინციპზე, მეორე მხარე კი, უნიტარიზმის თავგამოდებული მომხრეა და ფედერალიზმს ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველად თვლის. სწორია კი პრობლემის ასეთი დაყენება? რას გვეუბნება ამ მხრივ ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობა და როგორ შეიძლება მისი თანამედროვე ეპოქისადმი მისადაგება?

---

[1] იხ. საქართველოს კონსტიტუცია. თბ. 1995 წ. გვ. 62.

თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ საქმის არსი ცნებებში კი არაა, არამედ მის კონკრეტულ-ისტორიულ შინაარსშია. სწორედ ამ კუთხით იხილავდნენ ამ საკითხს ილია ჭავჭავაძე და არჩილ ჯორჯაძე და მას თვლიდნენ თვითმმართველობის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მართვა-გამგეობის განხორციელების საშუალებად. ერთიც და მეორეც ქვეყნის ყველა უბედურებას უკავშირდებდნენ იმას, რომ «ქართული წეს-წყობის ეს უმთავრესი დვრიტა ხელყოფილია და მის ნაცვლად «კიდით-კიდემდე გაბატონდა» მეტროპოლიის მიერ ხელოვნურად თავსმოხვეული ცენტრალიზირებული ბიუროკრატიული მართვა-გამგეობა. ამ მხრივ მეტად საინტერესო და ნიშანდობლივ პოლიტოლოგიურ ანალიზს გვაძლევს ილია ჭავჭავაძე:

«ქვეყნიერებაზედ მმართველობას ორგვარი წყობა და აგებულება ჰქონია და აქვს...

ერთგვარი მმართველობაა იგი, საცა სახელმწიფო ყველგან და ყოველგვარის საქმის მწარმოებელია... ყოველივე მისგან წარმოსდგება და ყოველივე მას ერთვის... ამგვარს მმართველობას ცენტრალიზაციას ეძახიან.

მეორეგვარი მმართველობა იგია, საცა სახელმწიფოს თვისნი ადგილობრივნი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი ადგილობრივი მმართველობისათვის, რაც სახელმწიფოს საერთო ვითარებას არ შეადგენს და არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სახელმწიფოებრივ ინტერესებს, იგი ქვეყნის მხარეების უცილობელი კუთვნილებაა... ჩვენი ხსნა თვითმმართველობასა და თვითშემოქმედებაშია, იგია დედა-აზრი»[1] – ასკვნის ილია.

ქვეყნის ფედერალურ მოწყობას მჭიდროდ და ორიგინალურად უკავშირებდა ცალკეული მხარეების, თემებისა და დაბა-სოფლების თვითმმართველობას არჩილ ჯორჯაძეც. მან კიდევ უფრო განავითარა ეს თემა იმით, რომ თვითმმართველობის და ფედერაციის იდეები მჭიდროდ დაუახლოვა ერთმანეთს და იგი მთელი კავკასიის მასშტაბით განავრცო. არჩილ ჯორჯაძეს სრულიად სამართლიანად მიაჩნდა, რომ რუსეთის კოლონიური უღლისაგან

[1] იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VI, გვ. 36-37.

განთავისუფლება კავკასიელ ხალხებს მხოლოდ ერთობრივი მოქმედებით შეეძლოთ. ეს ერთობა მათ კავკასიის ფედერაციით უნდა განეხორციელებინათ.

გაერთიანებული საქართველოს პოლიტიკურ სისტემას და ჩვენს მემკვიდრეობასაც რომ გადავხედოთ, მაშინდელი საქართველო, ფაქტიურად, კავკასიის თავისებურ ფედერაციას წარმოადგენდა. «ნიკოფსიიდან დარუბანდამდე» ვრცელ ტერიტორიას დავითის «ძალისხმევისა» დ თამარის «სათნოების ხაზი» ერთიან სამხედრო-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ორგანიზმად კრავდა. ქართულ პოლიტიკურ მოღვაწეთა კონცეფციებში ფედერალიზმის იდეა იმ მემკვიდრეობის თავისებური ანარეკლია, როცა «ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა» კავკასიის ერთიანობას კვებავდა. დღესაც ამ იდეას დიდი პრაქტიკული დატვირთვა აქვს, «კავკასიის ისტორიაში იწყება ფართო და საყოველთაო თანამშრომლობის, სახელმწიფოთა დაახლოების და უშიშროების ახალი ხანა»[1]

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლიანი დასკვნა, რომელიც ქართული პოლიტიკური აზროვნების მემკვიდრეობის ანალიზს ახლავს თან, ეკონომიკის გადამწყვეტი როლის ჩვენებაა ქვეყნის სამომავლო განვითარებისათვის. ქვეყნის პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალური სტაბილურობა მის გარეშე წარმოუდგენელია.

რა არის ეროვნული ეკონომიკა? როგორ უნდა განისაზღვროს მისი სტრტეგიული მიმართულებანი?

მკვლევართა შორის უკვე გაჩნდა მოსაზრება, რომ ეროვნული ეკონომიკა ფსიქიკურ მოვლენასთანაცაა დაკავშირებული, თითოეული ერის ფსიქიკური წყობა და მისგან გამომდინარე ცხოვრების წესი და სამეურნეო ტრადიციები თავის განუმეორებელ კვალს აჩნევენ სოციალ-ეკონომიკური განვითარების ისტორიულ თავისებურებებს. მხოლოდ ამით თუ ავხსნით თვით ერთი და იგივე გეოგრაფიულ და ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში მცხოვრები ხალხების

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 14 ნოემბერი, 1997წ. №285 (2638)

ეკონომიკური განვითარების ხშირად მეტად განსხვავებულ დონეს, ხასიათს და სტრატეგიულ მიმართულებებს.[1]

ქართველ ხალხს ათასწლეულების მანძილზე სამეურნეო განვითარებისა და ცხოვრების გარკვეული წესი გამოუმუშავდა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის განსაკუთრებულ ხასიათში და ქვეყნის ტრადიციულ აგრარულ-ინდუსტრიულ განვითარებაში. ამ ძალით ქვეყნის ინდუსტრიული წარმოება ყოველთვის აგრარული მეურნეობის განვითარებაზე იყო გათვლილი და აქცენტირებული. სწორედ ამის ასახვას წარმოადგენს «მიწისა და გუთნის» საქართველოს ილიასეული იდეალიც.

ქართულ პოლიტიკურ და სამართლებრივ სისტემას ყოველთვის ამაგრებდა შესაბამისი ეკონომიკური საფუძვლები. ეკონომიკურ მსოფლმხედველობაში «სამრეწველო-სავაჭრო კაპიტალს» უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლეოდა, მაგრამ ქვეყნისათვის მიწისა და სოფლის პრობლემები უმთავრეს «ეროვნულ კითხვას» წარმოადგენდა. საამაყოა ის, რომ ჩვენმა ისტორიამ, თვით ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებითაც კი, ფაქტიურად «უმიწაწყლო და გაბოგანოებულ-გაპროლეტარებული გლეხობა არ იცის.» ეს «ქართული წეს-წყობის» ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მონაპოვარია, რაც თავის მხრივ, განაპირობებდა ქართველი კაცის მკვიდრი, ბინადარი ცხოვრებისადმი განსაკუთრებულ მიდრეკილებას. ილია ჭავჭავაძე ამ ფაქტს «მეტად ღირსშესანიშნავ მოვლენას» უწოდებდა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას: ე.ი., დღევანდელი გაგებით, აგრარული პოლიტიკა უნდა განხორციელდეს კომპლექსურად, თანმიმდევრულად. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კონკრეტული ეტაპის თავისებურებათა გათვალისწინებით.»[2]

«მიწა, მამული, დედული, ნაფუძარი ჩვენთან სხვაა, არავისთან და არსად შესადარებელი... ამიტომაც ძნელია ჩვენთვის, გლეხკაცობისათვის ადგილიდამ დაძვრა, ამიტომაც იშვიათია ჩვენში უბინაოდ ტანტალი და სულ ცნობილი არ არის ერთგვარი დანაშაულობა, რომელსაც მაწანწალობა ჰქვიან. ამიტომაც ჩვენში

---

[1] იხ. გ. ლობჟანიძე, ასი წლის წინათ და ასი წლის შემდეგ, ქუთ. 1997, გვ. 146-147.
[2] დაწ. იხ. ნ. ჭითანავა, გარდამავალი პერიოდის სოციალურ–ეკონომიკური პრობლემები თბ, 1997 წ. 283-818.

ბინადარს მცხოვრებს «მკვიდრი» ჰქვიან და არა «მდგმური», როგორც ზოგიერთ ენაშია''.

ილია განსაკუთრებულ სოციალურ-ეკონომიკურ და მასთან ერთად, პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს «კომლს და კომლეული წყობილების ეროვნულ ტრადიციებს»

«...კომლი ჩვენს სოფელში წარმოადგენდა არამც თუ საზოგადოებრივ სხეულს, არამედ ეკონომიურსაც...

თუ ძველს დროთაგან დღემდე ამგვარს წყობას ჩვენის სოფლისას ძირი არ შეერყა და არ შეეცვალა, თუ დღევანდლამდე ამას წუნი არსაით უჩანს, არავინ უჩივის, არავისაგან შებღალული არ არის, ეს აშკარა საბუთია, რომ კომლეული წყობილება უფრო საკეთილოდ და სახეიროდ მიუჩნევია, როგორც თვით სახელმწიფოს, ისე თითონ გლეხკაცობასაც... საჭიროა ჩვენის ფიქრით, ეს ხელზედ მაგრად დაიხვიოს კაცმა მამულის გაყოფის საქმეში და გაკანონდეს».[1]

დღეს, როცა ამდენი კამათია მიწის რეფორმებზე, ადგილობრივ თვითმმართველობასა და სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებზე, საჭიროა ყურად ვიღოთ ილიას ეს ბრძნული რჩევაც. აქ ჩვენ მარტო მიწის კერძო საკუთრებას არ ვგულისხმობთ, თუმცა-ღა ილიას იგი გლეხურ-ფერმერულ მეურნეობათა განვითარების აუცილებელ წინაპირობად მიაჩნდა. მაგრამ იგი არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა მიწათმფლობელობის დანარჩენ 5 ფორმასაც, განსაკუთრებით კი, საკომლო და სათემო-სასოფლო მიწათმფლობელობას და ამ საფუძველზე წარმოშობილ სასოფლო-სამეურნეო კორპორაციულ გაერთიანებებს. სწორედ ეს ტენდენცია იკვეთება იმედის მომცემად დღევანდელ პირობებში. «უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საშუალოდ ერთ კომლზე მიწის ფართობი. თუ 1990 წელს საშუალოდ ერთ კომლზე 0,26 ჰექტარი მიწა მოდიოდა, 1995 წ. იგი 0,8 ჰექტარს შეადგენდა. გაიზარდა კომლთა რაოდენობაც. 1996 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქვეყანაში იყო 352 000 კომლი, მათ შორის 692,6 ათასი – სოფლად. მათ საკუთრებაში არსებულ მიწის საერთო ფართობში 9 000 ჰექტარი კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობებს, მოაგარაკეებს ეკუთვნით. 1990

[1] ნ. ჭითანავა, იქვე გვ. 285-286

წ. საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თითქმის 47% საკარმიდამო (კომლურ) მეურნეობაზე მოდიოდა. 1995 წელს მან 80% შეადგინა.»[1]

საინტერესოა ნ. ჭითანავას აზრი იმის თაობაზე, რომ საკომლო მეურნეობას სხვა დატვირთვაც აქვს, რომ იგი არამარტო საოჯახო-ეკონომიკური, არამედ ეროვნული და ამასთან ერთად სოციალურ-ისტორიული ფენომენიც არის.

სწორედ ამ გზით ახორციელებდნენ საუკუნეთა მანძილზე ჩვენი წინაპრები მარცვლეულზე ქვეყნის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. უფრო მეტიც, საქართველოს მარცვლეული ლამის მთელ კავკასიას ინახავდა. ასეთი საერთო-ეროვნული მნიშვნელობის დოკუმენტურ დაფიქსირებას «ქართლის ცხოვრება» პირველად შიო-მღვიმის მონასტრისადმი დავით აღმაშენებლის ანდერძში მოიხსენიებს.[2]

«ივერიის» სარედაქციო წერილების განთქმულ ციკლში – «ცხოვრება და კანონი», ილია ყოველთვის ხაზს უსვამდა ეროვნული ეკონომიკისათვის «ეროვნული ცხოვრებიდან აღმოშობილი» სამეურნეო ტრადიციების აღორძინების გადამწყვეტ მნიშვნელობას.

არჩილ ჯორჯაძეც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ეროვნული ცხოვრების ამ ტრადიციების «აღორძინებასა და სამართლებრივი ნორმებით დაკანონებას». იმოწმებდა რა ივ. ჯავახიშვილს, იგი იძლეოდა მეტად მნიშვნელოვან დასკვნას, რომ სწორედ სოფლის თვითმმართველობის დემოკრატიული საწყისებიდან განვითარდა ისტორიულად ქართული სახელმწიფოებრივი წეს-წყობილებაც, რომ «სოფლის უფროსს და ქვეყნის მმართველს ყველას ერთგვარი სახელი («მამასახლისი») აქვს... შემდეგში ასეთი სახელი მეფესაც ერქვა.

ნაშრომში, «მასალები ეროვნების წარმოშობის ისტორიის შესასწავლად», არჩილ ჯორჯაძე წერდა: გაკვრით ვეხებით, სახელდობრ იმას, რომ ქართული ეროვნული შემეცნება და ქართული სახელმწიფოებრიობის შემეცნება... ერთიმეორისაგან შესისხორცებულნი არიან. ქართულმა სახელმწიფომ შეჰქმნა

---

[1] ნ. ჭითანავა, იქვე.
[2] იხ. ანასეული ქართლის ცხოვრება, თბ. 1942 წ. გვ. 200-235.

ქართველი ეროვნება და ეროვნული შემეცნება. ამრიგად, თუ გვინდა კონკრეტულად შევისწავლოთ ეროვნების ჩასახვისა და განვითარების პროცესი, სახელმწიფოსაკენ უნდა მივაპყროთ გულისყური.[1]

არჩილ ჯორჯაძის ეს სახელმძღვანელო დებულება მართლაც ბრწყინვალედ დაადასტურა შემდგომში ივანე ჯავახიშვილმა თავისი ფუნდამენტალური შრომებით. მისი «ქართველი ერის ისტორია»[2] ილია ჭავჭავაძისა და არჩილ ჯორჯაძის თეორიული მემკვიდრეობის ემპირიული დასაბუთებაა.

«ქართლის ცხოვრებამ» – ამ უპირველესმა ქართულმა წიგნმა და «ქართულმა ბიბლიამ» ერთი მრავლისმეტყველი ფორმულა შემოგვინახა – «ახლად შენება საქართველოის». ყოველი ახალი ნგრევის და დარბევის შემდეგ ჩვენი წინაპრები სწორედ ძველ ნაფუძარზე იწყებდნენ ქვეყნის ახლადშენებას. დიდი ხანია მეცნიერ-პოლიტოლოგთა შორის მუსირებს აზრი, რომ ჩამოყალიბდეს «ქართლის ცხოვრების» ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის მექანიზმები. რა ფორმით, ეს მოსაფიქრებელია, თუმცა იყო წინადადება შექმნილიყო «ქართლის ცხოვრების» პოლიტოლოგიური ცენტრი. რადგანაც წარსულის კვლევას აზრი არა აქვს, თუ მას მომავალს არ დავუკავშირებთ. ეს მითუმეტეს გლობალიზაციის პირობებში, როცა საქართველოს «ახლად შენების» პროცესი უდგას.

ქართული სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მიუხედავად, ახალი დამოუკიდებელი სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ დროს მოითხოვს, რაც გულისხმობს ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობების რეგულირებას, სათანადო კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად პიროვნების უფლებათა დაცვის უზრუნველყოფას. ამიტომ ეროვნულ იდეოლოგიასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის პრობლემის სწორად დაყენებას და გადაწყვეტას. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ სამეცნიერო წრეებში,

---

[1] იხ. არჩ. ჯორჯაძე, თხზ, წიგნი I, თბ. 1911, გვ. 25-37.
[2] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ. 1960, ტ. I. გვ. 167-168.

პოლიტიკოსებში და საზოგადოებაში დღესაც ამ საკითხთან დაკავშირებით ცხარე კამათი მიმდინარეობს.

ქვეყნის მართვა-გამგეობის ფორმის თვალსაზრისით გადავხედოთ XX საუკუნისა და დღევანდელი სახელმწიფოების განვითარების პრობლემებს (მხედველობაში გვაქვს დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა).

1918 წლის 26 მაისს აღსრულდა ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნება – სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, რითაც ქვეყანას შეექმნა საშუალება განევითარებინა ახალი პერსპექტივები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. მან აირჩია დემოკრატიის გზა, თუმცა სახელმწიფო პოლიტიკა ეფუძნებოდა ეროვნული სოციალიზმის იდეოლოგიას. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იყო დამფუძნებელი კრება, რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლება, მთავრობა ცხოვრებაში ატარებდა მიღებულ კანონებს. მართლმსაჯულებას ახორციელებდა სენატი. მართვა-გამგეობის ფორმის მიხედვით იგი იყო საპარლამენტო რესპუბლიკა.

სამწუხაროდ, დემოკრატიულმა საქართველომ დიდხანს ვერ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა და საბჭოთა რუსეთის ანექსიის შედეგად თვითმყოფადობა კვლავ დაკარგა (ძირითადად ქართველთა ხელით).

1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ ქვეყნის სათავეში მოვიდა ახალი ხელისუფლება. ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა ახალ გარდამავალ პერიოდში შევიდა. საქართველომ კვლავ დაიბრუნა დამოუკიდებლობა. საკანონმდებლო ორგანოს ეწოდა უზენაესი საბჭო, სახელმწიფოს მეთაურს კი – პრეზიდენტი. 1992 წლის ოქტომბერში საქართველოში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო შეუდგა კანონშემოქმედებას. 1992 წლის 6 ნოემბერს მიღებული იქნა კანონი «სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ», რომელმაც განსაზღვრა სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება კონსტიტუციის მიღებამდე.

კანონით საქართველოს სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმად მიჩნეული იყოს რესპუბლიკა, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, პარლამენტი ასრულებდა საკანონმდებლო, ხოლო უმაღლეს-აღმასრულებელ-განმკარგულებელ ხელისუფლებას კი ახორციელებდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური და საქართველოს მინისტრთა კაბინეტი. ამავდროულად სახელმწიფოს მეთაური ითვლებოდა პარლამენტის თავჯდომარედაც. ასეთ მართვა-გამგეობის ფორმას არ იცნობდა მსოფლიო პრაქტიკა, მიუხედავად ამისა, ქვეყანა იწოდებოდა, როგორც საპარლამენტო რესპუბლიკა. ეს გამოწვეული იყო კონსტიტუციური ვაკუუმის გამო «1992 წლის 11 ოქტომბერს არჩეულმა პარლამენტმა პირველ რიგში მიიღო კანონი «სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ», რომელიც კანონის მიღების დღიდან სამი წლის მანძილზე განსაზღვრავდა ქვეყნის ცხოვრების წესს».[1]

1995 წლის 24 აგვისტოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო დამოუკიდებელი საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელმაც ხელისუფლების დანაწილებით სამივე შტოს ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების პრინციპებზე დაფუძნებული ამერიკული ტიპის საპრეზიდენტო სისტემა ჩამოაყალიბა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირველი მთავრობის მეთაური ნ. ჟორდანია, რუსეთის მიერ ქვეყნის ანექსიის გამო ემიგრაციაში წავიდა. შემდგომ ეტაპზე დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი ზ. გამსახურდია ვადაზე ადრე აიძულეს ქვეყანა დაეტოვებინა და ემიგრაციაში წასულიყო (ჩეჩნეთი), მესამე ეტაპზე მეორე ვადით არჩეული დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტი ე. შევარდნაძე ე.წ. «ვარდების რევოლუციის» შედეგად იძულებული გახდა ვადაზე ადრე დაეტოვებინა თანამდებობა.

დღეს ქართველ პოლიტიკოსთა და იურისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა მართვა-გამგეობის ფორმის თვალსაზრისითაც. როგორი გზა უნდა აირჩიოს მომავალში საქართველომ? ჩვენი აზრით, იმისათვის, რომ

---

[1] ო. მელქაძე, საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე, თბ. 1999 წ.

თავიდან იქნეს აცილებული რომელიმე გაძლიერებული პოლიტიკური ძალის მიერ ქვეყნის ხელისუფლების დამხობა (რაც არ არის მომავალშიც გამორიცხული) საქართველომ უნდა აირჩიოს საპარლამენტო მართვა-გამგეობის ფორმა, (დასაშვებია შერეული ფორმაც) თუმც საკითხი სადაოა და შეიძლება ყველა ჩვენს აზრს არ დაეთანხმოს, რადგანაც იგივე საპარლამენტო რესპუბლიკაც საფრთხისაგან არ იქნება დაზღვეული. მაგრამ, ძალისმიერი მეთოდის გამოყენებით შედარებით დაბალი კოეფიციენტი იქნება, რადგანაც პარლამენტში შემავალ პარტიებს და ცალკეულ დეპუტატებს სხვადასხვა ელექტორატი უდგას უკან. წონასწორობის შენარჩუნება კი ასეთ მდგომარეობაში უფრო შესაძლებელია. მომავალში თუ ქვეყანა არ დაადგა კონსტიტუციური პრინციპების უპირობო და განუხრელი შესრულების გზას, რასაც უნდა მოჰყვეს ქვეყანაში პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის ამაღლება, სტაბილურობა და სასურველი წესრიგის დამყარება, საქმე კიდევ უფრო მეტად გართულდება (მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ზოგადად უძველესი კულტურის ქვეყანაა).

ამ თვალსაზრისით 2003 წლის 23 ნოემბრის «ვარდების რევოლუციას», მიუხედავად მოსახლეობის ფართო მხარდაჭერისა, სამართლებრივი თვალსაზრისით ღრმა ანალიზი და სათანადო შეფასება სჭირდება, რასაც ალბათ იურისტები აუცილებლად გააკეთებენ, მაგრამ რეალურ პოლიტიკურ შეფასებასაც დრო სჭირდება.

XXI საუკუნის საქართველო, თავისი სახელმწიფოებრივი მოწყობისა და მმართველობის ოპტიმალური ფორმების მეშვეობით, აქტიურად უნდა ჩაებას მსოფლიო და განსაკუთრებით რეგიონალური გლობალიზაციის პროცესებში. უფრო მჭიდრო და კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს საერთო საზღვრის მქონე ქვეყნებთან, განსაკუთრებით, კავკასიასთან. ისტორიულად ხომ მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება ორგანულად იყო დაკავშირებული ერთმანეთთან და ჰეგემონის როლს ყოველთვის საქართველო თამაშობდა. თანამედროვე რეგიონალური გლობალიზაციის პირობებში ჩვენს ქვეყანას კვლავ დაუდგება დრო კავკასიაში ჰეგემონის როლის შესრულების, თუმცა ამ საკითხზე მსჯელობისას ზოგიერთი ქართველი პოლიტოლოგი (პრ. ე. ბატიაშვილი) უფრო შორს მიდის, მისი აზრით,

«გლობალიზაციის პირობებში შეიქმნება ხელსაყრელი წინამძღვრები კავკასიის შეერთებული შტატების იდეის პრაქტიკული განხორციელებისათვის». ამ იდეის ავტორი იმასაც უშვებს, რომ ბევრს ეს კონცეფცია უტოპიად მოეჩვენება, მაგრამ მის რეალობას იგი კავკასიის რეგიონში რუსეთის აგრესიული პოლიტიკის განხორციელებაში ხედავს. «ნორმალურ პირობებში თვითონ რუსეთსაც უნდა აწყობდეს ერთიანი და ძლიერი კავკასია, როგორც გარკვეული ბუფერული ზონა ევრაზიის სივრცეში. ეს იქნება «დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგების ნიმუში, როგორც რეგიონშიც და მთელს მსოფლიოშიც». კონცეფცია, რომ საინტერესოა, ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მას უფრო ღრმა ანალიზი და დასაბუთება ესაჭიროება.

ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოების პოლიტიკურ და ზოგად განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ ფაქტორს (და არა გადამწყვეტი, როგორც ამას მეცნიერთა ნაწილი თვლის), მაგრამ ამასთან ერთად, სხვა მრავალი საკითხიც უნდა გავითვალისწინოთ. ეკონომიკურ ფაქტორს აიდიალებდა მარქსიზმის თეორია, მაგრამ თვით მარქსი ბოლოს აღიარებდა, რომ «ერთი და იგივე ეკონომიკურ საფუძველს – ერთსა და იმავე მთავარი პირობების მიხედვით – უთვალავ სხვადასხვა ემპირიულ გარემოებათა, ბუნებრივ პირობათა, რასობრივ ურთიერთობათა, გარედან მოქმედ ისტორიულ გავლენათა და სხვათა მეოხებით შეუძლია თავის გამომჟღავნების დროს ისეთი დაუსრულებელი ვარიაციები და გრადაციები გვიჩვენოს, რომელთა გაგებაც მხოლოდ ემპირიულად მოცემული გარეალებით შეიძლება».[1]

პროფ. გ. ნადარეიშვილის აზრით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ, მარქსის შეხედულებით, ერთი და იმავე ეკონომიკურ ბაზისზე «სხვადასვა ემპირიულ გარემოებათა» ზეგავლენით სხვადასხვა სახის ზედნაშენი შეიძლება აღიმართოს, რადგანაც ყოველი მოცემული სპეციფიკური სახელმწიფოებრივი ფორმის შინაგანი საიდუმლოების ამოხსნა, მისი ფარული საფუძვლის გამოცნობა დამოკიდებულია უთვალავი სხვადასხვა ემპირიული გარემოებების,

[1] იხ. კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. III. ნაწ. II, თფ. 1934 გვ. 310-311.

ტრადიციების, გარედან მოქმედი ისტორიულ-პოლიტიკური და ა.შ. მოქმედებებისაგან.[1]

საქართველოს გააჩნდა და გააჩნია საკმაო ბუნებრივი რესურსები, რითაც შეიძლება გადაწყდეს ეკონომიკური პრობლემები. თავის დროზე ილია ჭავჭავაძე სტატიაში, «ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ, წერდა: «ჩვენის შიდა ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-აუხდელი და უცნობია ჩვენგან – საქართველო დღედაღამ იარაღით ხელში იდგა. ჩვენი ხალხი იბრძოდა, სისხლსა ღვრიდა და ბოლოს მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს თვითმყოფადი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავის ვალი და ვახში არ დასდებია. უეჭველია, ჩვენი უწინდელი წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლოდა ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა. აი საგანი ღირსშესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმემ, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწყმოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა» ილიას ეს კონცეფცია, სამწუხაროდ, ბოლომდე გამოკვლეული არ არის. დღეს ქვეყანას ეკონომიკური დარგის მეცნიერები არ აკლია, მაგრამ სამომავლო ქვეყნის გადარჩენის ეკონომიკურ გათვლებამდე ჯერ კიდევ შორსა ვართ.

თანამედროვე ეკონომისტ-მეცნიერთა მონაცემებით საქართველო 1994 წლიდან დაადგა ეკონომიკურ რეფორმების განხორციელების გზას. მთავრობამ გადადგა აქტიური ნაბიჯები მკაცრი ფინანსური პოლიტიკის გატარების, ფასების, ვაჭრობისა და სავალუტო კურსის ლიბერალიზაციისაკენ. გათვალისწინებული იქნა ეკონომიკის სტრუქტურული რეფორმის არიალში კერძო სექტორის განვითარებაც. სპეციალლისტები თვლიან, რომ დაწყებული რეფორმის შედეგად 1995 წლისათვის ნაწილობრივ მოხერხდა ეკონომიკური სტაბილურობა, რამაც შექმნა შესაძლებლობა შემოღებული ყოფილიყო ეროვნული ვალუტა – ლარი. ამ უკანასკნელმა კი უცხოურ ფინანსურ დახმარებასთან ერთად ცენტრალურ ბანკს ტვირთბრუნვისა და საერთაშორისო რეზერვების გაზრდის საშუალება მისცა. 1996 წლისათვის ინფლაცია 1,8%-ით შემცირდა. საზღვარგარეთის ქვეყნებიდან,

[1] იხ. ჟურ. ალმანახი, №14, 2000 წ. გვ. 71.

როგორც სამთავრობო ისე არასამთავრობო სექტორის მეშვეობით, დიდი რაოდენობით ფინანსური დახმარება შემოვიდა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მათი უდიდესი ნაწილის ხარჯვა დანიშნულებისამებრ არ მოხდა. დაიკარგა და გაიბნა მილიონობით ამერიკული დოლარი, რომელთა მოძებნაც არ მოხერხდა. მთავრობის ეკონომიკური ბლოკის გაუმართავმა მუშაობამ ქვეყანა ეკონომიკურ ჩიხში შეიყვანა, რამაც სოციალური აფეთქება გამოიწვია. ეს კი შემდეგ პოლიტიკურ კრიზისში გადაიზარდა, რასაც შემდეგ ხელისუფლების შეცვლა მოჰყვა. ეკონომიკურ სფეროზე საუბარს ვამთავრებთ, რადგანაც ეს პროცესები ღრმა კვლევას საჭიროებს, რაც ჩვენს კომპეტენციას და შესაძლებლობებს სცილდება.

ქვეყნის სამართლებრივ-პოლიტიკური განვითარების დღევანდელ პროცესებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს გეოგრაფიული ფაქტორი.

ცნობილმა ინგლისელმა ისტორიკოსმა არლონდ ტოინბმა საკუთარი ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობის და განვითარების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობით გააკეთა გარკვეული ანალიზი. ინგლისმა მართლაც შეინარჩუნა თავისი ეროვნული თვითმყოფადობაც და არც მსოფლიო ისტორიის განვითარების ტენდენციების მიღმა დარჩა. განავითარა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, კაპიტალიზმმა კლასიკურ დონეზე მიაღწია ბურჟუაზიასა და თავადაზნაურობას შორის კომპრომისს და შექმნა კონტინენტური ევროპისაგან განსხვავებული ეროვნულ ტრადიციებზე დამყარებული პოლიტიკა და სამართალი.

ასე რომ, მსოფლიოს ბევრი მაგალითი გააჩნია იმისა, თუ რა დიდ როლს თამაშობს ქვეყნის მომავალში მისი გეოგრაფიული მდებარეობა. (ფაქტორი), ამ მხრივ საქართველოს შეიძლება ანალოგიც კი არ მოეძებნოს. მაგრამ «დღეს საქართველოსათვის უაღრესად მწვავედ დგას გეოპოლიტიკური საკითხები. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სახელმწიფოებრივი გადარჩენის პრობლემა. ჩვენი და სხვათა გამოცდილება კი გვიჩვენებს, რომ საკუთარი ეროვნული ინტერესების დავიწყება

არ შეიძლება დღეს პოპულარული არც «გლობალიზაციის», არც «ევროპული ინტეგრაციის» და არც «ევროაზიული ცივილიზაციის სახელით».[1]

ჩვენი ქვეყანა ისტორიულად ასრულებდა დამაკავშირებელი ხიდის როლს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ამ როლის განახლებას წარმოადგენს «აბრეშუმის გზის სატრანსპორტო დერეფნის განვითარება»[2]. ძალიან დიდი მნიშვნელობის მოვლენაა ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ტრანსკონტინენტალური გაზისა და ნავთობსადენების მშენებლობა და არა მხოლოდ ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად. ისინი ხელს შეუწყობენ მრეწველობის აღორძინებას, მოსახლეობის დასაქმებას, ინვესტიციების მოზიდვას, პოლიტიკური სისტემების სრულყოფას, ქვეყნის სტაბილიზაციას და საერთაშორისო მასშტაბით საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერებას.

გლობალიზაციის პროცესში ძალიან დიდ როლს თამაშობს მაღალი სამეცნიერო-ტექნიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი დონე, რისი შექმნის გარანტიც ეროვნულ-მეცნიერული შესაძლებლობაა, რადგანაც გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესში საქართველოს წარმატებული მონაწილეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ინოვაციურ პოტენციალზე, თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისების დანერგვისა და განვითარების უნარზე. ამის მაგალითია ქართული კოსმოსური ანტენის ჩართვა მსოფლიო საინფორმაციო ტექნოლოგიებში, მაგრამ ეს მხოლოდ მიზერია იმ დიდ ყულაბაში, რომელსაც წინსვლითი გარანტიები ეწოდება. არსებითი მნიშვნელობა აქვს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, რაც შექმნის ქვეყანაში პროდუქციისა და მომსახურეობის საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობას. ამის საფუძველს კი ქმნის განათლებისა და სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში გლობალიზაციის პროცესებთან დაკავშირებული ეროვნული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება.

---

[1] იხ. მ. მაცაბერიძე, გეოპოლიტიკა: საგანი, მეთოდები, ამოცანები, თბ. 2001 წ. გვ. 5.

[2] იხ. Постановления Совета Министров СССР «Об участии СССР в международном проекте ЮНЕСКО. «Комплексное исследование Шелкового пути – пути диалога», საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქივი №010107-390/1592, 03.10.1990.

ჩვენს მიერ განხილული პრობლემებიდან გამომდინარე, ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობასთან ერთად ძალიან დიდ როლს თამაშობს საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ბენებრივი რესურსების დონე, ისტორიული გამოცდილება და მაღალი საკადრო პოტენციალი, როგორც საბუნებისმეტყველო, ისე საზოგადოებრივ სფეროში. და ბოლოს, რეგიონში ჰეგემონის როლის შესრულების ისტორიული მისია, ესაა მოკლე ჩამონათვალი, თუ რა უპირატესობანი გააჩნია ქვეყანას საერთაშორისო პროგრამების განხორციელებაში, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს დამკვიდრებას მსოფლიო გლობალიზაციის რუკაზე.

§3. უნიტარიზმი თუ ფედერალიზმი... ქართული სახელმწიფოს სამომავლო გზა

დღეს ჩვენს საზოგადოებაში დიდ კამათსა და განსჯას იწვევს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ, რა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული პრინციპით უნდა ავაგოთ ქართული სახელმწიფო. გამოიკვეთა ორი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული პოზიცია როგორც პოლიტიკურ პარტიებში, ისე მთელ ჩვენს საზოგადოებაში:

1. ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი პოლიტიკური ელიტისა და საზოგადოების დიდი ნაწილი «უნიტარისტები» არიან. მათ მიაჩნიათ, რომ ქვეყნის ფედერალური მოწყობა ხელს შეუწყობს სეპარატისტული განწყობილების ზრდას ცალკეულ მხარეებში, რის ისტორიულ მაგალითად ყოველთვის იშველიებენ «სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ» დაქუცმაცებულ საქართველოს, ხოლო თანამედროვე პირობებში მემკვიდრეობით გადმოცემული ავტონომიური წარმონაქმნების ცენტრიდან განდგომის აშკარად გამოკვეთილ ტენდენციას. აქედან გამომდინარე, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ქართული სახელმწიფო უნიტარიზმის პრინციპის გარეშე განწირულია მარცხისათვის. სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, იგი იქნება ისეთი სუსტი ქვეყანა, რომელიც უძლური იქნება სათანადო პასუხი გასცეს შინაურ თუ გარეშე მტრებს და ამიტომ მისი სახელმწიფოებრივი არსებობა და განვითარება ყოველთვის ეჭვის ქვეშ იქნება. ქვეყნის უშიშრებას და სტაბილურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებას მხოლოდ უნიტარიზმი და მასზე დაფუძნებული ქვეყნის მკაცრი ცენტრალიზებული მართვა-გამგეობა უზრუნველყოფს – ასეთია მათი პოზიციის არსი.

2. მის საპირისპიროდ, არსებობს დიამეტრიულად განსხვავებული პოზიცია, რომლის მომხრეები ქვეყნის ფედერალური მოწყობის მომხრენი არიან. მათ მიაჩნიათ, რომ მხარეთა ფართო ადგილობრივ თვითმმართველობაზე დაფუძნებული ფედერაციული (რეგიონული) მმართველობა შეადგენს საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის პოლიტიკურ სტრატეგიას. მათი არგუმენტაცია ეფუძნება როგორც ისტორიულ-ეროვნულ

მემკიდრეობას, ისე თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილებასაც. მართლაც, თუ გადავხედავთ მსოფლიოში არსებულ თითქმის ორი ასეული სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სტრუქტურას, მათ დიდ უმრავლესობაში ფედერალიზმისა და დეცენტრალიზმის პრინციპები სჭარბობს. თვით წმინდა უნიტარულ ქვეყნებშიც კი (იტალია, საფრანგეთი, ავსტრია, ნორეგია, თურქეთი, პაკისტანი და ა.შ.) სულ უფრო მეტად შეიმჩნევა რეგიონული თვითმმართველობისკენ სწრაფვის აშკარა ტენდენცია და ფედერალიზმის პრინციპების დამკვიდრება მოცემული ქვეყნის განვითარების სხვადასხვა სფეროებში. თუ ავიღებთ საქართველოს ისტორიასაც, XI-XII საუკუნეების ქართულ სახელმწიფოს პოლიტოლოგიური ანალიზიც იმას გვიჩენებს, რომ «ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არეგაწამდე» საქართველო მისი მთისა და ბარის ცალკეულ მხარეთა ფართო ფედერალური თვითმმართველობის და ამასთან, ძლიერი ცეტრალური ხელისუფლების საფუძველზე იმართებოდა. ისე რომ, მომავალი ქართული სახელმწიფოც ფედერალიზმის პრინციპზე დაფუძნებული მხარეთა ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძველზე უნდა წარმოიშვას და განვითარდეს - ასეთია მეორე პოზიციის მომხრეთა პოზიციის არსი.

რომელი პოზიცია არის სწორი და ჭეშმარიტი ჩვენი ქვეყნის მომავალი განვითარებიათვის? – აი, პრობლემა, რომლის გადაწყვეტა ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი მეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება.

მიგვაჩნია, რომ პრობლემის გადაწყვეტისათვის ამოსავალი იდეოლოგიური ბაზა უნდა გახდეს ილია ჭავჭავაძის და არჩილ ჯორჯაძის მიერ შემუშავებული «საერთო ნიადაგის» თეორია. ეს ორი დიდი მოაზროვნე და ეროვნული იდეოლოგი ყოველთვის იმას უსვამდნენ ხაზს, რომ საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარება, «ქართველი ხალხის ცხოვრების მდინარება» ჯერ საკუთარ ეროვნულ გამოცდილებას უნდა დაეფუძნოს და მერე სხვა ქვეყნებისა და ხალხებისას. ამიტომ დაუპირისპირდნენ ისინი მესამედასელთა კოსმოპოლიტურ იდეოლოგიას, რომლებიც ეროვნულ ისტორიაში, გარდა «გმობისა და უარყოფისა» (ნოე ჟორდანია), ვერაფერს

ხედავდნენ. ილია ჭავჭავაძესა და არჩილ ჯორჯაძესთან ერთად, ქართული სახელმწიფოს მესამე დიდი იდეოლოგი ივანე ჯავახიშვილია.

აი, ის სამი დიდი ეროვნული იდეოლოგი, რომელთა მემკვიდრეობის საფუძველზე უნდა გადაიჭრას ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ნებისმიერი პრობლემა და მათ შორის, ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობაც. ილია ჭავჭავაძის «ცხოვრება და კანონი», «საშინაო და საპოლიტიკო მიმოხილვა», არჩილ ჯორჯაძის «სამშობლო და მამულიშვილობა», «ისტორიის სამართალი» და «წარსული და მისი ანდერძი», ივანე ჯავახიშვილის «ქართველი ერის ისტორია» იძლევიან ყველა აუცილებელ წინამძღვრებს დღევანდელი საქართველოს წინაშე არსებული პრობლემების გადასაწყვეტად. ამ წინამძღვრებიდან უმთავრესი ჩვენი ერის შინაგანი ენერგიის ამოქმედება და მისთვის ფართო ასპარეზის მიცემაა. ამასთან დაკავშირებით ილია წერდა:

«ჩვენ ვამბობთ, რომ ხალხი თვითმოქმედებით არის მხოლოდ ძლიერი და ნაყოფიერი სულით, თუ ხორცით. რაც მალე დავიჯერებთ ამ ჭეშმარიტებას, მით მალე გამოვიხსნით თავს ამ გაჭირვებიდან, რომელშიაც ასე სასოწარკვეთით დღეს ვიმყოფებით».[1]

თითქოს დღევანდელ საქართველოს ეხმიანება, ილია ხაზს უსვამს, რომ ახლადშემოჭრილი კაპიტალიზმი ქართველ ერს გადაშენებით ემუქრება, რადგან თუ «თოფით და ხმლით შემოსულთ გავუძელით, ფულით და საქმით მოსულნი თან გაგვიტანს, ჩვენს სახსენებელს მოსპობს», რამეთუ «უფულო ერი ფულიანის საძოვარია, მისი საცხოვრისია». ამიტომაც «ჩვენს იქით ჩვენი ხსნა მხოლოდ ტკბილი სიზმარია - ჩვენი ხსნა თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია... ეს კანონი ისტორიული კანონია, ბევრიც რომ ვივაგლახოთ, ბევრიც რომ ვატაროთ უბეში სხვაზედ დამყარებული იმედი, ბოლოს ჟამთა სვლა მაინც ამ კანონზედ დაგვაყენებს და დრო წარსული ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგული დრო იქნება».[2] მეტად ჭკუის სასწავლებელი და ბრძნული ანალიზია მხოლოდ უცხოური დახმარებებით მოიმედე ჩვენი თაობებისათვის...

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1956, გვ. 320-321.
[2] იქვე.

იმავე «ისტორიულ კანონს» უსვამენ ხაზს არჩილ ჯორჯაძე და ივანე ჯავახიშვილი. არჩილ ჯორჯაძე წერდა: «როდესაც წარსული ცხოვრების გაგება-დაფასების სურვილი იბადება ხოლმე საზოგადოებაში, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ საზოგადოებას თავის თავის დანახვა და გარკვევა მოუნდომებია, რადგან აწმყო შედეგია წარსულისა. როცა ჩვენ ნათლად გავიგებთ, თუ რითი ვართ დაკავშირებულნი წარსულთან, რა გვაქვს მასთან საერთო და რა არა, მაშინ და მხოლოდ მაშინ შევიგნებთ, თუ რა გზით უნდა ვიაროთ მომავალში».[1] ხოლო ივანე ჯავახიშვილმა თავისი «ქართველი ერის ისტორიის» მრავალტომეულით ნათელი მოჰფინა, თუ რა საერთო დამაკავშირებელი ძაფები აქვს ჩვენს აწმყოსა და მომავალს წარსულთან. «საქართველოს ეკონომიკური ისტორიის» წინასიტყვაობაში იგი სიამაყით წერს: «ვინც «საქართველოს ეკონომიკური ისტორიის» ამ წიგნს გულდასმით გადაიკითხავს, ის დარწმუნდება, რომ ქართველი ერის მოღვაწეობა მარტო პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ასპარეზით კი არ შემოიფარგლებოდა, არამედ მეურნეობაშიც დაუცხრომელი მუშაობა უწარმოებია».[2] იმავეს იმეორებს იგი «ქართული სამართლის ისტორიაში» და ეროვნული ცხოვრების ყველა იმ სფეროში, რაც ქვეყნის არსებობა-განვითარების აუცილებელ კომპონენტს შეადგენს ყველა ისტორიულ ეპოქაში.

ყველაფერი ეს საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართული სახელმწიფოს ფორმირებისთვის მისმა იდეოლოგებმა შეძლეს მოეძიებინათ ჩვენი წარსული ეროვნული ცხოვრების ის მასაზრდოებელი ფესვები, რომლებიც ახალ სიცოცხლეს მისცემენ ქართველი ერის მთელ შემდგომ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებას. ყველაფერი ეს ცალკე მსჯელობისა და პოლიტოლოგიური კვლევა-ძიების საგანია, მაგრამ ჩვენ ამ საკითხის დასმის წესით გვინდა წარმოვაჩინოთ ის, რაც ქვეყნის ახალ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობას ეხება. ვფიქრობთ, რომ ისტორიაც და თანამედროვეობაც იქითკენ გვიბიძგებს, რომ ეს პრობლემა გადავწყვიტოთ ამ ორი პრინციპის - უნიტარიზმისა და ფედერალიზმის გარკვეული სინთეზით,

---

[1] არჩილ ჯორჯაძე, წერილები, თბ., 1989, გვ. 48.
[2] იხ. ი. ჯავახიშვილი. თხზ. ტ. V, თბ. 1986. გვ. 12.

როგორც ილია ჭავჭავაძე გვასწავლის, «დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგებით ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად» (სიტყვა გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე).[1] ილია ჭავჭავაძისა და არჩილ ჯორჯაძის «საერთო ნიადაგის» თეორიის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთში «ბედნიერად მოვარიგოთ» ნებისმიერი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ იდეოლოგიური ხასიათის დაპირისპირებანი.

ჩვენი აზრით, საკითხის დასმის წესით ფართო საზოგადოებრივი განსჯისათვის უნდა დაისვას ეროვნული ცხოვრების სხვა ნებისმიერი საკითხიც იმ მიზნით, რომ საბოლოო ჯამში გარკვეულ კონსენსუსამდე და «ბედნიერ მორიგებამდე» მივიდნენ მასში მონაწილე მხარეები. რაგინდ საპირისპირო პოზიციებზე უნდა ვიდგეთ, ჩვენ ყველა უნდა გამოვიდეთ იმ აპრიორული წანამძღვრიდან, რომ აუცილებელია «ერთიანობა-თანადგომა და საერთო ნიადაგზე დგომა» ქართული სახელმწიფოს წარმატებით მშენებლობისათვის.

ყველა ჩვენთაგანისთვის, ვინც ამ მიზანს ვესწრაფვით, არის ერთი რამ, რომელსაც შეუძლია სწორ გზაზე დაგვაყენოს და ავი და კარგი გაგვარჩევინოს. ეს «ქართული ბიბლია» და უპირველესი ქართული წიგნი - «ქართლის ცხოვრებაა». მასში აქა-იქ მარგალიტებივით გაბნეულია ქართული სახელმწიფო წეს-წყობილების ის ძირითადი პრინციპები, რომელთა გამოყენებით და გათანამედროვებით შეიძლება იმის აღდგენა, რაც საუკუნეთა მანძილზე გარეშე ძალების უხეში ზეწოლით გაუკუღმართდა. აი, ეს მემკვიდრეობა უნდა გამოვიყენოთ კიდეც იმისათვის, რომ აღვადგინოთ «ქართველთა სახელი და ქართველთა წეს-წყობა». სხვანაირად, ვერც ჩვენს თავს «ვიყუდნებთ ჩვენად»...

არც კონსტიტუციაშია ხსნა და არც საპრეზიდენტო ერთპიროვნულ მმართველობაში, რომელიც ჩვენში დაინერგა. ასეთი მმართველობა ჩვენს ეროვნულ ტრადიციებშიც შედის და ქვეყნის «ძველი დიდების» საფუძვლადაც სთვლიან. ამის სამაგალითოდ, როგორც წესი, დავით აღმაშენებლის ეპოქა მოჰყავთ - «დავითის ძალისხმევის ხაზი»: ქვეყანა იმიტომ გახდა ძლიერიც და

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბ., 1989, გვ. 918 (სიტყვა გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე).

მდიდარიც, რომ დავითის ძლიერმა ხელმა «ცეცხლით და მახვილით» აღკვეთა ცალკეულ მხარეთა და მათ დიდგვაროვანთა მისწრაფება განკერძოებულობისაკენ. მაშასადამე, დღევანდელ საქართველოსაც ვიღაცის «ძლიერი ხელი» და ახალი «მამა-მარჩენალი» გადაარჩენს... ჩვენი აზრით კი, ქვეყანას ხალხი და მისი მართვა-გამგეობის სწორი სისტემა გადაარჩენს. ისტორიაც ამას გვეუბნება და თანამედროვეობაც.

ჯერ ერთი, დავითის «ძლიერი ხელიც» და «ძალისხმევის ხაზიც» თავისი ეპოქის კანონისა და სამართლის ფარგლებში ხორციელდებოდა და იქნებ ბევრს დაუჯერებლადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ უკანონოდ, მამა-პაპათა ტრადიციის, სჯულისა და სამართლის ხელყოფით დავით აღმაშენებელს არც ერთი ოჯახი არ აუწიოკებია, არც ერთი კაცი არ დაუსჯია, მტრის გარდა, არც ერთი კაცის სისხლი არ დაუღვრია - ყველაფერს მაშინდელი კანონისა და სამართლის ძალით წყვეტდა, ოღონდ ეგაა, ისინი ყველასათვის სავალდებულო გახადა, «დიდნიც» და «მცირენიც» - ყველანი გამოუკლებლივ, კანონის ძალას და ქვეყნის საერთო ინტერესებს, მის «აღზევებას» და «აღშენებას» დაუმორჩილა. სხვანაირად ხომ თავნება და სისხლისმღვრელ მეფეს ხალხი და ისტორია «აღმაშენებლად» არც აღიარებდა.

ჩვენი წარსული ისტორიის ყველა მიღწევა და სიდიადე სისხლსა და მახვილთან კი არა, კანონისა და სამართლის ძალასთან, მამა-პაპისგან მემკვიდრეობით გადმოცემული სიკეთისა და სათნოების ტრადიციებთან არის დაკავშირებული. ჩვენი ისტორიის ამ ფაქტს ვერსად გავექცევით. მის კონცენტ-რირებულ გამოხატულებას თამარ მეფის ეპოქა - თამარის «სათნოების ხაზი» წარმოადგენს. საქართველოს, მისი სახელმწიფოებრიობის მოწყობის ყველაზე «მაგარი ბალავრის ქვაც» დავითისა და თამარის «ხაზის» გამთლიანებაშია საძიებელი, პოლიტოლოგიურ ენაზე რომ ვთქვათ, ფედერალიზმისა და უნიტარიზმის, ცენტრალიზმისა და დეცენტრალიზმის გონივრულ შერწყმასა და თანაარსებობაში, მათ შორის თავისებურ «ოქროს საშუალოს» მოძიებაში. ცენტრალური (უნიტარული) ხელისუფლების ძალმოსილებას აუცილებლად უნდა დავუპირისპიროთ მხარეთა ძლიერი ადგილობრივი ხელისუფლება. ძლიერი

ცენტრი და ძლიერი რეგიონი - აი, საქართველოს ძლიერების წყარო და საფუძველი.

ამის მაგალითსაც ჩვენი ისტორია გვაძლევს: როგორც «დავითის ძალისხმევის», ისე «თამარის სათნოების ხაზის» დროს სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობა, თუ საქმე ქვეყნის ერთიანობის ხელყოფას არ ეხებოდა, არასოდეს არ გამოდიოდა მხარეთა ადგილობრივი მმართველობის დამთრგუნველის როლში. ესეც შეიძლება ბევრს დაუჯერებლად მოეჩვენოს – ცენტრალური ხელისუფლება, გარდა ქვეყნის უშიშროებისა და ერთიანობისა, ფინანსებისა და საგარეო პოლიტიკისა, პრაქტიკულად მმართველობის სხვა რაიმე სფეროზე მონოპოლიას არასოდეს აცხადებდა – სოფელს სოფელი მართავდა, თემს – თემი, როგორ ეცხოვრათ, რა ეკეთებინათ – თბილისში არ დარბოდნენ საკითხავად.

საპრეზიდენტო მმართველობა, მით უმეტეს კი ასე საეჭვოდ ამოჩემებული «ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა» ძირშივე სპობს თვითმმართველობასა და თვითმოქმედებას. იგი მემკვიდრეობით გადმოცემული მეტროპოლიურ-კოლონიური ცენტრალიზებული სისტემის ნაირსახეობაა, რომელიც მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმის ეროვნული ხასიათის დათრგუნვით, საქართველოს მთისა და ბარის, სხვადასხვა ისტორიის მხარეების მართლაც რომ განუმეორებელი მრავალფეროვნების ხელყოფით ქვეყანას კვლავაც ააცილებს თავისი განვითარების ბუნებრივ-ისტორიულ გზას. ეს კი ყველაზე დიდი ტრაგედიაა ერისათვის...

გამოსავალი, როგორც ზევითაც ვთქვით და როგორც ჩვენი ძველი და მსოფლიო თანამედროვე განვითარების (ეს განსაკუთრებით აშშ-ის, გერმანიის და იაპონიის სახელმწიფოებრივ მოწყობას ეხება) პრაქტიკა გვიჩვენებს, ცენტრალიზმსა (უნიტარიზმს) და დეცენტრალიზმს (ფედერალიზმს) შორის გარკვეული «ოქროს საშუალოს» მოძიება, მათი ერთმანეთთან «ბედნიერი მორიგებაა». უკანასკნელ ხანს ხშირად გაისმის ჩვენს საზოგადოებაში ხმები, რომ აუცილებელია კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელება და ორპალატიანი საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლა. არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს პრეზიდენტის ერთპიროვნული მმართველობა და ქვეყნის

ტერიტორიის ყოვლად გაუმართლებელ 80 რაიონულ-ადმინისტრაციულ ერთეულად დაყოფა, რაც ბიუროკრატიზმისა და კორუფციის უპირველესი წყაროა. საქართველოს 10-15 ტერიტორიულ ერთეულზე მეტი არ სჭირდება. საკმარისია მოისპოს სახელმწიფო მართვა-გამგეობის მემკვიდრეობით გადმოცემული დღევანდელი მკაცრი ცენტრალიზებული სისტემა, რომ კორუფციამაც დაკარგოს თავისი მკვებავი წყარო, რაც თავის მხრივ დიდ ბიძგს მისცემს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს.

ასეთ პოლიტოლოგიურ დასკვნამდე მიგვიყვანა ჩვენ ილია ჭავჭავაძის, არჩილ ჯორჯაძისა და ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობის შესწავლამ. მხარეთა თვითმმართველობა და მმართველობა არის ქართული სახელმწიფოს ყველაზე ოპტიმალური ფორმა. ამიტომ შექმნა არჩილ ჯორჯაძემ თავის თანამოაზრეებთან ერთად «საქართველოს სოციალ-ფედერალისტური პარტია»,[1] რომელშიც მაშინდელი ჩვენი საზოგადოების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები გაერთიანდნენ. მაგრამ მესამედასური იდეოლოგიის ბატონობის პირობებში ამ სწორ პოლიტიკურ სტრატეგიას განხორციელება არ ეწერა, ხოლო საბჭოთა წყობილების დროს «ფედერალისტობა» კრიმინალურ დანაშაულად და პოლიტიკური დევნის საგნადაც კი გადაიქცა, რის გამოც ბევრი ჩვენი გამოჩენილი მოღვაწე მალავდა თავის ამ პოლიტიკურ მრწამსს და მსოფლმხედველობას. მაგალითისათვის აკაკი შანიძის, შალვა ნუცუბიძის დასახელებაც კმარა...

2004 წლის აპრილში შესრულდა 100 წელი, რაც არჩილ ჯორჯაძემ ჟენევაში თავის თანამოაზრეებთან ერთად დააარსა საქართველოს სოციალ-ფედერალისტური პარტია. სამწუხაროდ, დღეს, როცა პოლიტიკური პარტიებია ასეთი ბუმია საქართველოში, ამ პარტიის რეანიმაცია არავის გახსენებია. ესეც სწორედ იმის სიმპტომია, რომ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური განვითარება არასწორი გზით მიემართება მთელი ეს 10-15 წლის მანძილზე. უნდა მართალნი ვიყოთ ილია მართალივით ღვთისა და ჩვენი ისტორიის წინაშე და პირდაპირ ვთქვათ:

---

[1] სოციალისტურის ნაცვლად იქნება სოციალური, რასაც საქართველოს უზენაესი კანონი კონსტიტუციაც აფიქსირებს. „საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო“.

ეროვნული ძალები მოუმზადებელნი აღმოვჩნდით ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის.

ვფიქრობთ, დადგა დრო ამ მშენებლობისათვის ავაღორძინოთ არჩილ ჯორჯაძის მიერ დაარსებული საქართველოს სოციალ-ფედერალისტური პარტია ჩვენი ეპოქის შესატყვისი ფორმით და პოლიტიკური პროგრამით. ილია ჭავჭავაძის, არჩილ ჯორჯაძისა და ივანე ჯავახიშვილის იდეები არ უნდა დარჩეს ქართული სახელმწიფოს მშენებლობის მიღმა. დღეს ყველგან სოციალური პრობლემები მჭიდროდ გადაენასკვა პოლიტიკურს, რის დადასტურებას წარმოადგენს თუნდაც «სოციალური სახელმწიფოს» ფენომენის დამკვიდრება მთელ მსოფლიოში, რასაც თავის დროზე ქადაგებდა არჩილ ჯორჯაძე და ჩვენი ვალია, დღევანდელ საქართველოს გამწვავებული სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობების ფონზე, ეს მემკვიდრეობა სიტყვიდან საქმედ ვაქციოთ. ქვეყანას, ჩვენი აზრით, ესეც დაეხმარება იმ მწვავე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში, რომელშიც იგი მოექცა დამოუკიდებლობის მოპოვებიდანვე.

თავი II

ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ევოლუცია საქართველოში

§1. ადგილობრივი მმართველობის ისტორიული ფესვები საქართველოში

ძველი ბერძნულ-რომაული წყაროების და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების თანახმად, პირველი ქართული სახელმწიფოები ყალიბდებიან ძვ. წ. აღ-ის II ათასწლეულის დასასრულს.[1] ეს პოლიტიკური გაერთიანებებია დიაოხი და კოლხა. წყაროთა სიმცირის გამო რთულია თქმა იმისა, თუ რა პრინციპებს ემყარებოდა მაშინდელი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. ერთის თქმა კი შეიძლება, როგორც ამას ჩვენამდე მოღწეული მასალები ადასტურებენ, რომ ქვეყნის მართვა ხორციელდებოდა «მეფისნაცვალთა» ინსტიტუტის მეშვეობით, რომლებიც ქვეყნის გეოგრაფიულ რეგიონ-პროვინციებს ხელმძღვანელობდნენ. აგრეთვე იყო ქალაქები, რომელთა მართვასაც მათი სტრატეგიული მდგომარეობის გამო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დიაოხისა და კოლხას განადგურების შემდეგ, ჩვ. წ. აღ-მდე I ათასწლეულის შუახანებში, იქმნებოდა ორი ქართული სახელმწიფო, ეგრისის, ანუ კოლხეთისა (დასავლეთი საქართველო) და ქართლი ანუ იბერიის (აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო) სამეფოები. ძვ. წ. აღ-ის IV-III სს-ს ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად ქვეყანა დაიყო 7 საერისთაოდ (არგვეთი, კახეთ-კუხეთი, ტაშირ-აბოცი, ჯავახეთ-კოლა-არტაანი, სამცხე-აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი)[2], რომლებიც სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ და ერთ ცენტრალურ რაიონად (შიდა ქართლის სასპასპეტოდ) ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დაყოფა პროვინციების მიხედვით მიმდინარეობდა, მასში შეიმჩნევა გეოგრაფიული პრინციპის ნიშნებიც[3] (მაგ. არგვეთი თანამედროვე გეოგრაფიული ტერმინით, უპირატესად ზემო იმერეთის მაღლობს მოიცავდა).

---

[1] იხ. Georgica scriptorum Byzantinorum..... excerta ad georgiam pertinentia. Tomus I-II-III. 1936.

[2] იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. II. თბ. 1983 წ. გვ. 57-68.

[3] იხ. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990 წ. გვ. 14.

ადგილობრივი მართვის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა ახ. წ. XI საუკუნისა და XIII საუკუნის დასაწყისის ქართული სახელმწიფოს ძლიერების ეპოქა. იმდროინდელი ადმინისტრაციული დაყოფაც საერისთაოთა სისტემას ეფუძნებოდა. შეინიშნებოდა საერისთაოთა რაოდენობრივი ზრდა. საერისთაო და ერისთავი საჯარო უფლებრივი საწყისის სახელოები იყო. მათ ეკავათ ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულების თანამდებობა და ძირითადად ევალებოდათ ლაშქრის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. ერისთავის სამეფო ინსინგნიებსა და კურთხევის ცერემონიალში ხაზგასმით იყო მისი საკარო ხელისუფლების მოხელეთა და სასამართლო-ადმინისტრაციული და ფისკალური ფუნქციები. საერისთაოს გააჩნდა თავისი სტრუქტურა, რომელიც შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ერისთავი-ნაცვალი-გამგებელი-ციხისთავი-ხევისუფალი (ხევისბერი, ხევისთავი)-ასისთავი[1]. მათ ევალებოდათ სხვადასხვა სამხედრო, სასამართლო და ფისკალური ფუნქციები. არსებობდნენ «მონაპირე» ერისთავებიც, რომელთაც საზღვრების დაცვა ევალებოდათ და შედარებით მეტი ავტონომიის უფლებით სარგებლობდნენ.

მმართველობაშიც აღინიშნება გეოგრაფიული პრიმატის ნიშნები, რაც უთუოდ პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა და უფრო მოქნილს ხდიდა სახელმწიფოებრივი მართვის აპარატს.

არსებობდა ქალაქთა მმრთველობის პრეცენდენტიც. მაგალითად, თბილისის მმართველს არაბთა ბატონობის პერიოდიდან «ამირთ-ამირა» ერქვა, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა ვაჭრობაზე, ეკონომიკასა და წესრიგის დაცვაზე. არსებობს ვარაუდი, რომ მათ სასამართლო პრეროგატივებიც გააჩნდათ[2]. დას. ევროპაში ცოტა მოგვიანებით მსგავსმა მოვლენებმა და ბურჟუაზიულმა ტენდენციებმა უზრუნველყო სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და საქალაქო თვითმმართველობის შექმნა.

მეცნიერთა ნაწილს მიაჩნდა, რომ XII საუკუნეში ყუთლუ-არსლანის და მისი პოლიტიკური დასის გამოსვლა თავიანთი მოთხოვნებით გამოხატავდა მესამე

---

[1] იქვე, გვ. 140-141.
[2] იხ. შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II. თბ. 1983, გვ. 104-105.

წოდების (ბურჟუაზიის) ინტერესებს. პროფ. ვ. აბაშმაძის აზრით «ეს დასი თავის პოლიტიკურ პროგრამას ამყარებდა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიაზე, როგორც ყველგან, სადაც კი იგი გაჩნდა ფეოდალიზმის ეპოქაში, ბურჟუაზიის პოლიტიკური იდეოლოგიის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი იყო».[1]

თავის დროზე ვ. აბაშმაძის ამ მოსაზრებას კრიტიკულად მიუდგნენ პროფესორები გ. მჭედლიძე და ო. სოსელია და გამოთქვეს ეჭვი, რომ იმ პერიოდის საქართველოში «მესამე წოდების» არსებობა შეუძლებელი იყო იმ სახით, როგორადაც წარმოდგენილია ვ. აბაშმაძესთან. იმის მტკიცება. რომ «მესამე წოდება» უკვე ჩამოყალიბებულია და საზოგადოებაში თავისი ადგილი უკავია (ბურჟუაზია) არ იქნება მართებული, ვაჭარ-მრეწველთა არსებობა და მათი მოქალაქეობა არ ნიშნავს ბურჟუაზიის არსებობას.

XI ს. 80-იანი წლებიდან, მკვლევართა აზრით, თბილისმა დამოუკიდებლობა მოიპოვა და ქალაქში მმართველობის ახალი ფორმა, კომუნა დამყარდა. ეს ნიშნავდა, რომ გამგებლობა მთლიანად «ქალაქის ბერების» «უხუცესთა საქალაქო კრებულის», ანუ «თბილისის კეთილშობილთა ჯგუფის», «თბილისის ხალხის» ხელში გადავიდა.

პროფ. შ. მესხიას მიაჩნია, რომ ისეთ პიროვნებას კი, რომელიც უპირველესი იყო ქალაქის გამგებელთა, «ქალაქის ბერთა», «ქალაქის უხუცესთა», «ქალაქის თავადთა» შორის, თვით შეიძლებოდა «ქალაქის უხუცესი» ან კიდევ «თავადი ქალაქის»-ა რქმეოდა.[2]

ისტორიული წყაროებით მტკიცდება, რომ XI საუკუნიდან შემოდის ტერმინი «მოურავიც» («მაურვებელი ქალაქისა»), მაგრამ იგი ინიშნებოდა მეფის ან ქალაქის სხვა მფლობელის მიერ და არჩევითი არ იყო.

არსებობს ვარაუდები, რომ უხუცესთა საბჭო 12 წევრისგან შედგებოდა და საბჭოს რიგ-რიგობით 1 წევრი ერთი თვით ხელმძღვანელობდა. აქედან გამომდინარე, საბჭოს უფლებამოსილება ერთი წლის თავზე წყდებოდა, რომლის

---

[1] იხ. ვ. აბაშმაძე. წინაპრები და თანამედროვენი. თბ. 1979. გვ. 23.
[2] იხ. შ. მესხია. საისტორიო ძიებანი,. ტ. I. თბ. 1982 წ. გვ. 250-251.

დასტურიცაა მაშინდელი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციები და მმართველობის ფორმები, მართალია ფეოდალიზმის ეპოქის ქალაქებში არისტოკრატია ბატონობდა და ქალაქის მცხოვრებლები თავიდანვე მეტი თავისუფლებით სარგებლობდნენ, ვიდრე სოფლის მკვიდრი ყმა გლეხები, მაგრამ საზოგადოება, თვითმმართველობა და მმართველობა ფეოდალური ეპოქის ნიშნებით ხასიათდებოდა.

არა მარტო თბილისის, არამედ საქართველოს ქალაქების მოსახლეობა თავისებური «თვითმმართველობის» უფლებებით უკვე შუა ფეოდალურ ხანაში სარგებლობდა. ქალაქთა თვითმოქმედი მოსახლეობის ნაწილი გაერთიანებული იყო ამქრებში, რომელნიც წარმოადგენდნენ სხვადასხვა დარგის ვაჭარ-ხელოსანთა პროფესიულ-ეკონომიკურ ორგანიზაციებს. გვიან ფეოდალურ ხანაში თბილისი და სხვა მოზრდილი ქალაქები ცალკე ადმინისტრაციული ერთეულები იყვნენ. ქალაქებს განაგებდნენ მეფისაგან დანიშნული მოურავები, რომლებსაც ემორჩილებოდნენ ქალაქის სხვა ხელისუფალნი – მელიქი, მამასახლისი და ნაცვალი. შემდგომ პერიოდში, XV საუკუნეში საქართველოს პოლიტიკური დაშლისას გაუქმდა საერისთაოები. მათ ადგილას შეიქმნა კერძო საწყისის სათავადოები და საჯარო საწყისის სადროშოები, რომლებიც სამხედრო ხასიათის ერთეულებს წარმოადგენენ, რომელთა საზღვრებშიც კვლავ გეოგრაფიული რეგიონების პრიმატი შეიმჩნეოდა.

შემდგომ ეპოქაში ქვეყნის ცენტრალურ მმართველობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის «საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა» ინსტიტუტიც თავისებურად გამასაშუალებელი რგოლი იყო. მაშინდელი საქართველოს პირობებში ცენტრალური უწყებები წარმოადგენდნენ ვერტიკალური მმართველობის ორგანოებს, რომლებიც საერთო-სახელმწიფოებრივ ფუნქციებს ასრულებდნენ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე – «ნიკოფსიიდან დარუბანდამდე», ხოლო «საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი» ახორციელებდნენ ჰორიზონტალურ მართვას ადგილობრივი მასშტაბებით. ივანე ჯავახიშვილი განარჩევს «საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა» შემდეგ კატეგორიებს: ერისთავ-ერისთავი, ერისთავი,

ციხისთავი, ხევისუფალი, მამასახლისი და გზირი[1], მოხელეთა ამ დიფერენციაციას თუ დავუკვირდებით, აქ აშკარად თავისებური «ჰორიზონტალური შრეები», «ერისთავთ-ერისთავი» საქართველოს დიდი მხარის, ვთქვათ მესხეთის, აფხაზეთის, ანდა კახეთის მმართველი იყო. ისინი უშუალოდ ექვემდებარებოდნენ ქვეყნის ცენტრალურ მმართველობას და მეფის დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ. «ერისთავები» შედარებით უფრო მომცრო მხარეების, უფრო სწორად კი – მხარეებში შემავალი ცალკეული თემების გამგებლები იყვნენ და «ერისთავთ-ერისთავს» ემორჩილებოდნენ. იერარქიული თვალსაზრისით, ადგილობრივი მმართველობის მესამე რგოლს «ციხისთავნი» და «ხევისუფალნი» წარმოადგენდნენ. ივანე ჯავახიშვილის განსაზღვრებით, პირველი ქართული სახელმწიფოები ეს «ხევის ქვეყნები» არიან. საქართველოს ტერიტორია ისეთია, რომ იგი თითქმის მთლიანად გარიყული ხეობებისაგან შესდგებოდა და შესდგება დღესაც. ამა თუ იმ დაწინაურებულ ხეობას შემდგომში გადამწყვეტი როლი შეუსრულებია არა მარტო მხარის, არამედ თვით მთელი ქვეყნის მასშტაბითაც. მაგალითად, არაგვის ხეობა ისე დაწინაურდა, რომ იგი შემდგომში ქართლისა და მთელი საქართველოს გამაერთიანებელ ძალად იქცა, ხოლო მცხეთა და «არმაზ-ციხე» დედაქალაქად და უმთავრეს დასაყრდენად. თემისა და ცალკეული ხეობების მართვა-გამგეობა თავისებურ მეორე საფეხურს შეადგენდა ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მართვაში, ხოლო პირველი და უმთავრესი საფეხური მაინც იყო თვითონ სოფლის მართვა-გამგეობა. თვითონ ცნება «სოფლის» ორგვარი სემანტიკური გაგება ქართულ ენაში თავისებურად მიგვანიშნებს მის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში. XVII-XVIII საუკუნეებში ქართული ქალაქები ან მეფის ხელშია, ან კიდევ რომელიმე დიდ თავადს ემორჩილება. ამიტომ ამ თუ იმ ქალაქის მოხელეთა დანიშვნა და მათი უფლება-მოვალეობის განსაზღვრა ქალაქის მფლობელის კომპეტენციას შეადგენს. ასე მაგ. მეფის მიერ დანიშნული მოხელე მოურავია. მოურავმა ამირა ან ამირთამირას სახელო შეცვალა. საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მოურავის ინსტიტუტი XIV საუკუნიდან მკვიდრდება, რაც

[1] ივ. ჯავახიშვილი. თხზ., ტ. VI. თბ. 1982 წ. გვ. 331.

შეეხება თბილისს, იგი 1610-1615 წლებიდან იმარჯვებს.[1] მოურავის თანამდებობა სოლიდურ და პრესტიჟულ ადგილს წარმოადგენდა. სამეფო ქალაქებში მოურავად საკმაოდ მსხვილი ფეოდალი ინიშნებოდა, ხოლო თავადის დაქვემდებარებულ ქალაქში მოურავად შეიძლება აზნაურიც დანიშნულიყო. მაგ. დუშეთის მოურავად XVIII საუკუნეში ინიშნება აზნაური კობიაშვილი, ხოლო ახალგორის მოურავია არჯევან ფიცხელაური.[2]

მეფის მიერ მოურავისათვის მიცემული კომპეტენცია საკმაოდ ფართო იყო და მისი შესრულება ქალაქის ყველა მკვიდრს ევალებოდა. სამაგიეროდ მოურავი პასუხს აგებდა «სამართლის გატარებასა» და «თითოეული მოქალაქის მოვლაზე».[3] ის ამავე დროს აღმასრულებელი ხელისუფალი იყო, რადგანაც მეფის ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებდა. მოურავის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფალის ავტორიტეტი, დამოკიდებული იყო მის პირად თვისებებზე, მეფის მხარდაჭერაზე და ა.შ. არსებობს ფაქტები ძლიერი და სუსტი მოურავების მოღვაწეობისა. იყო შემთხვევები, როდესაც მოურავის კომპეტენციაში ხშირად სხვები ერეოდნენ. მოურავი იძულებული ხდებოდა, მეფისათვის მიემართა და დახმარება ეთხოვა (მაგ. გიორგი XII-ს მიმართა ევსტატე ციციშვილმა).

ქალაქის მოურავის კომპეტენციაში შედიოდა სასამართლო საქმეების გარჩევა, წესრიგის დაცვა, საგადასახადო სისტემის სრულყოფა და გადასახადების ამოღება, სავაჭრო ქსელში გატანილი საქონლის ფასების ნიხრის განსაზღვრა და ა.შ. მოურავი არა მარტო არჩევდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, არამედ გამოძიებასაც აწარმოებდა. საამისოდ მას სპეციალური ჯგუფი ჰყავდა. მოურავის სამოხელეო ფუნქციაში შედიოდა «ქურდების», «ავკაცების» და სხვა დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლა, ასევე უცხო სტუმრების მიღება, მეფისათვის ინფორმაციის მიწოდება ქალაქში მომხდარი ამბების შესახებ. თბილისის მოურავის წლიური შემოსავალი 2.630 მანეთამდე იყო, ხოლო გორისა 2.100 მანეთამდე.[4] მოურავს თავისი სამოხელეო აპარატი ჰყავდა. ასეთები იყვნენ

---

[1] იხ. შ. მესხია. Города и Городской строй феодальной Грузии. Тб., 1959, ст. 244.
[2] იქვე. გვ. 249.
[3] იხ. შ. მესხია. საქართველოს სიძველენი. II. გვ. 528.

[4] იხ. შ. მესხია. დასახ. ნაშრ., გვ. 258.

მელიქ-მამასახლისი, ნაცვალი, ქეთხუდი და ა.შ. თბილისის მოურავს თავისი დარბაზი გააჩნდა, სხდომებს იწვევდა და იხილავდა სხვადასხვა საკითხებს. ამ დარბაზის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის დავით ბატონიშვილი, რომელიც აღნიშნავს: «თბილისის დარბაზის სხდომაზე დაიშვებოდნენ მდივანბეგი, მოურავი და ქალაქის სხვა უწყებათა პირველი ხელმძღვანელები».[1]

დიდი უფლებებით სარგებლობდა ქუთაისის მოურავიც. იმ განსხვავებით, რომ ის სარდალიც იყო. «ამით იყო მისი თანამდებობა განვრცობილი. მდივანბეგებს არ შეეძლოთ განერჩიათ საქმეები მისი განმგებლობისა, თვითონვე განარჩევდა საჩივრებს, გადასწყვეტდა და განაჩენს აღასრულებდა».[2]

გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების მართვა-გამგეობის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მამასახლისს, რომელიც მოურავის აპარატში შედიოდა და მოურავის შემდეგ პირველი კაცი იყო. XVI საუკუნის მეორე ნახევარში თბილისის მამასახლისთან ერთად მელიქის სახელოსაც ვხვდებით და ხშირად იგი მამასახლისზე წინ იდგა. მელიქი პირველ ხანებში სომხური მოსახლეობის სამართავად ინიშნებოდა და მისი ფუნქცია მამასახლისისას უტოლდებოდა. ამ ინსტიტუტების დანიშნულება და საქმიანობა თავის დროზე შეისწავლა პროფ. შ. მესხიამ. მისი მონაცემებით, 1725 წლიდან მამასახლისისა და მელიქის სახელო გაერთიანდა და ეწოდა მელიქ-მამასახლისი. ამ თანამდებობის პირის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა მამულების ყიდვა-გაყიდვის დოკუმენტების შედგენა-დაბეჭდვა. ე.ი. მეფე მოქალაქეს რომ სითარხნის სიგელს გადასცემდა, მას მელიქ-მამასახლისის ბეჭდის დასმა სჭირდებოდა. მისი შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა – «როცა თბილისელი ვაჭრები სხვა ქვეყნებიდან ბრუნდებოდნენ, მელიქ-მამასახლისს მოსაკითხს მიართმევდნენ, მეფის კუთვნილ თბილისელ მოქალაქეებს სამეფო გადასახადი ერთმეოდათ, ამაში მელიქ-მამასახლისს წილი ერგებოდა. მელიქ-მამასახლისი თბილისის

---

[1] იხ. დავით ბატონიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 368.
[2] იხ. მ. ყიფიანი, სამსახურის დაწყობილებისათვის იმერეთში, ცისკარი, I, 1960 წ. გვ. 94-95.

ასნაფებიდან საჩუქრებს იღებდა ამა თუ იმ ბედნიერი დღის დროს. განჯიდან მოტანილ თევზიდან ურემზე სამი შაური მელიქ-მამასახლისისა იყო».[1]

საქართველოს ქალაქების მმართველობის სისტემაში შემავალი სახელოების სტრუქტურაში გარკვეულ ცვლილებებს ვხედავთ. დედაქალაქს, თავისი სიდიდის და დანიშნულების მიხედვით, უფრო სრულყოფილი მმართველობის სისტემა გააჩნდა და მოხელეთა მრავალფეროვნებასთანაც გვაქვს საქმე. თბილისის მმართველობის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა **ნაცვალს.** მასაც მეფე ნიშნავდა «ნაცვალი მოურავის დასახედ მოხელეთა შემადგენლობაში შედიოდა».[2] ნაცვალის უფლება-მოვალეობა ასე იყო განსაზღვრული: «ბატონის ნაცვალი და მოურავის ნაცვალი ყოველთვის უნდა სინჯავდეს ლიტრას, ადლს, საწყაოს და ყოველსავე საწონს და გასაზომს და თუნგს და რომელსაც ნაკლებობა და სიმრუდე... შეამჩნევს, ჯარიმა უნდა წაერთვას. იმ ჯარიმის ათისთავი მოურავისა არის და ამ მოურავის ათის-თავიდამ ათის-თავი ბატონის ნაცვლის არის».[3]

გარდა ამისა, ნაცვალი ქალაქში წერიგსაც ადევნებდა თვალყურს. იგი ქალაქის სამოხელეო კიბის მეოთხე საფეხურზე იდგა. 1725 წლიდან ნაცვალის სახელომ მესამე საფეხურზე გადაინაცვლა. ყველა ქალაქში, თბილისის გარდა, თითო ნაცვალი იყო. თბილისში კი ორი, ერთი მეფისა და მეორე მოურავისა, იმისდა მიხედვით, თუ ისინი ვისი დანიშნულნი იყვნენ. კომპეტენციათა სიდიდეც ამაზე იყო დამოკიდებული.[4]

ქალაქის მმართველობასა და სამოხელეო სისტემაში გარკვეული ადგილი ეჭირა ქალაქის ციხის თავს, ანუ **მინბაშს.** ამის მიზეზი იყო ფეოდალური საქართველოსათვის დამახასიათებელი ციხე-სიმაგრეთა სისტემის არსებობა, რომელიც (და არა მარტო საქართველოსათვის) თავდაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენდა.

---

[1] იხ. დ. გვრიტიშვილი. დასახ. ნაშრომი., გვ. 318.
[2] საქართველოს სიძველენი, II, გვ. 527.
[3] იქვე.

[4] დაწ. იხ. შ. მესხია. დასახ. ნაშრ., გვ. 281-283.

საქართველო ის ქვეყანა იყო, რომელიც გამუდმებულად განიცდიდა მტრის თავდასხმებს. ამიტომ ციხე-სიმაგრეები ყოველთვის მზადყოფნაში იყვნენ და საკუთარი დაცვაც გააჩნდათ. ადრეული პერიოდიდან ყველა ციხეს თავის ამალა და ციხისთავი ჰყავდა. XVII-XVIII საუკუნეებიდან ჩვენამდე მოღწეული საბუთების მიხედვით, ციხისთავის მაგიერ ვხვდებით მინბაშის სახელოს. ეს თურქული გავლენის შედეგი იყო. მინბაშად მეფე ამა თუ იმ თავადს ნიშნავდა და იგი საპატიო სახელოს წარმოადგენდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებული მასალებიდან ჩანს ამ სახელოს მნიშვნელობა და დანიშნულება. 1786 წლით დათარიღებულ ერეკლე II-ის მიერ გაცემულ ერთ-ერთ სიგელში ნათქვამია: «ბორის მინბაშობა დიასამიძეს ივანეს რომ მივეცით, თავისი ყმანი გაუთარხნეთ, რომ ციხეში თავისი კაცი უნდა დაეყენებინა». საბუთების მიხედვით ირკვევა, რომ ციხის დაცვის ორგანიზაციას, მცველთა განწესების საქმეს მინბაში ხელმძღვანელობდა, რისთვისაც ციხეს გარკვეული სამოქმედო დებულებაც გააჩნდა. ციხეში შემსვლელთა სია, დრო და წესი ცალკე დგებოდა და მას უნდა დამორჩილებოდა ყველა.

ქალაქის მმართველობის სისტემაში შედიან სხვა მოხელეებიც. მათ შორის მებაჟეები, რომელებსაც ევალებოდათ აკრძალული საზღვარგარეთული საქონლით ვაჭრობის არდაშვება ბაზრებსა და სხვა სავაჭრო ობიექტებში. ასევე მათ უნდა გაეკონტროლებინათ ადგილობრივი წარმოების ის საქონელი, რომლის გატანა საზღვარგარეთ აკრძალული იყო. დავით ბატონიშვილთან ვხვდებით კაფანდრებს (მწონავებს), მდივნებს (მუშრიბებს). მოსახლეობისა და მათი ქონების აღმწერებს, მეძველთამანენთ, უპატრონო ქონების გამგებელთ, გადასახადის ამკრებთ, ჯარჩებს, ანუ მეფის, მოურავის თუ სხვა მოხელეთა განკარგულების საჯაროდ გამომცხადებლებს; ასასებს, რომლებიც ქურდებსა და სხვა დამნაშავეებს იჭერდნენ.

გარდა ზემოაღნიშნული მოხელეებისა, ქალაქის მართვა-გამგეობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ამორჩეული მოქალაქეები – ქეთხუდები, რომლებსაც დამოუკიდებელი უფლება-მოვალეობანი არ გააჩნდათ.

ზედმეტ-ნაკლები მსგავსება და განსხვავება იყო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქალაქების მმართველობის სისტემაში. ამის თაობზე ყურადღება გაამახვილეს მკვლევარებმა: მ. ყიფიანმა, ალ. ხახანაშვილმა, ს. კაკაბაძემ, კ. გრიგოლიამ, ნ. შენგელიამ, მ. დუმბაძემ, ო. სესელიამ, ბ. ლომინაძემ, დ. გვრიტიშვილმა, ალ. ბენდიანიშვილმა, გ. მჭედლიძემ, მ. რეხვიაშვილმა, პ. ვაჭრიძემ, ო. ლანჩავამ, გ. გაბუნიამ და სხვებმა.

აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის ბოლოს საერისთავოები სამოურავოებად დაიშალა. მაგ. კახეთის შვიდი საერისთავოს (რუსთავის, კვეტერის, პანკისის, ხორნაბუჯის, ვეჯინის, მაჯისა და შტორის) ნიადაგზე აღმოცენდა 30 სამოურავო, იმერეთში 24-მდე სამოურავო შეიქმნა და ა.შ. საბოლოოდ, საქართველოს სახელმწიფოებრივი მმართველობის აპარატი საკმაოდ რთული იყო და მოხელეთა მთელი იერარქია გააჩნდა. ისევე, როგორც ყველა ქვეყანაში, საქართველოს მმართველობის და სამოხელეო აპარატის შენახვა ქართველ ხალხს აწვა კისრად და მაშინაც არაერთი უკანონობა ხდებოდა, რასაც ამა თუ იმ ფორმით ყოველთვის ებრძოდა მოსახლეობის მოწინავე ნაწილი. ცნობილია, თუ რა გადამწყვეტ როლს აკუთვნებდა სოფელსა და გლეხობას ილია ჭავჭავაძე. იგი მათ ჩვენი ეროვნული იმედების სულსა და გულს უწოდებდა და მიაჩნდა, რომ სოფელი მარად უნდა დარჩეს ქართული ცხოვრების «ბალავრის ქვად». აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძემ ნათლად აჩვენა სახელმწიფო მართვა-გამგეობის ეს ორგანული მთლიანობა და ურთიერთგანპირობებულობა:

«ქვეყნიერებაზედ მმართველობას ორგვარი წყობა და აგებულება ჰქონდა და აქვს... მმართველობა არ შეიძლება, რომ ან ერთისაკენ არ იყოს მიდრეკილი, ან მეორისაკენ. ერთგვარი მართველობა იგია, საცა სახელმწიფო საჭიროების საქმესაც თვით მთავრობა განაგებს და საზოგადოებასაც ყველა და ყოველს ნაწილში. ამ შემთხვევაში მთავრობა ყოველგვარი საქმის დამწყები და მოთავეა, ყოველგვარი საქმის მწარმოებელია, ასე რომ, ყოვლის მზრუნველი და გამგეა, ყოველივე მისგან წარმოსდგება და ყოველივე მასვე ერთვის, ამგვარი გამგეობისათვის მას თავისი საკუთარი მოხელე-კაცნი ჰყვანან, რომელთაც თვითვე ირჩევს, თვითვე ჰნიშნავს, თვითვე გადააყენებს და რომელნიც მხოლოდ

მის წინაშე არიან პასუხისმგებელნი. ამგვარს მმართველობას ცენტრალიზაციას ეძახიან.

მეორეგვარი მმართველობა იგია, საცა მთავრობას ხელთ უპყრია მარტო სახელმწიფოს საჭიროების საქმენი, ყოველივე სხვა კი, საზოგადოებას დაუსაკუთრებია მერე ისე, რომ ყოველ ნაწილს ქვეყნისას თვისნი ადგილობრივნი საქმენი აქვს ხელშეუვლად მინდობილნი. ერთის სიტყვით, ამგვარის მმართველობის დედა-აზრი იგია, რომ ადგილობრივნი... საქმენი თვით ადგილობრივ მცხოვრებთაგან განიგებოდეს.

ამგვარი მმართველობა მეტად ხელს უწყობს ქვეყნის კეთილდღეობასა; ხალხს აფხიზლებს, ჭკუასა და გონებას უხსნის... საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს. ამგვარი მმართველობა ისეთის თვისებაა, რომ საცა სურს ადამიანს, ყველგან და ყოველთვის ხალხში იხეირებს... მთავრობაც მძიმე ტვირთს ქვეყნის გამგეობისას შეუმსუბუქებს».[1]

შემდგომი პერიოდის მმართველობის ორგანოები იცვლებოდნენ ქვეყანაში დამპყრობელთა მიერ დამყარებული პოლიტიკური რეჟიმების შესაბამისად, თუმცა ძირითადად სახელისუფლო მმართველობის ორგანოები ინარჩუნებდნენ ისტორიულ ფორმას.

XIX ს. დასაწყისში საქართველოს რუსეთის იმპერიაში გაერთიანების შემდეგ ახალი საზოგადოებრივი ძალები გამოვიდნენ ასპარეზზე. განვითარება დაიწყო კაპიტალისტურმა ურთიერთობებმა. ქ. თბილისთან ერთად ვითარდებოდა ქალაქები ქუთაისი, ფოთი, სოხუმი, ახალციხე, გორი, სიღნაღი, თელავი და საქართველოს სხვა დაბა-ქალაქები. 1821 წელს საქართველოს ქალაქებში ითვლებიდა 50 ათასამდე მცხოვრები, 1865 წლისათვის ქალაქის მკვიდრმა მოსახლეობამ მიაღწია 121 ათასს, რა თქმა უნდა ქალაქის მოსახლეობის ზრდა სოფლის ხარჯზე ხდებოდა, ქალაქის მოსახლეობა 310%-ით გაიზარდა.

თბილისის საზოგადოებრივი მმართველობა ორად იყოფოდა: საერთო – ქალაქის მთელი მოსახლეობისათვის და კერძო – მცხოვრებთა ცალკეული

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VI, თბ. 1956 წ. გვ. 35-37.

წოდებრივი თანრიგებისათვის. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა 21 წელს მიღწეულ პიროვნებას, ვინც ქალაქში ფლობდა უძრავ ქონებას ან სავაჭრო-სახელოსნო დაწესებულებას, რომელთა წლიური სუფთა შემოსავალი აღემატებოდა 100 მანეთს და ჩაწერილი იყო ქალაქის წიგნში. ამომრჩევლები იყოფოდნენ ოთხ თანრიგად: 1) მემკვიდრეობითი აზნაურები 2) პირადი აზნაურები და საპატიო მოქალაქენი 3) საკუთრების მქონე მოქალაქენი და ქალაქზე მიწერილი ახლად მოსულები 4) უძრავ ქონებას მოკლებული ქალაქის მცხოვრებნი, რომელნიც იხდიდნენ საქალაქო გადასახადებს. ყოველი თანრიგის მოქალაქენი თვიანთი წრიდან ირჩევდნენ ხმოსნებს. სულ კრებაში ირჩეოდა 100 ხმოსანი და 35 ხმოსნობის კანდიდატი.

ქალაქის თავად შეიძლება არჩეულიყო ყოველი წოდების პირი, რომელიც მიღწეული იყო 25 წლის ასაკს და ქალაქში ფლობდა არა ნაკლებ 10 ათას ვერცხლის მანეთად ღირებულ საკუთრებას. არჩეულ ქალაქის თავს თანამდებობაზე მეფისნაცვალი ამტკიცებდა.

ქალაქის განმკარგულებელ სამმართველოში ყოველი წოდებრივი თანრიგი ირჩევდა ორ წევრს. განმკარგულებელი სამმართველო შედგებოდა ქალაქის თავის (თავმჯდომარე) წოდებათა მიერ არჩეული 8 წევრისა და მთავრობის მიერ დანიშნული ერთი წევრისაგან.

წოდებრივ კრებებს ქმნიდნენ მამასახლისები და ამომრჩევლები. ისინი იხილავდნენ ამ თუ იმ წოდების მიმდინარე საკითხებს და თავისი წრიდან არჩეულ ხმოსნებს საერთო კრებაზე გზავნიდნენ. წოდებრივ გამგეობებს ქმნიდნენ მესამე-მეოთხე თანრიგის ამომრჩევლები. წოდებრივი გამგეობები და მათი მამასახლისები ქალაქის სამმართველოს კანონით გარკვეულწილად შეზღუდული იყო, კომპეტენციის გადაცემის შემთხვევაში მთავრობისაგან დანიშნული წევრი შენიშვნას გააკეთებდა ან წერილობით პროტესტს გუბერნატორს გადასცემდა, რომელსაც შეეძლო სამმართველოს დადგენილება-განკარგულების გაუქმება.[1]

---

[1] იხ. Ш. Чхетия. Тбилиси в XIX столетии. 1942. стр. 439-493.

საინტერესოა რუსეთის იმპერიის თვითმმართველობის ორგანოთა სტრუქტურა, რომლის ჩამოყალიბება ემთხვევა 1905-1907 წლების რევოლუციას. ეს იყო მუშათა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც საგაფიცვო ბრძოლას და რევოლუციურ მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ და ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ კონკრეტულ იდეოლოგიასთან და კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებულ ორგანოებს. შემდგომში კი ისინი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში გადადიან და ყალიბდებიან როგორც ხალხის თვითმმართველობის დემოკრატიული ორგანოები, მათი საქმიანობა ჯარსაც შეეხო. თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ საბჭოები ტერიტორიულ თვითმმართველობის ახალ ორგანოებად გადაიქცნენ, რომლებსაც ყველგან ირჩევდნენ. მიუხედავად უამრავი ნაკლოვანებებისა. თავიდან მათ შექმნას არჩევნების გზით მართლაც ჰქონდა დემოკრატიული ნიშნები.

ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით, «ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციის შესახებ» დოკუმენტში, სადაც ლაპარაკია ადგილობრივი საბჭოების საქმიანობაზე, ერთი შეხედვით დიდ უფლებებს ანიჭებდა საბჭოებს, მაგრამ საკმარისი არ იყო რეალური სახალხო წარმომადგენლობებისათვის. ადგილობრივი საბჭოები მოკლებული იყვნენ დამოუკიდებლობას ცენტრალური ხელისუფლებისაგან, ერთმანეთში იყო არეული უფლებამოსილებანი და ფუნქციათა შესრულება[1], ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სტრუქტურათა პარალელიზმს, რაც არ არის დამახასიათებელი თვითმმართველობის ორგანოებისათვის.

[1] იხ. ბ. ნაკაშიძე. თვითმმართველობა საქართველოში (საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემები). ბათუმი. 1994 წ. გვ. 25.

დასკვნა

სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი ისტორია ნათლად ადასტურებს, რომ უძველესი დროიდან – ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, შუა საუკუნეების ჩათვლით, საქართველოს პოლიტიკური სისტემების, მათ შორის, ადგილობრივი მმართველობითი აპარატის შექმნა-განვითარების ტენდენციები არსებითად არ განსხვავდება **ევროპული ქვეყნების** სახელმწიფოებრივი განვითარების ძირითადი თავისებურებებისაგან.

სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ევროპული მოდელი, რომელმაც თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოებისა და მათი ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემების შექმნამდე მიგვიყვანა, თითქმის იდენტურია საქართველოს სახელმწიფოებრივი ისტორიისა და ამ ისტორიის ყველა უმთავრესი ეტაპის თანხვდენილია, გარდა გარეშე ძალადობითა და ბედის უკუღმართობით განპირობებული კატასტროფისა, რის შედეგადაც გიორგი ბრწყინვალის შემდგომ, ფაქტობრივად, დაირღვა ქართული სახელმწიფოებრიობის ტრადიცია და ერთიანი საქართველოს აღდგენა XX საუკუნემდე გადაიდო. მიუხედავად ამისა, ასეთი ტენდენცია სრულიად აშკარად იჩენდა ხოლმე თავს ქვეყნის ამა თუ იმ მხარეში მეტ-ნაკლები მშვიდობიანობის დროს და რომელიმე ქართული სამეფოსა თუ სამთავროს დაწინაურებისას.

საქართველო გარეშე მტერთაგან მრავალგზის აოხრებულა, მაგრამ პოლიტიკური არსებობა მაინც არ შეუწყვეტია. ქვეყნის შიდა მმართველობა (თუ არ ჩავთვლით თურქ-ოსმალთა მიერ მიტაცებულ ტერიტორიებს) ყველაზე მძიმე ჟამსაც ძირითადად ქართველების ხელში რჩებოდა და მიუხედავად თავსმოხვეული ზოგიერთი გარეშე წესისა, მაინც ქართული, ე.ი. ევროპული ტრადიციის შესაბამისად ხორციელდებოდა.

XX საუკუნის დასაწყისში მმართველობის რაციონალიზაციის ევროპულ ტრადიციას, რომელიც შუა საუკუნეების ფეოდალურ საქართველოში ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგაც მთლიანად არ ჩამკვდარა, ბოლო მოუღო

რუსეთის იპერიის, ხოლო შემდგომ ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამ. 1918-21 წლებში ქართული ტრადიცია მცირე დროით აღსდგა, რის შედეგადაც 1921 წლის ქართულ კონსტიტუციაში მკაფიოდ დაფიქსირდა ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპი. მმართველობის რუსული იმპერიული, ხოლო შემდგომ, საბჭოური წესით ქართული ტრადიციის ჩანაცვლება, რომელიც ძალადობის, მოტყუების და მოსყიდვის გზით ხორციელებოდა, ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედიაა საქართველოს ისტორიაში.

საქართველო არასდროს შეგუებია რუსულ მმართველობას, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში არასდროს ჰქონია საკმარისი ლეგიტიმურობა. ამასთან, მმართველობის სისტემის ევროპული ტრადიციისკენ შემობრუნება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა საქართველოს პოლიტიკურ არსებობას, მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენას. XX საუკუნის ბოლოს, 1991 წლის 9 აპრილს, აღსდგა საქართველოს დამოუკიდებლობა, რის შედეგადაც შეიქმნა პირობები განახლებულიყო მართვა-გამგეობის ქართული, მაშასადამე, ევროპული ტრადიცია.

§2. ადგილობრივი თვითმმართველობა და მმართველობა თანამედროვე საქართველოში

პოლიტიკური სისტემის თეორია იცნობს ორ განსხვავებულ მიდგომას ა) ცენტრალიზებული სახელმწიფო მმართველობის სისტემას, სადაც ხელისუფლება წყვეტს ყველა ადმინისტრაციული ერთეულის გამგებლობის მცირე და უმნიშვნელო საკითხებსაც კი, ბ) დეცენტრალიზებულ სისტემას, როდესაც რეგიონებს ეძლევათ მათთვის სპეციფიკურ პრობლემათა გააზრებისა და გადაწყვეტის უპირატესობა. ამ პროცესის შინაარსი და ლოგიკა იმ მარტივ მოსაზრებაში მდგომარეობს, რომ კონკრეტული რეგიონის, რაიონისა თუ სოფლის წარმომადგენლებს, რომელთაც ირჩევს და აკონტროლებს ამ რეგიონის მოსახლეობა, უფრო სწრაფად, სწორად და შედეგიანად შეუძლიათ დემოკრატიული სახელმწიფოს მმართველობის ძირითადი პრინციპის – ხალხის მსახურების რეალური განხორციელება.

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობა და მმართველობა, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი პოლიტიკური ნება აღიარებული იქნა ჯერ კიდევ 1921 წლის კონსტიტუციის მიერ, რომლის მეათე თავი ეძღვნება ადგილობრივ თვითმმართველობას, სადაც მე-9 მუხლში განსაზღვრულია უფლებამოსილებანი. კონსტიტუციით «ადგილობრივი თვითმმართველობა არის იმავე დროს ორგანო ადგილობრივი მმართველობისა და განაგებს ადგილობრივ გამგეობის კულტურულ, განმანათლებელ და სამეურნეო საქმეებს თავის ტერიტორიის ფარგლებში.

ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილება, აგრეთვე მათ მიერ აქტების გამოცემის წესი განისაზღვრება კანონით. კანონსაწინააღმდეგო აქტები შეიძლება გაუქმდეს სასამართლოს მიერ. ადგილობრივი ორგანოები საქმიანობის პროცესში ემორჩილებიან მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს. ეს უკანასკნელნი კი უფლებამოსილნი არიან შეაჩერონ ადგილობრივი ორგანოების საქმიანობა და მიმართონ სასამართლოს. კონსტიტუციით ცალკეა გამოყოფილი ადგილობრივი ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ორგანოებისაგან გამიჯნულია ავტონომიური მმართველობა».[1]

1921 წლის კონსტიტუციამ მართვის ადგილობრივ სისტემასთან ერთად ცალკე გამოყო ავტონომიური მმართველობა, კერძოდ, დააწესა სამი ავტონომიური ერთეული: სოხუმის ოლქი, ბათუმის მხარე და ზაქათალას ოლქი.

ეს იყო პირველი მცდელობა საქართველოში დამოუკიდებელი თვითმმართველობის შექმნისა. თუმცა მას გააჩნდა გარკვეული ხარვეზები, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი სახელმწიფოებრივი სტრუქტურებითა და შესაბამისად, ამ სტრუქტურების სისუსტით. სწორედ ამის გამო იყო, რომ არ მომხდარა თვითმმართველობისა და მმართველობის ფაქტობრივი გამიჯვნა. ადგილობრივი თვითმმართველობა იმავდროულად იყო ადგილობრივი მმართველობის ორგანოც. მოქმედებდა

---

[1] იხ. ა. დემეტრაშვილი, მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები. თბ., 1992 წ. გვ. 44-45.

დაქვემდებარების ვერტიკალურ, ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის.

საბჭოთა პერიოდში ადგილობრივ მმართველობას ფორმალურად ახორციელებდნენ დეპუტატთა საბჭოები და შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტები.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ადგილობრივ დონეზე მმართველობითი საქმიანობა ხორციელდებოდა პრეფექტურისა და პრეფექტის მიერ.

სამწუხაროდ, 1990 წელს არჩეულმა საკრებულოებმა ვერ შეძლეს მათთვის უმთავრესი რეპრეზენტატიულობის ფუნქციის შესრულება, რასაც უნდა უზრუნველეყო ადგილობრივი მმართველობის გადაწყვეტილებათა პოპულარობა. ეს მოხდა მათი ინსტიტუციონალური და დემოკრატიული ტრადიციების ჯერ კიდევ სისუსტის გამო.

საკრებულოების ინსტიტუციონალურ სისუსტეს მრავალი მიზეზი ჰქონდა, მათ შორის:

ა) პროპორციული, ე.წ. ერთადერთი გადასაცემი ხმის საარჩევნო სისტემა, რის შედეგადაც საკრებულოები ჩამოყალიბდნენ მმართველი ბლოკის – «მრგვალი მაგიდის» ერთგვარ პოლიტიზირებულ ადგილობრივ დანამატებად;

ბ) იერარქიული ადმინისტრაციული დაქვემდებარება, რის შედეგადაც «ზემდგომმა» ორგანოებმა სრულიად დათრგუნეს «ქვემდგომი» საკრებულოები;

გ) წარმომადგენლობითი ორგანოების ფუნქციონირების შესაბამისი ინსტიტუციონალური გარემოს არარსებობა – გაუმიჯნავი დარჩა მმართველობის ცენტრალური დ ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციები.

ყოველივე ამის შედეგად, მმართველობის აღმასრულებელი ვერტიკალის შენარჩუნების პირობებში, საკრებულოები პრაქტიკულად ჰაერში გამოკიდებული «დემოკრატიული ანტურაჟი» გახდა ახლად რესტრუქტუირებული ცენტრალიზებული მართვის კვაზისისტემისათვის. «მართვა» ხორციელდება მხოლოდ პრეფექტების მეშვეობით. ამასთან, პრეფექტების კომპეტენციების საზღვრები «ადგილობ-

რივი მნიშვნელობის» საკითხების გადაწყვეტისას ყველაფერს მოიცავდა და რაიმე სამართლებრივ-ინსტიტუციონალურ ჩარჩოებს პრაქტიკულად არ ექვემდებარებოდა.

მმართველობის სისტემის დაშლის პროცესმა მძლავრი იმპულსი მისცა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებას. არ დაწყებულა სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების გამიჯვნა. ერთადერთ მესაკუთრედ მუნიციპალურ სფეროში რჩებოდა ისევ სახელმწიფო, რომელსაც აღარ შესწევდა უნარი ამ ქონების მართვისათვის. არ არსებობდა არც ადგილობრივი საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკა. პრაქტიკულად შეიქმნა ყველა პირობა ადგილობრივი მართვის ფაქტიური ლიკვიდაციისათვის.

ქვეყნის მასშტაბით ყველა სფეროში მიმდინარე უმართავი მოვლენები საბოლოო ჯამში გადაიზარდა სახელმწიფოებრიობის ღრმა კრიზისში, რამაც ცენტრალური ხელისუფლების მოშლასთან ერთად ავტომატურად განაპირობა აღმასრულებელ ვერტიკალზე დამყარებული ადგილობრივი მმართველობის ნგრევაც. პრეფექტების ინსტიტუტი ცენტრალური ხელისუფლების გაუქმებასთან ერთად დაიშალა, მიუხედავად იმისა, რომ ფუნქციონირებას აგრძელებდნენ, საკრებულოების სრული უმწეობა და მათი ფიქტიური ხასიათი სრულიად აშკარა შეიქმნა.

თანამედროვე საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელების საკანონმდებლო ბაზის საფუძველს წარმოადგენს 1997 წლის 16 ოქტომბერს მიღებული ორგანული კანონი «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ»[1], კანონიდან გამომდინარე, 1998 წლის 15 ნოემბერს ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი არჩევნები საქართველოში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გამოკლებით. 2002 წლის 2 ივნისს (1 წლის დაგვიანებით) კვლავ ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის მეორე არჩევნები. ქალაქებში (თბილისისა და ფოთის გარდა) პირდაპირი კენჭისყრით აირჩიეს ქალაქის მერები, აგრეთვე სოფლებისა

[1] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ 2001 წლის 2 აგვისტოს მდგომარეობით შედგება ათი თავისა და 50 მუხლისაგან.

და ქალაქების საკრებულოები. რაც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის სრულყოფის საქმეში, მაგრამ კვლავ რჩება მოუწესრიგებელ საკითხთა რიგი, რომლებიც მომავალში დახვეწას და დარეგულირებას საჭიროებენ. როგორც კონსტიტუცია ადგენს: «საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ»[1], რაც უთუოდ აისახება ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურაზეც.

ადგილობრივი თვითმმართველობის თანამედროვე კონცეფციას საფუძველი დაუდო ევროპის ქარტიამ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის მეტი ერთიანობის მიღწევა იმ იდეების და პრინციპების განსახორციელებლად და დასაცავად, რომლებიც ამ ქვეყნების საერთო მონაპოვარია. ევროპული ქარტიისათვის მიზნის მისაღწევად ერთადერთი საშუალებაა შეთანხმება ადმინისტრაციულ სფეროში, რადგანაც ადგილობრივი ხელისუფლება ნებისმიერი დემოკრატიული წყობის ერთადერთი საფუძველია,[2] რომელიც ადგენს ადგილობრივ დონეზე ხელისუფლების განხორციელების წესსა და პირობებს, აგრეთვე მოქალაქეთა უფლებებს ადგილობრივ ორგანოებთან მიმართებაში. ხელისუფლების დეცენტრალიზაცია და რიგი საკითხების ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტა კი იძლევა იმის გარანტიას, რომ მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები და განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი ფუნქცია – დამოუკიდებლად გადაწყდეს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

1999 წლის 27 იანვარს, სტრასბურგში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საქართველოს გაწევრიანებას ევროპის საბჭოში, რომელმაც საქართველო მიიღო 41-ე წევრად, როგორც მთლიანი და

---

[1] საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2004 წ. გვ. 5.

[2] იხ. მუნიციპალური მაცნე. №4. 1999. გვ. 1.

განუყოფელი ქვეყანა, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-2 და მე-4 მუხლების შესაბამისად

- საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეულახავად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით[1].

2.1. ადგილობრივი თვითმმართველობის არსებული სისტემის პრობლემები და მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის რეფორმის ძირითადი ამოცანები

სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტების აღმშენებლობის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის შექმნა და განვითარება. ამ თვალსაზრისით ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო 1991-2003 წლებში მიღწეული რაიმე მნიშვნელოვანი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, მიუხედავად რამდენიმე მცდელობისა, დღემდე ვერ მოხერხდა მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაცია და რეალური ადგილობრივი თვითმმართველობის დაფუძნება. მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის პროცესის განსაკუთრებული სირთულეები განპირობებული იყო მთელი რიგი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორებით, რომელთა შორის ძირითადია:

- მძიმე საბჭოური მემკვიდრეობა და თვითმმართველობის ტრადიციის არ არსებობა;

- ირაციონალური, კლანურ-ნომენკლატორული სახელმწიფო აპარატი და განსაკუთრებული მასშტაბების კორუფცია;

---

[1] იხ. საქართველოს კონსტიტუცია. თბ. 2004 წ. გვ. 5-6.

- პოლიტიკუტი ნების არათანმიმდევრულობა და რეფორმათა გააზრებული სტრატეგიის ჩამოუყალიბლებლობა;

- ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური არასტაბილობა;

- ეკონომიკური ვარდნა და საჯარო რესურსების განიავება.

მართალია, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოში უკვე ოთხგზის (1991, 1998, 2002 და 2006 წლებში) შედგა ადგილობრივი არჩევნები, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გამო ადგილობრივი თვითმმართველობა ჩანასახოვან მდგომარეობას არ გასცილებია. შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის კვაზი-სისტემა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ მოქალაქეთა ადგილობრივი თვითმმართველობის უფლების განხორციელებას. საერთაშორისო თუ ადგილობრივ ექსპერტთა ერთსულოვანი შეფასებით თვითმმართველობის ამ კვაზი-სისტემის არსებითი ხარვეზებია:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული საფუძვლების არასწორად დადგენა, რაც განაპირობებს მნიშვნელვან დისბალანსს წვრილი და მრავალრიცხოვანი თვითმმართველი ერთეულების კომპეტენციებსა და მათ ხელთ არსებულ რესურსებს შორის;

- ცენტრალური ხელისუფლების, ადგილობრივი მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციების გაუმიჯნაობა და ურთიერთაღრევა, რის შედეგადაც ყველაზე მეტად ზარალდება მმართველობის სისტემის ქვედა რგოლი - ადგილობრივი თვითმმართველობა და კანონით გარანტირებული მისი უფლებამოსილებანი რეალურად ვერ ხორციელდება;

- ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების „ვერტიკალზე» ადგილობრივი მმართველობის სახით რაიონული რგოლის არსებობა, რომელიც სერიოზულად აბრკოლებს და ფაქტიურად შეუძლებელს ხდის დეცენტრალიზაციის განხორციელებას;

- ადგილობრივი თვითმმართველობის დაუბალანსებელი ინსტიტუციურ მოწყობა, რის შედეგადაც თვითმმართველობის განხორციელების უმთავრესი ინსტიტუცია - წარმომადგენლობითი ორგანო ან აღმასრულებლი ორგანოს პრაქტიკულ დაქვემდებარებაშია, ან ამ ორგანოებს შორის ვერ ხერხდება მწვავე კონფლიქტების დარეგულირება, რაც მნიშვნელოვანწილად აფერხებს მათ ნორმალურ ფუნქციონირებას;

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ეფექტიანი მექანიზმების პრაქტიკულად არარსებობა, თვითმმართველობის ორგანოებისა და ადგილობრივი საზოგადოების გათიშულობა, რაც ადგილობრივ თვითმმართველობას სრულ ფორმალობად აქცევს და სერიოზულ პრობლემებს ქმნის ადგილობრივი დემოკრატიის რეალურად დაფუძნებაში;

- ადგილობრივი საჯარო სამსახურის ირაციონალური სისტემა, რის შედეგადაც ფაქტიურად შენარჩუნებულია ადგილობრივი ბიუროკრატიის კლანურ-ნომენკლატორული ხასიათი, მოუწესრიგებელია და კანონიერ, რაციონალურ საფუძველს არ ემყარება ადგილობრივ მოხელეთა მომზადება-გადამზადება, მათი სამსახურში მიღება და კარიერის გავლა;

- ადგილობრივი და სახელმწიფო ქონების გაუმიჯნაობა, ადგილობრივი საკუთრების ფორმალური ხასიათი, შედეგად - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ რაიმე არსებითი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკული შეუძლებლობა;

- ადგილობრივი ბიუჯეტების თითქმის სრული დამოკიდებულება ცენტრალურ ბიუჯეტზე, ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესის ფიქტიური ხასიათი და მოუწესრიგებლობა;

- ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივ ორგანოებზე ზედამხედველობის განხორციელების მოუწესრიგებლობა, რის შედეგადაც პრაქტიკულად სანქცირებულია ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაში სახელმწიფო ორგანოების ჩარევა და იმავდროულად, ადგილობრივი

ორგანოებისათვის პრაქტიკულად ნებადართულია კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღება.

ცხადია, ასეთი ხარვეზების მქონე ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და საქართველოში მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის პროცესი ფაქტიურად თავიდან არის დასაწყები. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხარვეზის გამოსწორება შემდეგი ამოცანების გადაწყვეტასთან არის დაკავშირებული:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის) ტერიტორიული საფუძვლების დადგენა;

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ახლებური ინსტიტუციური მოწყობა;

3. ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო მოწყობა, საფინანსო დეცენტრალიზაციის განხორციელება;

4. ადგილობრივი საკუთრების, ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური საქმიანობისა და ადგილობრივ საზოგადოებრივ მომსახურებათა უზრუნველყოფა;

5. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებათა რეალური გამიჯვნა, ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;

6. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა;

7. სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოთა ურთიერთთანამშრომლობისა და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებზე სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფა.

2.2. მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის რეფორმის უმთავრესი მიმართულებანი

დეცენტრალიზაციის სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობის არსებული კვაზი-სისტემის ხარვეზების აღმოფხვრასა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპის ქარტიის სტანდარტების შესაბამისი სისტემის შექმნას, გულისხმობს გარდაქმნებს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

ა) ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობის დაბალანსება;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციების გაფართოება და მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;

გ) სახელმწიფო ქონების გადაცემა ადგილობრივ საკუთრებაში;

დ) საფინანსო დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესის მოწესრიგება;

ე) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა;

ვ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელების მკაფიო რეგულირება.

ზ) ადგილობრივი საჯარო სამსახურის რაციონალურ პრინციპებზე მოწყობა, ადგილობრივი საკადრო პოლიტიკის ფორმირება, ადგილობრივ მოხელეთა პროფესიული კორპუსის ჩამოყალიბება;

თ) ადგილობრივი ორგანოებისა და სამსახურების საქმიანობის ინფორმატიზაცია, შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა „ელექტრონული მართვის» შესაქმნელად.

<u>ა) ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა</u>

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის უმთავრესი ცვლილება მდგომარეობს ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული საფუძვლების ახლებურ განსაზღვრაში. ახალი ტერიტორიული საფუძვლების დადგენის განმაპირობებელია შემდეგი პრინციპები:

- **ადგილობრივი თვითმმართველობის ერთდონიანი სისტემის შერჩევა.** ასეთი სისტემა გამართლებულია, ვინაიდან საჭირო აღარ არის კომპეტენციებისა და რესურსების გადანაწილება სხვადასხვა დონის თვითმმართველობის ორგანოებს შორის, რაც იძლევა ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის პრინციპის - „ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური კომპეტენციები უნდა იყოს სრული და განუყოფელი» თანმიმდევრული და სრულყოფილი განხორციელების შესაძლებლობას. ამასთან მხედველობაში ისიც არის მისაღები, რომ როგორც ადგილობრივი მმართველობის პრაქტიკა ადასტურებს, ორდონიან სისტემაში ვერ ხერხდებოდა სუბსიდიარობის პრინციპის დაცვა და რეალურად ხდებოდა კომპეტენციებისა და რესურსების კონცენტრაცია ზედა, რაიონულ დონეზე.

- **არსებული წვრილი თვითმმართველი ერთეულების გამსხვილება.** ამგვარი გამსხვილების აუცილებლობა უდავოა, ვინაიდან აღმოსაფხვრელია თვითმმართველ ერთეულთა რესურსებსა (იგულისხმება არა მხოლოდ მათ ხელთ არსებული რესურსები, არამედ ის მწირი პოტენციალიც, რისი მიღწევა საერთოდ შესაძლებელი იქნებოდა გამსხვილების განხორციელების გარეშე) და კომპეტენციებს შორის არსებული დისბალანსი. თვითმმართველ ერთეულთა გაერთიანება-გამსხვილების გარეშე ამ დისბალანსის აღმოფხვრის ერთადერთ შესაძლებლობას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციების ფარგლების უკიდურესი შეზღუდვა და მმართველობის სისტემაში მრავალდონიანობის შენარჩუნება. ასეთი სისტემის უპერსპექტივობა კი სრულიად ნათელია და საკამათო არ არის. ამდენად, თვითმმართველობის ტერიტორიულ საფუძვლებს უნდა წარმოადგენდეს მსხვილი ქალაქები და სხვადასხვა კატეგორიის დასახლებათა თვითკმარი გაერთიანებანი (ისეთი ერთობა, სადაც მიღწეულია კომპეტენციების განხორციელებისათვის საკმარისი რესურსების კონცენტრაცია).

- ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული საზღვრების ხელოვნური ცვლილებების დაუშვებლობა. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თვითმმართველი ერთეულების უალტერნატივო გამსხვილება ისე უნდა განხორციელდეს, რომ არ მოხდეს ადმინისტრაციული საზღვრების ხელოვნური ცვლილებები. რაც არ უნდა ობიექტურად გვეჩვენებოდეს ახალ ტერიტორიულ საზღვრებში ახალი თვითმმართველი ერთეულების შექმნა, ადმინისტრაციული საზღვრების მნიშვნელოვანი ცვლილებები, ახალი ადმინისტრაციული ცენტრების შექმნა მოსახლეობის ნების გათვალისწინების გარეშე უდავოდ შეიცავს რეფორმის დისკრედიტაციის საფრთხეს. ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილებების განხორციელებისას მოსახლეობასთან კონსულტაციების გამართვის აუცილებლობაზე მიუთითებს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპის ქარტიაც (იხ. ქარტიის მე-5 მუხლი). მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების ინიციატივით განხორციელებული ცვლილებები გამოიწვევდა მოსახლეობის ტერიტორიულ ერთეულებთან თვითიდენტიფიკაციის დარღვევას. ასეთი რეფორმა უაღრესად არაპოპულარული გახდებოდა, ხოლო არაპოპულარული თვითმმართველობის სისტემა ფაქტიურად რეფორმის კრახის ტოლფასია. სწორედ ამიტომ სხვადასხვა კატეგორიის დასახლებათა ოპტიმალურ ერთობად, ახალი თვითმმართველი ერთეულების – მუნიციპალიტეტების საზღვრებად ამ ეტაპზე მიჩნეული იქნა დღევანდელი რაიონის ტერიტორია. მიუხედავად საზღვრების უცვლელობისა, მუნიციპალიტეტი პრინციპულად ახალი და რაიონისაგან განსხვავებული ტიპის გაერთიანებაა, ვინაიდან იგი ერთ მთლიან თვითმმართველ ერთეულს წარმოადგენს. რაიონის ტერიტორიის ფარგლებში მუნიციპალიტეტის შექმნით შენარჩუნებულია ადმინისტრაციული საზღვრები და სხვადასხვა სახის დასახლებათა (სოფელი, დაბა, ქალაქი) კატეგორიები, აგრეთვე არ იქმნება ახალი ადმინისტრაციული ცენტრები. ამასთან, რაიონის საზღვრებში შექმნილი მუნიციპალიტეტის დაყოფისა და ახალი თვითმმართველი ერთეულების შექმნის შესაძლებლობა ადგილობრივი არჩევნების შემდგომ შეზღუდული არ არის. თუ ადგილობრივი არჩევნების შემდგომ აღმოჩნდება, რომ მოსახლეობა ამჯობინებს დღევანდელი რაიონის საზღვრებში შექმნილი მუნიციპალიტეტის დაყოფას, ეს შესაძლებელი იქნება,

ოღონდ იმ პირობით, რომ ახალი თვითმმართველი ერთეულები დააკმაყოფილებენ თვითკმარობის კრიტერიუმებს.

ამ პრინციპული მოსაზრებებიდან გამომდინარე ოპტიმალური ადმინის-ტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საფუძვლები შემდეგია:

- ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება თვითმმართველ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში;

- თვითმმართველი ქალაქების სტატუსი ამ ეტაპზე ენიჭებათ რაიონის შემადგენლობაში არშემავალ ქალაქებს;

- მუნიციპალიტეტი წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის სტატუსის მქონე სხვადასხვა კატეგორიის დასახლებათა გაერთიანებას; ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტები იქმნება არსებული რაიონების საზღვრებში, აგრეთვე მუნიციპალიტეტის სტატუსი ენიჭებათ კონფლიქტის რეგიონებში არსებულ თემებს (ცხინვალის რეგიონში – ერედვის, ქურთის და თიღვას თემები, აფხაზეთის კოდორის ხეობის რეგიონში – აჟარის თემი);

- ადგილობრივი არჩევნების შემდგომ დაშვებულია ახალი თვითმმართველი ერთეულების შექმნა მუნიციპალიტეტის დაყოფის გზით იმ შემთხვევაში, თუ ახალი თვითმმართველი ერთეულები დააკმაყოფილებენ თვითკმარობის კრიტერიუმებს. ამგვარად, ადმინისტრაციული რეფორმა არ ხორციელდება ერთჯერადი აქტით და იგი ბუნებრივი პროცესის შესაბამისად მომხდარ ცვლილებებსაც გაითვალისწინებს.

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობის დაბალანსება

ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობის განსაზღვრას საფუძვლად დაედო შემდეგი პრინციპული მოსაზრებები:

- **ადგილობრივი თვითმმართველობის უფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განხორციელების უზრუნველყოფა**. ადგილობრივი თვითმმართ-ველობა მოქალაქეთა უფლებაა, რომელიც უპირველეს ყოვლისა, წარმო-

მადგენლობითი ორგანოების მიერ ხორციელდება. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპის ქარტიის მე-3 მუხლი ადგილობრივი თვითმმართველობის უფლების განხორციელებას სწორედ წარმომადგენლობით ორგანოებს უკავშირებს, თუმცა არ გამორიცხავს მოქალაქეთა მიერ ამ უფლების უშუალო დემოკრატიის კანონით დადგენილი ნებისმიერი ფორმით განხორციელებასაც. ამგვარად, ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციურ აგებულებაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ თვითმმართველობის უფლების განხორციელება. საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობის დაბალანსება სწორედ საკრებულოს, როგორც თვითმმართველობის ძირითადი, უმთავრესი ინსტიტუციის როლის უზრუნველყოფაში მდგომარეობს. ეს ნიშნავს იმას, რომ ადგილობრივი ორგანოებისა და თანამდებობის პირების იერარქიაში საკრებულო პირველ ადგილს დაიკავებს და გარანტირებული იქნება ყველა სხვა ინსტიტუციის (უწინარეს ყოვლისა აღმასრულებელი ორგანოს და მისი დაწესებულებების – ადგილობრივი სამსახურების) და თანამდებობის პირის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულობა.

- წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს შორის ინსტიტუციური კონფლიქტის დაუშვებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციურ აგებულებაში წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების როლი და ურთიერთმიმართება მნივნელოვნად განსხვავდება სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოების ფუნქციებისაგან. სახელმწიფო ძალაუფლების სხვადასხვა სახელისუფლო შტოების ურთიერთგაწონასწორებისა და დაბალანსების სისტემა არ გამოდგება ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობის ანალოგიად. ადგილობრივი თვითმმართველობა, განსხვავებით სახელმწიფო ძალაუფლებისაგან, ერთიანი ხელისუფლებაა და მისი დანაწევრება დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მქონე ურთიერთდამაბალანსებელ შტოებად, რაც აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობისას, თავიდან უნდა იქნეს აცილებული. ადგილობრივი

თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობისას უმთავრესია, რომ მიღწეული იქნეს წარმომადგენლობითი ორგანოს უმთავრესი ფუნქციის – რეპრეზენტაციულობისა და აღმასრულებელი ორგანოს უმთავრესი ფუნქციის – კომპეტენტურობის ერთიან ხელისუფლებაში განხორციელება. ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებები ერთდროულად საკმარისად პოპულარული და საკმარისად კომპეტენტური უნდა იყოს. ეს გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს არა ცალკ-ცალკე და ურთიერთგაწონასწორებისა და დაბალანსების რეჟიმში, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საერთო, ერთიანი პასუხისმგებლობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ნორმატიული ხასიათის გადაწყვეტილებებს მიიიღებს მხოლოდ საკრებულო, მაგრამ აღმასრულებელი ორგანო, არა მხოლოდ აღასრულებს ამ გადაწყვეტილებებს, არამედ როგორც წესი, მოამზადებს ამ გადაწყვეტილებათა პროექტებს და პასუხს აგებს მათ საკმარის კომპეტენტურობაზე.

- თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელი თანამდებობის პირის როლისა და ფუნქციების ადექვატურად განსაზღვრა. ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციურ მოწყობაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია თვითმმართველი ერთეულის უმაღლესი თანამდებობის პირის და მისი კომპეტენციების განსაზღვრას. საქართველოში დღემდე ძირითადად გავრცელებულია პრაქტიკა, როდესაც უმაღლესი თანამდებობის პირს წარმოადგენს აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი. ასეთი პრაქტიკის პირობებში სათუო ხდება წარმომადგენლობითი ორგანოს პირველხარისხოვანი როლის უზრუნველყოფა. ამავდროულად საკრებულოსა და უმაღლესი თანამდებობის პირს (გამგებელს, მერს) შორის დაპირისპირების წარმოქმნის ალბათობა საკმაოდ მაღალია. საკრებულოს ამგვარი კონფლიქტის მოგვარებისათვის, გარდა გამგებლისათვის უნდობლობის გამოცხადებისა, პრაქტიკულად არავითარი სხვა მექანიზმი არ გააჩნია. ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ პრაქტიკაში უმაღლესი თანამდებობის პირი ან ერთდროულად ხელმძღვანელობს წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს, ანდა მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელია. თუ

იგი პირდაპირი არჩევნებით იკავებს თვითმმართველი ერთეულის მეთაურის თანამდებობას, როგორც წესი, იგი ხელმძღვანელობს ადგილობრივ ორგანოებსაც და არავითარ შემთხვევაში არ გვევლინება მხოლოდ აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელად. ასეთი ვითარება (როგორც ეს საქართველოშია) ძალზე დააკნინებდა წარმომადგენლობით ორგანოს და მას ფაქტიურად გახდიდა აღმასრულებელ ორგანოზე დაქვემდებარებულს, რაც ფაქტიურად თვითმმართველობის მოსპობის ტოლფასია, ანდა გამოიწვევდა გადაუჭრელ ინსტიტუციურ კონფლიქტს წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს შორის (საქართველოში ასეთი შემთხვევებიც საკმარისად ბევრია). ამრიგად, ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობის დაბალანსებისათვის აუცილებელია თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელის, თანამდებობის პირის როლისა და ფუნქციების ადექვატურად განსაზღვრა. ეს ნიშნავს, რომ თვითმმართველი ერთეულის მეთაური უნდა ხელმძღვანელობდეს საკრებულოს მაინც და მას უნდა გააჩნდეს შესაბამისი ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ფუნქციები.

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელთა არჩევითობის უზრუნველყოფა. საქართველოს კონსტიტუციაში 2004 წლის 6 თებერვალს შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის როგორც წარმომადგენლობითი, ასევე აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობები არჩევითია. ცხადია, კონსტიტუციის ეს მოთხოვნა არ გულისხმობს აუცილებლად ამ თანამდებობის პირთა პირდაპირ, უშუალოდ მოსახლეობის მიერ არჩევნებს და კონსტიტუციით სავსებით დასაშვებია მათი საკრებულოს მიერ არჩევაც. ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციურ მოწყობაში საკრებულოს წამყვანი როლის გაძლიერებისათვის მიზანშეუწონელი იქნებოდა პირდაპირი არჩევნების ჩატარება. მით უმეტეს, სრულიად გაუმართლებელია აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის პირდაპირი არჩევნები - ასეთი პრაქტიკა საქართველომ უკვე გამოსცადა, როდესაც უკანასკნელ ადგილობრივ არჩევნებში პირდაპირ იქნენ არჩეული (იმ თვითმმართველ ერთეულებში, სადაც 5000-ზე მეტი ამომრჩეველი იყო) გამგებლები და მერები. მივიღეთ სიტუაცია, როდესაც აღმასრულებელი

ორგანო და მისი ხელმძღვანელი მთლიანად კარნახობდა „თამაშის წესებს», ფაქტიურად მოხდა წარმომადგენლობითი ორგანოს იგნორირება და ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების ძალმოსილება სრულად ეპყრა ხელთ გამგებელს (მერს). ეს ნიშნავდა ადგილობრივი თვითმმართველობის უფლების უზურპირებას აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის მიერ. იმ შემთხვევებში, როდესაც საკრებულო ცდილობდა თავისი დარღვეული უფლებების აღდგენას, წარმოიშობოდა გარდაუვალი კონფლიქტი, რომლის გადაწყვეტაც ასეთი ინსტიტუციური მოწყობის პირობებში შეუძლებელი იყო. ამგვარი ნეგატიური გამოცდილების ჯეროვანი გათვალისწინება ნიშნავს უარის თქმას საერთოდ პირდაპირ არჩევნებზე საკრებულოს სასარგებლოდ. ამრიგად, უზრუნველყოფილია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელთა არჩევითობა საკრებულოს მიერ. ამასთან, აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის კანდიდატურების საკმარისი კომპეტენტურობის უზრუნველყოფის მიზნით წინასწარ შეირჩევა კონკურსის წესით.

ზემოთ მოყვანილი პრინციპული მოსაზრებების საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის დაბალანსებული ინსტიტუციური მოწყობა შემდეგია:

- ადგილობრივი თვითმმართველობის უმთავრესი ინსტიტუციაა წარმომა-დგენლობითი ორგანო - საკრებულო. საკრებულოს წამყვან როლს უზრუნველყოფს მისი ექსკლუზიური უფლება მიიღოს ნორმატიული გადაწყვეტილებები, აღმასრულებელი ორგანოს და მისი ხელმძღვანელის ანგარიშვალდებულობა მის წინაშე, აგრეთვე საკრებულოს მუდმივმოქმედი ორგანოს - საკრებულოს ბიუროს არსებობა;

- თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელი თანამდებობის პირია საკრებულოს თავმჯდომარე, რომელსაც სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საკრებულო. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საკრებულოს წამყვან როლს ადგილობრივ თვითმმართველობაში;

- აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის კანდიდატურებს კონკურსის წესით შეარჩევს საკრებულოს ბიურო, ხოლო თანამდებობაზე ირჩევს საკრებულო,

ასევე სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელისათვის უნდობლობის გამოცხადება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საკრებულო აირჩევს ახალ ხელმძღვანელს.

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციების გაფართოება და მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა

ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციების განსაზღვრას საფუძვლად დაედო შემდეგი პრინციპები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მინიჭებული აქვთ სავალდებულო – ექსკლუზიური და სახელმწიფო ორგანოების მიერ დელეგირებული, აგრეთვე ნებაყოფლობითი უფლებამოსილებანი;

- ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით;

- ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის და მისი ექსკლუზიური უფლებამოსილებების სტაბილურობისათვის ექსკლუზიური უფლებამოსილებანი განისაზღვრება მხოლოდ ორგანული კანონით;

- დელეგირებული უფლებამოსილებანი განისაზღვრება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ თვითმმართველობის ორგანოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე;

- ადგილობრივი თვითმმართველობისათვის უფლებამოსილებათა დელეგირება დაიშვება მხოლოდ შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემის შემთხვევაში.

ამ პრინციპების გარდა ხაზგასასმელია ისიც, რომ რეფორმა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა მნიშვნელოვან გაფართოებას. გაფართოება ხდება ადგილობრივ მმართველობას მიკუთვნებულ კომპეტენციათა ძირითადი ნაწილის თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებში გადაცემის, მეორეს

მხრივ - თვითმმართველი ერთეულების თვითკმარობის უზრუნველყოფის შედეგად.

ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა სფეროს გაფართოება და კომპეტენციათა დანაწილების მარტივი სქემა უდავოდ ქმნის სახელმწიფოსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის კომპეტენციათა მკაცრი გამიჯვნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის მყარ საფუძვლებს.

დ) სახელმწიფო ქონების გადაცემა ადგილობრივ საკუთრებაში

მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ადგილობრივ საკუთრებაში სახელმწიფო ქონების გადაცემაა. მიუხედავად ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმალური დაფუძნებისა, ადგილობრივი და სახელმწიფო საკუთრების რეალური გამიჯვნა დღემდე არ მომხდარა. საკუთრების გამიჯვნის პროცესს სათავე დაუდო «ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ» კანონიმა (მიღებული იქნა 2005 წლის 25 მარტს). ამ კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე იმავე წლის 8 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის 687 ბრძანებულებით დამტკიცებული იქნა «ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხა». ამ აქტებით შეიქმნა სამართლებრივი ბაზა თვითმმართველი ერთეულებისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გადასაცემად. სახელმწიფო ქონების თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში გადაცემის ამოსავალი პრინციპებია:

- **ქონების უსასყიდლოდ გადაცემა.** თვითმმართველი ერთეულები სახელმწიფო ქონებას საკუთრებაში საფასურის გადახდის გარეშე მიიღებენ;

- **სახელმწიფო ქონების გადაცემა თვითმმართველობის ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე.** გადაცემას ახორციელებს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, რომელიც ვალდებულია ქონების გადაცემის თაობაზე ადგილობრივი ორგანოების მოთხოვნაზე უარი დაასაბუთოს. თუ თვითმმართველობის ორგანო არ მიიღებს დასაბუთებულ უარს მოთხოვნაზე ექვსი თვის განმავლობაში, ქონება ავტომატურად გადადის მის საკუთრებაში;

- ძირითადი (განუსხვისებელი) და დამატებითი ქონების გამიჯვნა. ძირითადია ის ადგილობრივი ქონება, რომელიც არსებითია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისათვის და რომლის გასხვისება ქონების კატეგორიის შეცვლის გარეშე დაუშვებელია. ადგილობრივ საკუთრებაში გადასაცემი ძირითადი ქონების სახეობების ნუსხა დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

ამჟამად ადგილობრივ საკუთრებაში ქონების გადაცემის პროცესი შეფერხებულია შემდეგი მიზეზების გამო:

- გადასაცემი ქონების ინვენტარიზაციასა და საკუთრების რეგისტრაციისათვის სათანადო დოკუმენტაციის მომზადებას სჭირდება საკმაოდ შრომატევადი სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დრო;

- ქონების ორმაგი რეგისტრაციის თავიდან ასაცილებლად უფრო მიზანშეწონილი იქნება, რომ ქონება გადაეცეთ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ დაფუძნებულ მუნიციპალიტეტებს და არა რაიონის შემადგენლობაში შემავალ დღევანდელ თვითმმართველ ერთეულებს (სოფელი, თემი, დაბა, ქალაქი), რომლებიც მუნიციპალიტეტში გაერთიანდებიან.

ამდენად, ადგილობრივ არჩევნებამდე დარჩენილი დრო გამოყენებული იქნება გადასაცემი ქონების ინვენტარიზაციისა და სათანადო დოკუმენტების მოსამზადებლად, ხოლო გადაცემის პროცესი ინტენსიურ ხასიათს მიიღებს ადგილობრივი არჩევნების ჩატარების შემდგომ.

ე) საფინანსო დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესის მოწესრიგება

არსებული თვითმმართველობის ფორმალურ ხასიათს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ადგილობრივი ბიუჯეტების დამოკიდებულობა სახელმწიფო ბიუჯეტზე. საფინანსო დეცენტრალიზაციის გარეშე, რომლის მიზანი ადგილობრივი ბიუჯეტების რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა იქნება, ადგილობრივი თვითმმართველობა ვერ შედგება. ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესის მოწესრიგებაც. საფინანსო

დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესის მოწესრიგების ამოსავალი პრინციპებია:

- სახელმწიფო და ადგილობრივი საბიუჯეტო უფლებამოსილებების მკაცრი გამიჯვნა, ადგილობრივი ბიუჯეტების რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;

- სახელმწიფოს სატრანსფერო პოლიტიკის მოწესრიგება. გამოთანაბრებითი ტრანსფერი განისაზღვრება ობიექტური ფორმულის საფუძველზე და აღარ იქნება დამოკიდებული კონიუნქტურულ და სუბიექტურ ფაქტორებზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მიზნობრივი ტრანსფერების განსაზღვრა მოხდება კონკრეტული დელეგირებული ფუნქციის განხორციელებისათვის საჭირო სახსრების გაანგარიშების საფუძველზე;

- საბიუჯეტო პროცესის მკაფიო რეგლამენტაცია – ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის, მიღების, ბიუჯეტში ცვლილებეის შეტანის, საფინანსო ანგარიშგებისა და აუდიტის პროცედურები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაბამისი უფლებამოსილებანი.

ვ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მოსახლეობის ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთკავშირის არარსებობა. პრაქტიკულად მოსახლეობის ურთიერთობა თვითმმართველობასთან მთავრდება არჩევნებით. საზოგადოებისათვის არ არის გარკვეული თვითმმართველობის ორგანოთა როლი და ფუნქციები. მოსახლეობა არასაკმარისად ენდობა თვითმმართველობას, ხოლო მოსახლეობასთან სუსტი კავშირის გამო საკრებულოები და მათი აღმასრულებელი ორგანოები ვერ ახდენენ ადგილობრივი საზოგადოების პრობლემათა იდენტიფიკაციას და მათი გადაწყვეტისათვის საჭირო ადექვატურ რეაგირებას. ამიტომაც მეტად დაბალია

კერძო და საზოგადოებრივ ინიციატივათა როლი ადგილობრივ საზოგადოებათა თვითორგანიზებაში.

რეფორმა ითვალისწინებს მოქალაქეთა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობის უზრუნველყოფას და ამ მიზნით მონაწილეობის ეფექტიანი მექანიზმების ჩამოყალიბებას. ამ მიმართულებით რეფორმის ამოსავალი პრინციპია **მოქალაქეთა მონაწილეობის საინფორმაციო და ორგანიზაციული უზრუნველყოფა.** ეს გულისხმობს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა შეუზღუდავი მიღების, თვითმმართველობის ორგანოების და ადგილობრივი სამსახურების საჯარო სხდომებში უშუალოდ და საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების მეშვეობით შეუფერხებელი მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა კონტროლის გამჭვირვალეობისათვის.

რეფორმის შედეგად დამკვიდრდება **მოქალაქეთა მონაწილეობის შემდეგი ფორმები**:

- სასკრებულოს დადგენილების ინიციირება პეტიციის წესით;

- გადაწყვეტილების პროექტის საჯარო განხილვა;

- საკრებულოს ან საკრებულოს კომისიის სხდომაში მონაწილეობა;

- საერთო კრება;

- ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირების საჯარო ანგარიშის მოსმენა.

ზ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელების მკაფიო რეგულირება.

ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს თვითმმართველობის ორგანოებზე სახელმწიფო ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელების მკაფიო საკანონმდებლო რეგულირების არარსებობა. აუცილებელია ზუსტად

განისაზღვროს სახელმწიფო ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანოები, თანამდებობის პირები, მათი უფლებამოსილებანი, გაირკვეს ადმინისტრაციული ზედამხედველობის ზომები, მათი გამოყენების წესები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებათა გარანტიები ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელების პროცესში.

ადმინისტრაციული ზედამხედველობის მკაფიო საკანონმდებლო რეგულირება მნიშვნელოვან პრობლემებს გადაწყვეტს როგორც სახელმწიფო ინტერესების დაცვის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებათა გარანტირების თვალსაზრისითაც.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ზედამხედველობას ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია. კერძოდ, ქარტიის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ „დაცული უნდა იქნას თანაფარდობა (სახელმწიფო) ზედამხედველობის ღონისძიებების მასშტაბსა და მის მიერ დასაცავი ინტერესების მნიშვნელობას შორის". ევროპული ქარტიით გაცხადებული პრინციპი სახელმწიფო ღონისძიებებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის თანაფარდობითობის დაცვის შესახებ ნიშნავს იმას, რომ მრავალ შესაძლებელ ღონისძიებას შორის არჩეული უნდა იქნას მხოლოდ ისეთები, რომლებიც თვითმმართველობას ყველაზე ნაკლებად მიაყენებენ ზიანს (უმცირესი ჩარევის პრინციპი). გარდა ამისა, ამ ღონისძიებით მოსალოდნელმა ზიანმა არ უნდა გადააჭარბოს ღონისძიების გზით მისაღწევ შედეგს.

ქარტიის ამ პრინციპის თანმიმდევრული გატარება აუცილებლად გულისხმობს საკანონმდებლო დონეზე ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო ადმინისტრაციული ზედამხედველობის მკაფიო დარეგულირებას.

ადმინისტრაციული ზედამხედველობის მიზნებს უნდა წარმოადგენდეს:

1) საერთო სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობის უზრუნველყოფა.

2) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის კანონიერების უზრუნველყოფა.

3) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის უფლებამოსილებათა განხორციელებაში ხელშეწყობა.

სახელმწიფო ადმინისტრაციული ზედამხედველობის ძირითად პრინციპებს უნდა წარმოადგენდეს:

1) ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული უმცირესი ჩარევის პრინციპი;

2) ადმინისტრაციული ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლებების დაცვით;

3) ნებაყოფლობითი და ექსკლუზიური კომპეტენციების სფეროში ადმინისტრაციული ზედამხედველობა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ თვითმმართველობის ორგანოების ნორმატიული აქტების კანონიერებაზე;

4) დელეგირებულ უფლებამოსილებათა სფეროში ადმინისტრაციული ზედამხედველობა უნდა ხორციელდებოდეს როგორც აქტების კანონიერებაზე, ასევე მათ მიზანშეწონილობაზეც.

5) ადმინისტრაციული ზედამხედველობის ზომის გამოყენება უნდა ხდებოდეს ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანოსა ან თანამდებობის პირის ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.

6) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლება უნდა ჰქონდეს ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტი ადმინისტრაციული ზედამხედველობის ზომის გამოყენების თაობაზე დადგენილი წესით გაასაჩივროს ზემდგომ ინსტანციაში, აგრეთვე სასამართლოში. ადმინისტრაციული ზედამხედველობის ზომის უკანონოდ გამოყენება უნდა იწვევდეს ზედამხედველი თანამდებობის პირის კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

2.3. მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის რეფორმის საკანონმდებლო უზრუნველყოფა

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 22 ივლისის ბრძანებულებით შეიქმნა ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის სახელმწიფო კომისია. დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შესაქმნელად კომისია აქტიურად თანამშრომლობს ქვეყნის პოლიტიკურ ძალებთან, არასამთავრობო სექტორთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამ თანამშრომლობაში მეტად ნაყოფიერია ევროსაბჭოს მონაწილეობა. რეალურ დეცენტრალიზაციას სათავე დაუდო საქართველოს პარლამენტის მიერ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ევროპის ქარტიის რატიფიცირებამ. ქარტია ძალაში შევიდა 2005 წლის 1 აპრილიდან. ეს ნაბიჯი წარმოადგენდა საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ნებისა და გასატარებელი რეფორმების სტრატეგიაზე საერთო კონსესუსის გამოხატულებას.

თვითმმართველობის სრულფასოვანი ინსტიტუტის ჩამოყალიბების სტრატეგიამ თავისი ასახვა ჰპოვა ერთიან საკანონმდებლო პაკეტში.

მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის საკანონმდებლო პაკეტი შემუშავებული იქნა საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის სისტემის ფუნქციონირების რვაწლიანი გამოცდილების ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე.

რეფორმის საკანონმდებლო პაკეტი შედგება შემდეგი აქტებისაგან:

1. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» (მიღებულია 2005 წლის 23 დეკემბერს). ორგანულ კანონში მოცემულ ნორმებში ასახულია რეფორმის ყველა ზემოთ მოყვანილი მიმართულება. ამდენად, კანონი განხილული უნდა იქნას, როგორც მმართველობის სისტემის რეალური დეცენტრალიზაციისა და შესაბამის რეფორმათა გატარების ძირითადი სამართლებრივი საფუძველი.

2. საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ» (მიღებულია 2005 წლის 25 მარტს). ეს კანონი განსაზღვრავს

ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების კატეგორიებს, ადგილობრივი ორგანოების მიერ საკუთრების უფლების განხორციელების წესს და, რაც მთავარია, ადგენს სახელმწიფო ქონების ადგილობრივ საკუთრებაში გადაცემის საფუძვლებს.

3. საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ» (მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ ორი მოსმენით). კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო უფლებამოსილებებს, საბიუჯეტო პროცესის (ბიუჯეტის შედეგენა, განხილვა, დამტკიცება, ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა, საბიუჯეო კონტროლი, ანგარიშგება და აუდიტი) პროცედურებს, აწესრიგებს სახელმწიფო სატრანსფერო პოლიტიკას.

4. საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე ადმინისტრაციული ზედამხედეველობის შესახებ» (მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით). ეს კანონი ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელების მიზნებს, ზომებსა და განხორციელების წესს, განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე ზედამხედველობის ორგანოებს, მათ უფლება-მოვალეობებს ზედამხედველობის სფეროში, ზედამხედველობის განხორციელების პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამართლებრივ გარანტიებს.

ცხადია, ზემოთქმული სულაც არ გულისხმობს, რომ კანონის მიღებით გადაჭრილია მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის ყველა პრობლემა. პირველ ყოვლისა, სერიოზული და ძალზე შრომატევადი სამუშაოს შესრულება იქნება საჭირო კანონმდებლობის იმპლიმენტაციისათვის - ეს ნიშნავს როგორც დეცენტრალიზაციის მიმართულებით ახალი ეტაპის საკანონმდებლო საქმიანობას - ახალი კანონპროექტებისა და მნიშვნელოვანი, აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებას, ასევე იმ პრაქტიკული ნაბიჯების დაგეგმვასა და განხორციელებას, რაც გულისხმობს ადგილობრივი არჩევნების მომზადებას,

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოდელური აქტების შემუშავებას, ადგილობრივი არჩევითი პირებისა და მოხელეების მომზადებას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული ზედამხედველობის სისტემის პრაქტიკულ ჩამოყალიბებას, მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფას, ადგილობრივი დამოუკიდებელი ბიუჯეტების ფორმირებას, ქონების გამიჯვნას და ა.შ. მიუხედავად ამ საკანონმდებლო და პრაქტიკული პრობლემების არსებობისა, ახალი ორგანული კანონის მიღება უდავოდ უნდა შეფასდეს, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნისაკენ მიმართული ყველაზე სერიოზული ნაბიჯი. რამდენად სწრაფად და ეფექტიანად განხორციელდება დეცენტრალიზაციის რეფორმა, ამას საბოლოოდ დრო გვიჩვენებს, თუმცა, ვიმეორებთ - ამ რეფორმის საკანონმდებლო უზრუნველყოფის ყველაზე რთული ეტაპი დაძლეულია და მომავალი წარმატებებისათვისაც საფუძველი არსებობს.

რეფორმის შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა მმართველობის სამდონიანი მოდელი:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის დონე – რომელიც მოიცავს თვითმმართველ ქალაქსა და მუნიციპალიტეტს;

ბ) სახელმწიფო მმართველობის რეგიონალური დონე – რომელიც მოიცავს მხარეებს; ამ დონეზეა აგრეთვე პოლიტიკური ავტონომიებიც, რომელთა სტატუსი განსაზღვრულია სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის შესახებ კონსტიტუციური კანონით;

გ) სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური დონე.

ბუნებრივია, ამგვარი მოდელი საბოლოო ხასიათს არ ატარებს და განპირობებულია რამდენიმე მიზეზით:

1) ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე იურისდიქციის აღდგენამდე ჯერ კიდევ განსაზღვრული არ არის სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა და ქვეყნის რეგიონების (მათ შორისაა აჭარა, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი) ადგილი

მმართველობის საერთო სახელმწიფო სისტემაში, შესაბამისად მათი უფლებამოსილებანი ადგილობრივი მმართველობის სფეროში;

2) პრაქტიკულად იწყება თვითმმართველობების დამკვიდრება – საკუთრების, ბიუჯეტებისა და უფლებამოსილებათა გამიჯვნა, მმართველობის ერთი სისტემიდან პრინციპულად სულ სხვა სისტემაზე გადასვლის პროცესი. ამ პროცესში შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ ცივილიზირებული სამყაროს გამოცდილების ექსტრაპოლაციის შესაძლებლობანი, რაზედაც შემდგომ პარაგრაფში გვექნება მსჯელობა.

– სახელმწიფოს მხრიდან დემოკრატიული გარდაქმნების მართვის აუცილებლობისა და შესაბამისად პროცესის შეუქცევადობის გარანტიების შექმნა;

– ერთიანი სახელმწიფოებრივი ინტერესების და ადგილობრივი მმართველობის დემოკრატიული ფორმების ურთიერთჰარმონიზაცია;

– ისტორიული მემკვიდრეობითობა ცალკეულ სახელმწიფოებში ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სტრუქტურათა ფორმირებაში;

– სახელმწიფოში უკანასკნელი პერიოდის მანძილზე მიმდინარე ადგილობრივი მმართველობის რეფორმებში არსებული ტენდენციები.

მიუხედავად იმ სიახლეებისა, რაზედაც უკვე გვქონდა მსჯელობა, ბევრი რამ კვლავ გასააზრებელი და სამომავლოდ გასათვალისწინებელია. კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობა და ადგილობრივი (სახელმწიფო) მმართველობა ერთ კანონშია გაერთიანებული, რაც დიდად სასურველი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ რაიონული დონე მხოლოდ გარდამავალი ეტაპისთვისაა დამახასიათებელი, მოსალოდნელია ადგილობრივი თვითმმართველობისათვის გადაცემულ კომპეტენციებში წარუმატებლობამ უარყოფითად იმოქმედოს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე.

კანონის მე-5 მუხლი, რომელიც ეძღვნება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამუშაო ენას, ზედმეტად მიგვაჩნია შემდეგი მიზეზების გამო: საქართველოს კონსტიტუციამ მე-8 მუხლით მთელი სახელმწიფო ტერიტორიისათვის დაადგინა ქართული, როგორც სამუშაო ენა.

მხოლოდ აფხაზეთისთვისაა დაშვებული აფხაზური ენა ქართულთან ერთად თანაბარი უფლებით. გარდა ამისა, საქართველოს «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-12 მუხლი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო სამსახური ქვეყანაში ხორციელდება ქართულ ენაზე. იქვეა მინიშნება «სახელმწიფო ენის შესახებ» კანონზე, რომელიც აწესრიგებს ამ პრობლემას. ამავდროულად «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-16 მუხლი მიუთითებს ადგილობრივი თვითმმართველობისათვის სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობაზე.[1]

2006 წლის შემოდგომაზე[2] ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. უკვე ახალი კანონის «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საფუძველზე, რომლის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ კანონი საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტისა და «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის შესაბამისად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ, ეკონომიკურ და ფინანსურ საფუძვლებს, სახელმწიფო გარანტიებს, ადგილობრივი თვითმმარველობის ორგანოების შექმნის წესს, მათ უფლებამოსილებებს და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობას. დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ერთ-ერთი გარანტი, საკანონმდებლო ბაზასთან ერთად, არის ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც 7 კაცისაგან შედგება (1 თავმჯდომარე, 6 წევრი), რომელთა არჩევა ხდება ღია კონკურსის წესით, ისინი არ უნდა ეკუთვნოდნენ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას და უნდა გამოირჩეოდნენ პროფესიონალიზმით.

ოპოზიციური პარტიები სასტიკი წინააღმდეგი არიან ცენტრალური საარჩევნო კომისიის არჩევის წესებისა, რადგანაც, მათი განცხადებით, კანონმდებლობა ხელს აძლევს მმართველ პარტიას თავის სასარგებლოდ გადაწყვიტონ არჩევნებთან დაკავშირებული ყველა პრობლემა.

ოპოზიციური პარტიების აღშფოთება გამოიწვია 2005 წლის 1 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების შედეგებმა, რომელიც 5 საარჩევნო ოლქში გაიმართა და

---

[1] იხ. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ. თბ., 1997, გვ. 5.
[2] იხ. Мацаберидзе М. Грузия перед новым избирательным циклом, ж. Центральная Азия и Кавказ, №1(43), 2006, Швеция, стр. 67.

გამარჯვება მოუტანა «ერთიან ნაციონალურ მოძრაობას». «მმართველი პარტიისათვის მთავარი იყო დაემტკიცებინა საკუთარი უპირატესობა»[1]. თუმცა, პერიოდულ პრესაში გაჩნდა უამრავი ბრალდება არჩევნების მიმართ, სადაც ხაზი გაესვა ისეთი სახის დარღვევებს, როგორიცაა, «მკვდარი სულები», ე.წ. «კარუ-სელები», სიებიდან ამომრჩეველთა ამოღება, საარჩევნო ყუთების მოპარვა და ა.შ. იგივე პრობლემებმა თავი იჩინა 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო და მაისის საპარლამენტო არჩევნების დროს.

ქ. თბილისის საკრებულოს არჩევის წესი შემდეგია: საკრებულო შედგება 37 წევრისაგან. ამათგან 25 წევრი აირჩევა 10 ორ ან სამმანდატიანი მაჟორიტარული ოლქებიდან. კანდიდატების წაყენების უფლება აქვს მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს. ამასთან, ოლქში გამარჯვებული პარტია, თუ მან დააგროვა სხვებზე მეტი ხმები, მაგრამ არჩევნებში მონაწილეთა მესამედზე მეტი, მიიღებს ყველა მანდატს.

საკრებულოს დანარჩენი 12 წევრი აირჩევა პროპორციული სისტემით, ოღონდ მაჟორიტარულ ოლქებში შედეგების შეჯამების წესით. ცალკე პროპორციული ოლქი არ იქმნება. ასეთი ეკლექტური საარჩევნო სისტემა საეჭვოა, რომ ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას ემსახურებოდეს.

პოლიტოლოგთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ რევოლუციებისადმი მიდრეკილება, საშიში ხდება ქვეყნისათვის[2], ამიტომ, საჭიროა პოლიტიკურ ძალთა შორის კონსესუსის მიღწევა, რათა თავიდან იქნეს აცილებული არჩევნებთან დაკავშირებული გართულებები.

მიუხედავად გარკვეული წინ გადადგმული ნაბიჯისა, ადგილობრივ თვითმმართველობებს ჯერ კიდევ არა აქვთ საკმარისი ექსკლუზიური ფუნქციები და სათანადო დამოუკიდებელი გავლენა იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც ტადიციულად ადგილობრივ დონეზე წყდება.

ჯერ კიდევ გადასაწყვეტია ბათუმის, ფოთის და თბილისის მერების პირდაპირი არჩევის საკითხი.

---

[1] იქვე. გვ. 68.
[2] იხ. М. Мацаберидзе. указ. тр. стр. 71.

გარდა ამისა, ორგანულ კანონში რიგი ცვლილებების შეტანას, ან ახალი კანონის მიღებას გარდაუვლად გამოიწვევს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ვალდებულება, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ აიღო ამ სფეროში «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» ევროპულ ქარტიასთან მიერთებით.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა მიერ მიღებული ნორმატიული აქტების (და არა მარტო) სისტემატიზაციის საკითხებს, პრობლემის გადაჭრა უფრო ეფექტურს ხდის მათ პრაქტიკულ საქმიანობას. მხედველობაში გვაქვს სისტემატიზაციის სახე, რომელიც დასავლეთის სახელმწიფოებში ცნობილია «კონსოლიდაციის» სახელით და აქტიურად იყენებს მრავალი ქვეყნის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები.

ასე რომ, საკეთებელი და დასახვეწი ჯერ კიდევ ბევრია, რათა საქართველოში ჩამოყალიბდეს განვითარებული, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და სრულფასოვანი ადგილობრივი თვითმმართველობა და მმართველობა.

§3. ევროპული ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ექსტრაპოლაციის შესაძლებლობის პრობლემა საქართველოში

წინამდებარე პარაგრაფის თემა გახლავთ ზოგიერთი ევროპული ქვეყნის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სისტემის ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებისა და ინსტიტუტების ფორმირების მოკლე მიმოხილვა და მათი ექსტრაპოლაციის შესაძლებლობა საქართველოში.

საკითხის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ დღევანდელ პოლიტიკურ ლიტერატურაში, კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერებაში ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ არის შესწავლილი

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში ევროპული ქვეყნების გამოცდილების რეალიზაციის პრობლემები. კვლავ დღის წესრიგში რჩება ამ გზით კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები. ყოველი ქვეყნისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციონალურ პრობლემას წარმოადგენს მათთვის დამახასიათებელი თავისებურებანი, რის გამოც მსოფლიოში არ არსებობს თვითმმართველობის ერთიანი სისტემა. ბევრმა ქვეყანამ აღნიშნული პრობლემა გადაწყვიტა, ბევრგან კიდევ გადაჭრის პროცესშია. მართალია, საქართველოში თვითმმართველობის ახალ სისტემას XXI საუკუნის მიჯნაზე ჩაეყარა საფუძველი, როდესაც უმთავრეს დემოკრატიულ ღირებულებებს, თავისუფლებას, თანასწორობას და კანონის უზენაესობას მთელს მსოფლიოში პრაქტიკულად აღარ შეიძლება გააჩნდეს ალტერნატივა და როდესაც პოლიტიკური მოწყობის ერთადერთი მისაღები ფორმა არის სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო. სწორედ დემოკრატიული ღირებულებანი და სამართლებრივი სახელმწიფო წარმოადგენს თანამედროვე საქართველოს ისტორიულ არჩევანს, რაც საყოველთაოდ გაცხადებულია საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულით და შესაბამისი მუხლებით.[1]

რეალურად ადგილობრივ თვითმმართველობათა სისტემის სრულყოფაზეა დამოკიდებული როგორც მართვის სისტემის ეფექტურობა, ასევე დემოკრატიულ ღირებულებათა რეალიზაცია, ამიტომ ეს ამოცანა ისტორიული მნიშვნელობისაა და სახელმწიფო აღმშენებლობის პროცესში უდავოდ ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი განეკუთვნება.

თვითმმართველობის დაფუძნება არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკური სტრუქტურების ამოცანაა, არამედ საერთო ეროვნული მნიშვნელობაც გააჩნია. მის გადაწყვეტაში პირველხარისხოვანი წამყვანი როლი საკრებულოებმა უნდა ითამაშონ ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების დეპუტატთა მთელ კორპუსთან ერთად. მომავალში ძალზე დიდი მნიშვნელობა ექნება საკრებულოების წევრების მიერ თვითმმართველობის არსის სწორ გააზრებას.

---

[1] იხ. საქართველოს კონსტიტუცია, თბ. 2005 წ. გვ. .....

ამიტომ საქართველოს თვითმმართველობის სისტემების შესახებ ძირითადი თეორიების ჩამოყალიბებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენი მიზანია გერმანიისა და საფრანგეთის ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ანალიზის საფუძველზე პოლიტიკურად და სამართლებრივად იქნეს გამოკვლეული გერმანიისა და საფრანგეთის სახელმწიფოებში ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურები, ამ ორი სახელმწიფოს მოქალაქეების ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის კონსტიტუციური უფლებების რეალიზაციის მექანიზმები, ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენცია და საქმიანობის თავისებურებანი, ადგილობრივი სამართლებრივი ინსტიტუტების შინაარსი და მისი დამოკიდებულება სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ინსტიტუტებთან.

საკვლევი პრობლემის გასაანალიზებლად საქართველოსთან მიმართებაში ორი წამყვანი ევროპული ქვეყნის ადგილობრივი მმართველობის სისტემა ავიღოთ. ერთი მხრივ, გერმანია, როგორც რთული და ფედერაციული ქვეყანა[1] და უნიტარული, მარტივი ფორმის საფრანგეთი. სახელისუფლო ფუნქციათა გამიჯვნის თვალსაზრისით ცალკე განხილვის საგანია ადგილობრივი მმართველობის ფრანგული მოდელი, რომელიც საფანგეთის გარდა, ჰოლანდიაში, ბელგიაში, იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიასა და ლათინური ამერიკის ქვეყნებშიცაა გავრცელებული. ის გამოირჩევა ადგილობრივ ორგანოებზე ცენტრალური ხელისუფლების ადმინისტრაციული კონტროლის მაღალგანვითარებული სისტემით და დასრულებული სამართლებრივი უზრუნველყოფით. თანამედროვე ლიტერატურაში საფრანგეთის ადგილობრივი მმართველობის სისტემის განვითარების სამ ეტაპს გამოყოფენ.

პირველ ეტაპზე (1789 წლიდან მე-19 საუკუნის 70-იან წლებამდე) შეინიშნებოდა მკვეთრი შებრუნება დეცენტრალიზაციიდან ცენტრალიზაციისაკენ. ადგილობრივი არჩევითი მმართველობა შეცვალა ცენტრის მიერ დანიშნულმა აღმასრულებელმა (პრეფექტი, სუბპრეფექტი, მერი) და სათათბირო

---

[1] იხ. Федеральное правительство, Германия. изд. Societats Verlag 2000. стр. 159-164.

(მინიციპალური საბჭო) ორგანოებმა. ამასთან, 1831-1838 წლების კანონებით აღდგენილი იქნა არჩევითობის პრინციპი კომუნებსა და დეპარტამენტებში.

მეორე ეტაპი (მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე) მმართველობითი ორგანოების ურთიერთობაში ცენტრალისტური და დეცენტრალისტური ტენდენციების ერთგვარი შეწონასწორებით ხასიათდება. ამ პერიოდში დაკანონდა კომუნისა და დეპარტამენტის მართვის საფუძველი. ამასთან პრეფექტის ინსტიტუტი დარჩა ადგილობრივი ადმინისტრაციის საკვანძო რგოლად.

მესამე ეტაპის (მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე) პირველი მონაკვეთი გამოირჩეოდა ცენტრალიზაციის გაძლიერებით, რაც მმართველობის ძირეული რგოლების ფინანსური ბაზის შემცირებისა და პრეფექტის უფლებათა გაძლიერების მცდელობაში გამოიხატა.[1]

60-იანი წლებიდან დაიწყო სახელმწიფო მართვის დეცენტრალიზაციისაკენ მიმართული რეფორმების განხორციელება. ამიტომ იყო, რომ 1968-1970 წლებში საფრანგეთში დეცენტრალიზაციის თაობაზე 250-მდე ნორმატიული აქტი იქნა მიღებული. ეს აქტები რიგ სამინისტროებსა და უწყებებსაც შეეხო.

1969 წლის 28 აგვისტოს დეკრეტით გაუქმდა უძრავი ქონების, არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სფეროში არსებული მრავალრიცხოვანი საკონსულტაციო ორგანიზაციები. მათ სანაცვლოდ ჩამოყალიბდა ერთი კომისია, რომელიც მოქმედებდა რეგიონის დონეზე.

საფრანგეთში რეგიონული მართვის ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირება, ეტაპობრივად, ძირითადად 50-იანი წლებიდან განხორციელდა, კერძოდ:

- 1951 წელს დაწესდა 18 რეგიონული პრეფექტის თანამდებობა;
- 1955 წელს ჩამოყალიბდა განვითარების რეგიონული კომიტეტი;

---

[1] იხ. ბ. მღვდელაძე, საფრანგეთი. ადგილობრივი მმართველობა, ეკონომიკა, გადასახადები. თბ., 1997 წ. გვ. 9-10.

- 1959 წლიდან ერთგვაროვანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბაზაზე შეიქმნა 22 რეგიონი, რომელშიც სხვადასხვა დონის სახელმწიფო სამსახურები მოქმედებდა. შემოღებული იქნა პრეფექტ-კოორდინატორის თანამდებობა;
- 1970-1972 წლებში გატარებული რეფორმების შედეგად რეგიონებში ჩამოყალიბდა მმართველობის დეცენტრალიზებული სისტემა.[1]

სრულიად ახალი ეტაპი საფრანგეთის ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ურთიერთობაში უკავშირდება «კომუნების, დეპარტამენტებისა და რეგიონების უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ» პარლამენტის 1982 წლის კანონს, რომლის მიხედვით არსებითად გაფართოვდა კომუნების დამოუკიდებლობა, უარყოფილი იქნა პრეფექტორული მეურვეობა და რეგიონალური საბჭოების საყოველთაო არჩევითობის პრინციპები დამკვიდრდა. გაუქმდა დეპარტამენტის პრეფექტის თანამდებობა და მისი ფუნქციები გენერალური საბჭოს თავმჯდომარეს გადაეცა,[2] ცენტრის წარმომადგენლად ადგილზე ითვლება რესპუბლიკის კომისია, რომლის უმთავრეს ამოცანას ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებათა კანონშესაბამისობის კონტროლი წარმოადგენს.[3]

1982 წელს დაწყებული რეფორმებით განხორციელდა ადგილობრივ ორგანოებზე მართვის ფუნქციების დელეგირება ისეთ სფეროებში, როგორიცაა ქალაქდაგეგმარება და ქალაქმშენებლობა, მიწათსარგებლობა, საბინაო მშენებლობა, პროფესიული სწავლება, ტრანსპორტი, სოციალური დაცვა, განათლება, კულტურა, პოლიცია, ეკოლოგია. ამდენად, საფრანგეთში ძირითადი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო მართვის ორგანოებადაც იქცნენ.

მართვის არჩევითი ადგილობრივი ორგანოს სტატუსი გააჩნია დეპარტამენტებსა და კომუნებს. ამჟამად საფანგეთში 36000-ზე მეტი კომუნა და

---

[1] იხ. ვ. სერებრიაკოვი, ადგილობრივი მართვა და თვითმმართველობა საფრანგეთში, მინსკი (რუს. ენაზე), 1991 წ. გვ. 115.
[2] იხ. Французская республика: конституция и законодательные акты. М., 1989.
[3] იხ. Rivero J. Les libertes publiqucs T. I Paris. 1987. p. 243-244.

101 დეპარტამენტია, რომელთაგან 96-ს ითვლის მეტროპოლია და გაერთიანებულია მის 22 რეგიონში, 5 განთავსებულია ზღვისიქითა ტერიტორიაზე. აგრეთვე სპეციალური ადმინისტრაციული ოკრუგები და რეგიონული ორგანოები[1] ანუ «ტერიტორიული კოლექტივები» საკუთარი ბიუჯეტითა და საგადასახადო სისტემით.[2] ამას გარდა საფრანგეთის გაბნეული გეოგრაფია მოიცავს კიდევ ერთ ტერიტორიას სპეციალური სტატუსით – მაისტი და ოთხ ე.წ. ზღვისიქითა ტერიტორიას (ახალი კალედონია, პოლინეზია, ვალის ე. ფიუტიუნა, სამხრეთ და არქტიკული ტერიტორიები).[3]

1982 წლის რეფორმის მიხედვით პარიზი ფორმალურად კომუნაც არის და დეპარტამენტიც. მისი მართვა ხორციელდება მუნიციპალური საბჭოს მიერ, რომელიც აირჩევა შერეული მაჟორიტარული პროპორციული სისტემით.

საფრანგეთის მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოთა სისტემის შესწავლის ინტერესი ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ცნობილმა იურისტმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ ზურაბ ავალიშვილმა გამოიჩინა. 1904 წელს მან პეტერბურგის უნივერსიტეტში დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე «დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობა საფრანგეთში». ასე რომ ქართველთა დაინტერესება საფრანგეთის შესაბამისი სტრუქტურების მიმართ ახალი არ არის.

გერმანიის რესპუბლიკა რთული ფედერაციული ქვეყანაა, სადაც თვითმმართველობის ფუნქციების განხორციელება წარმოებს ორ: ფედერალურ და 16 მიწის დონეზე. გერმანიაში ფედერალიზმის[4] და ხელისუფლების დანაწილების პრინციპებთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობისათვის დამახასიათებელ ელემენტს, რომელსაც გარკვეული ტრადიცია და ისტორია

---

[1] იხ. ი. კრილოვა, თანამედროვე საფრანგეთის სახელმწიფო მმართველობის აპარატი. მოს., 1998. გვ. 95-97.
[2] იხ. ე. დომორაცკაია, ვ. მაკლაკოვი. სახელმწიფო და ეკონომიკა საფრანგეთში, მოს. 1991 წ. გვ. 18-20.
[3] იხ. გ. კვერენჩხილაძე, თ. მელქაძე. საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა. თბ. 1997 წ. გვ. 145.
[4] იხ. გ. გოგიაშვილი, გერმანია, შედარებითი ფედერალიზმი, თბ. 2000, გვ. 169-170.

გააჩნია.[1] იგი კომუნალურ მმართველობად იწოდება. ადგილობრივი თვითმმართველობა არ შედის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან სისტემაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციულ სისტემას საფუძვლად უდევს უშუალო და წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმები. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნა ხორციელდება არჩევნების გზით, ამასთანავე ბადენ-ვიუტემბერგის და ბავარიის კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადგილობრივი საკითხების უშუალო გადაწყვეტის ფორმა პლებისციტი.

მიწის შინაგანი მოწყობის თვალსაზრისით, კიდევ უფრო რთულია დაბალი დონეების ტერიტორიული ერთეულების – ოკრუგების, თემების სტრუქტურები. ეს კი სამი თავისებურებით არის განპირობებული: 1. მიწები იყოფა ოკრუგებად, ოკრუგები – თემებად. 117 დიდი თემი დიდი ქალაქების სახით სარგებლობს თვითმმართველობის უფლებით და მათზე არ ვრცელდება ოკრუგის ზედამხედველობა. 2. მცირე ზომის თემთა ნაწილი გაერთიანდა და გარკვეული სამსახურების უზრუნველსაყოფად შექმნეს ასოციაციები. 3. ოკრუგები როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, ორბუნებოვანია: აქ არის მმართველი ორგანო, რომელიც წყვეტს საკითხებს, რომელთა საქმიანობაში ვერ ერევა თემები; ამავე დროს ოკრუგში მოქმედებს სახელმწიფო ადმინისტრირების ყველაზე დაბალი დონე. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების ორივე ტიპი ორგანიზებულია საბჭოს ირგვლივ, რომელსაც უშუალოდ ირჩევენ პროპორციული სისტემით ოთხ წელიწადში ერთხელ, ბავარიასა და ბადენ-ვიუტემბერგის გარდა, სადაც საბჭოს წევრთა ნახევარი იცვლება სამ წელიწადში ერთხელ. არსებული რაიონების მოსახლეობის რაოდენობა მერყეობს 45 ათასიდან 150 ათასამდე. ყველაზე მრავალრიცხოვანი რაიონი ითვლის 350 ათას, ხოლო უმცირესი 5 ათას მცხოვრებს.

ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში (ოკრუგის გარდა) არსებობს წარმომადგენლობითი ორგანო, რომლებიც საერთოდ მოქალაქეების (შესაძლებელია მონაწილეობა მიიღონ მოქალაქეობის არმქონე პირებმაც)

---

[1] იხ. რ. მიგრიანული (მთარგმნელი) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი, თბ. 1995 წ.

მონაწილეობით აირჩევიან 4 წლამდე, ბავარიაში – 6 წლამდე. ოკრუგის სათავეში დგას მიწის მთავრობის მიერ დანიშნული სამთავრობო პრეზიდენტი. ვინაიდან ოკრუგში წარმომადგენლობითი ორგანო არ არის, იგი ერთპიროვნული მმართველია და თავისი აპარატის დახმარებით ზედამხედველობს ფედერაციის და მიწის კანონებისა და მთავრობათა აქტების შესრულებას, ახორციელებს მმართველობას.

რაიონის წარმომადგენლობითი ორგანოა კრაისტაგად წოდებული რაიონული კრება. რაიონის მეთაური – ლანდრატი აირჩევა უშუალოდ მოსახლეობის მიერ, ხოლო ზოგიერთ რაიონში ირიბი წესით, რაიონული კრების მიერ. რაიონი თავის შემადგენლობაში შეიძლება აერთიანებდეს მცირე თემებს, პატარა ქალაქისა თუ დასახლების სახით.

რაიონის ქვემდგომი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია თემი, სადაც საშუალოდ ცხოვრობს 30 ათასი ადამიანი. თემის ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს ლანდარტი და წარმომადგენლობითი ორგანო – მუნიციპალური საბჭო, რომელსაც ბურგომისტრი ხელმძღვანელობს. ისეთ თემებში, სადაც მოსახლეობა 50 ათასს ჭარბობს მუნიციპალური საბჭოს ხელმძღვანელი ობერბურგომისტრად იწოდება. ბურგომისტრის უფლებამოსილების ვადა სხვადასხვაა მიწის კანონმდებლობით 8-დან 12 წლამდე მერყეობს.

გერმანიის კონსტიტუციით თვითმმართველობის იდეა შემდეგნაირად არის დამკვიდრებული: თემებს აქვთ უფლება, რომ კანონის ფარგლებში საკუთარი პასუხისმგებლობით გადაწყვიტონ ადგილობრივი საზოგადოების ყველა საკითხი. თუმცა კანონის თანახმად თემთა კავშირებიც სარგებლობენ თვითმმართველობის უფლებით მათი კანონიერი კომპეტენციის ფარგლებში. თვითმმართველობის გარანტია მოიცავს საფინანსო სფეროშიც საკუთარი პასუხისმგებლობის საფუძვლებს.[1]

---

[1] იხ. O. Melkadse, N. Ramischwili. Vefessungsrechte Deutschlands 1999. s. 176.

გერმანიის კონსტიტუციის შესაბამისად, ქვეყანაში მმართველობითი საქმიანობა ხორციელდებოდა 5 საფეხურზე: ფედერაცია – 10 მხარე, 29 ოკრუგი, რომლებიც მხარეთა ხელისუფლების პირდაპირი კონტროლის ქვეშ იმყოფებიან, 250 რაიონი და 90 რაიონის რანგის ქალაქი, 10.983 თემი. კომუნალური მართვის საბაზო ერთეულებს წარმოადგენენ თემები, რაიონები და ქალაქი-რაიონები.[1]

ევროპულ სახელმწიფოებში ჩამოყალიბდა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ძირითადი თეორიები და სისტემები, მათ შორის თვითმმართველობის თეორიების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა გერმანულმა სკოლამ. გერმანელმა მეცნიერებმა ბუნებითი სამართლის თეორიაზე დაყრდნობით წამოაყენეს თავისუფალი თემის (თვითმმართველობის) თეორია.

თავისუფალი თემის თეორიამ შემდგომ შეცვალა თვითმმართველობის საზოგადოებრივი სამეურნეო თეორია. ამ თეორიების კრიტიკული გააზრების საფუძველზე გერმანული მეცნიერების ლორენც შტეინის და რუდოლფ გნეისტის მიერ ჩამოყალიბდა თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორია.

არსებობს მუნიციპალური მმართველობის დუალისტური თეორია, რომლის თანახმად მართვის ფუნქციების განხორციელებისას ადგილობრივი მმართველობის ორგანოები მოქმედებენ არა მხოლოდ ადგილობრივი ინტერესების ფარგლებში, არამედ როგორც დროულად სახელმწიფო ადმინისტრაციის რგოლები.

ადგილობრივი თვითმმართველობის დღეს გავრცელებულ მრავალფეროვან სისტემაში შეიძლება გამოიყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ანგლოსაქსური, რომანული (ფრანგული) და შერეული ტიპები, რაც არ ეწინააღმდეგება ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპის ქარტიას.

ამდენად, შესაძლებლად მიგვაჩნია გერმანული, ფრანგული და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემებიდან აპრობირებული მოდელების

---

[1] იხ. ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბ., 1991 წ. გვ. 83.

ექსტრაპოლაციის შესაძლებლობა საქართველოში, რასაც ცალკე ღრმა მეცნიერული დამუშავება სჭირდება.

თავი III

საქართველოს ხვალინდელი დღის პოლიტიკურ-სამართლებრივი ხედვა

§1. საკონსტიტუციო ცვლილებები, მმართველობის ფორმისა და პოლიტიკური რეჟიმის გადაწყვეტის გზები საქართველოში

სახელმწიფო და სამართალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებია და ემორჩილება ისტორიული პროცესებისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს, ამდენად გლობალიზაცია სახელმწიფოსა და სამართალს ისევე ეხება, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა დარგებს. გლობალიზაციის პირობებში სოციალურ სფეროში სამართლებრივი საკითხების მნიშვნელობაზე, როგორც პრობლემურ აბსტრაქციაზე, არ დაობენ. იგი საერთაშორისო თანამეგობრობის სამართალცნობიერების ჩამოყალიბების პროცესში პრაქტიკულ პრობლემად უფრო იქცა.

სოციალურ სფეროში წამოჭრილმა პრობლემებმა, ასევე ზოგიერთი საარსებო რესურსების შემცირებამ, ბუნებრივმა მძიმე დაავადებებმა, მასობრივი მოსპობის დიდძალი იარაღის დაგროვებამ ზოგიერთ რეგიონში, ჩინოვნიკურმა კორუფციამ, ინტელექტუალური და ზნეობრივი ნორმების დაუცველობამ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იჩინა თავი. ზემოაღნიშნულმა ახალი პრობლემის გადაწყვეტის წინაშე დააყენა კაცობრიობა. ესაა საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესაბამისი სამართლებრივი მოწესრიგება, მათი საერთაშორისო სამართლებრივი უნივერსალიზაცია და ახალი საერთაშორისო წესრიგის შექმნა.

მისაღები საერთო სამართლებრივი პრინციპები, ნორმები, სტანდარტები მთავარი პირობა იქნება საერთაშორისო, მსოფლიო სამართლებრივი სისტემის პარამეტრების შესაქმნელად. ამისათვის კი საჭიროა დაუახლოვდეს ეროვნული კანონმდებლობა საერთაშორისო სამართალს, რომელიც იქცა თანამედროვეობის უპირველეს პრობლემად.[1]

საერთაშორისო სამართალი, ისევე როგორც შიდასახელმწიფოებრივი, დამოუკიდებელ სამართლებრივ სისტემას წარმოადგენს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ამ ორ სისტემას შორის უფსკრულია და ისინი ერთმანეთისაგან

[1] Ю.А. Тихомиров, Публичное право М.1995г. ст.105.

იზოლირებულ იურიდიულ ზედნაშენად გვევლინებიან. პირიქით, რაც უფრო ვითარდება და მჭიდროვდება საერთაშორისო ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სხვა ურთიერთობანი, სულ უფრო ქმედითი ხდება ამ ორი სამართლებრივი სისტემის ურთიერთზემოქმედება.[1]

საერთაშორისო სამართალი თანდათან იკავებს განსაკუთრებულ ადგილს მსოფლიო სამართლის სისტემებს შორის, რომელიც გავლენას ახდენს ეროვნული სამართლის განვითარებაზე, მისი ძირითადი პრინციპების უმრავლესობა, როგორიცაა: სახელმწიფო სუვერენიტეტი, კონსტიტუციური წყობილების განმტკიცება, ტერიტორიული მთლიანობის, ადამიანთა ბუნებითი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და ა.შ. მისაღებია ეროვნული სამართლისათვის.

ცივი ომის დასრულებამ ახალი განზომილება შესძინა საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ბიპოლარიზმის ეპოქაში საერთაშორისო სამართლის ნორმებისადმი ურჩ სახელმწიფოებს საბჭოთა კავშირი ან აშშ მფარველობდნენ, რამდენადაც მათდამი მხარდაჭერა ერთი ან მეორე მხარის ინტერესებში შედიოდა. დღეისათვის დესპოტურ ლიდერებსა და ცალკეულ ტერორისტებს, რომლებიც სამხედრო დანაშაულს ან გენოციდს ჩადიან, უნდა ახსოვდეთ, რომ დაპატიმრება, გასამართლება და დასჯა ელით საერთაშორისო ან თუნდაც იგივე ა.შ.შ-ის სასამართლოების მიერ, – წერს ჰუვერის ინსტიტუტის (სტენდორის უნივერსიტეტი ა.შ.შ) ექსპერტი თომას ჰენრიკსენი მის მიერ ჩამოყალიბებულ ძირითად დებულებებში, რომლებიც საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარებას ეხება.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიასთან ერთად საერთაშორისო სამართალი იქცა სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების სამართლის დამკვიდრების საფუძვლად, რაც საერთაშორისო წესრიგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

სამართლებრივ სახელმწიფოში სამართლებრივ-ნორმატიული სისტემა უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლის ნორმათა მაქსიმალურ დაცვას. სამართლებრივ სახელმწიფოს იდეაში მოიაზრება ადამიანის უფლებათა და

---

[1] იხ. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი თბ. .2001 წ. გვ. 18.

თავისუფლებათა პატივისცემა, როგორც სახელმწიფოს უზენაესი სოციალური და სამართლებრივი ღირებულება. საერთაშორისო თანამეგობრობის, რომელიც ემყარება 1993 წლის 25 ივნისის ვენის დეკლარაციას, მიზანია, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა გლობალურად სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით, ეროვნული და რეგიონალური სპეციფიურობის, განსხვავებული ისტორიული, კულტურული და რელიგიური თავისებურებების გათვალისწინებით. ისინი ასახულია საერთაშორისო აქტებსა თუ ხელშეკრულებებში, – «ადამიანის უფლებების დაცვა და წახალისება წარმოადგენს საერთაშორისო თანამეგობრობის უპირველეს ამოცანას»[1]. ვენის დეკლარაციამ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა სხვა საერთაშორისო დოკუმენტთა შორის, რადგანაც იგი წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში საერთაშორისო ღირებულებების განხორციელების მექანიზმის ირგვლივ მსოფლიოში ჩატარებული გამოკვლევებისა და დისკუსიების ხანგრძლივი პროცესის ჯამს. ვენის დეკლარაციასა და მოქმედების პროგრამაში ჩამოყალიბებულია კონკრეტული რეკომენდაციები ადამიანის უფლების დაცვაში გაეროს სისტემის მონიტორინგულ ღონისძიების განმტკიცებისა და ჰარმონიზირების მიმართულებით.

კონფერენციის რეკომენდაციებმა დიდი როლი ითამაშა ადამიანის საყოველ-თაოდ აღიარებული უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შემდგომი განმტკიცების საქმეში. კონფერენციის მასალებში ყურადღება გამახვილდა საკაცობრიო ღირებულებების დაცვა-შენარჩუნებაზე, მხარი დაეჭირა გაეროს მიერ ჩამოყალიბებულ კონცეფციებს, მათი განხორციელების მეთოდებსა და საშუალებებს.

„თანამედროვე საერთაშორისო სამართალი თავისი სოციალური ბუნებით ზოგად-დემოკრატიული ხასიათისაა, ყოველი ნორმა მხოლოდ თანასწორუფლებიანი შეთანხმების შედეგი შეიძლება იყოს იქ, სადაც ყველა მხარის ნება სხვა ნებასთან თანასწორია. დაუშვებელია ერთი ან რამდენიმე

[1] იხ. Международное публичное право, сборник документов. Т.1. М.1996г. გვ. 117.

სახელმწიფოს დიქტატი სხვა სახელმწიფოთა მიმართ, სწორედ ამით აიხსნება საერთაშორისო სამართლის ზოგადდემოკრატიული ხასიათი»[1]

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კაცობრიობა ერთნაირი ტემპებით არ ვითარდება. თანამედროვე გლობალიზაციის პროცესები სოციალური ურთიერ-თობების სფეროში ურთიერთსაპირისპირო ნეგატიური პროცესებისაგან არ არის დაზღვეული. აღნიშნულ საკითხზე ნაწილობრივ უკვე გვქონდა საუბარი.

პრაქტიკულად გლობალიზაციის პრობლემასთან დაკავშირებით სამართლის სფეროშიც ყალიბდება ორი მიმდინარეობა. გლობალიზაციის მხარდამჭერნი და მომხრენი და გლობალიზაციის მოწინააღმდეგენი. ორივე მიმდინარეობას გააჩნია არსებობის საფუძვლები. გლობალიზაციის მოწინააღმდეგენი თავიანთ კონცეფციებს სარჩულად უდებენ რელიგიურ, ტრადიციულ და პოლიტიკურ შეხედულებებს.

«მსოფლიოს მილიონები გლობალიზაციას განიხილავენ არა როგორც პროგრესის ინსტრუმენტს, არამედ როგორც დამანგრეველ ძალას, რომელსაც შეუძლია მოსპოს სიცოცხლე, მასთან ერთად ტრადიციები და ეროვნული კულტურა, ისინი ცდილობენ პროგრესს დაუპირისპირონ «ნაციონალიზმი», «ფუნდამენტალიზმი» და სხვა «იზმები»[2]

ამდენად, გლობალიზაციას მიიჩნევენ იმპერიალიზმის ახალ ფორმად, კოლონიალიზმის ახალ გამოვლინებად, სადაც მეტროპოლიის როლში ამერიკის შეერთებული შტატები გამოდის, რომელიც ქმნის გასაღების გლობალურ ბაზარს.

აქედან გამომდინარე, კარგად სჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება იმ პოლიტიკური და სამართლებრივი გზების მოძებნას, რომელიც გამორიცხავს გლობალიზაციის ნეგატიურ შედეგებსა და დაიცავს ეროვნულ ღირებულებებს. ბიბლია ლაპარაკობს, «ღმერთმა შექმნა სხვადასხვა ხალხები», ამის გამო არსებობენ სხვადასხვა ქვეყნები, სახელმწიფოები, რელიგიური აღმსარებლობით, მმართველობითი ინფრასტრუქტურებით, სხვადასვა კულტურით, ყოფაცხოვრებით, რომლის მოსპობისა და განადგურების უფლება არავის აქვს.

---

[1] იხ. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2001 წ. გვ. 13.
[2] იხ. К.Аннан, Сообщества эры интернационализма Независимая, газета, 1999 31 дек.

ერთი ქვეყნის კანონმდებლობის გადმოტანა მეორე ქვეყანაში, ყოველგვარი ეროვნული ტრადიციებისა და სამართლებრივი აზროვნების გათვალისწინების გარეშე, გლობალიზაციის პირობებშიც არსად არ იძლევა სასურველ შედეგს. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი პროექტი, რომელიც შეიმუშავა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმის ჯგუფმა. მის შესახებ 2003 წლის 14-19 ივლისს ევროპის საბჭოსა და ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით ქ. ბუდაპეშტში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საჯარო განხილვა მოეწყო ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის ინიციატივით. მასში მონაწილეობა მიიღო შესაბამისი სახელმწიფო უწყებათა და საზოგადოების ფართო წარმომადგენლობამ. სხდომაზე გამოითქვა, რომ პროექტი ძირითადად შედგენილია საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობის ბაზაზე და მოწყვეტილია «ეროვნულ ნიადაგს». ქართველი მეცნიერები მოითხოვდნენ მის ხელახალ გადამუშავებას და მასში ეროვნული სამართლის და მენტალიტეტის გათვალისწინებას. სამართლის პროექტის ირგვლივ გამართული პოლემიკა საფუძველს არა იყო მოკლებული. კანონმდებლობაში შეინიშნებოდა უცხო ტერმინთა სიმრავლე, რაც თავისთავად მოითხოვს განმარტებებს, ანდა ქართული შესატყვისი ტერმინების მოძებნას.

ბოლო პერიოდის სამართლებრივი რეფორმების მიმდინარეობამ არასახარბიელო ხასიათი მიიღო, ამაზე მეტყველებს მოკლე დროში შეტანილი უამრავი ცვლილებები და შესწორებანი, რაც თავისთავად ართულებს კანონის შესწავლას. ამიტომ საჭიროდ ვთვლით, რომ რეფორმებთან დაკავშირებულმა ყველა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სპეციალისტებმა, ექსპერტებმა და იურისტებმა ერთი რამ თავიდანვე გაითვალისწინონ, ეს არის რეფორმების კონცეფციის «ორმაგი ბუნება». ერთი მხრივ, უნდა დადგინდეს, რომელი ქვეყნის სამართალი უფრო პასუხობს დღევანდელი ქვეყნის რეალობას, რომელიც შეიძლება იყოს ძველის შეცვლის ბაზა. და მეორე, როგორაა გამოყენებული ქართული სამართლებრივი ცნობიერება და ძველი

კანონმდებლობა ახალში. ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ ეს პრობლემა მარტო ჩვენთან არ დგას და იგი ბევრად უფრო გლობალურია, მაგრამ ჩვენის მხრიდან კომპრომისი და წარსულზე უარის თქმა დაუშვებელია. ამით ქვეყანას შეიძლება სამუდამოდ დაეკარგოს თავისი ისტორიული მისია, ღირსეულად რომ ახორციელებდა მთელ რეგიონში. მაგრამ ამასთან თავისი პოლიტიკით არა თუ ზღუდავდა რომელიმე ერისა და ეროვნების ინტერესებს, პირიქით, ახალისებდა და, შეიძლება ითქვას, ზედმეტადაც.

ამას ადასტურებს ვახტანგ VI მიერ ჩატარებული რეფორმები და მისი საკოდიფიკაციო საქმიანობა სამართლის სფეროში. არ დარჩენილა უყურადღებოდ მაშინდელი არც ერთი ქვეყნის სამართლის ნორმები და მოქმედი სამართალი, რაც დაკავშირებული იყო საქართველოსთან, ასახვა რომ რომ არ ეპოვა მისივე შექმნილ სამართლის კრებულში. მან შეკრიბა და გადმოათარგმნინა სამართლის (ებრაული, ბერძნული, სომხური) ძეგლები და თავი მოუყარა ძველი ქართული სამართლის (გიორგი ბრწყინვალის, ბექა და აღბუღას, კათალიკოსის სამართლის) ძეგლებს. თავისი საკანონმდებლო მუშაობა მან ქართული სამართლის შედგენით დააგვირგვინა».[1] ამის გათვალისწინებით, საჭიროდ მიგვაჩნია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე ახალი შიდასახელმწიფოებრივი ნორმების შექმნა, რადგანაც ჩნდება ურთიერთობანი, რომელთა მოწესრიგებისას საჭირო ხდება საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების მოშველიება, რომლებიც არც წმინდა სახის შიდასახელმწიფოებრივია და არც საერთაშორისო სამართლებრივი. ისინი სპეციალური ურთიერთობებია, რომლებშიც ადგილობრივი სამართლის სუბიექტების გარდა მონაწილეობენ უცხო სახელმწიფოების ფიზიკური და იურიდიული პირები და ამ ურთიერთობებისათვის სპეციალური სამართლებრივი რეჟიმია გათვალისწინებული.[2]

გლობალიზაცია სასამართლოს სფეროში უნდა განხორციელდეს კარგად მოფიქრებული და ყველასათვის მისაღები პრინციპების საფუძველზე, როგორიცაა დემოკრატიზაციის, სუვერენული თანასწორობის, დამოუკიდებლობის, შინაურ

---

[1] იხ. ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებული, თბ. 1953. გვ. 3.
[2] იხ. ლ. ალექსიძე, დას. ნაშ. გვ. 211.

საქმეებში ჩაურევლობის, ერთა და ეროვნებათა თანასწორობის, თვითგამორკვევის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, სამართლიანობის დაცვის და ა.შ.

ვერ ვიტყვით, ვისთვის როგორ, მაგრამ ერთის თქმა თამამად შეიძლება, – ქართველი კაცისათვის ეროვნული ტრადიციები, წინაპართა პატივისცემა მათ მიერ საუკუნეების მანძილზე ნატარები და გადმოცემული ტრადიციები, უდიდესი ღირებულებაა. ვიხსენებთ გასული საუკუნის 90-იან წლებში ემიგრირებული ქართველის, გენერალ გიორგი სოგორაშვილის სიტყვებს რომელიც 7 წლის შემდეგ ეწვია სამშობლოს, – «რაც არ უნდა გაგიჭირდეთ, არავითარ შემთხვევაში არ წახვიდეთ საზღვარგარეთ ემიგრაციაში, ოდნავ რომ რაიმე შანსი გამაჩნდეს, არაფრით არ დავბრუნდებოდი ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუმცა იქ ცუდად არა ვცხოვრობ.» ამით იმის თქმა გვსურს, რომ გლობალიზაციის პირობებში საკუთარი სამშობლოს, მისი დიდი ისტორიულ-პოლიტიკური მემკვიდრეობისადმი გაცილებით უფრო მეტი ერთგულება და პატივისცემა გვმართებს დღეს, ვიდრე ოდესმე.

ზემოაღნიშნულმა მოვლენებმა არა მარტო კანონმდებლობაში, არამედ უშიშროებისა და სამართალდამცავი სისტემის ორგანოების რეფორმირებაც მოითხოვა. ამ გზით საქართველო დაადგა დემოკრატიის განვითარების ევროპულ გზას, ყალიბდება პლურალისტური აზროვნების, დემოკრატიული პრინციპების ინსტიტუტებისადმი ჯეროვანი პატივისცემა.

გლობალიზაციის, ინტეგრაციისა და ინფორმაციის მომძლავრებული ნაკადის ფონზე გაცილებით მეტია პრობლემათა ოპტიმალური გადაწყვეტის შანსიც და შესაძლებლობაც. მან თავი იჩინა საზოგადოებრივი ურთიერთობისა თუ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მაგრამ «მიუხედავად საკმაოდ მდიდარი სამართალშემოქმედებითი გამოცდილებისა, რომელიც ათეულ საუკუნეებსაც კი ითვლის, მაინც ვერ დავიკვეხნით, რომ ეს საკმარისია თანამედროვე სტანდარტების დასაკმაყოფილებლად».[1]

---

[1] იხ. ჟურ. სამართალი, პ. ცნობილაძე, საკანონმდებლო ტექნიკის უცხოური გამოცდილება, 2004, №1-2, გვ. 12.

ბევრი რამ არის გასარკვევი დღევანდელი საქართველოს მმართველობის ფორმის თეორიასა და პრაქტიკაში. ქვეყანაში მოქმედი 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით აღიარებული იყო საპრეზიდენტო რესპუბლიკა, რომელსაც გააჩნდა ყველა ის ძირითადი ნიშანი, რაც დამახასიათებელია რესპუბლიკური მმართველობის ფორმისათვის. ამას ადასტურებს კონსტიტუციის 1, მე-2 და მე-5 მუხლები, სადაც აშკარადაა დადასტურებული რესპუბლიკის რეალობა, კერძოდ, ამ მუხლებში დაფიქსირებულია, რომ „საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“, „საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა „საქართველო“, „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში“, „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპებზე დაყრდნობით“. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ არაა ლაპარაკი თუ რა სახის რესპუბლიკასთან გვაქვს საქმე. ამის გარკვევისათვის ანალიზი სჭირდება კონსტიტუციის 48-ე, 69-ე, 79-ე მუხლებს, სადაც მოცემულია, რომ „საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც განახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას“, „საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური“. პრეზიდენტი აყალიბებს მთავრობას და წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად“ „მთავრობის წევრები პასუხისმგებლები არიან პრეზიდენტის წინაშე“ და ა.შ. ე.ი. კონსტიტუციით საქართველო იყო „წმინდა“ საპრეზიდენტო რესპუბლიკა.[1]

ბოლო წლებში ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო პოლიტიკური წრეები ეჭვის ქვეშ აყენებდნენ მმართველობის ფორმის შეუსაბამობას არსებულ რეალობასთან. სინამდვილეში ქვეყანაში შექმნილი კრიზისი განაპირობა სახელმწიფო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროსა და სახელისუფლო სტრუქტურებში კორუფციის მაღალმა დონემ, სახელმწიფო მოხელეთა არაკეთილსინდისიერებამ, უპასუხისმგებლობამ, ქვეყნის ინტერესების იგნორირებამ პირადი ინტერესების ხარჯზე, პოლიტიკურმა ნიჰილიზმმა, აგრეთვე სახელმწიფოში შექმნილმა დაუსჯელობის სინდრომმა, რაც წამახალისებელი ფაქტორი გახდა ბიუჯეტის არადანიშნულებისამებრ ხარჯვის, სახელმწიფო ქონებისა და სახსრების დატაცების და ა.შ.

---

[1] იხ. საქართველოს კონსტიტუცია თბ. 1995 წ. გვ. 24-36-43.

ქვეყანაში ჩამოყალიბებული ნახევრადტოტალიტარული მმართველობა, ერთი მხრივ არც სულ უსაფუძვლოდ, თავს იწონებდა სიტყვის, აზრის, პრესის თავისუფლებით, რასაც ყველას დასანახავად დემოკრატიულობის მაჩვენებლად თვლიდა, მეორეს მხრივ კი, ამაოდ ცდილობდა კერძო საკუთრებაზე დამყარებული საბაზრო-ეკონომიკური საზოგადოების წარმატებულ მშენებლობას... ქვეყანას ღრღნიდა პოლიტიკური კრიზისიც – აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედუუნარობა, მისი დაპირისპირება საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, სახელისუფლო შტოების ცოდვათა ურთიერთგადაბრალება, პასუხისმგებლობის თავიდან აცილება».[1]

2003 წლის ნოემბრის «ვარდების რევოლუციის» შემდგომ მოსულმა ხელისუფლებამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ქვეყანაში თითქმის ცხოვრების წესად ქცეულ ნეგატიურ მოვლენებს, ამის ნათელი მაგალითია ყოფილი მაღალი რანგის ჩინოვნიკების მასიური დაპატიმრების პროცესი. (ენერგეტიკის, ტრანსპორტის, რკინიგზის დეპარტამენტის, ძალოვანი სტრუქტურების მაღალი ჩინოსნები და ა.შ.). საქართველოში მომხდარი მსგავსი უსისხლო რევოლუცია, ცოტა თუ ახსოვს მსოფლიო ისტორიას. ბუნებრივია, მომავალში უფრო შეფასდება მისი როლი და მნიშვნელობა სხვადასხვა დარგის მკვლევართა მიერ.

ამ ფონზე გვინდა ანალიზი გავუკეთოთ საქართველოს პარლამენტის მიერ 2004 წლის 6 თებერვალს საქართველოს კონსტიტუციური კანონით შეტანილ ცვლილებებს და დამატებებს ქვეყნის უზენაეს კანონში, კონსტიტუციაში. რითაც სახე იცვალა მმართველობის ფორმამ და შესაბამისად პოლიტიკურმა რეჟიმმა. საბოლოო დასკვნების გაკეთებამდე მიზანშეწონილად ვთვლით ყურადღება გავამახვილოთ კონსტიტუციაში შეტანილ ზოგიერთ ცვლილებაზე. 46-ე მუხლს დაემატა მესამე პუნქტი შემდეგი რედაქციით, „თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის და სხვა წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმების შემდეგ. ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო

[1] იხ. ბ. ლუტიძე, „ვარდების რევოლუციის გლობალური ასპექტები“, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 21 აპრილი, 2004 წ.

მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი“.[1]

49-ე მუხლს ასევე დაემატა მე-4 პუნქტი, რომელიც შემდეგნაირად ჩამოყალიბდა, „სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისათვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით. პარლამენტი თავად იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების განაწილების თაობაზე“.[2] ასევე ცვლილებები შევიდა 50-ე მუხლის შინაარსში, კერძოდ მე-3 პუნქტში და დაემატა 31-ე პუნქტი, რომელიც ეხება პარლამენტის მორიგ არჩევნებს და მისი უფლებამოსილების შეწყვეტას „პარლამენტი საქმიანობას წყვეტს პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ სხდომამდე. დათხოვნილი პარლამენტი იკრიბება მხოლოდ პრეზიდენტის მიერ საგანგებო საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში“ და ა.შ. 51-ე მუხლს დაემატა 51[1] მუხლი, სადაც ვკითხულობთ, „პარლამენტი შეიძლება დათხოვნილ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში. გარდა, ა) პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან ექვსი თვის განმავლობაში ბ) პარლამენტის მიერ კონსტიტუციის 63-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას, გ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, დ) საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო 6 თვის განმავლობაში.

ცვლილებები განიცადა 59-ე მუხლის შინაარსმაც, მე-60 მუხლის მეორე პუნქტმა. 67-ე მუხლის შინაარსმა, რომელიც ეხება საკანონმდებლო ინიციატივას, გარკვეული კორექტივები შევიდა 70-ე მუხლის მე-6 პუნქტში, ის ჩამოყალიბდა შემდეგნაირად, „არჩევნების მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში უკეთესი შედეგის მქონე ორ კანდიდატს. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს“.[3]

---

[1] იხ. საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი ს.ს.მ I, 2004 წ. №2, მუხ. 5.

[2] იხ. საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი ს.ს.მ. I, 2004 წ. №2, მუხ. 5.

[3] იხ. საქართველოს 1989 წლის 20 ივლისის კონსტიტუციური კანონი №2224 ს.ს.მ. I 1999 წ. №35(42) მუხლ. 170.

სერიოზული ცვლილებები შეეხო 73-ე მუხლის შინაარს და იგი ახლებურად ჩამოყალიბდა,[1] სადაც

საქართველოს პრეზიდენტი

ა) დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოებთან; პარლამენტის თანხმობით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს; იღებს უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩებსა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას;

ა[1]) საქართველოს სახელმწიფოს სახელით დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან;

ბ) ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, თანხმობას აძლევს პრემიერ-მინისტრს მთავრობის წევრის – მინისტრის დანიშვნაზე;

გ) უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში გადააყენოს მთავრობა, თანამდებობიდან გაათავისუფლოს საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების მინისტრები;

დ) იღებს მთავრობის, მთავრობის წევრისა და კანონით განსაზღვრულ სხვა თანამდებობის პირთა გადადგომას, უფლებამოსილია მთავრობას, მთავრობის წევრს დააკისროს მოვალეობათა შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის, ან მთავრობის ახალი წევრის დანიშვნამდე;

ე) თანხმობას აძლევს მთავრობას პარლამენტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენაზე;

ვ) პარლამენტს წარუდგენს, ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობის პირებს კონსტიტუციისა და კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში დადგენილი წესით;

ზ) საქართველოში შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და, არა უგვიანეს 48 საათისა, შეაქვს ეს გადაწყვეტილებები პარლამენტში დასამტკიცებლად;

---

[1] იხ. საქართველოს კონსტიტუცია თბ., 2004, გვ. 35-38.

თ) ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს, ან სხვა შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ან მის რომელიმე ნაწილში და ეს გადაწყვეტილება არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად. საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე, ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს. დეკრეტები წარედგინება პარლამენტს, როცა იგი შეიკრიბება. საგანგებო უფლებამოსილებანი ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ამ პუნქტში აღნიშნულ მიზეზთა გამო გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა;

ი) პარლამენტის თანხმობით უფლებამოსილია შეაჩეროს თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა, ან დაითხოვოს ისინი, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას;

კ) კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებულებებსა და განკარგულებებს;

ლ) ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს კონსტიტუციით განსაზღვრული წესით;

მ) წყვეტს მოქალაქეობის, თავშესაფრის მიცემის საკითხებს;

ნ) ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს, უმაღლეს სამხედრო, სპეციალურ და საპატიო წოდებებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს;

ო) შეიწყალებს მსჯავრდებულთ;

პ) დაითხოვს პარლამენტს კონსტიტუციით დადგენილ შემთხვევებში და წესით;

ჟ) თავმჯდომარეობს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, კონსტიტუციით, აგრეთვე ორგანული კანონით გათვალისწინებული წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მოსამართლეებს;

რ) პარლამენტის დათხოვნიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ შეკრებამდე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, უფლებამოსილია საგადასახადო და საბიუჯეტო საკითხებზე გამოსცეს კანონის ძალის მქონე აქტი - დეკრეტები, რომელიც ძალას კარგავს, თუ ახლადარჩეული პარლამენტი პირველი შეკრებიდან ერთი თვის განმავლობაში არ დაამტკიცებს მას;

ს) 51[1] მუხლის „ა“ -- „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას პარლამენტის მიერ კონსტიტუციით დადგენილ ვადაში მთავრობის შემადგენლობისათვის ნდობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში უფლებამოსილია დანიშნოს პრემიერ-მინისტრი და თანხმობა მისცეს მას მინისტრების დანიშვნაზე. ზემოაღნიშნული გარემოებების ამოწურვიდან ერთი თვის განმავლობაში პრეზიდენტი ხელახლა წარუდგენს პარლამენტს მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად.

2. პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტისა და წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებს კანონით დადგენილი წესით.

3. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს, ან გააუქმოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, კანონებსა და პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს.

4. პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს სამხედრო ძალების გენერალური შტაბის უფროსს, სხვა მხედართმთავრებს.

5. პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხს და პარლამენტს. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

6. პრეზიდენტი ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.[1]

---

[1] იხ. საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი, სსმI 2004 წ. №2, მუხ. 5.

განმტკიცებულია პრეზიდენტის საკვანძო უფლებამოსილებანი, რომელიც ეხება, როგორც საშინაო, ისე საგარეო ფუნქციათა განხორციელებას. გარდა ამისა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გაუმართავად გვეჩვენება ამ მუხლის ა), დ) და პ) პუნქტები. ჩვენი აზრით, ისინი ასე უნდა ჩამოყალიბდეს. პუნქტი ა) ბოლო აბზაცი, ახდენს უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას.[1]

პუნქტი დ) იღებს მთავრობის, მთავრობის წევრისა და კანონით განსაზღვრულ სხვა პირთა გადადგომის გადაწყვეტილებას.

პუნქტი პ) დაითხოვს პარლამენტს კონსტიტუციით დადგენილ შემთხვევაში განსაზღვრული წესით. შესაძლებელია, ეს შინაარსობრივად ბევრს არაფერს ცვლიდეს, მაგრამ საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით მიგვაჩნია, რომ ქვეყნის უზენაესი კანონისათვის მნიშვნელოვანი საკითხია.

კონსტიტუციის 76-მუხლის მე-2 პუნქტმა ახლებურად განსაზღვრა შემდეგი „საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში აგრეთვე თუ პარლამენტი დათხოვნილია, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პრემიერ-მინისტრი“.

კონსტიტუციას დაემატა 78[1] მუხლი, რომლის ძალითაც პრეზიდენტი პარლამენტს დასანიშნად წარუდგენს გენერალური პროკურორის კანდიდატურას.

ძალზე სერიოზული ცვლილებები განიცადა კონსტიტუციის მეოთხე თავმა, რომელსაც ფაქტობრივად დაემატა ახალი მეოთხე თავი,[2] თუ საქართველოს პრეზიდენტი იყო საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებამ 79-ე მუხლის თანახმად მთავრობის თავმჯდომარედ აღიარა პრემიერ-მინისტრი, რომელიც განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზაციას უწევს

---

[1] აკრედიტაცია – ამა თუ იმ სახელმწიფოს წარმომადგენლისათვის უფლებამოსილების მინიჭება, იხ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ., 2003, გვ. 19.

[2] იხ. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2004 წ. გვ. 35-38.

მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს კოორდინაციასა და კონტროლს მთავრობის წევრების საქმიანობაზე, მოახსენებს საქართველოს პრეზიდენტს მთავრობის საქმიანობის შესახებ და პასუხისმგებლია მთავრობის საქმიანობისათვის საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე. გადავხედოთ რა მდგომარეობაა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუციებში, სადაც წარმოსახულია განსხვავებული კონფიგურაციების ფართო სპექტრი. სახეობათა მიხედვით ისინი იყოფიან: 1. «წმინდა» საპრეზიდენტო»; 2. პრემიერი პრეზიდენტთან ერთად; 3. საპრეზიდენტო-საპარლამენტო; 4. პარლამენტი-პრეზიდენტთან ერთად; 5. «წმინდა» საპარლამენტო. კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი მათე შუგარტი მმართველობის აღნიშნულ სახეობებს შემდეგნაირად ახასიათებს: «წმინდა» საპრეზიდენტო სისტემაში ამომრჩევლები პრეზიდენტს ირჩევენ, როგორც მთავრობის მეთაურს, რომელიც ნიშნავს კაბინეტის წევრებს ასამბლეის წარმომადგენლებთან ერთად. ამ შემთხვევაში არ არსებობს სპეციალური მუხლი აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი უნდობლობის გამოცხადებაზე, ან ასამბლეის დაშლაზე. მსგავსი მმართველობა არის ამერიკის შეერთებულ შტატებში და ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანაში.

მმართველობის მეორე ფორმის პირობებში ქვეყანას ჰყავს, როგორც პრემიერ-მინისტრი, ასევე პრეზიდენტი. პრეზიდენტს არა აქვს უფლება დაშალოს მინისტრთა კაბინეტი, თუ ეს უკანასკნელი იმსახურებს პარლამენტის ნდობას. ასეთი ტიპის მმართველობა არის საფრანგეთში.

მესამე სახეობა – საპრეზიდენტო-საპარლამენტო, არის გამორჩეული ფორმა. ამ შემთხვევაში ასამბლეას უფლება აქვს უნდობლობა გამოუცხადოს კაბინეტს, პრეზიდენტის უფლებით გაანთავისუფლოს მინისტრები და მთლიანად მინისტრთა კაბინეტი. საპრეზიდენტო-საპარლამენტო მმართველობა არის შრი-ლანკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მ. შუგარტის აზრით, დარჩენილი ორი არსებითად იდენტურია საკანონმდებლო-აღმასრულებელ ურთიერთობებში. ორივე შემთხვევაში საპარლამენტო უმრავლესობას აქვს ძალაუფლება კაბინეტის სტრუქტურაზე და კანონმდებლობაზე. განსხვავებას იგი ხედავს იმაში, რომ «წმინდა» საპარლამენტო სისტემაში სახელმწიფოს მეთაური,

ან მონარქია, ან პრეზიდენტი, მაგრამ არა ხალხის მიერ, არამედ პარლამენტის მიერ არჩეული.[1]

ზემოაღნიშნულიდან ასეთი დასკვნების გაკეთება შეიძლება.

–ცვლილებებიდან გამომდინარე მივიღეთ ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა, რადგანაც პრეზიდენტის კუთვნილი უფლებამოსილებანი დელეგირებული იქნა პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებებში;

–ღრმად გააზრების შემდეგ ვერ ვიტყვით, რომ საქმე გვაქვს სუფთა ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის ტიპიურ ფორმასთან, რადგანაც ძალოვან სამინისტროებს უშუალოდ ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, ასე რომ პრემიერ-მინისტრი არ არის „სრულფასოვანი“ მთავრობის თავმჯდომარე, აქ საკითხი შემდეგნაირად დადგება, 79-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, პრემიერ-მინისტრის გადადგომა, ან მისი უფლებამოსილების შეწყვეტა გამოიწვევს მთავრობის სხვა წევრთა გადადგომას, ან თანამდებობიდან განთავისუფლების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით ორი კვირის ვადაში ნიშნავს მთავრობის ახალ წევრს. აქ არ სჩანს კონსტიტუციის ეს პრინციპი ვრცელდება თუ არა ძალოვანი სტრუქტურების მინისტრებზე, კონსტიტუციის 73-ე მუხლის ბ პუნქტით კი საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია თანამდებობიდან გაანთავისუფლოს შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და უშიშროების მინისტრები.

საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციური მდგომარეობა განსაზღვრავს მის ადგილს ხელისუფლების სამ შტოს შორის. საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებას გარკვეული დამცავი მექანიზმები გააჩნია. მხედველობაში გვაქვს 63-ე მუხლი, რომლითაც პრეზიდენტის იმპიჩმენტის გზით გადაყენებისათვის საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს, მაგრამ საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა უზენაეს სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს, იმისდა მიხედვით, თუ პასუხისმგებლობა რა კუთხით დაისმება. თუკი უზენაესი სასამართლო თავისი დასკვნით დაადასტურებს პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობას (ან საკონსტიტუციო

[1] იხ. რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო. თბ., 1996 წ. გვ. 137-138

სასამართლო კონსტიტუციის დარღვევას) დასკვნა კვლავ პარლამენტს უბრუნდება განსახილველად, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით, რომ კენჭისყრაზე დაისვას იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების საკითხი. პრეზიდენტი გადაყენებულად ჩაითვლება, თუკი ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. გარდა ამისა, აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს 30 დღის რეგლამენტს, რომლის გასვლის შემდეგ საკითხი იხსნება დღის წესრიგიდან და ერთი წლის განმავლობაში დაუშვებელია პრეზიდენტისათვის იგივე ბრალდების წარდგენა, პროცედურა ასევე გამორიცხულია საგანგებო და საომარი მდგომარეობის, ან ომის დროს.

75-ე მუხლით საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუხებელია, თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება, ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. იგი პასუხისმგებელია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების შეთანხმებულ ფუნქციონირებასა და საქმიანობაზე. განსაზღვრავს სახელმწიფოს შინაგანი და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას. იგი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, რაც აღიარებს მის პირველობას თანამდებობის პირთა შორის.

– პრეზიდენტს გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, წარდგენილ კანონპროექტს მისივე მოთხოვნით პარლამენტი განიხილავს რიგგარეშე.

– აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში პრეზიდენტის როლი საკმაოდ დიდია, ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, თანხმობას აძლევს მას მთავრობის წევრის – მინისტრის დანიშვნაზე, პრეზიდენტი უფლებამოსილია განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით მოიწვიოს და თავმჯდომარეობდეს მთავრობის სხდომას. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება პრეზიდენტის აქტით.

– საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს დაიცვას მთავრობა პარლამენტის ჩარევისაგან. შეუძლია არ დაეთანხმოს პარლამენტის უნდობლობის აქტს მთავრობისადმი.

– პრეზიდენტი, მართალია, აღარ წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს, მაგრამ იგი ინარჩუნებს მთავრობაზე ზემოქმედების ბერკეტებს, უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში გადააყენოს მთავრობა, შეაჩეროს ან გააუქმოს მთავრობის და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტები და ა.შ.

ჩვენი აზრით, ქვეყნის ეფექტურ მართვასა და კანონმდებლობაში მოსალოდნელი კოლიზიების თავიდან ასაცილებლად აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში პრეზიდენტისა და მთავრობის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხი მომავალში გადასახედი იქნება. არ უნდა არსებობდეს «ორმაგი დაქვემდებარების» ინსტიტუტი, რამდენადაც, სახელმწიფო სამართლის მიხედვით, ყველა მინისტრი, მათ შორის ძალოვნებიც, მთავრობის წევრები არიან და მათი დაყოფა არ არის გათვალისწინებული. გარდა ამისა, ნაწილ სამინისტროს ჰყავდეს ხელმძღვანელად პირველი პირი, ხოლო ნაწილს კი – მეორე ან მესამე, ამან შესაძლებელია ხელისუფლებაში პრობლემა შექმნას. ე.ი. პრაქტიკულად «ფუნქციათა დანაწილება» პრეზიდენტსა და მთავრობას შორის მთლად ტრადიციულობით არ ხასიათდება.

–მართალია, კონსტიტუციის 59-ე მუხ. მე-3 პუნქტი აძლევს პარლამენტს უფლებას წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით პრემიერ-მინისტრის წინაშე დასვას მთავრობის ცალკეული წევრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი, მაგრამ პრემიერ-მინისტრს შეუძლია არ გაანთავისუფლოს და ორი კვირის ვადაში წარუდგინოს თავისი მოტივირებული გადაწყვეტილება. 81-ე მუხლით პარლამენტი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას სრული შემადგენლობის უმრავლესობით. აგრეთვე უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ-მესამედს. ამ პროცედურის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას, ან არ გაიზიარებს პარლამენტის გადაწყვეტილებას. თუ პარლამენტი, არა უადრეს 90 და არა უგვიანეს 100 დღისა, კვლავ გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას, საქართველოს

პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას, ან დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს, 51[1] მუხლის „ა“ და „დ“ პუნქტების შესაბამისად. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა იმავე პარტიისაგან დაკომპლექტდება, რომელიც უმრავლესობით მოვა პარლამენტში, ასეთ შემთხვევაში იმუშავებს თუ არა ეს მექანიზმი? პასუხი ნათელია.

–მმართველობის ფორმის შეცვლა ბუნებრივია გამოიწვია სერიოზულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა, რომელიც ძირითადად მოიცავს მე-3, მე-4 და მე-6 თავებს, რომლებიც შეეხება პრეზიდენტს, პარლამენტს და გაჩნდა კიდევ ერთი ახალი თავი – მთავრობის სახელწოდებით. ამით ეჭვის ქვეშ დგება კონსტიტუციის ერთი ნიშანი – მისი სტაბილურობა, რომელიც ქმნის ლოგიკურობის პრობლემასაც, რა გვაქვს მხედველობაში. ის პროცესუალური სირთულე, რაც ზოგადად ახასიათებს საკონსტიტუციო ცვლილებებს, თითქოს „გაიოლდა“ და მოკლე დროში გატარდა ცვლილებები, რაც კანონშემოქმედებისათვის სასურველი არ არის. «პოლიტიკოსებს უნდა ახსოვდეთ, რომ კონსტიტუციაში ნებისმიერი ცვლილების შეტანისას, მითუმეტეს, თუ ეს ორგანულ ინსტიტუტს ეხება... გაცილებით მეტი სერიოზული მიდგომა და პასუხისმგებლობა მართებთ».[1] მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციათა უმრავლესობაში დაფიქსირებულია, რომ პარლამენტს თავისი მოღვაწეობის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში აღარ აქვს უფლება მოახდინოს საკონსტიტუციო ცვლილებები, რაც ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციაში გათვალისწინებული არ არის, ამან კი უფლება მისცა ვადაგასულ პარლამენტს მიეღო ასეთი გადაწყვეტილებები.

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში მითითებულია, რომ საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა, დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, **სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო**, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა. **ეყრდნობიან რა** ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და **საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას.** 1921 წლის კონსტიტუციის გადასინჯვის წესი უახლოვდებოდა საერთაშორისო სტანდარტებს,

[1] იხ. ჟურ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №1, ივნისი, 2004 წ. გვ. 58.

კერძოდ, კონსტიტუციური ცვლილებების პროექტი პარლამენტის დღის წესრიგში განსახილველად შევიდოდა, მხოლოდ საკითხის დასმის მინიმუმ ექვსი თვის გასვლის შემდეგ, ამასთან, პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილება ძალაში მხოლოდ ხალხის უმრავლესობის მიერ დადასტურების შემდეგ შევიდოდა.[1] «მთავარი ის არის, რომ კანონმდებელმა ერთდროულად გაითვალისწინოს ხარისხისა და დროის ფაქტორი, რათა არცერთმა პარამეტრმა არ ავნოს საკონსტიტუციო რეფორმის წარმართვას, რომლის საკანონმდებლო სივრცე კონსტიტუციური ბლანკეტური ნორმების სიმრავლითაა შემოწერილი».[2] ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, რომელიც მოვა ხელისუფლებაში, საკუთარ ინტერესებს მოარგებს კონსტიტუციურ ნორმებს მასში ცვლილებების შეტანის გზით. მსოფლიო კონსტიტუციონალიზმი ქვეყნის ძირითადი კანონისადმი ასეთ მიდგომას არ იწონებს. პარლამენტის ყოფილი წევრის კ. დავითაშვილის განცხადებებით, მეტ-ნაკლებად იგივე პროცესები განვითარდა საქართველოში, რომელიც ამტკიცებდა, რომ კონსტიტუციური ცვლილებები მოერგო ცალკეული პოლიტიკოსის ინტერესებს.

მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე არსებობს მაგალითები, როდესაც მმართველობის ფორმისა და პოლიტიკური რეჟიმის ნაწილობრივმა შეცვლამ გამოიწვია ტერიტორიული მოწყობის ფორმის შეცვლაც, რადგანაც სახელმწიფოს ერთი რომელიმე ფორმალური მახასიათებლის შეცვლა არ გამორიცხავს სახელმწიფოს ფორმის სხვა შემადგენლის შინაარსის შეცვლასაც.[3]

და ბოლოს, შეიძლება გაკეთდეს პოლიტიკურ-სამართლებრივი დასკვნა: საქართველოში დაწყებული «ვარდების რევოლუციის» სახით განმეორდა[4] სოციალ-პოლიტიკურ შემობრუნებათა განსხვავებული ფორმა მსოფლიო საზოგადოებრივი ცხოვრების გლობალიზაციის, ინტეგრაციისა და დემოკრატიზაციის ეპოქაში, რომელიც მაგალითი გახდება მრავალი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრების კურსის მშვიდობიანი შეცვლის გზაზე.

---

[1] იხ. საქართველოს 1921 წლი 21 თებერვლის კონსტიტუცია (მუხ. 146, 147), თბ., 1992, გვ. 38.
[2] იხ. ო. მელქაძე, საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე, თბ., 1996 წ. გვ. 53.
[3] იხ. ჟურ. ალმანახი, თბ., 2001 წ. №16, გვ. 109.
[4] 1688 წლის ინგლისში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც ისტორიულ-იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია „უსისხლო ანუ სახელოვანი რევოლუციის“ სახელწოდებით.

§2. საქართველო და კავკასია ევრაზიულ პოლიტიკურ და სამართლებრივ სივრცეში

XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიო უკვე განაწილებული იყო ევროპის წამყვან ქვეყნებს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის, რასაც მოყვა ახალი კოლონიური სისტემების შექმნა, ასეთ პირობებში ხელსაყრელი ნიადაგი ექმნებოდა გლობალიზაციის ტენდენციების გაფართოებას. ძლიერ სახელმწიფოთა მიერ სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართ-ლებრივი ექსპანსიის შედეგად არა მარტო კოლონიური ქვეყნები ხდებოდნენ მეტროპოლიებზე დამოკიდებული, არამედ თვითონაც დამოკიდებული აღმოჩნდნენ კოლონიურ ქვეყნებზე, ურთიერთზეგავლენის გამო. მიუხედავად ტერიტორიული სიშორისა და დიდი პოლარიზაციისა ამ ქვეყნების ხალხთა ცნობიერებაში ისეთი რამ ხდებოდა, რაც «ერთთა მდგომარეობა მეორეთა მდგომარეობით იყო პირობადებული და პირიქით».[1] ამ პროცესებისა და პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში ძირეული ცვლილებები მოხდა. ვერსალის ხელშეკრულებით (231-ე მუხლი) გერმანია ომისათვის პასუხისმგებელ ერთადერთ ქვეყნად გამოცხადდა, დაიშალა როგორც იმპერია, ჩამოსცილდა კოლონიები და დაკარგა თავისი ტერიტორიების ერთი მესამედი ევროპაში. რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამ მსოფლიო გაყო ორი განსხვავებული იდეოლოგიისა და მმართველობის ფორმის მიხედვით სახელმწიფოებად. აქედან გამომდინარე, შეიცვალა მსოფლიო წესრიგის ძირითადი მიმართულებები, შინაგანი ბუნება და არსი. საჭიროდ ვთვლით განვასხვავოთ მსოფლიო წესრიგი მსოფლიო მართლწესრიგისაგან, რადგანაც მსოფლიო წესრიგს შეფასების სხვა კრიტერიუმები გააჩნია, მთავარი კი არის «რამდენად ინარჩუნებს მსოფლიო სტაბილურობას, თავიდან იცილებს ფართომასშტაბიან ომს და საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენების საშუალებას არ იძლევა. ნაწილი

[1] იხ. ბ. ლუტიძე. გლობალიზაცია, არსი, პრობლემები. თბ., 2003. გვ. 8.

მეცნიერებისა თვლის, რომ «მსოფლიო წესრიგი არის მშვიდობა, თანასწორობა, კანონის უზენაესობა, დემოკრატიზაციის მაღალი ხარისხი და გარემოს დაცვა».[1]

გლობალიზაციისა და ინტეგრაციის თანამედროვე პირობებში გარკვეულად შეიცვალა მიდგომები მსოფლიო წესრიგისადმი და მან ახალი ნიშნები და პრინციპები შეიძინა, რაც სახელმწიფოების, საბაზრო ძალებისა და მოსახლეობის ურთიერთმოქმედებით განისაზღვრება.

გასული საუკუნიდან მსოფლიო წესრიგთან მიმართებაში ჩამოყალიბდა ორი მიმდინარეობა – ძველი და ახალი. ეს ორი მიმართულება რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც შინაგანი ბუნებით, ასევე ტერიტორიული პრინციპითაც. ძველი მსოფლიო წესრიგი მიჩნეული იყო როგორც ევროპული, რადგანაც ამ კუთხით ავანგარდში წამყვანი ევროპული ქვეყნები იდგნენ, შესაბამისად მსოფლიო წესრიგზე არსებული იდეები და თეორიები ძირითადად «ევროცენტრულ» ხასიათს ატარებდა. ხოლო მსოფლიოს დანარჩენი პერიფერიად იყო მიჩნეული, მოსახლეობისა და ქვეყნების დიდი ნაწილი პირდაპირ თუ ირიბად კოლონიური მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა, მათ შორის საქართველოც, იგი რუსეთის ერთ-ერთ პროვინციად იყო ქცეული.

როგორც უკვე ითქვა, პირველი მსოფლიო ომის შემდგომ მდგომარეობა საგრძნობლად იცვლება. ასპარეზზე გამოსული ა.შ.შ არა მარტო ომში ჩაება, არამედ გარკვეულწილად მისი ბედის გადაწყვეტაშიც დიდი როლი ითამაშა, ამით კი ეჭვქვეშ დააყენა მსოფლიო წესრიგზე ევროპული კონტროლი.

ა.შ.შ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ვურდო ვილსონმა არსებულ ძალთა წონასწორობის დოქტრინის ნაცვლად ორგანიზებული საერთაშორისო საზოგადოების ძალებზე დამყარებული კოლექტიური უსაფრთხოების 14 პუნქტიანი დოქტრინა წარადგინა, რისი შედეგიც იყო ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძველზე 1919 წელს შექმნილი ერთა ლიგა, შემდეგ კი 1921 წელს ჰააგაში ჩამოყალიბებული საერთაშორისო სამართლის მუდმივმოქმედი სასამართლო. ერთა ლიგა სახელმწიფოთა პოლიტიკური თანამშრომლობის პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია იყო, რომელიც შეიქმნა პარიზის საზაო

[1] იხ. Теория государства и права, под. ред. В. Корельского и В. Перевалова, М., 2000 г. стр. 533-538.

კონფერენციის მიერ მიღებული წესდებით, რომელიც დართული აქვს 1919 წლის 23 ივნისის ვერსალის, 1919 წლის 10 სექტემბრის სენ ჟერბენის, 1919 წლის 29 ნოემბრის ნევის და 1920 წლის 4 ივნისის ტრიანინოს საზაო ხელშეკრულებებს. ამ ხელშეკრულებებთან ერთად ერთა ლიგის წესდება ძალაში შევიდა 1920 წლის 10 იანვარს, რომელსაც ხელი მოაწერა ორაგნიზაციის 44-მა წევრ-სახელმწიფომ.

წესდების შესაბამისად ჩამოყალიბდა ორგანიზაციის სტრუქტურა, მისი ძირითადი ორგანოები იყო: ანსამბლეა, რომლის ყოველწლიურ სესიებში მონაწილეობდნენ წევრ-სახელმწიფოები, საბჭო, რომელიც თავიდან ოთხი მუდმივი წევრისაგან შედგებოდა. ესენი იყვნენ: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია. საბჭოში ასევე შედიოდა არამუდმივი ოთხი წევრი და სამდივნო, რომელსაც სათავეში გენერალური მდივანი ედგა. საბჭოს წევრთა შემადგენლობა ხშირად იცვლებოდა. ვილსონმა ჩამოაყალიბა კონცეფცია, რომლის მიხედვითაც იგი მშვიდობის დიდ გარანტიებს იძლეოდა, მან პირველი მსოფლიო ომი კაცობრიობის ისტორიაში უკანასკნელ ომად გამოაცხადა.

ერთა ლიგის უპირველესი დანიშნულება იყო საერთაშორისო თანამშრომლობისაკენ მოწოდება, მშვიდობისა და უშიშროების მიღწევა მხარეთა მიერ იმ მოვალეობის გათვალისწინებით, რომელიც ზღუდავდა ომის წარმოების უფლებას. ეს არ ითვალისწინებდა სახელმწიფოთა მიერ ომის წარმოების აბსოლუტური უფლების ერთიანად აღმოფხვრას. ლიგის წევრებს ომის დაწყებამდე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად სამი თვე უნდა დაეყოვნებინათ. თუ ერთა ლიგის საბჭო, საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივი სასამართლო ან საარბიტრაჟო ტრიბუნალი განიხილავდა დავას, ომის დაწყება შეიძლებოდა სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ან საბჭოს მიერ მოხსენების ჩაბარებიდან მხოლოდ სამი თვის შემდეგ. წევრები, რომლებიც ამ მოვალეობას გვერდს აუვლიდნენ, კონვენციის მიხედვით «ომის დანაშაულის ჩამდენებად» ითვლებოდნენ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ერთა ლიგა შეეცადა განიარაღებისაკენ მოწოდებას და საიდუმლო შეთანხმებების პრაქტიკის გაუქმებას. მის სხვა პუნქტებს შორის იყო, აგრეთვე, მანდატური სისტემის, როგორც «ცივილიზაციის

მიმართ ნდობის» ჩამოყალიბება. ანუ მზრუნველობის ქვეშ მოაქცია დამარცხებული სახელმწიფოების ყოფილი კოლონიების ტერიტორიებზე აღმოცენებული ახალი ერები. ამის გარდა ერთა ლიგამ თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა ევროპაში უმცირესობათა უფლებების დაცვის ხელშეკრულებების შესრულებისა და აგრეთვე ისეთი სოციალური საკითხების სფეროში საკითხების მოწესრიგება, როგორიცაა ჯანმრთელობა და შრომის სამართლიანი სტანდარტები.[1]

სახელმწიფოთა სუვერენიტეტი ერთა ლიგაში ყველა წევრი ქვეყნებისათვის ვეტოს უფლების მინიჭებით იქნა უზრუნველყოფილი: მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება ყველა სახელმწიფოს თანხმობას მოითხოვდა. ახალი ორგანიზაციისათვის მშვიდობის დამყარების უფლებამოსილების გადაცემაზე საუბარი არ ყოფილა. მაშინდელმა საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, მიემართათ ერთა ლიგისათვის გაწევრიანების თაობაზე, მაგრამ მან საქართველოს ხელისუფლების სურვილი არ დააკმაყოფილა. ვილსონის კონცეფციამ მარცხი განიცადა, ერთა ლიგამ ვერ შეასრულა ის ფუნქციები, რითაც მაშინდელ მსოფლიო წესრიგში გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა. კერძოდ, ვერ შეძლო გერმანიისა და იტალიის შეიარაღების შეჩერება, ვერ აღკვეთა იაპონიის მხრიდან ჩინეთზე აგრესია, იტალიის მხრიდან ეთიოპიაზე თავდასხმა, გერმანიის მხრიდან ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრიის მიმართ აგრესია. მიზეზთა შორის ის იყო, რომ ორგანიზაციას არ გააჩნდა ომის თავიდან აცილების ქმედითი საშუალებები, საბჭოს გადაწყვეტილებებს არ ჰქონდა რეალური ძალა[2] და ა.შ. მაგრამ მან სამომავლოდ ბევრი ახალი პრეცედენტი შექმნა. მათ შორის, პირველად დააფიქსირა იძულების ღონისძიების ცნება, რასაც მოყვა იძულების განხორციელება. ამის საშუალებას ლიგის წესდება იძლეოდა, რადგანაც ამ საკითხში სახელმწიფოთა შეთანხმებას არ ითვალისწინებდა. ერთა ლიგამ, გარდა ძალისმიერი მეთოდებისა, ეკონომიკური სანქციების გატარებაც მოახერხა. ასეთი იყო 1935 წელს იტალიის მიმართ შემოღებული სანქციები, რაც გამოიხატა ემბარგო იარაღზე, სტრატეგიული სამხედრო დანიშნულების

[1] იხ. ჰ. მალანჩუკი. საერთაშორისო სამართალი. თბ., 2005. გვ. 38-39.
[2] იხ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ., 2003 წ. გვ. 118.

საქონლის აკრძალვა, კრედიტების გაყინვა და ა.შ. სპეციალისტების აზრით, ეს არ ჰგავდა მთლიანად ორგანიზაციის მიერ გატარებულ ღონისძიებას. იგი ცალკეულ სახელმწიფოთა გადაწყვეტილებად უფრო აღიქმებოდა. ამას ასაბუთებს ცალკეულ სახელმწიფოთა მიმართ თვითონ იტალიის პროტესტიც.

მკვლევარებმა თავის დროზე გააკეთეს ანალიზი, თუ რა მიზეზებმა განაპირობა ვილსონის იდეების წარუმატებლობისა და როგორც უკვე აღინიშნა ერთა ლიგის სისტემის მარცხი. ერთა ლიგის წევრობაზე ამერიკის შეერთებული შტატების უარმა, რა თქმა უნდა, მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად შექმნილი ახალი ორგანიზაცია მძიმე დღეში ჩააგდო. იგი ფაქტობრივად დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიერ კონტროლირებად ორგანიზაციად აქცია. რატიფიცირებაზე უარი თქვა არაბეთმა და ეკვადორმა, ერთა ლიგის მიერ შემუშავებულმა სისტემამ არ იმუშავა სხვადასხვა პოლიტიკური თუ ინსტიტუციონალური მიზეზების გამო. ამას ემატებოდა თვითდაინტერესებული და სუვერენული სახელმწიფოების ასოციაციის კოლექტიური უშიშროების კონცეფციის წინააღმდეგობრივი ხასიათი.

საბოლოოდ ისინი შესაძლებელია ასე ჩამოვაყალიბოთ:

1) ამერიკის შეერთებულ შტატებს თავიდანვე ეჭირა იზოლაციონიზმის პოლიტიკა, რომელსაც ქვეყანა დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდანვე მტკიცედ იცავდა. ეს გულისხმობდა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაურევლობას. ამერიკული საზოგადოებრიობა ერთა ლიგის შექმნას, ნეგატიურად შეხვდა, ამიტომაც ა.შ.შ. ორგანიზაციაში არ გაწევრიანდა.

2) ამერიკის შეერთებული შტატების პირველ მსოფლიო ომში ჩარევამ და მისმა აქტივებმა ევროპული სახელმწიფოებისა და პოლიტიკოსების სიმპატია და თანადგომა გამოიწვია, ამიტომაც არ შეწინააღმდეგებია ერთა ლიგის შექმნას, თუმცა ეროვნული ინტერესების დაცვისა და მომავლის ომების თავიდან აცილების შესაძლებლობების ნაკლებად სჯეროდათ.

3) მართალია, ერთა ლიგის წესდება სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პრინციპს ითვალისწინებდა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

მხოლოდ ლიგის ყველა წევრის თანხმობის შემთხვევაში იყო შესაძლებელი. ეს კი კოლექტიური უსაფრთხოების შესაძლებლობას ძალას უკარგავდა, რადგანაც აგრესიის წინააღმდეგ ლიგის ეფექტური მოქმედება გაერთიანებული პოლიტიკური ნებისა და აუცილებლობის შემთხვევაში, კოლექტიურ სამხედრო ძალისხმევას მოითხოვდა. მართლაც შემდგომში გერმანიის, იტალიის ფაშიზმისა და იაპონიის მილიტარიზმის აღმავლობამ ერთა ლიგის უსუსურობა დაადასტურა.

4) სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ «ორგანიზებული საერთაშორისო საზოგადოების» იდეა სასარგებლო აღმოჩნდა მომავალი მსოფლიო წესრიგისათვის, შეიქმნა პრეცედენტი ინსტიტუციური პოლიტიკური ცენტრის არსებობისა, რამაც შემდგომში საფუძველი დაუდო ახალი საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნას. ასეთი არის მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს ბავშვთა ფონდი. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია, მსოფლიო საფოსტო კავშირი, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი, მსოფლიო ბანკის ჯგუფი, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაცია, ელექტრო კავშირგაბმულობის კავშირი, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი, იუნესკო, სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია, სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია, მსოფლიო სასურსათო საბჭო, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია, საერთაშორისო კავშირი საბაჟო ტარიფების გამოქვეყნების დარგში, იდენტიფიკაციისა და კომუნიკაციის საერთაშორისო ორგანიზაცია. ზემოაღნიშნული ორგანიზაციები საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციებს მიეკუთვნება, რაც შეეხება საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, ესენია: გაეროს ხელშემწყობი

ასოციაციების მსოფლიო ფედერაცია, მშვიდობის მსოფლიო საბჭო, საპარლა-ენტთაშორისო კავშირი, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, საერთაშორისო სავაჭრო პალატა, ეკლესიების მსოფლიო საბჭო, პენ-კლუბი, ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაცია, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია, საერთაშორისო ამინისტია, (ემნისტი ინტერნეიშალ) საერთაშორისო წითელი ჯვარი, მსოფლიო პატიმართა თანამეგობრობა, პაგუოშის მოძრაობა, პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაცია. რაც შეეხება რეგიონალურ ორგანი-აციებს, მათ რიცხვს მიეკუთვნება: ევროპის საბჭო, ევროპის კავშირი, ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკ-ულების ორგანიზაცია, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, არაბულ სახელმწიფოთა ლიგა, აფრიკის ერთობის ორგანიზაცია, მრეწველთა და მეწარმეთა საერთაშორისო კონგრესი და ა.შ[1].

გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მსოფლიოს ახალი ომის საფრთხე დაემუქრა. გერმანიის ხელისუფლებაში ადოლფ ჰიტლერის მოსვლით დამყარდა ფაშისტური დიქტატურა. იტალიაში იმარჯვებს მუსოლინი, რომელიც ჰიტლერის მოკავშირეა, იაპონიის მილიტარისტული რეჟიმი ემთხვევა გერმანიისა და იტალიის ინტერესებს. ერთა ლიგა და პროგრესული აზრი საკმარისი არ აღმოჩნდა ახალი მეორე მსოფლიო ომის შესაჩერებლად. კაცობრიობა უმძიმეს გლობალურ საფრთხეში ჩავარდა. ამ ომს, პირველი მსოფლიო ომისაგან განსხვავებით, «სამართლიან ომად» მიიჩნევენ, რომელმაც, მართალია, კაცობრიობა იხსნა ფაშიზმისაგან, ამასთან საგრძნობლად შეცვალა მსოფლიო პოლიტიკური რუკა, მაგრამ თავისი მასშტაბებით, ადამიანური და მატერიალური დანაკარგებით მანამდე არსებულ ომებს გადააჭარბა. მეორე მსოფლიო ომის შედეგები დღემდე ვერ დაივიწყა კაცობრიობამ, თუმცა მასში მონაწილე ადამიანები ჯერ კიდევ ცხოვრობენ დედამიწის სხვადასხვა კუთხეში. ამ ომის შესახებ უამრავი ლიტერატურა და მასალა არსებობს, მაგრამ რამდენიმე ფაქტის მოშველიებით ერთხელ კიდევ გადავხედოთ მის სავალალო შედეგებს.

[1] დაწ. იხ. ვ. ქარუმიძე საერთაშორისო ორგანიზაციები, თბ. 1999 წ. გვ. 282-298.

მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდა 72 სახელმწიფო, დედამიწის მაშინდელი მოსახლეობის თითქმის 80%. საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა 40 სახელმწიფოს ტერიტორიაზე. შეიარაღებულ ძალებში მობილიზებული იყო 110 მილიონი კაცი, რასაც მოჰყვა 50-55 მილიონი ადამიანის დაღუპვა. სამხედრო ხარჯებმა და ზარალმა მიაღწია 4 ტრილიონ დოლარს, ომს თან სდევდა საშინელი ნგრევა-განადგურება ათიათასობით ქალაქისა და სოფლის. უბედურება თავს დაატყდა მილიონობით მშვიდობიან მოსახლეობას. მარტო რსფსრ-ის სახალხო მეურნეობიდან ფაშისტებმა დაანგრიეს 12.150 სამრეწველო საწარმო, 13 ათ.კმ. რკინიგზა, დაარბიეს და გაძარცვეს 52800 კოლმეურნეობა და 860 საბჭოთა მეურნეობა, 1300 მ.ტ.ს. 17.300 სკოლა, 208 თეატრი და ა.შ. ქვეყნებისათვის მიყენებულმა ზარალმა იმ დროის ფარგლებში 243 მილიარდი მანეთი შეადგინა[1]. ასეთი იყო მეორე მსოფლიო ომის გლობალური ხასიათი და შედეგები.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა იდეა, რომლის თანახმად დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის თანამშრომლობა, რომელიც გამარჯვების საფუძვლად იქცა, სტაბილურობის შენარჩუნებას შეძლებდა მშვიდობიანობის დროსაც, იმ პირობით, თუ დამარცხებული სახელმწიფოები მუდმივ კონტროლს დაექვემდებარებოდნენ. ამ იდეას ყველა როდი იზიარებდა, იმთავითვე იჩინა თავი იდეოლოგიურმა დაპირისპირებამ ა.შ.შ-სა და სსრკ-ს შორის.

კოლექტიური უსაფრთხოების და ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებისათვის საჭირო გახდა ახლა უკვე განსხვავებული გლობალური საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა, რომელიც გაცილებით ეფექტურ ღონისძიებათა გატარებით მეტ გარანტიებს შექმნიდა მსოფლიო მშვიდობის დამყარების თვალსაზრისით.

რაც ჯერ კიდევ 1941 წლის ატლანტიკურ ქარტიაში იყო მომზადებული. სადაც ასახვა ჰპოვა რუზველტისა და ჩერჩილის მისწრაფებამ «ნაცისტური გერმანიის საბოლოო განადგურების შემდეგ... დამყარებულიყო მშვიდობა, რომელიც ყველა ერს საკუთარ საზღვრებში მშვიდობიანი არსებობის საშუალებას მისცემდა და ხელს შეუწყობდა ყველასათვის უკეთესი სამუშაო სტანდარტების,

[1] იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 8. თბ. 1984 წ. გვ. 92.

ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მაქსიმალურ თანამშრომლობას ეკონომიკურ სფეროში».[1]

სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის მთავრობების კონსულტაციებისა და თათბირების შედეგად 1945 წელს სან ფრანცისკოში მოწვეული იქნა 50 ქვეყნის კონფერენცია, რომელმაც საბოლოოდ შეიმუშავა ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის წესდება და, 1945 წლის 24 ოქტომბერს, ჩამოყალიბდა «გაერთიანებული ერების ორგანიზაცია», რომელსაც მიენიჭა საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსი. მას დროთა განმავლობაში შეუერთდა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, დღეისათვის წევრ სახელმწიფოთა რიცხვი 191-ს აღწევს. საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გახდა 1992 წლის 31 ივლისს. გაეროს პირველი სააგენტოთაშორისო მისია საქართველოში 1993 წლის თებერვალში ჩამოვიდა, აპრილის თვეში ჩამოყალიბდა გაეროს დროებითი ოფისი ქ. თბილისში. ამ ხნის მანძილზე საქართველოში განხორციელდა გაეროს კომპლექსური დახმარების რამდენიმე ეტაპი, რომელმაც მოიცვა კონფლიქტების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ფენები. ეს ორგანიზაცია შედგება ექვსი მთავარი, დამხმარე და სპეციალიზირებული ორგანოსა და ორგანიზაციისაგან. ესენია: გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, მეურვეობის საბჭო, საერთაშორისო სასამართლო, სამდივნო. წესდებიდან გამომდინარე, გაერომ მიზნად დაისახა დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება, «გადავარჩინოთ მომავალი თაობები ომის საშინელებათაგან, რომელმაც მსოფლიო ისტორიაში ორჯერ კაცობრიობას ენით გამოუთქმელი მწუხარება მოუტანა», მითითებულია წესდებაში, მისი მიზანია განავითაროს და ხელი შეუწყოს სახელმწიფოებს შორის მეგობრულ და მშვიდობიან ურთიერთობას, განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ჰუმანიტარულ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროებში, მიუხედავად რასისა, ენისა და სარწმუნოებისა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაში მთავარი პრინციპებია: ორგანიზაციის ყველა წევრის სუვერენული თანასწორობა, წესდებით ნაკისრი

[1] იხ. ჰ. მალანჩუკი. თბ., 2005. გვ. 41.

ვალდებულებების კეთილსინდისიერი და განუხრელი შესრულება. წევრი სახელმწიფოები საერთაშორისო დავებს უნდა წყვეტდნენ მშვიდობიანი გზებით, რათა საფრთხე არ შეუქმნან საერთო მშვიდობას, უშიშროებასა და სამართლიანობას. არ მიმართონ მუქარას სხვა სახელმწიფოთა მიმართ. ხელი უნდა შეუწყონ ორგანიზაციას წესდებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა ჩატარებაში, დახმარება არ გაუწიონ ქვეყანას, რომელიც ორგანიზაციის წინააღმდეგ მოქმედებს. ორგანიზაცია არ უნდა ჩაერიოს წევრ-სახელმწიფოს საშინაო საქმეებში. თუ ამას არ მოითხოვს იძულებითი ზომების გამოყენების აუცილებლობა.

ორგანიზაციის წევრად გახდომისათვის საჭიროა უშიშროების საბჭოს რეკომენდაცია და ყველა მუდმივი წევრის ხმები და გენერალური ასამბლეის წევრთა ორი მესამედის გადაწყვეტილება. სახელმწიფო უნდა სარგებლობდეს მშვიდობისმოყვარე ქვეყნის რეპუტაციით და მზად უნდა იყოს შეასრულოს და დაიცვას წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნა-ფორმირებისას გათვალის-წინებული იქნა ერთა ლიგის წარუმატებლობის მიზეზები. არც ის იყო შემთხვევითი, რომ შტაბ-ბინა ნიუ-იორკში დაფუძნდა, რაც თავისთავად მეტყვე-ლებდა ა.შ.შ.- ის პოზიციების გამაგრებაზე საერთაშორისო მასშტაბით.

გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრად ვეტოს უფლებით ომში გამარჯვებული ალიანსის წევრები: ა.შ.შ., მაშინდელი სსრკ, საფრანგეთი, ჩინეთი, და დიდი ბრიტანეთი აირჩიეს. დღეისათვის იგი 15 წევრისაგან შედგება, 10 დროებითი წევრი კი გენერალური ასამბლეის მიერ ორი წლის ვადით ირჩევა გეოგრაფიული პრინციპის გათვალისწინებით. უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები ვეტოს უფლებით სარგებლობენ, ანუ გადაწყვეტილების მიღებისას ერთ-ერთი მათგანის უარი საკითხის ჩავარდნას ნიშნავს. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა საბჭოს 9 წევრის თანხმობა, თანაც არც ერთი მუდმივი წევრი არ უნდა იყოს წინააღმდეგი. თუ რომელიმე მათგანი არ ეთანხმება გადაწყვეტილებას, მაგრამ არც მისი ბლოკირება სურს, შეუძლია თავი შეიკავოს, რაც ვეტოს პრინციპის ამოქმედებას არ ნიშნავს. ამ პრინციპის გამო მსოფლიომ მაინც შეძლო

და ბევრჯერ აიცილა ახალი ომის საშიშროება, გაერომ კი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება-განმტიცებაში. რა თქმა უნდა, ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ ასრულებდნენ წევრი-სახელმწიფოები წესდების დებულებებს და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს. მიუხედავად გაეროს ძალისხმევისა, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე 130-ზე მეტი ომი მოხდა და თითქმის მათმა უმრავლესობამ არადასავლური სახელმწიფოები მოიცვა. ამან და მსოფლიოში განვითარებულმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა, როდესაც ა.შ.შ-მა და ინგლისმა ამ ორგანიზაციის თანხმობის გარეშე საომარი მოქმედებები დაიწყეს ერაყში, გარკვეულწილად შეარყია გაეროს ავტორიტეტი. მაგრამ მათი ამ გადაწყვეტილების კანონზომიერებასა და სამართლიანობას მომავალში ისტორია შეაფასებს.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1961 წლიდან კუბის მიმართ ეკონომიკური სანქციები განახორციელა, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო თანამეგობრობამ 12-ჯერ მიიღო რეზოლუცია მოხსნილიყო ეკონომიკური სანქციები, ეს დღემდე არ გადაწყვეტილა.

მოყვანილი ფაქტები საფუძველს არ არის მოკლებული. «სპეციალისტები თვლიან, რომ მსოფლიო თანამეგობრობა ჩიხში აღმოჩნდა; როგორ შეიძლება ერთმანეთს შევუთავსოთ თავისუფლებისა და სამართლის უნივერსალური ღირებულებები «საშინაო საქმეებში ჩაურევლობის» პრინციპს? მით უმეტეს გლობალიზაციის სინამდვილეში? ისე კი, სუვერენიტეტისა და ჩაურევლობის პრინციპს ორივე ზესახელმწიფო არღვევდა არც თუ იშვიათად, სულ ახლო წარსულში. სიახლე ის არის, რომ ეს პრეაქტიკა გლობალიზებულია და კიდევ დესპოტიზმი აღარ განიხილება სუვერენულ სახელმწიფოთა საშინაო საქმედ».[1]

XX ს. 90-იანი წლების დასაწყისში, ბიპოლარული მსოფლიოს რღვევის პერიოდში წარმოიშვა თავისებური ეიფორია «ახალი მსოფლიო წესრიგის», «ისტორიის დასასრულის», «ერთიანი ევროპული სახლის» თაობაზე[2] პოლიტოლოგები სამართლიანად აკავშირებენ ერთმანეთთან გეოპოლიტიკას,

[1] საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე XI-XII თბ., 2003, გვ. 117-118.
[2] იხ. მ. მაცაბერიძე, გეოპოლიტიკა: საგანი, მეთოდები, ამოცანები. თბ. 2001 წ. გვ. 69.

ცივილიზაციას და სახელმწიფოს როგორც მსოფლიო წესრიგის სისტემის შემადგენელ ელემენტებს. ამ პროცესში წამყვანი როლი აკისრია ძლიერ სახელმწიფოს, რომელიც გარკვეულ, მისთვის სასურველ წესრიგს ამყარებს მსოფლიოს გარკვეულ ნაწილზე (მაგ. აშშ).

დღეს პატარა სახელმწიფოები უსაფრთხოების გარანტიებსა და მფარველს ეძებენ (მაგ. საქართველო), მაგრამ არიან ისეთი ქვეყნებიც (მაგ. რუსეთი), რომლებსაც «შევიწროების», «უსამართლოდ განცდილი მარცხის» განწყობა აქვთ და რევანშისათვის იღვწიან.

პატარა სახელმწიფოები, საკუთარ ძალებზე დაყრდნობით და დიდ სახელმწიფოებს შორის ლავირებით ცდილობენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. ამასთან არ გააჩნიათ ილუზიები «ცივილიზაციური წესრიგისა» და «სამართლიანობის გარანტიების» და სხვების მიერ მისი პრობლემების მოგვარების თაობაზე.[1] ერთი შეხედვით ამ განსხვავებული ცნობიერებით ყალიბდება მსოფლიო წესრიგის კონტურები.

სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ მოკავშირეები, როდესაც საომარი მოქმედებანი დაიწყეს ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასამხობად, თუმცა ექსპერტთა მტკიცებით ამით მათ საერთაშორისო სამართლის ნორმები დაარღვიეს. მიუხედავად ამისა, ბევრმა პოლიტიკოსმა გაამართლა მოკავშირეთა მოქმედება. ამ აქციის მხარდამჭერთა აზრი ჩამოაყალიბა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტმა ლოპეს-კლაროსმა, მან აღნიშნა, რომ «გლობალიზაციის პირობებში ა.შ.შ-ს აღარ შეუძლია ნეიტრალური მეთვალყურეობის როლში ყოფნა. ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც მსოფლიო თანამეგობრობა მშვიდად ეგუებოდა რეპრესიული რეჟიმის დესპოტიზმს.

ბოლო წლების მოვლენებმა და პროცესებმა, მეცნიერულ ტექნიკურმა რევოლუციამ წარმოშვა ომის საშუალებათა ისეთი სახეები, რომლებიც კაცობრიობას სრული განადგურებით ემუქრებიან. ბირთვული და მსგავსი იარაღის დაგროვებამ და გამოყენებამ უშიშროების საკითხი გლობალურ

[1] იქვე, გვ. 71.

პრობლემად აქცია, ყველა ქვეყანა ერთმანეთს დაუკავშირა და ერთი ჯაჭვით გადააბა.[1] ეს საერთაშორისო ორგანიზაცია ამ ურთიერთობის მომწესრიგებლის როლში გამოდის. «გაეროს განვითარების გზაც თითოეული სახელმწიფოს დემოკრატიული უფლებების განვითარების გზაა. ე.ი. თუ აქამდე ყოველთვის საუბრობდნენ დემოკრატიული ღირებულებების შესახებ, რომლებიც ცალკეულ მოქალაქეთა თანამეგობრობისთვის გამოიყენებოდა, ამჟამად ახლოვდება დრო, როდესაც შესაბამისი დემოკრატიული ღირებულებები სახელმწიფოთა ერთობლიობის მიმართ უნდა იქნას ფორმირებული»[2]. ზემოაღნიშნულ და სხვა ფაქტორთა გამო. დღის წესრიგში დადგა გაეროს რეფორმირების მოთხოვნილება. კოფი ანანმა არჩევისთანავე რეფორმირების პროგრამა წამოიწყო და მასში გენერალური ასამბლეაც ჩართო. გაეროს რეფორმირებაში ყველაზე მნიშვნელოვანია უშიშროების საბჭოს რეფორმა. შექმნის დღიდან უშიშროების საბჭოს წევრთა რაოდენობა მხოლოდ ერთხელ, 1963 წელს გაიზარდა, რამაც «ცივი ომის» პერიოდში მნიშვნელოვანი შედეგი ვერ გამოიღო. 1946-1990 წლებში საბჭომ 646 რეზოლუცია მიიღო, გარდა ამისა, 201 რეზოლუცია ვეტოს უფლებას ემსხვერპლა. «ზესახელმწიფოები ზოგჯერ თავიანთი ქმედებებით აკნინებენ უშიშროების საბჭოს როლს».[3] მიუხედავად ამისა, საბჭოს დამსახურებაა, რომ შეძლო ერაყის აგრესიის შეჩერება ქუვეითში, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის აღდგენა ჰაიტში, ჯარების შეყვანა სომალიში, ახალი ცხოვრების დაწყების ხელშეწყობა კამბოჯაში და ა.შ.

ბოლო პერიოდში გაჩნდა მოსაზრებები, რომლის მიხედვითაც საბჭოს როლის გაფართოება მოითხოვს მისი მუშაობის გამჭირვალობის გაზრდას, დღის წესრიგში დგება საბჭოს შემადგენლობის გაზრდის საკითხიც, თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც წევრთა გაზრდილი რაოდენობა საბჭოს კრიზისზე სწრაფი რეაგირების უნარს წაართმევს. ექსპერტთა უმრავლესობა თვლის, რომ უშიშროების საბჭოს შემადგენლობას უნდა დაემატონ მუდმივი წევრები ვეტოს უფლების გარეშე: თუ ახალ მუდმივ წევრებს ვეტოს უფლება ექნებათ, მაშინ ეს უფლება შეიძლება საბჭოს მუშაობის შემაფერხებელ ფაქტორად

---

[1] იხ. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, 1998 წ. გვ. 12.
[2] იხ. გ. ჩოგოვაძე. ინფორნაცია. თბ. 2003 წ. გვ. 319.
[3] იხ. ავტ. ჯგუფი. გაერო (დამხმარე სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა. თბ., 2003. გვ. 71-73.

იქცეს. ამ პროცესების თავიდან ასაცილებლად გაჩნდა მუდმივი წევრობის ახალი კატეგორია «სთენდინგ-მემბრეს» სახელწოდებით, რომლებიც როტაციას არ დაექვემდებარებიან, მაგრამ ვეტოს უფლება არ ექნებათ.

არამუდმივი წევრების რაოდენობა 10-დან 13-მდე უნდა გაიზარდოს, რაც რეფორმირებული საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობას 23-მდე გაზრდის. რეფორმის შემდეგ გადაწყვეტილების მისაღებად საბჭოს 9-ის ნაცვლად, დასჭირდება 14 ხმა. უნდა გაუქმდეს ვეტოს ინსტიტუტი, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხის დროულ გადაწყვეტას, საბჭოს მუდმივი წევრები ვეტოს უფლებას ხშირად იყენებენ, რაც არაეფექტურს ხდის უშიშროების საბჭოს მუშაობას და აღრმავებს საერთაშორისო კრიზისს. მუდმივი წევრები უნდა შეთანხმდნენ 10-წლიან მორატორიუმზე, რომლის განმავლობაში ვეტოს უფლებას მხოლოდ ექსტრემალურ სიტუაციაში გამოიყენებენ. ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფოები შეიძლება დარწმუნდნენ ვეტოს უფლების საბოლოოდ გაუქმების აუცილებლობაში. რეფორმა შეეხება გენერალურ ასამბლეას, სამდივნოს, ეკონომიკური უსაფრთხოების და სამეურვეო საბჭოებს, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს. ბუნებრივია, გადაიხედება საშტატო განაკვეთები და ფინანსები.

როდესაც ვმსჯელობთ მსოფლიო წესრიგის კონტურებზე, გვერდს ვერ ავუვლით ამერიკელი მეცნიერის სამუელ ჰანტინგტონის «ცივილიზაციათა შეჯახების» კონცეფციას,[1] რომელიც XX საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა და რაზედაც გვქონდა მსჯელობა. ს. ჰანტინგტონმა თანამედროვე მსოფლიო რვა ცივილიზაციად დაჰყო: დასავლური, სლავურ-მართლმადიდებლური, კონფუციანური, იაპონური, ისლამური, ინდუისტური, ლათინოამერიკული და აფრიკული. პროფ. ზ. დავითაშვილი სამართლიანად მიიჩნევს, რომ ს. ჰანტინგტონი «რატომღაც უგულებელყოფს ბუდისტურ ცივილიზაციას (თუმცა სხვები მას იაპონურ ცივილიზაციასთან ერთად განიხილავენ) და გაურკვეველს ტოვებს არასლავი მართლმადიდებლების (ბერძნები, რუმინელები, ქართველები), მონოფიზიტების (სომხები, ეთიოპიელები) და ებრაელების ადგილს

[1] იხ. С.Хантингтон, Сталкновение цивилизации, 1994.

ცივილიზაციათა მსოფლიო რუკაზე»[1] ამ და სხვა მიზეზების გამო. მეცნიერთა ნაწილი მას მოიხსენიებს, «პესიმისტური კონცეფციის» სახელით. «ცივილიზაციური მიდგომა ისტორიული პროცესის მთავარ სუბიექტად არა სახელმწიფოებსა და ერებს, არამედ დიდ კულტურულ-რელიგიურ ერთობებს მიიჩნევს».[2]

ინგლისელი მეცნიერი და დიპლომატი ჯ. ფელტჰეიმი გლობალიზაციის და ინტეგრაციის პროცესებს ახალ ეპოქალურ რევოლუციას ადარებს, რომელმაც სამ მიმართულებაში გამოიწვია ახალი მსოფლიო წესრიგის სახესხვაობა: პირველი, სსრ კავშირის დაშლა, მეორე, საფუძველი გამოეცალა ომის პროპაგანდას და მესამე, შემცირდა ბირთვული ომის დაწყების შესაძლებლობა. მეცნიერი ინტეგრაციისა და გლობალიზაციის მოსალოდნელ უარყოფით შედეგებზეც საუბრობს და სიფრთხილისკენ მოუწოდებს კაცობრიობას. ე.ი სსრ კავშირის არსებობის პირობებში მსოფლიო ყოველდღე იდგა ბირთვული ომის დაწყების საშიშროების წინაშე. მეტი გასაქანი ჰქონდა ახალი გლობალური ომის დაწყების პროპაგანდას. დღეს სპეციალისტები თვლიან, რომ ჩვენს პლანეტაზე დაგროვილ ბირთვულ იარაღს შეუძლია 50-ჯერ მოსპოს დედამიწა. ეს ერთგვარად მისი შემაკავებელი ფაქტორიცაა, მაგრამ საფრთხე ბოლომდე აცილებული ჯერაც არ არის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ერთი დასკვნის გაკეთება, არის თუ არა ყველა პირობა შექმნილი იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ახალი მსოფლიო ომი? თუ გადავხედავთ იმ პოლიტიკურ და სამართლებრივ მექანიზმებს, ღრმად გავაანალიზებთ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, ქვეყნების საქმიანობას, რომლებიც დღესაც ცდილობენ შექმნან ახალი მასიური განადგურების იარაღი, ვფიქრობთ, საფრთხის ალბათობა შემცირებულია, მაგრამ ისეთ დიდ გარანტიებს, რომლითაც გამორიცხული იქნება ახალი ომის საფრთხე, ჯერ-ჯერობით ვერ ვხედავთ.

---

[1] იხ. ზ. დავითაშვილი, ნაციონალიზაცია და გლობალიზაცია, თბ., 2003. გვ. 360.
[2] იხ. მ. მაცაბერიძე, გეოპოლიტიკა: საგანი, მეთოდები, ამოცანები. თბ. 2001. გვ. 10.

სამეცნიერო წრეებსა და პრობლემით დაინტერესებულ პირთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ცივი ომის შემდგომი წესრიგი.

«ცივი ომის» შემდგომი წესრიგისათვის დამახასიათებელია მნიშვნელოვანი თავისებურება, რომლის ძირითადი ელემენტები შემდეგში მდგომარეობს:

ა) **«სოციალურ» სახელმწიფოთა სისტემა.** სამხედრო მეტოქეობის ნაცვლად ქვეყნები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურების განვითარებასა და ეფექტურობაში;

ბ) **იდენტურობა და ერი სახელმწიფო.** 90-იან წლებში მკვეთრად გამოიხატა იდენტურობის პრობლემა; გ) **პოლარულობა და უსაფრთხოების კოლექტივიზაცია.** ე.ი. უნიპოლარულობა, რაც ამერიკის შეერთებული შტატების განსაკუთრებულ როლში გამოიხატება, უსაფრთხოების კოლექტივიზაცია კოალიციებისა და მშვიდობის დამცველთა საერთო ჯგუფების შექმნასა და ინტერვენციის მოწყობას, თუ არიდებას ითვალისწინებს; დ) **წარმოების ორგანიზაცია და გაცვლა,** ამ სფეროში წესრიგი გულისხმობს სავაჭრო და საფინანსო სისტემების უსაფრთოებას ე) **მულტილატერალური მართვა და მმართველობა.** საერთაშორისო მმართველობითი ორგანოების (საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები) სიმრავლე; ვ) **რეგიონალიზმი.** იგი წარმოდგენილია როგორც ეკონომიკური (სავაჭრო რეგიონები), ისე თავდაცვითი (ნატო) და კულტურული ფორმით. ზ) **ლიბერალური სამართლის წესრიგი.** ცივი ომის შემდეგ წესრიგს შეიძლება ასე ვუწოდოთ.

თ) **ორი მსოფლიო წესრიგი:** ჩრდილოეთისა და სამხრეთის.[1]

ასე ხედავს თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ძირითად ელემენტებს წერს ზ. დავითაშვილი თავის მონოგრაფიაში. მან ერთმანეთისაგან გამიჯნა საერთაშორისო წესრიგი და მსოფლიო წესრიგი. ასევე მართებულად დასვა საკითხი «გლობალიზებული მსოფლიო წესრიგი თუ წესრიგი გლობალიზებულ

[1] იხ. ზ. დავითაშვილი, დას. ნაშ. გვ. 323-326.

ქვეყნებს შორის? მიმდინარეობს თუ არა მსოფლიო წესრიგის გლობალიზაცია და რას უნდა წარმოადგენდეს გლობალიზებული მსოფლიო წესრიგის საბოლოო სურათი, საკამათო და ძნელად განსასაზღვრია».[1]

ამ საკითხში სრულიად ვეთანხმებით მკვლევარ ზ. დავითაშვილს, მაგრამ გვინდა ერთ პრობლემასაც გავუსვათ ხაზი, მოახდენს თუ არა გავლენას მსოფლიო წესრიგი საერთაშორისო მსოფლიო მართლწესრიგის სისტემაზე იმ დროს, როდესაც თანამედროვე მსოფლიოში ჩამოყალიბდა და მოქმედებს რამდენიმე საერთაშორისო სამართლებრივი სისტემა (ოჯახი). მათ შორის: ა) რომაულ-გერმანული (კონტინენტური ევროპის ქვეყნები, ლათინური ამერიკის, აფრიკის ზოგიერთი ქვეყანა, თურქეთი), ბ) ანგლო-საქსონური (ინგლისი, აშშ, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და სხვ.), გ) შერეული სამართლის, დ) რელიგიურ-სამართლებრივი (ქვეყნები, რომლებიც სახელმწიფო რელიგიად აღიარებენ ისლამს, ბუდიზმს, იუდაიზმს), ე) ჩვეულებითი სამართლის სისტემები (ეკვადორული აფრიკა, მადაგასკარი), ვ) სოციალისტური (ჩინეთი, ვიეტნამი, ჩრდ. კორეა, კუბა),[2] რაზედაც კონკრეტული მსჯელობა ნაშრომის მეორე კარში იქნება.

მსოფლიო მართლწესრიგის ცნების შესახებ არც იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს ცალსახა დამოკიდებულება. მკვლევართა ნაწილის აზრით, «მსოფლიო მართლწესრიგი არის ჰუმანურ და ბუნებით-სამართლებრივ საწყისებზე ჩამოყალიბებული, საზოგადოებრივ-პლანეტარული ურიერთობების სისტემა, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობა».

რომლებიც განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 28-ე მუხლის პრინციპებით, სადაც აღნიშნულია «ყოველ ადამიანს აქვს ისეთი სოციალური და საერთაშორისო წესრიგის უფლება», რომლის პირობებშიც შესაძლებელია თითოეულ ადამიანს მიეცეს ყველა უფლებათა და თავისუფლებათა მთლიანად განხორციელების შესაძლებლობა».

---

[1] იქვე, გვ. 328.
[2] იხ. რ. დავიდი. თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბ., 1993 წ. გვ,. 31-38.

რაც შეეხება სამართალს იგი საერთო-საკაცობრიო მოვლენაა და როგორც ადამიანის სურვილებისა და ქცევის თავისუფლების ზომა, ერთიანია თავისი ბუნებითი დედააზრით. ეს არის მსოფლიო ინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც თავისი ჰუმანური ხასიათის წყალობით ხელს უწყობს სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური სისტემის ადამიანთა ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას. სამართლის აღნიშნული თვისებები ხელს უწყობს შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის ნორმების ურთიერთმოქმედებას მსოფლიო მართლწესრიგის ჩამოყალიბების საქმეში.

ისევე როგორც მსოფლიო წესრიგის, ასევე მსოფლიო მართლწესრიგის ჩამოყალიბება რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია. თავი იჩინა პრობლემებმა, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა ქვეყნის კულტურისა და ცხოვრების არათანაბარ დონესთან, იდეოლოგიურ და სამხედრო კონფრონტაციასთან, ზესახელმწიფოებრიობის ეკონომიკურ ექსპანსიასთან, რელიგიურ და რასობრივ ფანატიზმთან და სხვა, ამიტომ კაცობრიობამ კიდევ უფრო მეტად უნდა გააღრმაოს და შეამჭიდროვოს თავისი ძალები დემოკრატიული საზოგადოების, სამართლიანი მსოფლიო მართლწესრიგის შექმნისა და განმტკიცებისათვის. ამ მიმართებით საქართველომაც შესაბამისი სიტყვა უნდა თქვას.

ჩვენი აზრით, მსოფლიო წესრიგის ერთ-ერთი პრობლემა ისიც არის, რომ არსებობს გაურკვევლობა და ბუნდოვნება, თუ «რას წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო სისტემა, არის ის უნიპოლარული, მულტიპოლარული თუ უნივერსალური?».[1] და ბოლოს, ამ პრობლემათა ფონზე შესაძლებელია თუ არა ვილაპარაკოთ მსოფლიო წესრიგზე, «როგორც პოლიტიკურ ფორმაზე და ხომ არ ყალიბდება დასავლეთის ქვეყნების კონგლომერატიდან ერთიანი «გლობალური სახელმწიფო».[2] და ეს მაშინ, როდესაც მსოფლიო სახელმწიფოს (the world state) იდეა უარყოფს სახელმწიფოთა სუვერენულ თანასწორობაზე აგებულ საერთაშორისო მართლწესრიგს და მხარს უჭერს ისეთი საერთაშორისო

---

[1] იხ. ზ. დავითაშვილი, დას. ნაშ. გვ. 322.
[2] იქვე, გვ. 323.

პოლიტიკური სტრუქტურის შექმნას, რომელსაც შიდასახელმწიფოებრივი უზენაესი ხელისუფლების მსგავსად ექნება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები.

მსოფლიო სახელმწიფოს იდეა დასავლეთის დოქტრინაში «ცივი ომის» პერიოდში წარმოიშვა. მას იმთავითვე მკაცრად დაუპირისპირდა სოციალისტური ბანაკი, რადგანაც მასში დაინახეს «სოციალისტური სისტემის შთანთქმის» საშიშროება სსრ კავშირის დაშლამ მისი მოწინააღმდეგეთა რიცხვი საგრძნობლად შეამცირა და ეს იდეა სულ უფრო მეტ მომხრეს იძენს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. «ხშირად მსოფლიო სახელმწიფოს წინაპრად მიიჩნევენ გაეროს, რომელიც მსოფლიო სახელმწიფოს მხარდამჭერთა აზრით, ადვილად შეიძლება იქცეს მსოფლიო მთავრობად, ცხადია, სახელმწიფოთა სუვერენიტეტის შემდგომი ნებაყოფლობითი შეზღუდვის, მაგრამ არ გაუქმების ხარჯზე».[1]

ამ შემთხვევაში არ იქნება წინააღმდეგობა სახელმწიფოთა სისტემის წესებს, ნორმებსა და გლობალიზებული სახელმწიფოს არსებობას შორის, ხოლო ასეთი საერთაშორისო წესრიგის პირობებში სახელმწიფოებს განსხვავებული ფორმა და ფუნქცია ექნება. კერძოდ, ძირეულად შეიცვლება სახელმწიფოს თეორიით გათვალისწინებული ნიშნები და თვისებები.

საბოლოოდ შეიძლება გავაკეთოთ ასეთი დასკვნა:

ყველა დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, რადგანაც მსოფლიო წესრიგი ჩამოყალიბების პროცესშია, ძნელია მის რეალურ შედეგზე საუბარიც. რაც შეეხება განვლილ ეტაპებს, რაც ჩვენთვის უკვე ცნობილია, იგი მყარდებოდა არსებული საერთაშორისო სისტემების ბაზაზე, რომელიც მოიცავდა სახელმწიფოთა საგარეო ურთიერთობების სფეროში ნებისმიერ ურთიერთობას, მიუხედავად იმისა, იგი ატარებდა სამთავრობათაშორისო თუ არასამთავრობათა-შორისო ხასიათს, განურჩევლად მასში მონაწილეებისა, იგი იყო სახელმწიფო პოლიტიკური ელიტა, ფიზიკური თუ იურიდიული პირები. ამგვარად მსოფლიო წესრიგის ცნებაში შედის ყველა საერთაშორისო მოვლენა, ერთა შორის

[1] იხ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ., 2003 წ. გვ. 192.

დამყარებული ყველა სახის კავშირი, ამ ურთიერთობათა შედეგად ჩამოყალიბებული ყველა ინსტიტუტი, დარგი, მიმართულება, თეორია და პრაქტიკა.

თანამედროვე გლობალისტურ ლიტერატურაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევრაზიის სუბკონტინენტის ადგილსა და როლს ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირებაში. ზოგიერთი ავტორი იმასაც კი ამტკიცებს, რომ დღევანდელ მსოფლიოში გეოსტრატეგიულ ჰეგემონობას მიაღწევს მხოლოდ ის, ვინც ევრაზიული ინტეგრაციის ლიდერი და ჰეგემონი გახდება, ისე, რომ დღეს ევრაზია გლობალური პოლიტიკისა და გლობალიზმის მთელი პროცესის გადამწყვეტი და უმთავრესი ობიექტი ხდება. წიგნში – «დიდი საჭადრაკო დაფა» ზბიგნევ ბჟეზინსკი პირდაპირ წერს:

«ევრაზია წარმოადგენს მსოფლიოს ისეთ უდიდეს კონტინენტს, რომელიც ამასთან წარმოადგენს მსოფლიო გეოპოლიტიკის ღერძს ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირებაში. სახელმწიფო, რომელიც შეძლებს წამყვანი როლი ითამაშოს ევრაზიულ სივრცეში, ავტომატურად მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოც ხდება. საკმარისია დავხედოთ მსოფლიო რუკას, რომ ნათელი გახდეს: ევრაზიაზე კონტროლი ფაქტიურად ნიშნავს აფრიკაზეც კონტროლს, ხოლო ოკეანისა და მთელი დასავლეთ ნახევარსფეროს ტერიტორია გეოსტრატეგიულად მთლიანად დამოკიდებული გახდება ამ უდიდეს სანედლეულო ბაზაზე. მსოფლიოს მოსახლეობის 75% ცხოვრობს აქ და ამასთან, მსოფლიოს ენერგეტიკული და სანედლეულო წყაროების უდიდესი ნაწილი ევრაზიაშია თავმოყრილი. ევრაზიაშია აგრეთვე დღეს თავმოყრილი მსოფლიოს პოლიტიკურად ყველაზე აქტიური და დინამიური სახელმწიფოები».[1]

აღნიშნული მონოგრაფიის ერთ-ერთ თავში – «ევრაზიული საჭადრაკო დაფა» (გვ. 50-64, რუსულ ენაზე), ზ. ბჟეზინსკი ავითარებს იდეას, რომ ამ სუბკონტინენტზე ამერიკის ყველაზე დიდი კონკურენტები ევრაზიაში ჰეგემონობის მოსაპოვებლად არიან რუსეთი და ჩინეთი. რუსეთი, როგორც ყოფილი ზესახელმწიფო დღეს აშკარად დეპრესიას განიცდის და თანდათანობით

[1] Зб. Бжезинский, «Великая шахматная доска», М. 2000 г., стр. 44.

თმობს თავის გეოპოლიტიკურ პოზიციებს, მაშინ, როცა ჩინეთი პირიქით – სულ უფრო ამტკიცებს და ზრდის თავის სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პოტენციალს.[1] ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინონ ამ რეგიონში არსებულმა სახელმწიფოებმა, მათ შორის ისეთმა ახალგაზრდა სახელმწიფოებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოიშვნენ და პირველ ნაბიჯებს დგამენ მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე.

პოსტკომუნისტური საქართველოს საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებისათვის ასეთ გეოპოლიტიკურ ვითარებას აუცილებელი გათვალისწინება სჭირდება. ჩვენ ამ პარაგრაფში შევეცდებით გადმოვცეთ გარკვეული პოლიტოლოგიური ანალიზი და ამასთან, ჩამოვაყალიბოთ მასზე დაფუძნებული პოლიტიკური რეკომენდაციებიც. დღეს გამოყენებითი პოლიტოლოგია სულ უფრო წამყვანი მიმართულება ხდება მთელ მსოფლიოში და ჩვენი მიზანიც იმაში მდგომარეობს, რომ შემეცნებითთან ერთად ჩვენს გამოკვლევას გამოყენებითი ხასიათი, გარკვეული პრაქტიკული და პრაგმატული ღირებულებაც მივცეთ.

უკანასკნელ ხანს ქართულ პოლიტოლოგიში გამოითქვა მრავალი მოსაზრება ქართული სახელმწიფოს გეოპოლიტიკური პრობლემების თვალსაზრისით. დაიწერა დისერტაციები. მნიშვნელოვანი შრომები მიუძღვნეს ამ პრობლემებს პოლიტოლოგებმა ომარ გოგიაშვილმა და ელბერდ ბატიაშვილმა. მათი საერთო თვალსაზრისი იმაში მდგომარეობს, რომ გარდამავალი პერიოდის ქართული სახელმწიფოს მშენებლობასა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ზემოთაღნიშნულ გლობალურ ფაქტორებს, არამედ რეგიონალური ფაქტორების გათვალისწინებასაც. მკვლევართა ნაწილი საქართველოს უსაფრთხოებას სამ ძირითად განზომილებაში განიხილავს (ეროვნული, რეგიონალური და გლობალური) და ამტკიცებს, რომ ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოების თვალსაზისით გადამწყვეტი კავკასიისა და შავიზღვისპირეთის რეგიონია. საქართველოსათვის კავკასიის რეგიონის

[1] იგივე, გვ. 118-119.

გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებენ უცხოელი მკვლევარები (მაგ. ამერიკელი მეცნიერი ჰანჰიგტონი).

მაშასადამე, როგორც ქართველ, ისე საზღვარგარეთის პოლიტოლოგებს მიაჩნიათ, რომ ჩვენი ქვეყნისათვის კავკასიას განსაკუთრებული პოლიტიკური დატვირთვა აქვს. ასე იყო, სხვათა შორის, ისტორიულადაც, როცა ქართული სახელმწიფო კავკასიის ხალხებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის პოლიტიკას ავითარებდა. ამიტომ აყენებდა ილია ჭავჭავაძე «მთელი კავკასიის თავისუფლების» ცნობილ იდეას პოემაში «ქართვლის დედა», ხოლო არჩილ ჯორჯაძემ «კავკასიის ფედერაციის» იდეა წამოაყენა და ამ საფუძველზე პოლიტიკური პარტიაც შექმნა «სოციალ-ფედერალისტთა პარტიის» სახით.[1] დღეს შეიძლება ეს იდეები პრაქტიკული პოლიტიკის თვალსაზრისით გარკვეულწილად ნაადრევია და უტოპიურ ოცნებად მოჩანს, მაგრამ ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით ისინი უეჭველად იმსახურებენ ყურადღებას. სხვათა შორის, ამერიკული პოლიტოლოგიის ერთ-ერთი წამყვანი წარმომადგენელი სამუელ ჰანტინგტონი ნაშრომში – «ცივილიზაციათა შეჯახება და საერთაშორისო უსაფრთხოება», რჩევას აძლევს აშშ-ის ადმინისტრაციას, რომ ევრაზიული სივრცის სტაბილური განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შავი ზღვისა და კასპიისპირა რეგიონებს.[2] ამ თვალსაზრისს ავითარებს ჰენრი კისინჯერიც, როცა იგი განიხილავს II მსოფლიო ომისა და ცივი ომის პერიპეტიებს.[3] ერთი სიტყვით, XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე კავკასიამ განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა შეიძინა ევრაზიულ და, მასთან ერთად, მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში.

შორეულ ისტორიულ ეპოქებსაც თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ქართულ-კავკასიური, ანუ ივ. ჯავახიშვილისეული დეფინიციით «კავკასიურ-იბერიული» ფენომენი თვით ანტიკური ეპოქიდან ატარებს აქტუალურ ხასიათს და თავისებურ მესიანისტურ მნიშვნელობას. ამ მიმართულებით საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც პრომეთე-ამირანის მითი. ძველი ბერძნები კავკასიას

---

[1] იხ. გ. ლობჟანიძე, ნარკვევები არჩ. ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივ-სამართლებრივი ნააზრევიდან, თბ., 1992.
[2] Samuel P. Hantigton, The international Primacy and International Security, N.Y. 1999, p. 93.
[3] Г. Киссинджер, Дипломатия, М. 1997, стр. 286-302

«დედამიწის შუბლს» უწოდებდნენ და ალბათ, ამიტომაც დაუკავშირეს მას პრომეთეს მიერ ღმერთებისაგან ცეცხლის მოპარვის ლეგენდა. ისე, რომ «კავკასიური ცარცის წრე» ბევრ მისტიკურ საიდუმლოებას შეიცავს და ეს ყველაფერი თავისებურ რომანტიულ ელფერს აძლევს «კავკასიურ პოლიტიკას» დღესაც. მაგალითად, ამ სულისკვეთებით არის გაჟღენთილი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური და ესსეისტური მემკვიდრეობა.[1]

ეჭვი არაა, რომ თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური და გლობალიზაციის ყოვლისმომცველი პროცესები მომავალში კიდევ უფრო აქტუალურს გახდის კავკასიის ამ როლსა და მნიშვნელობას თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, 40-50 წლის შემდეგ შავი და კასპიის ზღვის რეგიონები მსოფლიო ენერგეტიკის უმთავრესი წყაროები გახდებიან. ზ. ბჟეზინსკის მოჰყავს ამ რეგიონის 10 ქვეყნის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი, ირანი, ავღანეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი), სქემა-ნახაზი, სიმბოლური დასათაურებით («ევრაზიული ბალკანეთი» – გვ. 149-178), სადაც ამტკიცებს, რომ პოსტკომუნისტურ ეპოქაში აქ არსებული ეთნიკური, რელიგიურ-კულტურული, ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური წინააღმდეგობანი დროზე თუ არ გადაიჭრა, შეიძლება სულ მალე ახალი დიდი სისხლისმღვრელი კონფლიქტის მოწმენი გავხდეთ უახლოეს მომავალში.

გლობალიზმს და ინტეგრაციულ პროცესებსაც მედლის ორი მხარე აქვს და არ შეიძლება იმ დიდი საფრთხის დავიწყება, რომელიც ემუქრება XXI საუკუნის მსოფლიოს. ეს 2001 წლის 11 სექტემბერმაც ნათლად აჩვენა. კაცობრიობა შევიდა განვითარების ისეთ ფაზაში, როცა ახლებურ გააზრებასა და გადაწყვეტას თხოულობს გლობალური, რეგიონალური და ეროვნული უშიშროების პრობლემები. დღეს ისე, როგორც არასდროს, თითოეულს ცალ-ცალკე და ყველას ერთად განსაკუთრებულად გვჭირდება პოლიტიკური პასუხისმგებლობა და პოლიტიკური ნება ადექვატური პასუხი გავცეთ ჯერ კიდევ «ცივი ომის» დროს

[1] ზვიად გამსახურდია, „წერილები და ესსეები“, თბილისი, 1991 წელი, გვ. 26-37.

ბერტრან რასელის მიერ დაყენებულ ცნობილ ალტერნატივას – თუ ჩვენ არ შეგვიძლია ერთად ცხოვრება, მაშინ ჩვენ მოგველის ერთად სიკვდილი. ტერორიზმი და ნარკობიზნესი კაცობრიობის მომავალს ეჭვის ქვეშ დააყენებს, თუ ამ დიდ საფრთხეებს თავიდანვე აქტიურად არ შევებრძოლებით.

ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე რთული რეგიონი ევრაზიაა, რთული არა მარტო სამხედრო-პოლიტიკური, არამედ სულიერი და მატერიალური ყოფის ნებისმიერი განზომილებით. ევრაზიის «ენერგეტიკულ კოზირებსაც» რომ თავი გავანებოთ, ტერორიზმისა და ნარკობიზნესის საშიში ზრდა და სახელმწიფოებრივ პოლიტიკად გადაქცევა, ომი ავღანეთში და ერაყში, რუსეთ-საქართველოს ომის და ა.შ. ხაზს უსვამს ამას და ჩვენ სრულიად რეალურად გვეჩვენება ბჟეზინსკის ზემოთმოხსენიებული პროგნოზი ახალი «ევრაზიული ბალკანეთის» შესახებ. ზემოთქმული იმის ილუსტრაციისთვის კი არ გვჭირდება, რომ, მართლაც, «ევრაზიული სივრცე თანამედროვე მსოფლიო გეოპოლიტიკის განმსაზღვრელი არეალი ხდება»[1], არც იმისათვის, რომ სწორედ აქ გადაწყდება მომავალი «ახალი მსოფლიო წესრიგის ბედი»,[2] არამედ იმისთვის, რომ ვაჩვენოთ საქართველოს, კავკასიის და შუა აზიის ადგილი და როლი თანამედროვეობის ამ დიდ გლობალურ გეოპოლიტიკურ თამაშში. ბჟეზინსკის, კისინჯერისა და დასავლეთის სხვა წამყვანი პოლიტოლოგებისათვის ეს შეიძლება მართლაც თამაში და თავისებური გეოპოლიტიკური ვარჯიშიც იყოს, მაგრამ ჩვენთვის – ამ რეგიონში მცხოვრები ხალხებისა და სახელმწიფოებისათვის – ყველაფერი ეს შექსპირისეული «ყოფნა-არყოფნის» დილემის ტოლფასია. ჩვენს სწორედ ამ გააზრებით გვინდა წარვმართოთ ჩვენი პოლიტოლოგიური ანალიზი.

ფაქტია, რომ კავკასია, ახლო აღმოსავლეთი და შუა აზია დღეს უკვე სისხლიანი დაპირისპირების არენად არის გადაქცეული. ვაკუუმი, რომელიც აქ წარმოიშვა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შევსებას თხოულობს და დღევანდელი მსოფლიოს ტონისმიმცემი სახელმწიფოებიც ძალას და ენერგიას არ ზოგავენ თავიანთ სასარგებლოდ შეავსონ ის. დასავლეთით – ამერიკა და ევროპა, აღმოსავლეთით – ჩინეთი და იაპონია, სამხრეთით – თურქეთი და

[1] Зб. Бжезинский, «Великая..., стр. 69.
[2] Г. Киссинджер, Дипломатия, М. 1997, стр. 733.

ირანი, ხოლო ჩრდილოეთით – რუსეთი, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სამართალმემკვიდრე, აი, ის მთავარი ვექტორული ძალები, რომლებიც განსაზღვრავენ პოლიტიკური ამინდის ცვალებადობას მთელ ევრაზიულ სივრცეში. ამ ვექტორულ ძალებში ყველაზე არაპროგნოზირებადი და საშიში ძალა კავკასიისა და შუა აზიის ხალხებისათვის მაინც ყოფილი იმპერიაა, «გამოუცნობ შავ ხვრელს» რომ უწოდებს ბჟეზინსკი სრულიად სამართლიანად[1]. აქედან მოდის ის საფრთხეც, რომელიც გვემუქრება აქ მცხოვრებ ხალხებს ახალი «ევრაზიული ბალკანეთის» სახით. ფრთხილად – რუსეთი კვლავ რჩება «ბოროტების იმპერიად» – მაგრამ «გაუწონასწორებელი და არაპროგნოზირებადი რუსეთი მარტო დღეს როდი გახდა. ჯერ კიდევ ჩერნიშევსკი შენიშნავდა, რუსეთის პოლიტიკური განვითარების ამ პარადოქსს: «ის, რაც ბედნიერებაა სხვაგან, უბედურებაა რუსეთში და ის, რაც უბედურებაა სხვაგან, ბედნიერებაა რუსეთში». ხოლო ივანე ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ 1919 წელს ნაშრომში – «დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის» ამხილა რუსეთის ტრადიციული ანტიქართული პოლიტიკა. დღეს საქართველო და კავკასია ის ფეთქებადსაშიში რეგიონია, სადაც უამრავი «დაყოვნებითი მოქმედების ბომბია» ჩადებული რუსეთის ყოფილი და ახლანდელი იმპერიული ძალების მიერ.

რაშია გამოსავალი? რამ, ან, ვინ უნდა ააცილოს კავკასიელ ხალხებს ახალ-ახალი სისხლიანი ტრაგედიები? – მხოლოდ თვითონ კავკასიელთა ერთიანმა პოლიტიკურმა ნებამ, ძველმა კავკასიურმა «ერთნებობა-თანადგომამ». ეს ურთულესი პოლიტიკური ამოცანაა თანამედროვე კავკასიელი პოლიტიკური ლიდერებისათვის, მაგრამ ამასთან აუცილებელიც. «გათიშე და იბატონეს» პოლიტიკა სხვა ალტერნატივას არ გვიტოვებს. მითუმეტეს, რომ კავკასიურ ერთობას თავისი ისტორიული ფესვებიც აქვს. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ლეონტი მროველის «საერთო-კავკასიური სახლის» იდეა და მასთან ერთად, ზემოთაღნიშნული კავკასიური კეთილმეზობლური ურთიერთობის ტრადიცია. ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამს, რომ სწორედ ამ საფუძვლებზე შეიქმნა XI-XIII საუკუნეების ფაქტიურად საერთო-კავკასიური პოლიტიკური ორგანიზაცია – «ოქროს ხანის» საერთო-კავკასიური სახელმწიფო, რომლის გამოძახილი დღესაც

[1] ზ. ბჟეზინსკი, „დიდი საჭადრაკო დაფა“, გვ. 108 (რუსულად).

არის შემორჩენილი კავკასიურ ფოლკლორში და რომელიც დემაგოგიურად «მცირე იმპერიად» მონათლეს ჟირინოვსკის, ალიხანოვისა და ზუგანოვის მსგავსმა კავკასიური ერთობისა და სოლიდარობის მოძულეებმა.

«მცირე იმპერიის» ანტიქართული, ანტიკავკასიური თეზისი იმდენად ღრმადგამიზნული პოლიტიკური და იდეოლოგიური დივერსიაა, რომ ღირს მასზე ვრცლად შეჩერება და სათანადო პოლიტოლოგიური ანალიზი როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე პრიზმით. ვფიქრობთ, რომ ეს ხელს შეუწყობს «მშვიდობიანი და სტაბილური კავკასიის» ცნობილი იდეის რეალიზაციის პროცესს, პროცესს, რომელიც ჯერ კიდევ ამ ათასი წლის წინ დაიწყო «მცირე იმპერიის» სახით. «ქართველი ერის ისტორიის» მრავალტომეულში ივ. ჯავახიშვილი ყველგან იმ იდეას ატარებს, რომ ქართველი ერის და ქართული სახელმწიფოს ბედი ყოველთვის მჭიდროდ და ორგანულად იყო დაკავშირებული კავკასიელ ხალხებთან ურთიერთობასთან. ამ პრობლემის ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტა კი დაკავშირებულია დავით აღმაშენებლის, ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის ყველაზე გამოჩენილი და წარმატებული პოლიტიკური მოღვაწის, სახელთან. ამიტომ უწოდებს მას ივ. ჯავახიშვილი საქართველოსა და კავკასიის ერთობისა და ძლიერების სიმბოლოს».[1]

«მცირე იმპერიის» – კავკასიური «საერთო სახლის» ფორმირება ეს ის ხანაა, როცა დავითმა და მისმა მემკვიდრებმა – დავითის «ძალისხმევისა» და თამარის «სათნოების ხაზმა» ქვეყანა რეგიონის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ინტეგრაციის წამყვან ძალად და მსოფლიოსათვის მისაბაძ მაგალითად აქცია, ხოლო თვითონ ბაგრატიონთა დინასტია ფაქტიურად საერთო-კავკასიურ დინასტიად. ჯერ კიდევ კარგა ხნით «ოქროს ხანამდე» ეს სამეფო დინასტია მჭიდრო ნათესაური კავშირებით ორგანულად შეერწყა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა მაშინდელ საგვარეულო-სახელისუფლო ელიტას. რაც შეეხება თვითონ «ოქროს ხანას», აქ ეს კავშირი კიდევ უფრო ინტენსიური და სტაბილური გახდა: როგორც კი, სამეფო ოჯახის და აგრეთვე, დიდი ფეოდალური გვარების საქორწინო კავშირების საკითხი დადგებოდა, კავკასიურ (როგორც ჩრდილოეთის,

[1] ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. II, თბილისი, 1983 წელი, გვ. 220.

ისე სამხრეთის) ორიენტაციას ფაქტიურად ალტერნატივა არ ჰქონდა. «ლაშა-გიორგის» სიმბოლიკა ყველაზე კარგად გამოხატავს ბაგრატიონთა საქართველოს ამ სანათესაო ორიენტირს, ხოლო ყივჩაღთა გადმოსახლება და ამ გზით მუდმივი ჯარისა და სამეფო გვარდიის შექმნა მის დიდ სამხედრო-პოლიტიკურ მნიშვნელობას.

ამასთან, აქ ისიც უნდა აღინიშნოს ხაზგასმით, რომ ხალხთა არცერთ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში არ იყო დაცული ეროვნული და რელიგიურ-კულტურული თავისებურებანი ისე, როგორც მაშინდელ საქართველოში. ამ ფაქტზე ქართული წყაროების გარდა, უცხოური წყაროებიც ღაღადებენ. ეს მართლაც რომ დაუჯერებელი და გასაკვირი რეალობაა მაშინდელი ეპოქისა, რითაც ქართულმა სახელმწიფომ ხალხთა თანამეგობრობის სანიმუშო წესრიგი შექმნა მთელი კავკასიის მასშტაბით. სტატიაში – «დავით აღმაშენებელი» ილია ხაზს უსვამს, რომ თბილისი კავკასიელ პოეტთა და ხელოვანთა საერთო შემკრები პუნქტი გახდა მაშინდელ კავკასიაში.

«ოქროს ხანის» ქართული სახელმწიფო და მისი თანმხვედრი «ნაადრევი ქართული რენესანსი» კიდევ იმითაა ჩვენთვის საამაყო სამემკვიდრეო ნიშან-სვეტი, რომ იგი რეგიონალური ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ცდაა მსოფლიო ისტორიაში. ეს მაღალი ხმით ნათქვამი ცარიელი ფრაზა რომ არაა, ამას იგივე ისტორია ადასტურებს. ისევ ილია ჭავჭავაძე რომ დავიმოწმოთ, «ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა» მისაბაძი ფენომენი გახდა არა მარტო კავკასიაში, არამედ პალესტინასა და მთელ ახლო აღმოსავლეთშიც. ყოველ შემთხვევაში, მაშინდელი კავკასიურ-იბერიული ცივილიზაცია, მათ შორის სამართლებრივი და პოლიტიკური აზროვნებაც, უდავოდ მსოფლიო სიმაღლეებზე იდგა. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ სიკვიდლით დასჯის გაუქმება და კონსტიტუციური მონაქრიის იდეის ჩასახვა სწორედ ამ ეპოქაში მოხდა...

მაგრამ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ყველაფერი ეს მარტო ქართველების დამსახურება არ იყო, უბრალოდ, ეს მაშინ მათი ლიდერობით, «თავკაცობით» მოხდა. კავკასიურ ინტეგრაციულ პროცესებში სომხებიც მონაწილეობდნენ («ჩვენს

მაშინდელს სამხრეთის კარს» რომ უწოდებს ილია), აღმოსავლეთით – კავკასიელი ალბანელები, ჩრდილოეთით კი, ადიღე-ყაბარდო-ჩერქეზეთისა და ჩეჩენ-დაღესტნის ხალხები. ლეონტი მროველის იდეასაც და თვითონ მაშინდელ სახელმწიფოსაც ალბათ, ამიტომ ეწოდა «კავკასიის საერთო სახლი» და არა «მცირე იმპერია», როგორც ამას ნათლავენ რუსეთის დიდმპყრობელური შოვინიზმის თანამედროვე ლაქიები, კავკასიის სრულ დამონებას რომ ესწრაფვიან დღესაც.

სადღეისოდ კი ფაქტი ერთია: რუსეთმა ისე აურია «კავკასიური კარტები», იმდენი სისხლი ღვარა, «ცხელი წერტილები» და «დაყოვნებითი მოქმედების ბომბი» ჩადო აქ, რომ ძალიანაც რომ მოინდომოს, ძნელად თუ შეძლებს აქ მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას. დღეს ეს მცდელობაც არ ჩანს. უფრო მეტიც, იგი ერთმანეთს უსისინებს აქ მცხოვრებ ხალხებს, მაგრამ იმას კი არ ფიქრობს, რომ სტრატეგიულად ყველაზე მეტს თვითონვე აგებს, და საბოლოოდ საკუთარი ხელით მოიკვეთს ფეხს კავკასიიდან.

წავიდა ის დრო, როცა იმპერიები ლეგიონებით მართავდნენ დაპყრობილ ტერიტორიებს, ძალის მუქარით და გამოყენებით იმორჩილებდნენ აქ მცხოვრებ ხალხებს. დღეს ლეგიონებს და იარაღის ჟღარუნს მიმდინარე მსოფლიო ინტეგრაციულ და დემოკრატიულ პროცესებში ეკონომიკური სიძლიერე ცვლის. შექმნილი ჩიხიდან, «კავკასიური ცარცის წრიდან» ერთადერთი გონივრული გამოსავალი თვითონ რუსეთის პოლიტიკური განვითარების «დასავლური» ფერისცვალებაა. ინგლისის, ნიდერლანდების, ესპანეთის, საფრანგეთის, ავსტრია-უნგრეთის ძველი იმპერიების მსგავსად, თუ მასაც ცივილიზირებული განვითარება სურს, მაშინ უნდა შეძლოს თანაბარუფლებიანი და კეთილმეზობლური პარტნიორული ურთიერთობა დაამყაროს თავის ყოფილ კოლონიებთან.

ერთი სიტყვით, კავკასია დღესაც შეიძლება გახდეს «დედამიწის შუბლი», თუკი შეძლებს წინააღმდეგობათა იმ მოჯადოებული წრის გარღვევას, რომელშიც იგი არის გახლართული. ამით კი, მისი სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, შეიძლება ევრაზიული ინტეგრაციისა და მასთან

ერთად, ფორმირების პროცესში მყოფი «ახალი მსოფლიო წესრიგის» ერთ-ერთ წამყვან ძალადაც იქცეს. იგი ხომ თავისებური გზაჯვარედინია მთელ ამ უზარმაზარ ევრაზიულ სივრცეში როგორც აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ისე ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. კავკასიის ასეთი უნიკალური სტრატეგიული მდებარეობა აფიქრებინებდა ბევრ მოაზროვნეს, პირველ რიგში კი არჩილ ჯორჯაძეს, აქ მცხოვრები ხალხების ფედერაციულ გაერთიანებას და ამით კავკასიის სრული ძალით ჩართვას როგორც ევრაზიულ, ისე გლობალურ ინტეგრაციულ პროცესებში.[1] ამ იდეას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. ამ შემთხვევაშიც მთავარი ისაა, რომ გლობალიზაციის მიმდინარე პროცესები წავიდეს მშვიდობიანი და არა წინააღმდეგობათა ზრდისა და ესკალაციის გზით.

ჩვენ არ ვიცით რამდენად შესაძლებელი გახდება აღნიშნული თუ სხვა პოლიტიკური იდეების პრაქტიკული რეალიზაცია ახლო, თუ შორეულ მომავალში, მაგრამ ერთი კი ცხადია, კავკასიაში დღეს დაგროვილი პრობლემები, აქ – როგორც ამიერ, ისე იმიერ კავკასიაში (ჩვენი წინაპრები, «ქართლის ცხოვრების» ავტორები ხშირად ხმარობდნენ «იმიერ იბერიის» ცნებასაც) არსებული უამრავი ე.წ. «ცხელი წერტილები», მათი შემდგომი კიდევ უფრო გაღვივება და შეიარაღებულ კონფლიქტებში გადაზრდა სიკეთეს არ მოუტანს არც კავკასიას და არც ევრაზიულ ინტეგრაციულ პროცესებს. ჩვენი აზრით, ეს უნდა გახდეს ნებისმიერი დიდი სახელმწიფოს კავკასიური პოლიტიკის ამოსავალი პრინციპი.

რაც შეეხება კავკასიაში საუკუნეთა მანძილზე დაგროვილ პოლიტიკურ, ეთნო-კულტურულ თუ სოციალურ-ეკონომიკურ წინააღმდეგობებს, ჩვენი აზრით, აუცილებელია საერთაშორისო თანამეგობრობამ, პირველ რიგში კი, გაერომ და ევროკავშირმა შეიმუშაონ გარკვეული ზოგადი პრინციპები მათი თანდათანობით გადაჭრისათვის. ასეთ მშვიდობიან პროცესებში გაეროს მშვიდობისმყოფელებთან ერთად შეიძლება ჩაერთოს ნატოც, როგორც ეს ხდება ბალკანეთში. ეს კი ეფექტური გზა და საშუალება იქნება ზემოთაღნიშნული «ევრაზიული ბალკანეთის» თავიდან ასაცილებლად. კავკასიაში კონფლიქტების

[1] ა. ჯორჯაძე, თხზ., წ. I, 1911 წ. გვ. 195-271.

დარეგულირებისა და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფისათვის გვინდა გარკვეული ზოგადი პრინციპების სახით გადმოვცეთ ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება, რაც ვფიქრობთ, შეიძლება გამოყენებული იქნას პრაქტიკულადაც.

უნდა ითქვას, რომ კონფლიქტების დარეგულირების მიმართ თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში ყველაზე პერსპექტიულ და ეფექტიან მიმართულებას წარმოადგენს სინთეზურ-სინერგიული მიდგომა: პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესებისადმი სისტემური, კომპლექსური მიდგომის გარდა, იგულისხმება მათი რეგულირების ისეთი ფორმებისა და მეთოდების შერწყმა, რომელნიც გაძლიერებულ ეფექტს იძლევიან სწორედ ერთობლივი გამოყენების, ან მათი სინთეზირების შემთხვევაში. ამ მიმართულებით მიმდინარეობს ახალი საერთაშორისო სტრუქტურების დაგეგმარება-ჩამოყალიბება და არსებულის ფუნქციონალური გადახალისება. ცხადია, რომ ამავე მიმართულებით უნდა გავიაზროთ დამოუკიდებელ საქართველოში მიმდინარე პროცესების საშინაო და საგარეო ასპექტების ურთიერთქმედება, მოვიფიქროთ მათი მარეგულირებელი სტრუქტურების ფორმა, რათა ხელი შევუწყოთ მათს სასიკეთო მიმართულებით წარმართვას. ეს ეხება როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას.

ღრმა ეკონომიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური კრიზისის პირობებში საქართველოს მოუწევს დაწყებული დემოკრატიული გარდაქმნების, ადამიანის ეროვნული და რელიგიური უმცირესობების უფლებათა დაცვის შესახებ არსებულ საერთაშორისო ვალდებულებათა უპირობო შესრულებისკენ მიმართული კურსის გარანტირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ჩვენი სამშობლოს სოციალურად და ეკონომიკურად სტაბილური მომავალი. საშინაო სტაბილურობის გარეშე ვერ მივაღწევთ ვერავითარ წარმატებას ვერც საგარეო პრობლემების გადაწყვეტაში.

ცხადია, რომ ამ ამოცანათა განხორციელება შესაძლებელია მწვავე პოლიტიკური, სოციალური და განსაკუთრებით, ეთნოკონფლიქტების პროფილაქტიკის არა ძალისმიერი საშუალებებით მოგვარების, არამედ მსოფლიოს მშვიდობიანი და დაბალანსებული განვითარებისკენ მიმართულ რეგიონალურ, ევროპულ და სხვა საერთაშორისო პროცესებში საქართველოს

აქტიური მონაწილეობის შემთხვევაში. დღეს მსოფლიო განიცდის ძირეულ სტრუქტურულ ძვრებს, ყალიბდება ახალი მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგი, რომელშიც საქართველომ და კავკასიამ უნდა მოასწროს აქტიური, და არა პასიურად მართვადი კომპონენტის ადგილის დამკვიდრება. ამასთან, საერთაშორისო კოლექტიური უშიშროების სისტემათა მოდელირება-აპრობირებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს კონფლიქტების მართვის რეგიონალური და კონტინენტალური სისტემები, რომელთაც იდეალში ერთიანი ქსელით უნდა დაფარონ მთელი მსოფლიო. საქართველოს პოლიტიკური სტრატეგია ისეთნაირად უნდა იქნას გათვლილი, რომ პროცესების ნებისმიერი განვითარების შემთხვევაში არ აღმოჩნდეს «თამაშგარე» მდგომარეობაში.

აქედან გამომდინარე, საჭიროა ამ ამოცანათა სპეციფიკა აისახოს საქართველოს უშიშროების კონცეფციაში, რომელიც ორი ურთიერთდაკავშირებული, საშინაო და საგარეო ასპექტის ერთიანობას დაეფუძნება. მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე საქართველოს წარმატებათა განმტკიცება მოითხოვს იმას, რომ მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ის მთელი რიგი ობიექტური ხასიათის უპირატესობები, რაც საქართველოს, რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, გააჩნია. მათგან გამოვყოფთ შემდეგს:

1) საქართველოს განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდგომარეობა უკავია ფართო რეგიონში, რომელიც მოიცავს კავკასიას და მასთან ერთად შავი ზღვის აუზის ქვეყნებს, აგრეთვე, ახლო აღმოსავლეთის გარკვეულ ნაწილს, სადაც იკვეთება მსოფლიოს მრავალი მსხვილი სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესები.

2) ისტორიული ბედ-იღბლით განპირობებული მოსახლეობის პოლიეთნიკური შემადგენლობის, კულტურათა ურთიერთქმედებისა და სინთეზის შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა ეროვნებათაშორისი, რელიგიათაშორისი ტოლერანტულობის ტრადიცია, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის დასავლეთ-აღმოსავლეთის დიალოგისათვის.

3) საქართველო ევრაზიის უმწვავესი კონფლიქტური და კრიზისული მოვლენებით საქვეყნოდ განთქმული ზონის შუაგულში მდებარეობს, საიდანაც ბუნებრივად და ეფექტიანად შეიძლება განხორციელდეს დესტრუქციული და პოტენციურად საშიში პროცესების საწინააღმდეგოდ მიმართული ერთობლივი საერთაშორისო ძალისხმევა.

ზემოჩამოთვლილი ფაქტორები საკმარისია იმის დასასაბუთებლად, რომ საქართველოს თვით განგებამ მიანიჭა რეალური შესაძლებლობა თავის თავზე აიღოს ხალხთა დაახლოების, პოლიტიკური პროცესების დადებითი მიმართულებით ტრანსფორმაციის ჰუმანური მისია. ეს უპირველეს ყოვლისა თვითონ საქართველოს სჭირდება. «ვარდების რევოლუციის» შემდეგ ჩვენი ქვეყნის ძირეულ ინტერესებშია მიაღწიოს იმას, რომ შემდგომი განვითარება ერთა კოლექტიური უშიშროების სისტემით უზრუნველყოფილი, პოლიტიკურად და სოციალურად სტაბილურ გარემოცვაში მიმდინარეობდეს. უკანასკნელ ხანს სულ უფრო იზრდება ჩვენი ქვეყნის ადგილი და როლი, მაგრამ წინ უმძიმესი საქმეებია გასაკეთებელი, რომ საქართველო გარემომცველ რეგიონში სტაბილურობისა და სიმშვიდის ნიმუშად გამოდგეს. ხელისუფლების მიერ სასწრაფოდ უნდა გადაიდგას ნაბიჯები შიდა პოლიტიკური მდგომარეობის გაჯანსაღებისკენ, ასევე საჭიროა მიზანმიმართული ქმედება გლობალური ორგანიზმის ჯანსაღ სტრუქტურებში ჩვენი ქვეყნის ორგანულად ჩართვისათვის. ამისათვის არ იქნება საკმარისი მარტო წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციათა და სტრუქტურათა წარმომადგენლობების გახსნა და საერთაშორისო ფორუმებზე დელეგაციების წარგზავნა, არამედ მიზანშეწონილი იქნებოდა თბილისში გაგვეთვალისწინებინა საერთაშორისო ცენტრების ქსელის შექმნა. ისინი იმ აქტუალურ პრობლემათა შესახებ დიალოგის, დაახლოებისა და თანამშრომლობის კერებად, აქტიურ ინიციატორებად და საერთაშორისო კავშირების ბაზებად გამოდგება, რომელთა გადაწყვეტაში ჩვენს ქვეყანას შეუძლია არსებითი როლი ითამაშოს.

პირველ რიგში საჭიროა ამოქმედდეს კონფლიქტური და კრიზისული მოვლენების საწინააღმდეგო ქმედითი სამსახური. სტამბოლის მოლაპარაკებათა

შესაბამისად თბილისში შავი ზღვის აუზის ქვეყნებისთვის კონფლიქტების მოგვარების რეგიონალური ცენტრის შექმნა შინაგანი კონფლიქტების პროფილაქტიკის, პროგნოზირებისა და დარეგულირების საქმის ორგანიზებაშიც დაგვეხმარება, მყარ და სანდო ბაზას შეუქმნის მას. მეორეს მხრივ, კონფლიქტების მოგვარების საქმეში მსოფლიოში დაგროვილ მოწინავე გამოცდილებას საქართველომ შეუძლია შემატოს მნიშვნელოვანი პრაქტიკაც, რაც პოზიტიურად იმოქმედებს მთელ რეგიონზეც.

უახლოეს მომავალში ჩვენი ქვეყანა დადგება სტრატეგიული კვლევის სპეციალური პოლიტოლოგიური ცენტრის ჩამოყალიბების აუცილებლობის წინაშე. ცნობილია, რომ ასეთი ცენტრები წარმატებით მოქმედებენ უკლებლივ ყველა განვითარებულ ქვეყანაში და დიდ როლს ასრულებენ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში. ბუნებრივია, რომ ასეთ პოლიტოლოგიურ ცენტრს შესაბამისი კადრები დასჭირდება. დროა ამაზე ფიქრი დაიწყონ ქართველმა პოლიტოლოგებმა, იურისტებმა, ეკონომისტებმა. ეს ამოცანა ნაწილობრივ მაინც შეიძლება შესრულდეს იმ სტრუქტურათა ფარგლებში მომზადებისა და პრაქტიკული მუშაობის საფუძველზე, რომლებიც დღეს ფუნქციონირებენ ქართული მეცნიერებისა და განათლების სისტემაში.

ჩვენი აზრით, ევრაზიისა და კავკასიის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასურველია, რომ ასეთი ცენტრები საერთაშორისო ფუნქციის მატარებელნიც გახდნენ, რამაც საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას უნდა შეუწყოს ხელი. ადრეც არაერთხელ გაესვა ხაზი ევრაზიული ინტეგრაციული პროცესების გადამწყვეტ მნიშვნელობას მსოფლიოს პოლიტიკურ განვითარებაში, ამასთან, საქართველოსა და კავკასიის სტრატეგიულ მნიშვნელობას და ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს დავაყენოთ საკითხი თბილისში ისეთი მაღალი რანგის საერთაშორისო ცენტრის დაფუძნების შესახებ, რომელიც გააერთიანებს როგორც ეროვნული, ისე ჩვენი ახლო-მახლო რეგიონების და აგრეთვე, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ინტელექტუალურ ძალებს სეპარატიზმის, ტერორიზმის, ნარკობიზნესის და დღევანდელ

მსოფლიოში არსებული სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის.

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომში «საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაცია», შევეცადეთ ჩამოგვეყალიბებინა მმართველობის პრინციპები, რომლებიც ეხება კვლევის საგანთან დაკავშირებულ პრობლემებს. განვიხილეთ ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში მისი თანამედროვე კონტურები, რომლის ფონზე წარმოვაჩინეთ პოლიტიკური ინსტიტუტების როლი და მნიშვნელობა, სამართლის დანიშნულება აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაში. შეძლებისდაგვარად განვიხილეთ ქართული ეროვნული ცნობიერების თვითმყოფადობის შენარჩუნების გზები და საშუალებანი, წარმოვაჩინეთ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და მმართველობითი ფორმის არჩევის ოპტიმალური გზებისა და პერსპექტივების ჩვენეული ხედვა.

სადისერტაციო ნაშრომი ეყრდნობა უკანასკნელ პერიოდში საზღვარგარეთ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში გამოცემულ უახლოეს ლიტერატურას, რომელიც ეძღვნება პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის ასპექტებს. გარდა ამისა, გავეცანით თემასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ და იურიდიულ ლიტერატურას. საბედნიეროდ, ამ პრობლემასთან დაკავშირებით ქართველმა მეცნიერებმა პერიოდულ პრესასა და სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემებში არაერთი საინტერესო სტატია და გამოკვლევა გამოაქვეყნეს. იმის გათვალისწინებით, რომ ნაშრომი არ მოსწყვეტოდა «ეროვნულ ნიადაგსა და ცნობიერებას», შევეცადეთ თითოეული პრობლემური საკითხი დაგვეკავშირებინა ქართულ ისტორიულ-პოლიტიკურ და სამართლებრივ მემკვიდრეობასთან. ამ მიმართულებით საკმაოდ ბევრი მასალა არსებობს, რადგან ქართული ცნობიერება არასოდეს ჩამორჩენია ნებისმიერი ისტორიულ ეპოქის სუნთქვას. ჩვენი წინაპრებიც პოლიტიკურად და სამართლებრივად აზროვნებდნენ, ხედავდნენ მის მომავალს და წინასწარ ემზადებოდნენ

ქვეყნისათვის სასარგებლო შედეგების მისაღებად. სწორედ აქ უნდა ვეძებოთ ის მიზეზები, რომ არც თუ ისე მრავალრიცხოვანი ერი გადაურჩა მსოფლიოს «წნეხისაგან გასრესას», შეინარჩუნა თვითმყოფადობა და ეროვნული ღირებულებანი.

საფრთხე ბოლომდე აცილებული არ არის. მესამე ათასწლეულს მიღწეულმა ქართველობამ და საქართველომ არათუ უნდა აღადგინოს ქვეყნის «ბრწყინვალება», და მასთან ერთად «წახდენილი ქართული წეს-წყობაც», არამედ უნდა დაასრულოს ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაც.

პოლიტიკური და სამართლებრივი გლობალიზაციის პირობებში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ამ საშვილიშვილო ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭირო სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებას. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ სწორი ეროვნული პოლიტიკის, სამართლისა და იდეოლოგიის პირობებში. «ნაციონალური სახელმწიფო» მხოლოდ ამ გზით შეიძლება შევინარჩუნოთ.

თანამედროვე საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფიანის, ნიკო ნიკოლაძის, ვაჟა-ფშაველას, ივანე ჯავახიშვილის, არჩილ ჯორჯაძის და სხვათა მიერ შემუშავებული პოლიტიკური და სამართლებრივი მემკვიდრეობის საფუძვლიანად შესწავლას და დაფასებას, მათში დევს ქვეყნის გადარჩენის სამომავლო გასაღებიც. ეს რიტორიკა არ გახლავთ. ჩვენდა საბედნიეროდ, ქართველ მოღვაწეებს მართლაც არ აკლდათ გლობალური პოლიტიკური აზროვნება, რასაც არა მარტო თეორიული შესწავლა, არამედ პრაქტიკული გამოყენებაც სჭირდება. ვფიქრობთ, ჩვენი ნაშრომი (პრეტენზიის გარეშე) გარკვეულ სტიმულს მისცემს ამ მიმართებით ახალმეცნიერულ კვლევა-ძიებას. ამასთან, მას სათანადო პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, ის გარკვეულ სამსახურს გაუწევს სტუდენტ-ახალგაზრდობას, რომ უფრო კარგად გაერკვნენ პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის სრულყოფის პროცესში, რაც მათ მისცემს საშუალებას, სწორი დასკვნა გააკეთონ სამომავლოდ.

დღევანდელი სტუდენტობა ხომ სწორედ ის თაობაა, რომელმაც პრაქტიკულად უნდა გადაჭრას მართვის სისტემაში შექმნილი პრობლემები და მისი ისტორიული გამოცდილება ერის სამსახურში ჩააყენოს.

ზემოაღნიშნულიდან და სადისერტაციო ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება ზოგიერთი დასკვნის გაკეთება:

1. თანამედროვე ქართულმა სახელმწიფომ პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით ცალსახად განსაზღვრა განვითარების დასავლური გზა, რომელიც არ უნდა გამორიცხავდეს რუსეთთან პარტნიორულ, მეზობლურ და თანასწორ თანამშრომლობას ურთიერთობის ნებისმიერ დარგში.

2. პოლიტიკური ორიენტაციის გარკვევის შემდეგ ქართულმა სახელმწიფომ უნდა აირჩიოს დასავლური პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემებიდან მმართველობის ერთ-ერთი მოდელი, რომელიც ყველაზე უკეთ მოერგება დღევანდელ რეალობას, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელი იქნება უწმინდესის და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ გამოთქმული მოსაზრება და ასევე ისტორიული კავშირის ფესვებიც.

3. რამდენადაც საქართველო დიდ სახელმწიფოთა რიცხვში არ შედის, მაგრამ ერთ-ერთი მრავალეროვანი სახელმწიფოა მსოფლიოში, ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების გათვალისწინების ფონზე შესამუშავებელია სახელმწიფო იდეოლოგია, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს ეთნოკონფლიქტების მოგვარებას და, ამასთან ერთად, ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობით «ერთნებობითა და თანადგომით» ქვეყნის მართვის მექანიზმების ჩამოყალიბებას.

4. პოლიტოლოგები, იურისტები და სხვა დარგის სპეციალისტები, პრობლემით დაინტერესებული საზოგადოება ორ ნაწილადაა გაყოფილი. ერთნი თვლიან, რომ მომავალი საქართველო უნიტარული ფორმის ქვეყანა უნდა გახდეს და იგი ამ გზით შეძლებს არსებულ პრობლემათა გადაჭრას. მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ ქვეყანამ უნდა აირჩიოს ფედერაციული მოწყობის ფორმა. ორივე კონცეფციას არსებობის უფლება გააჩნია, მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, საქმე მარტო სურვილზე როდია. თუმცაღა პრობლემისადმი დამოკიდებულება ნაშრომში ვრცლად განვიხილეთ.

ვფიქრობთ, ტერიტორიული მოწყობის ფორმა მომავალში დამოკიდებული იქნება რიგი საკითხების გადაწყვეტის გზებსა და მეთოდებზე. რა გვაქვს მხედველობაში, დღევანდელი აფხაზეთის და ე.წ. «ოსეთის» ტერიტორიაზე

საქართველოს იურისდიქციის აღდგენა მიმ,დინარე წლის აგვისტოს მოვლენების გათვალისწინებით, თუ მოხდა პოლიტიკური მოლაპარაკების გზით, ვერ ავცდებით სახელმწიფოს მოწყობის ფედერაციულ ფორმას. რადგანაც ეს ხალხები არ დათანხმდებიან უნიტარიზმს. მაგრამ თუ ხელისუფლებამ პრობლემის გადაჭრა თუნდაც ძალისმიერი მეთოდებით შეძლო, აირჩევს უნიტარიზმს. ასეთ შემთხვევაში საფიქრებელია როგორ განვითარდება შემდგომში მოვლენები.

ჩვენი აზრით, ეს ნიშნავს ქვეყანამ და ხალხმა დაკარგოს მშვიდობიანი ცხოვრების პირობები, (ყოველ შემთხვევაში, საკმაო დროის მანძილზე), რადგანაც 15 წელზე მეტია აფხაზები და ოსები «დამოუკიდებელ» ცხოვრებას ეწევიან. არჩევნების გზით ახდენენ დეფაქტო ხელისუფლების შეცვლას, დრო დასჭირდება ამ მცდარი განწყობის ცნობიერებიდან წაშლას. ამასთანავე გასათვალისწინებელია ომისშემდგომი ფსიქოლოგიაც. აქედან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორიული მოწყობის ფორმის გადაწყვეტა ბევრად იქნება დამოკიდებული პრობლემის მოგვარების გზებსა და მეთოდებზე.

5. ეროვნული იდეოლოგიისა და პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაციის პროცესში გათვალისწინებულია დაშლილი პოლიტიკური სოციუმის გაერთიანება, რითაც მიღწეული უნდა იქნას სამართლებრივად განმტკიცებული პოლიტიკურ პარტიათა ოპტიმალური რაოდენობა, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების გამთლიანებას. ეს კი განაპირობებს სახელმწიფოებრივი აზროვნების პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის ამაღლებას.

6. ქვეყანაში სრულყოფილი სამართლებრივი სისტემის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება, სამართლებრივი და პოლიტიკური ნიჰილიზმის დაძლევა ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას და მსოფლიო თანამეგობრობის თვალში ქართული სახელმწიფოს ავტორიტეტის ამაღლებას, რაც გააადვილებს ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის, დამნაშავეობისა და ელიტარული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასაც.

7. გლობალიზაციის პროცესის აქტიურ სუბიექტად ქვეყანა იმ შემთხვევაში შეიძლება გამოვიდეს, თუ იგი ჩამოაყალიბებს ეროვნულ ინტერესებთან მორგებულ, ეფექტური სოციალური ორიენტაციის მქონე, თანამედროვე ეკონომიკურ სისტემას.

8. პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბების პროცესში ეროვნული კულტურა მისივე «დამცავ მექანიზმად» უნდა გადავაქციოთ, რადგანაც იგი სწორედ დასავლურ კულტურას უკავშირდება, რაც იძლევა იმის შანსს, რომ ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნებით მეტ იმუნიტეტს გამოავლენს.

9. ქვეყნის პოლიტიკური მართვის სისტემაში გამოყენებული უნდა იქნას გამორჩეული ეროვნული ტრადიციები, როგორიცაა: კუთხის, გვარის, ოჯახის, ნათესაობის, მეზობლობის ინსტიტუტები და ეთნოგრაფიული ჩვეულებები და სხვა სულიერი ღირებულებანი.

10. მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული ძვრებია ქვეყნის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის სფეროში, კანონმდებლობა მწვავე საზოგადოებრივი დებატების და პოლიტიკური დისკუსიების საგანია ეკლექტურობის და არათანმიმდევრულობის გამო, რაც მომავალში დასახვეწი და გასათვალისწინებელია.

11. შესაძლებლად მიგვაჩნია, გერმანიისა და საფრანგეთის თვითმმართველობისა დ მმართველობის სისტემებიდან გადმოტანილი იქნას ჩვენთვის მისაღები ფორმები, რაც უფრო ეფექტურს და მობილურს გახდის სისტემის ქმედუნარიანობას.

12. პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების მოდერნიზაციის პროცესში უნდა მოხდეს განათლების გეგმაზომიერი დეცენტრალიზაცია, როგორც პროცესის შემადგენელი ნაწილი, მეტი ავტონომიურობა უმაღლეს სასწავლებლებს, მეტი ყურადღება პოლიტიკური და სამართლებრივი მეცნიერების სათანადოდ სწავლების საკითხს, რაც ხელს შეუწყობს თითოეული სასწავლო დაწესებულების მისწრაფებას საბაზრო ეკონომიკისა და შრომის ბაზრის პირობებში მომზადებული კადრების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის.

13. პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის სრულყოფის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს გეოეკოლოგიური სტრატეგიის შემუშავებას, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნას შიდა რეგიონული მრავალფეროვნება (ქვეყნის განვითარების სტრატეგიული რესურსი) და მათი

ჩართვა გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ სისტემაში, რისი აუცილებლობაც ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა დაგვანახა.

14. ქვეყნის აღმშენებლობის სტრატეგიულ გეგმაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს დემოგრაფიული ფაქტორი, ღრმა ანალიზის საფუძველზე საჭიროა ერის გამრავლების პროცესის სამართლებრივი მოწესრიგება (მხედველობაშია აბორტების აკრძალვა, მრავალშვილიანობის წახალისება, სოც. უზრუნველყოფა და ა.შ.).

15. სამართლის სფეროში მიმდინარე პროცესები უნდა წარიმართოს არა სპონტანურად, არა ამა თუ იმ ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით, არამედ მას უნდა ჰქონდეს საერთო ეროვნული ხასიათი, რომლის ფორმირების პროცესში გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები. ერთადერთი მყარი ნორმატიული აქტი ქვეყანაში კონსტიტუციაა, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა უნდა იყოს დროის მოთხოვნა და არა სიტუაციისათვის მორგება.

16. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ქვეყანაში შეიქმნას პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების ჩამოყალიბების შესწავლის ცენტრი, სადაც გაერთიანდებიან სხვადასხვა დარგის მკვლევარები, რომლებიც დაინტერესებული არიან პოლიტიკურ და სამართლებრივ სფეროში შემავალი განყენებული პრობლემებით. მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფო პოლიტიკა გლობალური პროცესების მიმართ, რათა თავიდან იქნეს აცილებული ქაოტური, არასასურველი, ქვეყნის სულიერი და კულტურული ღირებულებების დამანგრეველი შედეგები და პირიქით, შევძლოთ მისი დადებითი მხარეების მაქსიმალური გამოყენება.

ჩვენი აზრით, ნაშრომში განხილული პრობლემების გადაწყვეტა, ან მათი წინა პლანზე წამოწევა და მომავალში გათვალისწინება გადაუდებელი საქმეა, რადგანაც გლობალიზაციის პროცესები სერიოზულ საფრთხეს უქმნის პატარა ერებსა და ქვეყნებს. მათ, უპირველესად, აკარგვინებთ ეკონომიკურ საფუძვლებს, რაც თავისთავად იმოქმედებს პოლიტიკასა და სამართალზე. საბოლოოდ კი ისინი მდიდარი და ძლიერი სამხედრო პოტენციალის ქვეყნების მონოპოლიათა გასაღების ბაზრად შეიძლება გადაიქცნენ. ანალოგიური საფრთხის ქვეშ დგას ჩვენი ქვეყანაც. ასეთი შედეგის თავიდან ასაცილებლად ზემოაღნიშნულ

საკითხებთან ერთად ყველაზე ეფექტური საშუალება ერის ინტელექტუალური და მწარმოებელი ძალების პოტენციურ შესაძლებლობათა მაქსიმალური ამოქმედებაა. ეს იქნება კიდევ ერთი გარანტი ეროვნული სახელმწიფოებრივი ერთეულის გადარჩენის, ეროვნულ ღირებულებათა შენარჩუნების, მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ღირსეული ადგილის მოძებნისა და დამკვიდრებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულენოვანი

1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტების კრებული, თბ., 1998 წ.
2. ალექსიძე ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2001 წ.
3. ჟ. «ალმანახი», 14, თბ., 2000 წ.
4. ჟ. «ალმანახი», 16, თბ., 2001 წ.
5. ანასეული ქართლის ცხოვრება, თბ. 1942 წ.
6. აფხაზეთის სისხლიანი ქრონიკები, შემდ. ზ. კალანდია, ვ. ჩორდელი, თბ., 1993 წ.
7ძ ბარათაშვილი ნ. გლობალური ხედვის ასპექტები, თბ. 2002 წ.
8. ბეკი ულრიხ. რა არის გლობალიზაცია? თბ. 2003 წ.
9. ჟ. «ბიზნესი და კანონმდებლობა», 1, ივნისი, 2004 წ.
10. ბჟეზინსკი ზ. «დიდი საჭადრაკო დაფა», (რუსულად).
11. გალი ბუტროს-ბუტროს, «დღის წესრიგი მსოფლიოსათვის», ნიუ-იორკი, 1992 წ.
12. გამსახურდია ზ. «წერილები და ესსეები», თბილისი, 1991 წელი.
13. გახოკიძე ჯ. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ. 2003 წ.
14. გეგეშიძე დ., ყურაშვილი ს. პოლიტოლოგია, თბ. 1999 წ.
15. გოგატიშვილი მ. ლექციები პოლიტიკური ხელისუფლების თეორიაში, თბ. 2003 წ.
16. გოგიაშვილი გ. შედარებითი ფედერალიზმი, თბ., 2000 წ.
17. დავიდი რ. თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი

სისტემები, თბ. 1993წ.

18. დავითაშვილი ზ. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბ. 2003 წ.
19. ერქომაიშვილი ე. ლოგიკური პოზივიტიზმი, თბ. 1974 წ.
20. ვაჟა-ფშაველა, თხზულებები, თბ. 1965 წ.
21. ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებული, თბ. 1953.
22. ზაქარიაძე ნ. პოლიტოლოგია, თბ. 1973 წ.
23. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ., 2003.
24. თეთვაძე შ. პოლიტიკური ინსტიტუტები – ხელისუფლების განკარგულების მექანიზმი, თბ. 1997 წ.
25. თევზაძე გ. ფრანკფურტის ფორმა, თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია XX ს-ის მეორე ნახევარში. თსუ გამომც. 1988 წ.
26. ლობჟანიძე გ. ნარკვევები არჩ. ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივ-სამართლებრივი ნააზრევიდან, თბ., 1992.
27. ლობჟანიძე გ. ასი წლის წინათ და ასი წლის შემდეგ, ქუთ. 1997.
28. ლობჟანიძე გ. საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა, თბ. 2002 წ.
29. ლობჟანიძე გ. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ. 2003წ.
30. ლობჟანიძე გ., ღლონტი გ. კანონიერი ქურდები საქართველოში, თბ., 2004წ.
31. ლუტიძე ბ. სოციოლოგია (ლექციების კურსი), თბ. 2002 წ.
32. ლუტიძე ბ. გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა», 21 აპრილი, 2004 წ.
33. მარქსი კ. «კაპიტალი», ტ. III. ნაწ. II, თფ. 1934.
34. მაცაბერიძე მ. გეოპოლიტიკა: საგანი, მეთოდები, ამოცანები. თბ.

2001 წ.

35. მაცაბერიძე მ. გეოპოლიტიკის კლასიკური თეორიები, თბ. 1998 წ.
36. მელქაძე ო. საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე, თბ., 1996 წ.
37. მელქაძე ო. საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე, თბ. 1999 წ.
38. მერჩულე გ. «გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", თბ. 1982 წ.
39. ჟ. «მოამბე», XI-XII, თბ., 2003 წ.
40. ნათაძე ნ. პოლიტოლოგია, პოლიტიკური თეორია ძველ საბერძნეთში, თბ. 2000 წ.
41. პოლიტოლოგია (ლექციების კურსი), (მ. მაცაბერიძე, ე. ბატიაშვილი, ო. გოგიაშვილი, ს. შარიქაძე, კ. შარია, ჰ. კუპსბელი, ა. ტუკვაძე, თ. კიკნაძე, ვ. ქარუმიძე, ნ. მაჭარაშვილი) თბ. 2003 წ.
42. რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო. თბ., 1996 წ.
43. რეხვიაშვილი რ., ჯალიაშვილი ჯ., ხოჭოლავა რ. პოლიტოლოგია, თბ. 1994წ.
44ძ რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსანი, თბ. 1985 წ.
45. სანიკიძე გ. კიღურაძე ნ. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 2001.
46. საქართველოს კონსტიტუცია, თბ. 1995 წ.
47. გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა», 14 ნოემბერი, 1997წ. 285 (2638)
48. საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია (მუხ. 146, 147), თბ., 1992.
49. საქართველოს 1989 წლის 20 ივლისის კონსტიტუციური კანონი 2224 ს.ს.მ. I 1999 წ. 35(42) მუხლ. 170.
50. საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი ს.ს.მ I, 2004 წ. 2, მუხ. 5.
51. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის «მოამბე», თბ.

2003, XI-XII.

52. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიულეტენი, 2000, 2.
53. საქართველოს გენ. პროკურატურა. აფხაზეთის ა/რ პროკურატურა. დასკვნა, თბილისი, 1999.
54. ტუკვაძე ა. პოლიტიკური ელიტა, თბ. 2000 წ.
55. უშიშროებისა და სამართალდამცავი სისტემის ორგანოების რეფორმის კონცეფცია. თბ. 2002 წ.
56. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ. 1984 წ.
57. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ. 1993 წ.
58. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8. თბ. 1994 წ.
59. ქარუმიძე გ. თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციები, თბ. 1999 წ.
60. ქარუმიძე გ. თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციები, თბ. 2003 წ.
61. ღლონტი გ. ადამიანებით ვაჭრობა, რეალობა და პერსპექტივები, თბ. 2003 წ. (რუს. ენაზე).
62. ჩოგოვაძე გ. ინფორნაცია, თბ. 2003 წ.
63. ცნობილაძე პ. საკანონმდებლო ტექნიკის უცხოური გამოცდილება, ჟ. «სამართალი», 2004, 1-2.
64. ჭანია ვ. პოლიტოლოგია, თბ. 1998 წ.
65. ჭანუყვაძე ვ. პოლიტიკური დიალოგები, თბ. 1998 წ.
66. ჭანუყვაძე ვ., ჭანია ვ. პოლიტოლოგია, თბ. 1998 წ.
67. ჭავჭავაძე ი. თხ. ტ. III-VI, თბ. 1953.
68. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები თბ, 1997 წ.

69. ხუბუა გ. ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბ. 1996 წ.

70. ჯანაშია ჯ. XXI საუკუნის გამოწვევა, თბ. 2002 წ.

71. ჯაფარიძე შ. პოლიტოლოგია, I ნაწილი, თბ. 2000 წ.

72. ჯაფარიძე შ. პოლიტოლოგია, II ნაწილი, თბ. 2000 წ.

73. ჯავახიშვილი ივ. «ქართველი ერის ისტორია», თხ. ტ. I, თბ. 1960 წ.

74. ჯავახიშვილი ივ. «ქართველი ერის ისტორია», თხ. ტ. II, თბ. 1983 წ.

75. ჯორჯაძე არჩ. თხ. წ. I, 1911 წ.

76. ჯორჯაძე არჩ. თხ. წიგნი II-V, თბ. 1911 წ.

რუსულენოვანი

77. Алексеев С.С. Теория Государства и право, М. 1993 г.
78. Аннан К. Сообщества эры интернационализма Независимая, газета, 1999 31 дек.
79. Бжезинский Зб. «Великая шахматная доска», М. 2000 г.
80. Бударов Р. А. История слов в истории общества. М. 1997.
81. Василенко И. А Политическая глобалистика. Учебное пособие. М. 2000.
82. Гаджиев К. С. Геополитика. М. 1997.
83. Гаджиев К. С. Ведение в политическую науку. М. 2000.
84. Гегель: сочинения Т. 7 М. 1934.
85. Гжегож В. Колодко, Глобализация и перспективы развития постсоциалистических стран. Варшава, 2002.
86. Грабский А. Ф. Ферман Бродел \\ Вопросы методологии истории цивилизации. М. 1990.
87. Гренберг И. рассуждение об отношении, в котором находится общее право положительному праву, к философии положительного право к политике и этике, Харьков 1833г.
88. Гудожник Г С. Елисеева В. С. Глобальные истории человечества. М.1989.
89. Долгов С. Глобализация экономики. М. 1998.
90. Зеркин Д. П. Основы политологии. М. 1999.
91. Ииоземцев В. За пределами экономического общества. М. 1998.
92. Ильин И. О сущности правосознания М.1993г.
93. Киссинджер Г. Дипломатия, М. 1997.
94. Колосов В. Мироненко Н. Геополитика и политическая география. М. 2002г.
95. Кондурсе Ж. А. Эскиз исторической картины прогресса человеческого разума, Философия истории. Антология. М. Аспект-Пресс. 1994.
96. Кореев Н. Общий ход всемирной истории СЛБ 1903г.

97. Лиотар Жан-Франсуа. Состояние постмодерна, М., 1998 г.
98. Лукашук и.и. Глобализация, государство право, XXI век. М 2000.
99. Матвеев Р. Ф. Теоретическая и практическая политология. М. 1996.
100. Международное публичное право, сборник документов. Т.1. м.1996г. gv. 117.
101. Модоуз Д. Рондерс И. За пределами допустимого; глобальная катастрофа или стабильное будущее. Новая постиндустривная волна на запад ею Антология. М. 1999.
102. Моисеев Н. Н. Судьба цивилизации. Путь разума. М. 1998.
103. МЭиМО. 10. 1999. МЭиМО.6 2000. МЭиМО. 9. 2000.
104. Мюллер М. Смысловые толкования, История Философии, Антология. М. Аспект-Пресс. 1994.
105. Надареишвили Т. Геноцид в Абхазии, Тб. 1998 г.
106. Панарин А С. Глобальное политическое прогнозирование в условиях стратегической нестабильности. 1999.
107. Панарин А. С. Политология. М. 1998.
108. Печчеи А. Человеческие качества. М. 1980.
109. Пригожий И. Стенгерс И. Время хаос квант. К решению парадокса времени. М. 1998.
110. Римского клуба. М. 1991. | Шпенглер О. Закат Европы. М-ПБ. Изд. А.Д. Френкель. 1923. Т .1.
111. Смирнов Г. Н. Политология, очерки о современности. М. 1999.
112. Сорокин П. Социалистические теории современности. М. 1992.
113. Теория государства и права под. ред. В.Корельского и В. Перевалова. М.1998г.
114. Теория государства и права, под. ред. В. Корельского и В. Перевалова, М., 2000 г.
115. Тиллих П. история и царство божье, Философия истории. Антология. М. Аспект-Пресс. 1994.
116. Тихомиров Ю.А. Публичное право М.1995г.

117. Тоинби А. Постижение истории. М. 1991.
118. Удовин С. Глобализация. Семиотические подходи. М.2002
119. Февр Л. Цивилизация, эволюция слов и группы идей. Бой за историю. М. 1991.
120. Хантингтон С. Столкновение Цивилизации, Полис. 1994. №1.
121. Хобернасс Ю. Моральное сознание и коммуникативное действие, Санкт-Петербург, 2000.
122. Хозин Г.С. Глобальные проблемы современности. М., 1982.
123. Червонная С.М. Абхазия – 1992. Посткоммунистическая Вандея, М. 1993 г.
124. Чешков М. Глобальное видение и новая наука. М. 1998.
125. Шания А. Правда об Абхазии, Тб., 1998 г.
126. Шнаидбер Б, Кинг А, Первая глобальная революция. Доклад
127. Яковец Ю. В. История Цивилизации. М. 1997.
128. Яковец Ю. В. Прогнозирование циклов и кризисов. М. 2000.
129. Яковец Ю. В. Глобализация и взаимодействие Цивилизации. М. 2001.

ინგლისურენოვანი

130. Bradshow Y.W. Wallace M. Global Inequalities, London, 1996.
131. Durrschmidt J. Individual relevances in the globalized world, Biefeld, 1995.
132. Feber L. Tonnelat E. Civilizations. Le mot et 1'idce. Paris 1930.
133. Fortune, N.Y. 5. 08. 1996, Endlose Profile.
134. Gilpin G. The political economy of the international relations / Princeton, 1987.
135. Globalization and new world order, Tb., 2003.
136. Hantigton Samuel P. The international Primacy and International Security, N.Y. 1999.
137. Holton R. Problems of crisis and normalcy in the contemporary World \\ Rethinking Progress. Boston. 1990.
138. Huntington S. If not civilizations, what? Paradigms of the Postcode War World \\ Foreign affairs. Nov.Dec. 1973. 72. #5. v
139. King A. Globalization and the world system, London, 1991.
140. Krober A. L. Kluskhon C/ Culture: A/ Critical Revue of concerts and definitions. N. Y. 1992.
141. Kruger A. B. International Herald Tribune, 1.08. 1997.
142. Mandelsbaum M. The dawn of peace in Europe, N.Y. 1976.
143. Pelmutter H. On the rocky road to the- first civil globalization.
144. Roberts R. Globalization, London 1992.
145. Robins K. Tradition and translation, London, 1991.
146. Rosenau J. Turbulence in World politics, Brighton, 1990.
147. Siater D. Challenging Western visions of the global, The European journal of development Research. 1985.
148. Smith A. A global society? Cambridge, 1992; Modernity and it's futures, Cambridge, 1992;
149. Smith A.D. Towards a global culture? London 1990.
150. Takeshi I, Japanese political culture: Change and continuity. London. 1993.
151. Tounbee A. Stuady of History. L: Oxford Univ. Press, 1961.

152. Virolli M. From politics to reason of state, Cambridge, 1992, p.2.

153. Weber Robert J. Eagle drift, N.Y. 1997.

154. World populations prospect/ the 1996 revision/ UNO. N.Y. 1998.